

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თავარ სალარიკე

# ალგეთის ხეობის ქართლური



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1978

ნაშრომი წარმოადგენს ქართული ენის ქართლური დიალექტის ერთ-ერთი თვალსაჩინო თქმის, ალგეთის ხეობის მკვიდრ ქართლელთა მეტყველების ენობრივ თავისებურებათა და დარგობრივი ლექსიკის მონოგრაფიულად შესწავლის ცდას. იგი ძირითადად ემყარება ავტორის მიერ ადგილზე მოღვივებულ დიალექტურ მასალას.

დადგენილია შეხვედრები ქართლური კილოს სხვა თქმებთან, გამოვლენილია ალგეთურის სპეციფიკა, რაც განსაზღვრავს ამ თქმის ადგილს ქართლური დიალექტის ფარგლებში.

გამოკვლევას ახლავს ავტორის მიერ ადგილზე ჩაწერილი სხვადასხვა ხასიათის ტექსტები და დარგობრივი ლექსიკის საძიებელი.

რედაქტორი მ. ჭაბაშვილი.

## შესავალი

1924 წელს არნ. ჩიქობავა წერდა: „ყველაზე უფრო ვრცელი თქმანი, ქართლური და კახური, ჯერ კიდევ terra incognita-ს წარმოადგენს და მათ შესახებ მხოლოდ აპრიორი ხასიათის მსჯელობაა შესაძლებელი“-ო<sup>1</sup>. ქართლ-კახურ დიალექტთა შესწავლაში ყამირის გატეხა ამ სამართლიანი საყვედურის ავტორს არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას ზედათ წალად. ქართული დიალექტოლოგია და, კერძოდ, ქართლოლოგია მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ქართველ ენათმეცნიერთა მომდევნო თაობებმაც.

„ქართლური მთავარი დიალექტია ქართული ენისა. ენათმეცნიერული ინტერესი მისდამი დიდია და მრავალმხრივი. ქართლურის მნიშვნელობა ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლისათვის განუზომელია“<sup>2</sup>.

აღნიშნული დიალექტის წარმომადგენელთა სამკვიდრო საქართველოს შუაგულში მდებარეობს და ყველა კილოურ ერთეულზე უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავს; ესაა ზემო (დასავლეთი), ქვემო (სამხრეთი), შიგა და ჩრდილო ქართლი.

ქვემო ქართლი თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. მის ტერიტორიაზე ორი მოზრდილი მდინარე — ხრამი და ალგეთი — მიედინება. ალგეთის ხეობაში განლაგებული სოფლები თეთრი წყაროს რაიონს ეკუთვნის.

ამ რაიონის მთაბარიანი ბუნება, ზომიერად გრილი ჰავა და კარგი წყაროები, მეურნეობის თითქმის ყველა დარგისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ალგეთის ხეობის მდიდარი სანახებისა და მათ ძველ მკვიდრ ქართველთა სიმხნისა და მაღალი სამეურნეო კულტურის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოეპოვება ვახუშტი

<sup>1</sup> ბ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში: ტფ. უნივ. მოამბე, IV, 1924, გვ. 1.

<sup>2</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავეთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თსუ, 1961, გვ. 269.

ბატონიშვილს, რაც გათხრებითა თუ შემთხვევით ნაპოვნი ნივთიერი ძეგლებითა და გადმოცემებითაც დასტურდება. როგორც ეს მეურნეობა, ისე მისი მწარმოებელი შრომისმოყვარე ქართველი მოსახლეობა არაერთგზის ყოფილა მტერთაგან აოხრებული და გავერანებული. ქვემო ქართლის ტერიტორიის უამრავი ნასოფლარ-ნამოსახლარი თუ ისტორიული ძეგლი ამის უტყვე მოწმედ შემორჩენილა.

ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული, შემდეგ კი სანახევროდ დაცარიელებული მიწა-წყლის ხელახალი დასახლება ხდებოდა ადგილობრივ მებატონეთა მიერ კახეთიდან „გადმორეკილი“, თუ ქართლისა და საქართველოს სხვა კუთხეებიდან შემოხიზნული გლეხობით, რაც ბოლო დრომდე გრძელდებოდა.

უფრო გვიან ქვემო ქართლში იწყო ჩამოსახლება არაქართული მოდგმის ხალხმაც. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ჰქონდა XIX საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ ოსმალეთიდან, რუსეთიდან და სხვა მხარეებიდან სხვადასხვა ტომის ხალხთა ჩამოსახლებას ქართლის მიწა-წყალზე. ამ გარემოებამ აქაურ ტომონიმიკასაც დააჩნია თავისი კვალი: დასახლებული პუნქტების ქართული სახელწოდებანი თანდათან უცხოურით იცვლებოდა. ასე მაგ., „სოფ. „ბელი კლიუჩი“ წარმოიშვა მტრებისაგან დანგრეულ ქართულ სოფ. გარისის (ხაზი ჩვენია — თ. ს.) ნანგრევებზე. ამგვარად, სოფ. „ბელი კლიუჩი“ (სოფ. გარისს) 1843 წლიდან პარალელურად თათრული სახელწოდება „აღბულალი“ შერქმევია. 1938 წლიდან კი მას აქვს ქართული სახელწოდება „თეთრი წყარო“<sup>3</sup>.

თეთრი წყაროს რაიონი შესწავლილია ეთნოგრაფიულად (იხ. გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულალის რ-ში: საქართვე. მუზეუმის „მოამბე“, IV, 1928; ლ. ბოჭორიშვილი, ალგეთის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VIII, 1956).

ქვემო ქართლისა და, კერძოდ, თეთრი წყაროს რაიონის ენობრივად შესწავლას შემდეგი შრომები მიეძღვნა:

ვ. თოფურია, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში: ურნ. „ჩვენი მეცნიერება“, № 2 (14), ტფილისი, 1924.

გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტის ნაირსახეობანი: იკე, IX—X, თბ., 1958 (ნარკვევში მოკლედაა აღნუსხული ქვემოქართლის ენობრივი მოვლენები ქართლის სხვა კუთხეთა მეტყველებასთან შეპირისპირებით).

<sup>3</sup> ვ. გონგაძე, თეთრი წყარო, თბ., 1959, გვ. 55.

მისივე, ქვემოქართლურის ზოგიერთი თავისებურებისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961 (წერადლი ეხება მარნეულის რ-ნის სოფლების, წერაქვისა და სიონის, აგრეთვე წალკის რაიონის სოფ. რეხის მეტყველებას).

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი. თბ., 1961 (მონოგრაფიაში ორიოდ ფურცელი აქვს დათმობილი თეთრი წყაროს რაიონში ჩაწერილ ტექსტებს; ლექსიკონი ზოგად-ქართლურია).

სტ. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა): იკე, XVII, 1970.

რომელიმე დიალექტური ერთეულის სათანადოდ შესწავლა მისი ენობრივი მოვლენებისა და ლექსიკის სოფელ-სოფელ, გამოწვლილევით აღნუსხვასა და დაფასებას გულისხმობს. ალგეთის ხეობის ქართლური მეტყველება საგანგებო შესწავლის საგანი არ ყოფილა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ალგეთის ხეობის მკვიდრ ქართლეთა მეტყველების მონოგრაფიულად შესწავლა. იგი ემყარება თეთრი წყაროს რაიონის რიგ სოფლებში წლების მანძალზე შეკრებილი ლექსიკური და ზოგიც ენობრივი ხასიათის მასალებს. ეს სოფლებია: თონეთი, პატარა თონეთი (ყოფ. დვალთა), კლდეისი, მაწევანი, გოლთეთი, ჩხიკვთა, ტბისი, ფარცხისი, საღრაშენი (სალირაშენი), ბოგვი, ჯორჯიაშვილი (ყოფ. დიდი ენაგეთი), შავსაყდარი და ენაგეთი (ვეტანებოლდით გზის პირიდან მოშორებულსა და მთის სოფლებს). ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუსწავლელი დაგვრჩა რიგი ქართული სოფლები, რომლებშიც, ზოგ ზემოდასახელებულ სოფელთან ერთად, დარბევასა და აყრას გადაჩენილი ძველი მოსახლეობის შთამომავლობა ივარაუდება<sup>4</sup> (ამ ნაკლის შევსება მომავლის საქმედ მიგვაჩნია).

ნაშრომის ძირითად ნაწილად გათვალისწინებული იყო ლექსიკა, რომელიც არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს რჩევით დარგობრივად შესწავლილი (ჩვენ იგი მთლიანად ვერ წარმოვადგინეთ ადგილის სიმციროს გამო), ეს დარგებია: 1. ბუნების მოვლენები და დედამიწის რელიეფი, 2. პურეული, 3. თიბვა, 4. მებოსტნეობა და მებაღეობა (მეხილეობა), 5. მევენახეობა, 6. ტყე, 7. სულიერთა მოშენება (მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა), 8. ადამიანი (ნათესაობა, ადამიანის თვისებები, ავადმყოფობა, ხალხური თამაშობანი), 9. სხვადასხვა

<sup>4</sup> იხ. ლ. ბოკორიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

ხელობა (სახლის აშენება, ქვის თლა, მეჭურჭლეობა და სხვ.),  
10. ტოპონიმია.

ჩამოთვლილიდან წარმოვადგინეთ მხოლოდ პირველ ხუთ პუნ-  
ქტში მოხსენიებული დარგები. ამ ნაწილს უძღვის ალგეთურის<sup>5</sup>  
ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ და ლექსიკურ თავისებუ-  
რებათა ანალიზი. განხილულია აგრეთვე სიტყვაწარმოება და კომპო-  
ზიტები.

ენობრივი მიმოხილვისას, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის  
გარდა (მეურნეობის სხვადასხვა დარგთა საქმიანობის პროცესების  
აღწერა, ცოცხალი საუბრები, სხვადასხვა ხასიათის ტექსტები).  
გამოყენებული გვაქვს, აგრეთვე, ივ. გიგინეიშვილის მიერ  
დაბა მანგლისში ჩაწერილი ზღაპრები, რაც ყველგან აღნიშნულია  
ფრჩხილებში, შემოკლებით „მანგ“.

ზემოხსენებულ ისტორიულ ვითარებათა გამო დღევანდელი  
თეთრი წყაროს რაიონის მოსახლეობა ეთნიკურად არაა ერთფერო-  
ვანი. ქართველების გარდა აქ ცხოვრობენ ბერძნები (როგორც  
ბერძნულენოვანი, ისე თურქულენოვანი), აზერბაიჯანელები („თათ-  
რები“), სომხები (რომელთა დიდი ნაწილიც ქართულად მეტყვე-  
ლებს), რუსები და სხვა. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვანი ენობ-  
რივი ვარემოსი, აქაური ქართლურის თავისებურებანი დედაენის  
ფარგლებს არ გასცილებია და ცვლილებები, რომლებიც არაქარ-  
თულ ენობრივ ერთეულებთან კონტაქტებითაა გამოწვეული, მხო-  
ლოდ ცალკეული ლექსიკური ფაქტებით ამოიწურება.

აქაური ქართლელები ძველ აბორიგენტთა შთამომავლებისა და  
ქართლის სხვა კუთხეებიდან (გომარეთი, ჭავჭავთი...), აგრეთვე კა-  
ხეთიდან, გადმოსულთა შენარწყმს წარმოადგენენ (მაგ. თონეთე-  
ლები თავიანთი წინაპრების ნაწილს ჭავჭავთიდან გადმოსულებად  
თვლიან), რაც ზოგჯერ მეზობელ სოფელთა შორის ზოგი ენობრივი  
და ლექსიკური ხასიათის სხვაობის ფაქტშიცაა არეკლილი; მაგ.,  
იგივე თონეთელები თავიანთ მეტყველებას ქართლურისაგან გამიჯ-  
ნავენ: მათგან ხშირად გაიგონებთ: „ეგრე ქართლის ხარეს იციან,  
ჩვენ არ ვიცითო“. ასევე ქვემო სოფლების მცხოვრებნი თონეთე-  
ლებს ჭავჭავთებად იხსენიებენ: „ხორხომელასა ზეით, ჭავახები (=თო-  
ნეთელები) ხო შაკაკალას ეძახიან“ (ტბ); ალგეთელები იმა-  
ზეც მიუთითებენ, რომ სიტყვა ხუშური (წვრილი ფიჩხ-ფუჩ-  
ხი) მხოლოდ ჯორჯიაშვილელთა ლექსიკას განეკუთვნება, ხოლო

<sup>5</sup> ალგეთის ხეობის მკვიდრ ქართლელთა მეტყველებას სიმოკლისათვის „ალ-  
გეთურს“ ეუწოდებთ.

გომარელი ხიზნები ხმოვანფუძიან სახელებს ბოლოში ი'ს ურთავენ. ალგეთის ზემო წელის სოფლებისათვის დამახასიათებელ ზოგ თავისებურებაზე ნაშრომში თავ-თავის ადგილას გვაქვს ყურადღება გამახვილებული.

ქართულების გვერდით მთიულები და გვიან ჩამოსახლებული რაჭველებიც ცხოვრობენ. აქაური ქართულების ენაში (უმთავრესად ლექსიკაში), რა თქმა უნდა, ჩანს მთიულებთან ახლო მეზობლობის კვალი; იგი ჩვენს მასალაშიც აისახა: აქ შიგადაშიგ წარმოდგენილია ადგილობრივ მთიულთა მეტყველების ნიმუშები, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ქართულთან შედარების მიზნითაა მოყვანილი (მაგ. მთ. სალორე და ალგეთ. ქუზა...). თავის მხრივ იგრძნობა ქართულის დიდი გავლენა მთიულურზე, რაც ნაშრომზე დართული ტექსტებიდანაც ჩანს<sup>6</sup>.

ენობრივი მოვლენებიცა და ლექსიკური ერთეულებიც, უმრავლეს შემთხვევაში, დოკუმენტირებულია ადგილზე მოპოვებული მასალით (სამწუხაროდ, ადგილით შეზღუდულობის გამო, ეს სადოკუმენტაციო მასალა სათანადოდ ვერ იქნა რეალიზებული); დოკუმენტაციას ჩვეულებრივ თან ახლავს სოფლის ან სოფლების დასახელება, სადაც ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ან სიტყვა თუ გამოთქმაა ჩაწერილი ან დადასტურებული; მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მისი ხმარების არე მხოლოდ დამოწმებული სოფლითა თუ სოფლებით შემოისაზღვრებოდეს.

---

<sup>6</sup> იგულისხმება ტექსტების პროზაული ნაწილი, რადგან ლექსებსა, ანდაზებსა და გამოცანებში მთხრობლის მეტყველების თავისებურებანი მინიმალური დონით ვლინდება.

## თ ა ვ ი I

### ფონეტიკა

#### გვარიტი უფლებანილობა

ალგეთის ხეობის ქართლელთა მეტყველებაში სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ბგერებია ჯ და მ. ამათგან პირველი (ჯ) სპორადულად დასტურდება, მ'ს ხმარებას კი ფართო გასაქანი აქვს მიცემული. ალგეთურს ახასიათებს, აგრეთვე, მს, მჰ და მჰს რთული ბგერები.

#### ვ

ჯ'ს ხმარების ორიოდ შემთხვევა დადასტურდა მხოლოდ მოხუცთა მეტყველებაში და ისიც ისეთ სიტყვებში, რომლებსაც ძველი ქართულიდანვე მოსდევთ მისი გამოყენება; ოღონდ იგი ფარინგალობით საგრძნობლად ჩამოუვარდება ჯ'ს, რომელიც მთის კილოებს!, ქიზიყურსა და ზოგიერთ სხვა დიალექტს ახასიათებს; თუმცა იმავე მთიულურში (და ალბათ ზოგიერთ სხვა კილოშიც) იგი უკვე დასუსტების გზაზეა<sup>2</sup>.

ჯ'ს ხმარების მაგალითებია: ერთი კელობა არაყი გამოცხადოთო (მაწ.); ზოგჯერ მაიკდენს, რო თვალი აუღოთ ცეცხლსა (გოლო.); საკერჯი (= მოსახერხებელი) არ იყო (ჯორჯ.).

რამდენადაც ვიცით, ჯ ქართლურ კილოში არსად არაა დადასტურებული (გარდა იმ ერთეულებისა, სადაც მთიულთა გავლენას აქვს ადგილი<sup>3</sup>), ალგეთურში კი ჩვენს მიერ წარმოდგენილი ყველა შემთხვევა ქართლელ მთქმელებთანაა ფიქსირებულნი; სამივე მათ-

1 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიშკის მოამბე, II, თბ., 1937, გვ. 1; ალ. კინჭარაული, ხვესურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 1.

2 არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

3 იხ. გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური: იკე, IV, თბ., 1953, გვ. 311.



განი სხვადასხვა სოფლის — გოლთეთის, მაწვენისა და ჯორჯიაშვილის მკვიდრია. ამ სოფლებში, ისე, როგორც საერთოდ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, მეტ-ნაკლები რაოდენობით მთიულეზოც ცხოვრობენ (იხ. შესავალი, გვ. 7), რომლებიც სხვადასხვა დროს არიან აქ ჩამოსახლებულნი. პირველი ნაკადის ჩამოსახლება (გუდამაყრის ხეობიდან) უნდა მომხდარიყო არა უადრეს XIX საუკუნისა. ქართლებსა და მთიულებს შორის, რა თქმა უნდა, მკვიდრო კავშირი არსებობს; ხდება დანათესავებაც. ამდენად, კ შესაძლოა მთიული წინაპრებისაგანაც იყოს შემკვიდრებით მიღებული.

ა

კ, ძ, ძს, ძპ, ძჰს ბგერებიდან ალგეთური მეტყველებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ძ'ს გამოყენება. იგი შეიძლება შეგვხვდეს:

I. ს'სა და ჰ'ს მონაცვლედ.

1. ძ ენაცვლება ს'ს, როცა ეს ს მოქცეულია ან ხმოვანსა და წინაენისმიერ თანხმოვანს შუა, ან ხმოვანს მოსდევს ღია პოზიციაში, რაც ორივე (და სხვა, პოზიციურად ანალოგიურ) შემთხვევაში წარმოშობს დამავალ დიფთონგს<sup>4</sup>.

ამ მონაცვლეობას (ს/ძ) ზოგჯერ ვხვდებით იქ, სადაც ს გვევლინება, როგორც:

ა) სიტყვის ფუძის ელემენტი. მაგ.: კომბოატო დათესეს (თონ.); მოხდოგნიან ბოატანსა (თონ.); ოატატი ვერ იშოვა (ჩხ.); ჩუატი (ჩხ.): ლუაღუ (← ლუსღუ) ამოჰკრა (თონ.).

ბ) S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირის ნიშანი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხმოვანი, რომელიც მიუძღვის ზმნის პირის გამომხატველ პრეფიქსს: ა) ჩვეულებრივ პრევერბისაა, ბ) იგი შეიძლება იყოს წინამავალი სიტყვისა, რომელსაც ენკლიზურად უკავშირდება (უპრევერბო) ზმნა და ამ ხმოვანთან ერთად ძ წარმოქმნის დიფთონგს. მაგ.: დაადაღამ: (საღრ.); შეაღღებამ (საღრ.); მაყრულ რო შამააძახეფ! (ჩხ.): რამდენი ხელი ნიორი დააწანი? (მაწ.)... დააღღეს ვადა (შღრ. კვერცხ-ალარ დასდებს; ფარცხ.); შუაში ჩააღღებენ ნაკვერჩხალსა (თონ.); მიაღღევენ (თონ.); ბუმბული ამოაღღის (ჩხ.); წავა და გამოათიბამს. (თონ.); დააძალა მეორე ხარმა (მაწ.); მამამ მიაღღა ფული; მოაღღო. (შღრ. მათრახი ამოსცხო; მანგ.); ნაცარ გააღღრიდნენ (ჩხ.). ძ უპრევერბო ზმნებთან (ა, ე, ი ხმოვნების მომდევნოდ): კოვზებსააღღლიდა.

<sup>4</sup> დიფთონგი წარმოიქმნება, აგრეთვე, ძს, ძპ და ძჰს რთულ ბგერებთან.

(საღრ.); ვერაძალამს ძუძუსა (ჩხ.); ისეცემა, რო! (მანგ.); უფროჯობიან (ჩხ.).

გ) S<sub>3</sub> ნიშანი. მაგ.: უნდა გათხელდე (საღრ.); უნდა წყალი გაუვიდე (საღრ.); გინდ იყვე და გინდ არა (საღრ.). ერთ წინადადებაში ერთგვარ წვერთა შორის გვაქვს როგორც სანიანი, ისე ძიანი პარალელური ფორმები: უნდა აღუღდეს, მერე დადგე და მერე გამოვხადო (საღრ.).

ღ) S<sub>3</sub> ნიშნის (-ეს) თანხმონითი ელემენტი. მაგ.: დაანთე ცეცხლი (მანგ.); ჩაარტყე თავში; ნაკმაზი მააქუჩე (ჩხ.; საუბ.); გაიგე მეზობლებმა; ამოიყვანე ბავშვი.

ყ) მიცემითი ბრუნვის ნიშანი (ა, ე, ი, ო ხმოვანფუძიან სახელებთან და „ვინ“ ნაცვალსახელთან). მაგ.: თივა დავალვარეულებთ (ფარცხ.); იმა დაასხამენ თეფშზე (ჩხ.); ხელში საღვინე დაიჭერდა (თონ.); მდინარეთან (მანგ.); გაყოფის დრო (ჩხ.); წყაროთან (მანგ.); ვითან იყავი? (საუბ.).

ვ) ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის (-ის) თანხმონითი ელემენტი. მაგ.: საჩეჩლი კბილში (თონ.); დათესვი დროს (საღრ.); შუადლითინ (ჩხ.); საქონლითინა (თონ.). რთულ სიტყვაში: ღვინობათევი (ჩხ.).

2. ა მონაცვლე S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> ჰ პრეფიქსისა; ამ შემთხვევაში ა მოქცეულია ხმოვანსა და რომელიმე არაწინაენისმიერ თანხმოვანს შორის. წინამავალ ხმოვანთან ურთიერთობის მხრივ კი ეს ა იზიარებს ს პრეფიქსის მონაცვლე ა'ს ბედს (იხ. ა, ა და ხ ქვეპუნქტები, გვ. 9). მაგ.: დაასაქმე (თონ.); ამოახდი სულსა; მოაჩრავ მერე (ტბ.)... ჩონგურს უკრამს და დამღერის (გოლთ.); ყოჩი დაანერგამს (ჩხ.); გაარეკამენ მთაში (ჩხ.); მოაქონდათ; ამოღრიდნენ ცულითა (ჩხ.); მოახარამენ თათუხის პურსა (გოლთ.). ზოგჯერ ერთი და იგივე ზმნის იდენტური ფორმები ერთი წინადადების ფარგლებშიც კი წარმოდგენილია ხან ა'თი, ხან კი ო'თ: დაახვრეტამენ, მეორე ხარეზე კიდე დახვრეტამენ (ჩხ.)... სუ ჩამოაკათეს (თონ.); დააკრამენ ქვასა (თონ.). ამ ფუძეში გვაქვს კანონზომიერი ჰ'ც: ლუდლუ ამოჰკრა (თონ.). ჰ/ა უპრევერბო ზმნებთან: რასაღვებარ, აბა?! (ჩხ.); სადახვებამ ოსესა? (თონ.); ნუახვებამ გუნდასა! (საღრ.)... დაიჭირეს და კარგაბუსტენეს! (გოლთ.); სულსაღვებდა (მანგ.); ვერაძალამს (ჩხ.); ცხენებითაღვწავდნენ (მაწ.); იმასაქვიან კვირტი (თონ.); დიდი ჩრდილიაქონდა (თონ.) და სხვა.

II. ზ'ს მონაცვლე. მაგ.: ოადათი თუმანი მივეცი ღორში (თონ.; საუბ.) („ოადათში“ ასეთ ფონეტიკურ პროცესებს ვარაუ-

დობენ: ოადაათი—ოზდაათი—ოცდაათი)<sup>5</sup>; ნემენცებშია გაარდილი (ჩხ.); ხელზე რომდიან (ჩხ.). ზ შეიძლება საესებით დაიკარგოს ამავე „ზარდ“ ფუძეში (იხ. ბგერის დაკარგვა, გვ. 35).

III. ხმოვანთა გარკვეულ კომპლექსში (ფართო და ვიწრო ხმოვანს შუა) ჩანართის სახით, როგორც გარდამავალი ბგერა (ჰიატუსის დასაძლევად). მაგ.: ფურნეში ჰაჟერი არ შედის (თონ.; საუბ.).

IV. ნასესხებ სიტყვაში, რომელშიც **ა** გამოყოლილია სასესხებელი ენიდან. მაგ.: **ა ხ ო** (თურქ. **ახ** „საცხი, ზალამო“)<sup>6</sup> (ტილოზე ან სქელ ქალაღზე წასმული შინაური მალამო, რომელსაც გატეხილ ძვალზე ან მტკივან წელზე შემოაკრავენ); **ა ნ ა - ა ნ ა** (თურქ. **ან-ან** „გვერდ-გვერდ“) (აქეთ-იქით, კარდაკარ), მაგ.: **ანა-ანა** დადის (ჩხ.).

## ახ

ეს რთული ბგერა შეიძლება შეგვხვდეს ს'ს მონაცვლედ იმავ პოზიციაში, რომელშიც გვხვდება **ა** (იხ. **ა**, 1, გვ. 9).

**ს/ახ** მონაცვლეობას ზოგჯერ ვხვდებით იქ, სადაც **ს** გვევლინება, როგორც:

ა) სიტყვის ფუძის ელემენტი. მაგ.: **ბაახტი** დავაბათ! (ჩხ.); **საახწორი** (ჩხ.); **დაარქვეს** ქრიხსტინეი (მანგ); **კომბოახტოსაც** მოვკრით (სალრ.); **დაატყობს** ოახტატი (ჩხ.).

ბ) **S<sub>2</sub>** და **O<sub>3</sub>** ფორმანტი. აქ მოქმედებს იგივე წესი, რომელსაც ექვემდებარება **ა** (იხ. **ა**, ბ პუნქტი, გვ. 9). მაგ.: **ვერ მოახსრეკამ** (სალრ.); **გაახსტეფამ** კვერცხსა (ბგვ.); **გაახტეხამ** და ჰიანია (სალრ.); **დაახწომ** ხახვსა ქონში (ბგვ.)... რასაც **დაახსრამს** ზურგითა (ჩხ.); **გაახსცივა** ბუმბული (სალრ.); **დაახსცა** ხმალი (მანგ); **მოახსცდაო** მოსავალიო (მაწ.); **ზედ დაახწნამენ** (გოლთ.) (შდრ. მერე დასწნამ; მთქმელი იგივეა). **ახ** უპრევერბო ზმნებთან: **მაგრაახსცემეს** (მანგ.); **ალარაახსწევს** ზევითა (მანგ.). შიშინა თანხმოვნის წინ **ს** ასიმილაციით შეიძლება შ'დ იქცეს და **ახ**'ს ნაცვლად **აშ**'დ (ან **აჰშ**'დ; იხ. გვ. 14) მოგვევლინოს. მაგ.: **შააშჰამს** (ჩხ.); **დააშჰირდებოდათ** (ენანგ.) და სხვა.

5 ო. კ ა ხ ა ძ ე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: იყე, IV, თბ., 1953, გვ. 272.

6 თურქული წარმომავლობის სიტყვათა ერთი ნაწილის შემოწმებაში დახმარება გავვიწია ვ. ჭ ა ნ გ ი ძ ე მ.

გ) Sჭ ნიშნის (-ეს) თანხმონიითი ელემენტი. მაგ.: გასწმინდეს (მანგ.); ამართეს (მანგ.); ერთი კუკუ ამომცხეს და გამამაგდეს (მანგ.).

დ) მიცემითი ბრუნვის ნიშანი (ა, ე, ო ხმოვანფუძიან სახელებთან). მაგ.: ეკლესიაჲს სუ ზანზარი გაჰქონდაო (გოლო.); მეფეჲს ძალიან ეწყინა (მანგ.); სატრფოჲსთან მივალ, გზა გამიხსენი! (მანგ.).

ე) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (-ის) თანხმონიითი ელემენტი ბოლოუკვეცლებთან (ა, ო.). მაგ.: კინტუჲს ცოლი გიჩივისო (გოლო.); ნინაჲსგან ვისესხე (გოლო.); ხბოჲსთვინ ინახამს (ჩხ.); სითბოჲსთვინ არის (გოლო.).

თანხმონიითი ნათესაობითი -ჲს შეიძლება მოგვევლინოს ბრუნვის ნიშნისეული ს ელემენტის მონაცვლედ. მაგ.: ტოლიჲსტოლა საჲსწორი იყო (ჩხ.); ოქროსთმიან ქალიჲსთვინა (მანგ.) (შდრ. „თევზიჲსთვინ“ და სხვა ანალოგიური მაგალითები. იხ. მჭ. დ პუნქტი, გვ. 13).

ნათესაობით ბრუნვაში დაყენებულ ბოლოუკვეცელ სახელზე დართული -ჲს ფორმანტი ერთი შეხედვით კაცმა შეიძლება მიიჩნიოს ნათესაობითის -ის ნიშნის დასუსტებულ სახედ, მაგრამ ამავე ბრუნვის ფორმები ფუძეთანხმონიან სახელებისა გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული -ჲს აფიქსი შედარებით გვიანდელი ვითარების ამსახველი უნდა იყოს: იგი წარმოადგენს ხმოვანფუძიან სახელებზე დართული თანხმონიითი ს ელემენტის (ი ელემენტი ახალ ქართულში რედუცირებულია) მონაცვლეს და მის დიალექტურ ვარიანტს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს მიცემითი ბრუნვის ფორმა, რომლის -ს ნიშანიც იმავე იოტიზებული -ჲს ბგერითაა წარმოდგენილი. ამ ვარაუდის თვალსაზრისით საინტერესოა ბოლო ორი მაგალითი (ქალიჲსთვინა, ტოლიჲსტოლა), რომლებშიც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნათი ელემენტი გაორმაგებული გამოვიდოდა (-იჲს) იმ შემთხვევაში. თუ პირველ თვალსაზრისზე (მს.—ნათ. -ის) დავდგებოდით.

### მჭ

ეს ბგერა ზოგჯერ ვხვდება ს'სა და ჰ'ს მონაცვლედ.

1. მჭ ს'ს მონაცვლეა იმავე პოზიციაში, რომელშიც ვხვდებით მ'ს (იხ. მ. 1) და მს'ს.

ს/მჭ შეიძლება შეგვხვდეს იქ, სადაც ს გვევლინება. როგორც:

ა) სიტყვის ფუძის ელემენტი. მაგ., ლაჲსტის კარები აქ (გოლო.); ფრაჲსტები ეცვა და ფრაჲსტა-ფრუჲსტით მოდიოდა (ჯორჯ.); ბაჲს-

ტურმა (ჯორჯ.): შარვალ-კაჰტუმი (თონ.; საუბ.); ბოჰტანი ჩავლან-  
ნე (თონ.) (შდრ. იმ ბოსტანს ხო ხედამო; მანგ.); ჩუჰტი (თონ.,  
ჩხ.); ნაჰწავლი იყო (მანგ.).

თუ ჰჰ (←ს) თავიიდურიანი ზმნა მოსდევს ხმოვნით დაბოლო-  
ებულ სიტყვას, ასეთ შემთხვევაში ისინი ერთ სიტყვად აღიქმება.  
მაგ.: ჰჰუა არა აქთ და არაჰწავლობენ (თონ.; საუბ.).

ზოგჯერ ჰჰ'ს ვხვდებით ისეთ ფუძეებში, რომლებშიც ადგილი  
აქვს შ/ს თანხმოვნების მონაცვლეობას. ანალოგიურ შემთხვევებში  
ჰჰ კომპლექსად ქცევის ობიექტად უნდა ვიგულოთ ს და არა შ  
(ეს მოსაზრება სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია შ—ს  
→ჰ'ს შესახებ)? მაგ.: მოუქნია მუჰტი (მანგ.) (შდრ. შემოძსცხო  
წიფელ მუსტი; მანგ.); გაყიდული აქ მუჰტრებზე (ჩხ.); ამას ავ-  
ფოჰტამ (ჯორჯ.).

ბ)  $S_2$  და  $O_3$  ნიშანი. მაგ.: მოჰწომ ერბოში! (სადრ.) ...ბოლო  
დაჰთრევა (გოლთ.); ერთ ამბავს აჰტეხამდნენ (გოლთ.) 'დაჰ-  
ტვირთამს ურემსა (სადრ.); მთელი ხეხილი ძირ დაჰცა (გოლთ.);  
წრეულ მოჰცდა მსხლები (თონ.) (შდრ. მოძსცდაო მოსავალიო;  
მაწ.); მიჰწვდა ხმალს (მანგ.); ერთ ბიჭ მოჰწონს (ჩხ.).

გ) მიცემითი ბრუნვის ნიშანი. მაგ.: მაგი დედაჰ წამოუღია  
(თონ.; საუბ.); სხვაჰთან დაიარება (მაწ.); თედუაჰთან (გოლთ.);  
მამიდაჰთან (თონ.; საუბ.); ძუძუჰთან (თონ.).

დ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (-ის) თანხმოვნითი ელემენ-  
ტი. მაგ.: თევზიჰთვინ (გოლთ.); გლეხებიჰთვინ (ჩხ.); კაციჰთვინ  
(მაწ.).

ე)  $S_9$  ნიშნის (-ეს) თანხმოვნითი ელემენტი. მაგ.: ჩადეჰ წნი-  
ლათა (მანგ.).

2. ჰჰ ენაცვლება ჰ'ს მაშინ, როდესაც ჰ  $S_2$  და  $O_3$  ნიშანია;  
ჰ/ჰ'ს ადგილი აქვს იმავე პოზიციაში, რომელშიც ვხვდებით  $S_2$  და  
 $O_3$  ჰ'ს მონაცვლე ჰ'ს (იხ. მ. 2, გვ. 10). ასეთ პირობებში ჰჰ ყოველ-  
მხრივ იზიარებს ამგვარი წარმომავლობის (ჰ/ჰ) ჰ'ს ბედს.

$S_2$  და  $O_3$  ნიშნის მონაცვლე ჰჰ გვაქვს ხმოვანთა მომდევნო  
პოზიციაში. მაგ.: ნუჰფანტამ მაგასა! (ჩხ.). ასეთ შემთხვევებში  
ორი სიტყვა ერთ სიტყვად გამოითქმის (შდრ. გვ. 9) ...მეჰვეთ გაჰჰ-

7 ვ. თ ო ფ რ ი ა, ქართლური: პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრე-  
ბული „არილი“, ტფ., 1925, გვ. 137—138; არნ. ჩ ი კ ბ ა ე ა, გარე-კახეთი დია-  
ლექტოლოგიურად: კრებ. „არილი“, ტფ., 1925, გვ. 67; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი  
და გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 34.

კრამს (ტბ.); კბილებ კაწკაწი გააქონდაო (ჩხ.); დააქივლა გულა-  
დათა (გოლთ.) (შდრ. იმასაც დაქივლა; იქვე); წმინდათ დააქ-  
ფქომს (ტბ.) (შდრ. ხორბალ დაქფომენ; ჯორჯ.); სირცხვილი იყო,  
რო დააქპასუხებოდა (გოლთ.); კისერი გამოაქყელია (სალრ.); იმითი  
ამოაქხვეწამდა (სალრ.).

თუ ზმნას ა პრევერბი ერთვის, იგი ერთიანდება წინამავალ  
ბოლოთანხმოვნიან სიტყვასთან. მაგ.: თავზე ბუზიც არააქფრენია  
(გოლთ.). აქ პრეფიქსიანი უპრევერბო ზმნა ენკლიზურად უკავშირ-  
დება წინამავალ ხმოვნით დამთავრებულ სიტყვას. მაგ.: მამ გონე-  
ბააქქონიაო (გოლთ.): სწავლა არააქქონდათ (ჩხ.); ყურიცააქქონდა,  
ნისკარტივითა ქქონდა (sic) წყლის ჩამოსასხმელი, პატარა ფეხე-  
ბიააქქონდა დასადგმელი (სალრ.); ერთი ბავშვიდააქყვანდა (გოლთ.)  
(შდრ. დები ჰყვანდა; ჩხ.; კნიაზებ დააყვანდათ; ტბ.).

მასადაამე, ა'ს შემცველი სუბიექტური და ობიექტური პრე-  
ფიქსები იხმარება ხმოვნის მომდევნოდ.

ალგეთურში ზემოხსენებულ ფონეტიკურ წესს გააჩნია გამო-  
ნაკლისიც, მაგ. ერთ შემთხვევაში ა'თი, ხოლო მეორე შემთხვევაში  
აქ (ჰ/აქ) პრეფიქსით წარმოდგენილი ზმნა მოსდევს თანხმოვნით  
დაბოლოებულ სიტყვას. მაგ.: შილდარი იმას აქვიან (სალრ.); ბუმ-  
ბულს აქკეპამდნენ (გოლთ.). ამ მაგალითებში პირველი სიტყვის  
ბოლოკიდურ ს'სა და მეორე სიტყვის თავკიდურ ა'ს შორის მოსა-  
ლოდნელი ანის საკომპენსაციოდ, რაღაც ირაციონალური ხმოვნის  
(ღ) მსგავსი ბგერა ისმის.

### აქს

აქს რთული ბგერა შეიძლება შეგვხვდეს ს'ს მონაცვლედ.

აქს ს'ს ენაცვლება იმავ გარემოცვაში, რომელშიც გვხვდება  
ა, ას და აქ (ს/აქ) ბგერები.

ს/აქს'ს ადგილი აქვს მაშინ, როცა ს გვევლინება, როგორც:

ა) სიტყვის ფუძის ელემენტი. მაგ.: ეგ პური ზეაქსტაფონიდან  
ჩამოვიტანე (მაწ.).

ბ)  $S_2$  და  $O_3$  ნიშანი, რომელიც (აქს) შიშინა თანხმოვნის წინ  
შეიძლება აქშ'დ მოგვევლინოს. მაგ.: საქმელს რო შააქშქამ! (ტბ.)  
...ისეთ ხეს შეეტოტინოს, რომელსაც შააქსწვდეს მეთქი (გოლთ.);  
თონეს რო მოააქსწრობს ცომი (გოლთ.); პარკში ჩააქსწურამენ  
(გოლთ.); მოვკლამ კიდეცა, რო მოააქსტეხოს. (ჩხ.); ხორცი უნდა  
გააქსტარდეს მაშინკაში (ჩხ.); დეღამ არ გააქშქრა. (ტბ.)..

გ) მიცემითი ბრუნვის ნიშანი, მაგ.: ეგ მოდის თუთამაშსთან ერთათ (ტბ.).

მს, მპ, მპს რთული ბგერებისა და მ'ს განხილვამ გვიჩვენა, რომ გარკვეულ ბგერითს გარემოცვაში (ხმოვნისა და წინაენისმიერ თანხმოვნის შუა, ან ხმოვნის მომდევნოდ, ღია პოზიციაში) ისინი ეწევიან ს'ს მონაცვლეობას, როგორც ძირეულ ელემენტებში. ისე მორფემებში (პირისა და ბრუნვის ნიშნებში). ამ ბგერათაგან მპ და მ ბგერები პრეფიქსულ ჰ'ს მონაცვლედაც გვევლინებიან ზმნებში, ოლონდ ისინი (ჰ/მპ, ჰ/მ) ჩნდებიან სხვა (არა წინაენისმიერ) თანხმოვანთა წინ.

ძნელი არაა დანახვა ამ სამ რთულ ბგერას შორის არსებული ნათესაური კავშირისა, რაც საერთო ელემენტით, მ'თია გამოხატული. მართლაც, შესაძლოა, რომ მს, მპ და მ რეფლექსები ერთი მთლიანი პროცესის, ჰ'სა და ს'ს სახეცვალების (დასუსტების)<sup>8</sup>, სხვადასხვა (გარდამავალ)<sup>9</sup> საფეხურს წარმოადგენენ და ეს პროცესი ჰ'სა და ს'ს საბოლოო გაქრობისაკენ მიემართება (ს—მს||მპ—მ—0; ჰ—მპ—მ—0); ოლონდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით ჰ'ს მთლიანად გაქრობა აქ იშვიათი შემთხვევაა.

ამ დაშვების მიხედვით, ს'სა და ჰ'ს დაკარგვის გზაზე პირველი საფეხური ს'სათვის მს და მპ არის, ხოლო ჰ'სათვის — მპ; მეორე საფეხური ორივე (ს, ჰ) თანხმოვნისათვის არის მ, ხოლო მესამე საფეხური — 0.

ვ. თოფურია, ბგერის დაკარგვის შესახებ მსჯელობისას ს/პ მონაცვლეობის სადემონსტრაციო მაგალითებზე დაყრდნობით, ს'ს დაკარგვის სხვა შესაძლებელ გზასაც ვთავაზობს: „ყველა ზემომოყვანილ შემთხვევებში სანის დაკარგვისათვის ორი საფეხური უნდა ვიგულისხმოთ: ჯერ სანის ჰაეთი შენაცვლება და შემდეგ ჰა-ეს დაკარგვა. მაგრამ ეგ, რასაკვირველია, სრულიად არ ეწინააღმდეგება უფრო ზემოთ გამოთქმულ პირველ მოსაზრებასაც, რომლის მიხედვით სანის ნულად ქცევისათვის საჭირო იყო მს დიფთონგის გაჩენა, შემდეგ მარტო მ'ს გამოყენება და ბოლოს მისი დაკარგვაც. ეს უკანასკნელი, მართალია რთულია, მაგრამ სათანადო მაგალითები გვაიძულებს, რომ ორივე მოსაზრება შესაძლებლად დავუშვათ, ვითარცა ჰიპოთეზი“<sup>10</sup>.

<sup>8</sup> ვ. თოფურია, ქართლური., გვ. 130.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 132—133.

ს/შ მონაცვლეობის შემთხვევები ალგეთურ მეტყველებასაც მოეპოვება<sup>11</sup> (მაგ.: სუყველაფრიბთვიან საჭიროა; ჩხ.; ნებაზე მოხარული ლობიოჰთანა არაფერი არ არი; პ. თონ.; სხვა მაგალითები იხ. სუბსტიტუციაში). ამდენად ვ. თოფურიას მიერ წარმოდგენილი მეორე მოსაზრება (ს—ჰ—0) შესაძლოა ალგეთურსაც მიესადაგოს.

ს'სა და ჰ'ს რეფლექსების, მს, მჰ რთული ბგერების გამოყენება ზმნებსა და სახელთა ფუძეებში მეტ-ნაკლებად ქართლის ზოგი სხვა კუთხის მეტყველებაშიც შეინიშნება<sup>12</sup>; იგი ნიშანდობლივია კავთისხევისა (კასპის რ-ნი)<sup>13</sup> და არაგვის ხეობის<sup>14</sup> სოფლებისათვის; სხვა ქართული კილოებიდან მოეპოვება ფშაურს<sup>15</sup>, მს კი მესხურსაც<sup>16</sup>, მაგრამ ალგეთურში იგი უფრო რელიეფურადაა წარმოდგენილი, რადგან დადასტურებულია ყველა შემთხვევაში, როგორც სახელის ფუძესა და პირის ნიშნებში ასევე ბრუნვების მორფემებში.

ეს ბგერები საცვებით არ გვხვდება მტკვრის ზემო წელში: ხაშურის რაიონისა<sup>17</sup> და ბორჯომის ხეობის<sup>18</sup> ქართლურში, რაც კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს მათი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ივარაუდება იმერულის გავლენა). ს'სა და ჰ'ს მონაცვლე მ'ს

11 მას ეხვდებით ჭავჭავურშიც (იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჭავჭავურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 295).

12 ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 130; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ.: ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 212 (მს, მჰ ბგერები დადასტურებულია მხოლოდ ს. დირბში).

13 ივ. გიგინეიშვილი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა სურამის მიდამოებში: ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 201.

14 გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, გვ. 312.

15 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში: კრებ. „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, I, თბ., 1957, გვ. 15, 16; ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: კრებ. „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, I, თბ., 1957, გვ. 236; ივ. გიგინეიშვილი, მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში: ეურნ. „მაცნე“, თბ., 1972, 3, ენისა და ლიტერატურის სერია, გვ. 116 (მოყვანილია ფშაველი სტუდენტის თებრო გოგოლაურის მასალა).

16 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით: ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 239.

17 სტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, მოკლე ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ხაშურის რაიონში 1938 წელს: ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 196; ივ. გიგინეიშვილი, ანგარიში... გვ. 201.

18 გრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი: იკე, VIII, თბ., 1956, გვ. 83.



შეიძლება ჰ'ს მსგავსი ფშვინვა ახლდეს ატენისა და წედისის ხეობის ქართლურში<sup>19</sup>, აგრეთვე მთიულურ კილოში<sup>20</sup>, მაგრამ გარდამავალი მს საფეხური იქ შენიშნული არაა.

მჰ და მს ბგერებთან ერთად ზემოხსენებულ დიალექტურ ერთეულებში, ცხადია, მ'ცაა გავრცელებული, რომლის ხმარებასაც გაცილებით უფრო ფართო სარბიელი მოუპოვებია საერთოდ ქართული ენის აღმოსავლურ კილოთა უმრავლესობაში; როგორც ითქვა, იგი უნდა წარმოადგენდეს მეორე გარდამავალ, ე. ი. ს'სა და ჰ'ს საბოლოო გაქრობის წინარე, საფეხურს.

რაც შეეხება მჰს ბგერას, მისი გამოყენების არე შედარებით შეზღუდულია; ვხვდებით უპირატესად ზმნებში: პრეფიქსული სანის მონაცვლედ, სპორადულად კი შეიძლება თავი იჩინოს სახელის ზუქძეში სანისავე ადგილზე და მიც. ბრუნვის ნიშნად.

ამ რთული ბგერის რაობის გარკვევისას გვახსენდება ერთ-ერთი ანომალია ძველ ქართულში, რომელიც სუბიექტური და ობიექტური ჰს მრჩობლი პრეფიქსის ხმარებაში გამოიხატება<sup>21</sup>. ჰს, რომელიც „დედის ბგერების“ წინ იხმარება, მიჩნეულია გარდამავალ საფეხურად ასიმილაციის პროცესის გზაზე. ანალოგიური ფაქტი დადასტურებულია ახალი ქართულის ზოგ კილოში, მაგ.: ქართლურში, კერძოდ, ალგეთურში („მოჰსტაცეს მდევებმა“; მანგ.), ტყვიავის მიდამოებში<sup>22</sup>, კავთისხეველთა მეტყველებაში („ჯერ არ ჰსინინამ კაკოსა“) <sup>23</sup> და სხვა. მოძმე კილოებიდან შენიშნულია ჯავახურში<sup>24</sup>, კახურში<sup>25</sup>, მთიულურში<sup>26</sup>.

ალგეთურის მჰს ბგერაში შეიძლება ზემოხსენებული ჰს პრეფიქსი დაეინახოთ, რომლის ჰ კომპონენტიც რთული მჰ ვარიანტი-თაა წარმოდგენილი. ამრიგად, თუ ჰს პრეფიქსს ჰ'ს ს'დ ქცევის პირველ საფეხურად წარმოვიდგენთ, მაშინ მჰს ბგერა შეიძლებოდა იმა-

19 ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, გვ. 272—277; არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 52.

20 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა..., გვ. 197.

21 მისივე, ჰაემეტობა ადრის სახარებაში, კრებ. „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, 1, თბ., 1957, გვ. 293.

22 იხ. ვ. თოფური, ქართლური, გვ. 144.

23 იხ. ივ. გიგინეიშვილი, ანგარიში..., გვ. 201.

24 გ. ბერიძე, ქართლური ენის ჯავახური დიალექტი, საქანდ. დისერტაციის ავტორფერატი (რუს. ენაზე), თბ., 1972, გვ. 6.

25 არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 28.

26 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 44.

ვე პროცესის მეორე, ე. ი. ჰ'ს დასუსტების, მისი ს'საგან საბოლოოდ ჩამოცილების წინარე საფეხურად მიგვეჩნია დიალექტში, რომელშიც ჰ გაქრა, ა კი ს'ს შეატოვა (-ახ).

ამგვარი ანალიზის გვერდით მაინც ჩნდება კითხვა: ხომ არ შეიძლებოდა აჰს რთული ბგერა მიგველო ერთ ენობრივ წრეში მოქმედი ორი თავისუფლად მონაცვლე ვარიანტის, აჰ'სა და ახ'ს შერწყმის შედეგად? ე. ი. ხომ არ ჰქონდა ადგილი ზემოხსენებული პირველი ვარაუდის საპირისპირო პროცესს? ამგვარი ახსნაც თითქოს არ უნდა იყოს გამორიცხული.

აჰს რთული ბგერა ჯერჯერობით მხოლოდ ალგეთურ მეტყველებებაშია გამოვლენილი და, ამდენად, მის თავისებურებად ჩაითვლება.

როგორც ითქვა, ალგეთურში საკმაოდ ხშირია სანის მთლიანად გაქრობის შემთხვევებიც, რაც ბგერის დაკარგვაში იქნება განხილული.

თავ-თავის ადგილას, შესადარებელი მასალით, ნაჩვენები იყო, რომ ს'სა და ჰ'ს ფონეტიკური ვარიანტების გვერდით ადგილი აქვს დასახელებულ ამოსავალ ბგერათა (ს, ჰ) გამოყენებასაც და რაც მეტად საყურადღებოა, ნაჩვენები იყო ისიც, რომ ხსენებული ვარიანტული და ამოსავალი სახეობანი ზოგჯერ ერთისა და იმავე პირის გაბმულ მეტყველებაში იჩენს თავს. ამ ფაქტში ჩანს ძველსა, ჩვეულებით მიღებულსა, და ახლად ფეხმოკიდებულს შორის ჭიდილი და ამ ძველის თანდათან მოშლის აშკარა პროცესი.

ალგეთურის ბგერითი შედგენილობის განხილვისას ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპორადულად ვ თანხმოვანს უმარცვლო უ (ჟ) ენაცვლება. მაგ.: იმისი ჯაჭრი მქონდა (თონ.; საუბ.); ახლა ჯაჭრი ჩამყვა (მანგ.) (მღრ. ჯავრი; მანგ.; იხ. ქვემოთ); (საქონელს) დაუურაჟეთ (დაუურგეთ) (საღრ.); მაშუეი (—მაშვეთი—მაშინვეთი) თავში დაჰკარო (მანგ.); არ შევშჰამე ჯავრი სხუისა (მანგ.). ამ ბოლო მაგალითში შესაძლოა ძველი ქართულის ვითარება იყოს დაცული.

## ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა

ალგეთურ მეტყველებაში ასიმილაციის პროცესი აქტიურად მოქმედებს როგორც ხმოვნებს, ისე თანხმოვნებს შორისაც. ორივე შემთხვევაში გადასწონის რეგრესული ხასიათის ასიმილაცია, როგორც ეს, საერთოდ, ქართული ენის კილოებისათვისაა დამახასიათებელი (გურულში ამ მხრივ სხვაგვარი მდგომარეობაა).

1. ხ მო ვ ა ნ თ ა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა. ხმოვანთა შორის ყველას უწევს დავიწროება თუ გაფართოება როგორც უშუალო მეზობლობაში მყოფი, ისე მანძილით დაშორებული, ფუძისეული თუ აფიქსისეული ხმოვნების გავლენით, როგორც სახელში, ისე ზმნაში. ასიმილაციას ექვემდებარებიან განსაკუთრებით ა, ე, ი, ო ხმოვნები.

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია განსაკუთრებით აქტიურია ზმნებში. ალგეთურში ვხვდებით როგორც კონტაქტურ, ისე დისტანციურ ასიმილაციას, ორივე მათგანს — უპირატესად სრული სახისას.

ა) ხმოვანთა რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია. საგრძნობ მაასიმილირებელ ძალას იჩენენ ე და ა ბგერები წინამავალ ხმოვნებზე. დამსგავსება უმრავლეს შემთხვევაში სრულია. ა+ეფ (←ა+ებრ) შემთხვევაში ხდება სრული ასიმილაცია: აე→ეე; მაგ.: თხასეფე (გოლთ.); ნალოსეფე (ჯორჯ.); ლეროსეფე (ბგვ.); ლოპოსეფე (თონ.); სოკოსეფე (თონ.); გუნდა-გუნდასეფე და სხვა.

იმავე პროცესსა აქვს ადგილი, როცა ა'ს მოსდევს -ებ ფორმანტი, მაგ.: წითელი ფათეები (←ფათაები) (საღრ.); წერეები: ხელნეები (ტბ., ჩხ., მაწ.).

-ავე კომპლექსში ვ'ს დაკარგვის გამო ვიღებთ აე'ს და აქაც აე→ეე. მაგ.: ხელსაფქვეები (ჯორჯ., ჩხ.); უკვდების წყალი ჩამოდის (გოლთ.) (შღრ. უკვდების წყარო, მანგ.); კარებ ვამუშევებ (←ვამუშავებ) (თონ.).

კონტაქტურ ასიმილაციას ადგილი აქვს თავსართებშიც: სახელდობრ, ვნებითის ე პრეფიქსი სრულად იმსგავსებს ზმნისწინისეულ ა და ო ხმოვნებს (ეს ხდება უშუალობითი მეზობლობის შემთხვევაშიც).

აე→ეე: ვეშლებათ ყიყვები (ჩხ.); შენი ავლადიღება კატას ეეკიდება (თონ.); თავბალანი სუ ვემტვერა გოგოს შიშითა (პ. თონ.); დეესწარი მრავალს ამ დროს! (ტბ.); სუნი დეეცემა (თონ.); ფერი დეეკარქა (პ. თონ.); გემო დეეწმინდება (ტბ.); ხარები წვესხათ საძოვნელათ (ტბ.); თავი დლეში მზე არ დეენახა (გოლთ.).

ოე→ეე: ცხრა ორმო მეეხედა (ტბ.); მეეწონა ეს ბიჭი (გოლთ.); უნდა მეესპოთ ტყე (ჯორჯ.); კარგა მეეკიდება (ჩხ.); მეეშვება სულიან-ხორციანათა (ჩხ.); ბატკანი მეეხსლიტება (საღრ.).

უ ხმოვანი სრულად იმსგავსებს ი'ს: იუ→უუ. მაგ.: მუუგზანა იმ ქალ კაცი (მანგ.); დაიბარებს და მუუთვლის (←მიუთვლის) (ჩხ.); ურემი არ მუუდგება, ცხენი არ მუუდგება (ბირთვისს) (ტბ.). ამ სა-

ხის ასიმილაციას ძირითადად დასავლურ კილოებში ვხვდებით, უპირატესად გურულში.

შე- და შა- წინდებულების მონაცვლეობის ზოგიერთი შემთხვევა არაა მოკლებული ფონეტიკურ საფუძველს, სახელდობრ, ის შემთხვევები, როცა შე- წინდებული ერთვის ა ხმოვანით დაწყებულ ზმნას. ასეთი მეზობლობის შედეგი ასიმილაციას ჰგავს: ეა—აა. მაგ.: მზემ უკვე თვალეში შაჰყიტა (გოლთ.); შააბეს სამულელა ხარი (ტბ.); შააღლებს (გოლთ.); არ შაარჩინა (ფარცხ.); საჰმელი შააგემე! (ენაგ.); უღლებ შაჰჟიჩებენ (ფარცხ.) და სხვა. ასიმილაცია არაა მომხდარი: შეანელებენ (ჯორჯ.).

ამავე პრევერბთან გვაქვს დისტანციური ასიმილაციის შემთხვევებიც (იხ. გვ. 22).

შო- ზმნისწინის ო'ს სრულად იმსგავსებს მომდევნო ა ხმოვანი, რომლითაც ზმნა იწყება. მოვლენა ხორციელდება შო-'ს შემცველ რთულ ზმნისწინებთანაც.

ოა—აა (შო-/შა-): ეგ მააქთ წინწყაროს ხრიდან (ჯორჯ.); მარილ მაყრი! (სალრ.) (შდრ. შამოაყარე!; ჩხ.); მააფხვნი (ჯორჯ.); ბოლო-საც მააწყვეტამ, თავსაც მააწყვეტამ! (ჯორჯ.); იმას ამააჰრიან (სალრ.) (შდრ. მუაჰრა; გოლთ.); კვერცხში ამაავეფე პურსა! (სალრ.); ბატკანს გამაარჩევენ (თონ.); ასწიეს და გაღმააგდეს (ტბ.); წამაასხა ის ღორი (ჯორჯ.).

შო- პრევერბს შა- ენაცვლება სხვა შემთხვევებშიც (სხვა ბგერების წინ), სადაც ასიმილაციის საფუძველი არ არსებობს. მაგ.: ამაიტარტლა ბავში, ამაისვარა! (სალრ.); ლამაზია მაშა, კაბა რო გამაიკვანთება წელში! (ჩხ.); ამაიღებს მუჭითა (ჯორჯ.) (შდრ. ამოიღეფ! სალრ.); წამაიყვანეს ეს შენი არსენა (ტბ.) ...ცხენი მამაშველეთო (ტბ.); ჩემთვის მზეს არ ამოუსწვრიაო (შდრ.) და დღეს რათ ამამასწროო (მანგ.); შამნათვლელი (ტბ.); გამამცხვარი (მანგ.).

ჩნდება აზრი, რომ ამ ცვლილებას დასაბამი უნდა მისცემოდა ოა პოზიციაში (მაგალითები იხ. ზემოთ) და მხოლოდ შემდეგ გაეფართოებინა მოქმედების არე იმ გარემოცვაშიც, სადაც ამ ფონეტიკური ცვლილების საფუძველი არ არსებობს; ამის შესახებ ვარაუდი სპეციალურ ლიტერატურაშიცაა გამოთქმული<sup>27</sup>. ეს კია, რომ ამ მონაცვლეობას, როგორც მაგალითებიდან ჩანს, ერთგვარი კანონზომიერება ახასიათებს: ო იქცევა ა'დ მაშინ, როდესაც ზმნის თავკიდურ ბგერად გვაქვს ი ხმოვანი, ან მ ბილაბიალური თანხმოვანი. სხვა ბგერების წინ შო- უცვლელად რჩება. მაგალითად, ერთი მხრივ,

<sup>27</sup> ვ. თ. ფ. რ. ი. ა., ქართლური, გვ. 131.

გვაქვს ფორმები: მაიტანს და მამტანი, მეორე მხრივ: მონათლავს და მამნათვლელი; ამამასწროო და ამოუსწვრიოო; მამწონს, მაგრამ: მოგწონს, მოსწონს (არაა მოსალოდნელი: მანათლავს, მაგწონს, მასწონს, ამოუსწვრიოო). ამ მაგალითებში (ნ, უ, ჯ, ხ ბგერების წინ ეველგან მო- ზმნისწინი დასტურდება (იხ. აგრეთვე დისტანციური ასიმილაცია: ო—ე (—ა—ე)—ე—ე; გვ. 23). მაშ, მო- ზმნისწინი იცვლება მა-'ლ მხოლოდ ი და მ ბგერების წინ. რა არის ამ ცვლილების საფუძველი? მ'ს წინა პოზიციაში შეიძლება დისიმილაცია მოქმედებდეს<sup>28</sup> (გვაქვს მომ ჯგუფი, რომელშიც ორი მ გამუალებულია წყვილბაგისმიერივე ხმოვნით), მაგრამ სანამ ნათელი არ იქნება, თუ რა იწვევს მო-'ს მა-'ლ ცვლას ი ხმოვნის წინ, მანამდე ძნელია რისამე თქმა მოვლენის არსის შესახებ.

მო-/მა- მონაცვლეობა ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ კილოებში (ქართლურში, კახურში...), განსაკუთრებით კი მთიანეთში; გვხვდება იმერულშიც (უპირატესად ზემოიმერულში), ოღონდ გარკვეულ პოზიციაში (მ'ს წინ)<sup>29</sup>.

უ'ს განუცდია სრული ასიმილაცია მომდევნო ო'ს გავლენით: უო—ოო. მაგ.: უთოთ ქარი იქნება (თონ.). სხვა, ანალოგიურ შემთხვევებში ასიმილაცია არსად არაა მომხდარი, მაგ., არა გვაქვს უბოოდ (ბუ), უროოდ (რუ) და მისთ, რაც, ალბათ სემანტიკურ ნიშნადაგზე აიხსნება: ასიმილაციის მოხდენის შემთხვევაში ჩამოთვლილი ფორმები (უბოოდ და სხვ.) სრულიად გაუგებარი შეიქმნებოდა; რაც შეეხება „უთოთ“ ზმნისართს, მასში აღარ შეიგრძნობა მისი ძირითადი წევრი, რომელსაც „თუ“ კავშირი წარმოადგენს, სიტყვის სემანტიკური მხარე ისედაც დაჩრდილულია და ასიმილაცია მას ველარაფერს დააკლებდა.

ხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაცია. ენის მაასიმილირებელ ძალას ვერ ანელებენ სუბ. და ობ. პირის ნიშნები, რომლებიც პრევერბსა და ე'ს შორის არიან მოქცეულნი და, ამგვარად, მანძილზეც ხდება სრული დამსგავსება.

ა—ე—ე—ე: დევეშურებით, რო არ აკორკოტდეს (ჩხ.); პური დეგეწვა, ქალო! (თონ.); დემექერქება (ტბ.); ოჯახში შეველიო და გული დემეტიაო (ჩხ.); მთელი სოფელი დეგვედო (თონ.); რო ეგვენ-

<sup>28</sup> გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი; ახალგ. მეცნ. მუშაკთა შრომების კრებული, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 1970, გვ. 135, 136.

<sup>29</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კოლოკაი, თბ., 1973, გვ. 27, 65, 91, 107, 153, 184, 215.

თო (ჩხ.); რო დეგეტესა (ჯორჯ.); როგორ უნდა დეგერწო აკვანი? (საღრ.).

რეგრესული დისტანციური ასიმილაცია ხდება რთულ პრევერ-ბებშიც. ასიმილაციას განიცდის ამ პრევერბის პირველი წევრის ა ხმოვანი (დისტანციას ქმნის რთული პრევერბის მეორე წევრის თანხმოვანი). ა'ს მიმსგავსება ხდება რთული პრევერბის მეორე წევ-რის ნაასიმილაციარი ე'ს მიერ, რომელიც ფუძისეული ე'ს გავლენითაა მიღებული ა'საგან ან ო'საგან: ა—ე—ე—ე. მაგ.: ემეერევა (←ამეერევა←ამოერევა) პურში ნაგერალი ქერი (ჩხ.); გული გედემეწირა (←გადემეწირა←გაღამეწირა) (ჯორჯ.); რას გედემეკი-დე!? (მანგ.); გინა თოკით ჩემეგებათ (ჯორჯ.); სუ გედეეყარ-გადმე-ეყარა ნაცარი (მანგ.) და სხვა<sup>30</sup>. საინტერესოა, რომ ბოლო მაგალით-ში რთული სიტყვის მეორე ნაწილში ასიმილაცია არაა მომხდარი.

უცვლელადაა შენახული რთული წინდებულის პირველი კომ-პონენტი შემდეგ მაგალითებში: ნაბადივით გადეთფარება (ჩხ.); გა-დეეხვიენენ (მანგ.); შეკოპილი თმა ჩამეეშალა (გოლთ.).

ა ო'სთან შუალობით მეზობლობაში განიცდის სრულს ასიმი-ლაციას: ა—ო—ო—ო; აბესოლომმა ფიცი მისცა (თონ.).

მი- პრევერბისეული ი ხმოვანი ფართოვდება ე'ს მეზობლობა-ში: იფ—ეფ. მაგ.: მეეკვრება (←მიეკვრება) (ჩხ.); მეეპარა (მანგ.); მეეწვდინა მამაჩემისთვის (ტბ.). ასიმილაციის ეს სახე ალგეთურში მაინცდამაინც დიდად არაა გავრცელებული. საამისო მაგალითები, როგორც ჩანს, არც სხვა დიალექტებში მრავლობენ<sup>31</sup>.

შე- პრევერბთან გვაქვს დისტანციური ასიმილაციაც (კონ-ტაქტური იხ. მე-20 გვ-ზე): ე—ა—ა—ა. მაგ.: როგორ შამაბეზრა ბაეშემა! (ჩხ.); მოდი, მოდი, შავაგაოთ! (გოლთ.); შავატკბილოთ და მზათ არი (გოლთ.); შაჰამეს (თონ.); შაშჰამდა (ჩხ.) შდრ. შეჰამან-დი (თონ., გოლთ.); შასავალი (ტბ.); შასალებათა (←შესალებად) ეხმარობთ (ჩხ.); რკინას შამააკრამენ (←შემააკრამენ←შემოაკრა-მენ) (გოლთ.); ქლიავი შათვალებულია (გოლთ.). ასიმილაცია არაა მომხდარი მაგალითებში: შევაქსუე (თონ.); მერე შევაგემამთ (მაწ.).

ზემოგანხილულ შემთხვევებში შა- ენაცვლებოდა შე- ზმნის-წინს ა ხმოვნის კონტაქტური და დისტანციური მეზობლობის პირო-ბებში. იმავე მონაცვლეობის შემთხვევებს უხვად ვხვდებით იქაც,

<sup>30</sup> ა ემსგავსება ე'ს პროგრესულადაც: ე—ა—ე—ე; სანთელი კელეპტარომ-და (მანგ.).

<sup>31</sup> იხ. მაგ., არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაწრ., 33-35.

სადაც ანალოგიური მეზობლობა გამორიცხულია. მაგ.: მალე შაიშ-  
ლება მთვარე (თონ.) (შდრ. შეშლია; თონ.); შავხვეტო (გოლთ.);  
ყველაფერი შაკუქნაო, შაუკუქნაო (ფარცხ.); როგორ შაბულულ-  
და! (თონ.); შათქვირდაო (ტბ.); შამოუყრით ორთითით (ჯორჯ.)  
(შდრ. შემოუყარეო; ტბ.); ერთი შატევა არი (ჯორჯ.); შამკერელი  
(ჯორჯ.): შაკრული წყალი (ჩხ.) (შდრ. შეკრული მტევანი; ბგვ.)  
და სხვა.

შა-ს გვერდი-გვერდ დაახლოებით იმავე ინტენსიობით იხმარე-  
ბა ფორმები, რომლებშიც დატულია შე- სახეობა. მაგ.: შედგება  
(მანგ.); შეიძლება (ბგვ.); ხალხი შექუჩდა (თონ.); შევკრიფეთ ხვაჯი  
(სალრ.); შეკოპილი თმა (გოლთ.); შენელებული კერძი (თონ.); შე-  
მოსწოლოდა სენი (თონ.); შემოუბულულებს (ტბ.); შემობარვა  
(თონ.); შემოდგომის ქლიავი (ბგვ.) და სხვა მრავალი.

ეს მონაცვლეობა ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ  
კილოებში, გვხვდება იგი იმერულშიც, ოღონდ უფრო შეზღუდუ-  
ლად: მაშინ, როცა შე- წარმოადგენს რთული შემო- პრევერბის  
კომპონენტს<sup>32</sup>.

ე ემსგავსება ი-ს დისტანციურად: ე—ი—ი—ი. მაგ.: მირინო-  
სის მატყლი (გოლთ.): ცომი მოაზილინეთ. ბოლო მაგალითში, რო-  
გორც ფუძედრეკად ზმნაში, შეიძლება ნამყო სრულის ფორმის  
(მოხილა) ანალოგიასთან გვექონდეს საქმე.

ო ხმოვანი შუალობით მეზობლობაშიც ხდება დამსგავსების  
ობიექტი იმავე ე-ს მიერ: ო—ე—ე—ე. მაგ.: რასაც მევერევი (მაწ.);  
მეგეშველებაო (მანგ.); მეგვეცემაო (მანგ.). ბოლო მაგალითში დის-  
ტანციას ქმნის ორი (გ და ვ) თანხმოვანი.

ო—ე (—ა—ე)—ე—ე: ენას ჭალი არ მემედება (თონ.); შენ  
მაინც მემეშველეო (მანგ.). ამ მაგალითებში შო- პრევერბის ნაცვ-  
ლად შა-ს (მამედება,...) ა უნდა იყოს ასიმილირებული, რადგან პირ-  
ველი ობიექტური პირის მხ. რიცხვის ფორმაში (რომლის თავკი-  
დური ბგერაც მ თანხმოვანია), ქართულში უპირატესად შა- პრე-  
ვერბი დასტურდება შო-ს მონაცვლედ, როგორც ეს ალგეთურის  
მაგალითებზეც ვნახეთ (იხ. გვ. 21). ეს ვარაუდი არ გამორიცხავს  
ამ და, მსგავს მაგალითებში, ე-ს მიღების შესაძლებლობას უშუა-  
ლოდ ო-საგან, ანინი გზის გავლის გარეშე (მემედება—მომედე-  
ბა), რის დასამტკიცებლადაც გამოდგებოდა ზემოთ მოყვანილი ნი-  
მუშები დისტანციური ასიმილაციისა (მევერევი, მეგვეცემაო, მე-  
გერევიო, მეგხსნა და სხვ.), ან კიდევ კონტ. ასიმ. მაგალითები (მე-

32 ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29, 65, 91, 107, 153, 194, 215, 282.

ეწყო, მეეწონა და სხვ.), რომლებშიც გამორიცხულია ეს მიღება ნაასიმილაციარი ოსაგან (არაა მოსალოდნელი: მავერევი, მაგვეცე-  
მაო, მაგერევიო, მაგეხსნა და სხვა).

ეს მოვლენა (პრევერბისეული ა და ო ხმოვნების მიმსგავსება ზმნის ფუძისეული ეს მიერ) უფრო მეტად გავრცელებულია ფრო-  
ნის ხეობის ქართლურში<sup>33</sup>, სხვა კილოებიდან, — კახურში<sup>34</sup>, ინგი-  
ლოურში, ფერეიდნულში.

ო—ა—ა—ა გვაქვს სიტყვაში თაქალთო (თონ.), თუმცა შეუძ-  
ლებელი არ უნდა იყოს, რომ ეს ნასესხები სიტყვა დიალექტში და-  
ცული გვქონდეს იმ სახით, რა სახითაც სასესხებელ ენაში გვხვდება  
(„თაქალთო სპარ. თაქალთუ იგივეა, რაც თოქალთო“)<sup>35</sup>. ყოველ  
შემთხვევაში ეს სიტყვა ამ სახითაა დადასტურებული აღმოსავლუ-  
რი დიალექტების ზეპირსიტყვიერებაში, ასევე ხმარობს მას გ. ყიფ-  
შიძეც თარგმანში<sup>36</sup>.

ბ) ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევებსაც ვხვდე-  
ბით რეგრესულის გვერდით, დაახლოებით იმავე შეფარდებით, რო-  
გორც ეს ქართული ენის აღმოსავლური კილოებისათვისაა დამახა-  
სიათებელი.

პროგრესული კონტაქტური სრული ასიმილაციის შემთხვევები  
სპორადულია. ვნებითის ე თავსართი ზმნის ფუძისეულ მომდევნო  
უ'ს იმსგავსებს სრულად: ეუ—ეე, მაგ.: ქმარი ეებნევა, მე ჩემ შვი-  
ლებ თავს ვერ დავანებამო (გოლთ.); ვეებნებოდით (მანგ.). შემდეგ  
საფეხურზე ეს ნაასიმილაციარი ე მთლადაც იკარგება ამ ზმნაში.  
მაგ.: ვე ბ ნ ე ო დ ი ო, არ წავალო (გოლთ.); მამა ე ბ ნ ე ვ ა.  
უ'ს ე'დ ქევის გამომწვევად შეიძლება პირველი ბ'ს დისიმილაცი-  
ური გავლენაც ვიგულისხმოთ.

ე უ ბ ნ ე ბ ა'ში ძნელი დასაძლევია ჩანს უბნ ჯგუფი, რომლის  
გარდა ფუძეში გვაქვს მეორე ბანიც. ამით უნდა აიხსნებოდეს ამ  
ზმნასთან დაკავშირებული სხვა ფონეტიკური პროცესებიც: გან-  
მსგავსება (ეუბნება—ეუბნევა; იხ. დისიმილაციაში), ბ'ს დაკარგვა  
(ეუნება) და ნ'ს დაკარგვა (გურ. უ ნ ო ბ ს—უბნობს; ლიტერატუ-  
რული ს ა უ ბ ა რ ი—საუბნარი).

33 არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ანგარიში..., გვ. 212.

34 არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

35 ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი, არნ ჩიქობავას საერთო რედაქ-  
ციით, ტ. 4.

36 ი ქ ე ე.



პროგრესული დისტანციური სრული ასიმილაცია შედარებით მეტი შემთხვევებითაა წარმოდგენილი.

ო—ა—ო—ო: ოხროხოში (თონ.) ამ მაგალითში თავიდან ო'ს სრულად დაუმსგავსებია შუალობით მეზობლობაში მყოფი ა, ნა-ასიმილაციარ ო'ს კი, თავის მხრივ, მოუხდენია გავლენა თანხმოვნით დაშორებულ მომდევნო უ'ზე და ისიც ო'დ უქცევია: ო—უ—ო—ო (ოხრაბუში—ოხროხუში—ოხროხოში).

ო—ი—ო—ო: კოყოი (←კოყიყი) (ჩხ.).

ო—ე—ო—ო: ამოდონები იყო (საღრ.); ორი ამოტოლა იყო (მანგ.); დიდი სიამოვნობით (მანგ.). ამ ბოლო მაგალითში შესაძლოა -ობ სუფიქსიან მასდართა ანალოგია იყოს.

ა—ე—ა—ა. საეანი (←საეენი) (ჩხ.); აბრაშუმის ძაფი (თონ.).

ა—ო—ა—ა: აეტანობილი (ჩხ.). ამ მაგალითში შეიძლება საქმე გვექონდეს ორმხრივ გავლენასთან: მეორე ო'ს დისიმილაციური გავლენა წინამაველ ო'ზე (რეგრ. დისიმ.) და პირველი ა'ს ასიმილაციური ზემოქმედება იმავე ო'ზე (პროგრ. ასიმ.).

2. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ას ი მ ი ლ ა ც ი ა. ალგეთურ მეტყველებებაში თანხმოვანთათვის დამახასიათებელია რეგრესული (უპირატესად) და პროგრესული ასიმილაცია.

ა) თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. მოვიყვანთ რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის შემთხვევებს: ხდება ს'ს ნაწილობრივი მიმსგავსება მეზობელი შიშინა ჭ, ჩ, ჯ თანხმოვნების მიერ. სჭ—შჭ: ნუშსა შკამენო (გოლთ.); შეშკამს (თონ.) (შღრ. ქირს. მოსკამს; გოლთ.); გაზაფხულზე აშკრიან (თონ.); გაშკიამენ ღვედსა (ჯორჯ.) და სხვა. სჩ—შჩ: აჩაჩითა შჩიჩნიან (ტბ.); მიწას აშჩითამენ (ტბ.); სამოსახლოს შჩითამენ (მაწ.); გამოშჩიკამს ბატი (ფარცხ.); რაღაც მოშჩანსო (მანგ.). სჯ—შჯ: გემოვნობით ყველას შჯობია (ბგვ.); სინოცივრით ეს წვრილი თხილი შჯობია (ტბ.).

ს'ს გადასვლა შ თანხმოვანში არ განისაზღვრება მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც ს'ს შიშინა თანხმოვანი მოსდევს; არაიშვიათია სკ და სტ კომპლექსების შკ და შტ კომპლექსებში გადასვლის შემთხვევებიც, რაც უკვე ასიმილაციით ვეღარ აიხსნება (იხ. კომპლექსთა მონაცვლეობა).

ხშირია მეღერთა ასიმილაციური დაყრუების შემთხვევები.

ბრტყ და ბრჭყ ჯგუფებში რაეს რედუქციის შედეგად მეღერი ბ ექცევა ტ და ჭ ყრუ ხშულების მეზობლობაში და ხდება ნაწილობრივი ასიმილაცია. ბტ—პტ: პტყელი (←ბრტყელი) (თონ., საღრ.)

ფარცხ., მაწ., ბგვ.); პტყელფოთოლა (საღრ., გოლთ.). ბჰ—პჰ: ბა-  
ლახია, პჰყვინავს.

მელერი გ ბგერა სრულ ასიმილაციას განიცდის ყრუ ხშულ  
მკვეთრ კ'სთან მეზობლობისას: გკ—კკ: მოკკლავ! (მანგ.) (შღრ. აქვე  
მოკკლამო; მანგ.). გ'ს იმსგავსებენ აგრეთვე ყრუ ფშვინვიერი ბგე-  
რები (ფ, ც, ქ). დამსგავსება ხან ნაწილობრივია, ხანაც სრული.  
გფ—ქფ: ტარიელის მზეს ქფიცამ! (←ფფიცავ; გეფიცები'ს ნაც-  
ვლად!) (მანგ.) გც—ქც: აბა, საიდან მოქცეთ! (გოლთ.). გქ—ქქ  
(ასიმილაცია სრულია): ხმელეთი საჭურჭლეთ ქქონდეს! (მანგ.).

ვ მელერი სპირანტი ყრუვდება ფ'სთან მეზობლობაში.

ვკ—ფკ: გულაფკას გავიკეთამ (თონ.). უნდა ითქვას, რომ ამ  
შემთხვევაში ცვლილება მომხდარა არა ქართლურის ნიადაგზე,  
ე. ი. ფ ქართლურში მიღებულია არა ვ'საგან, არამედ სასესხებელი  
ენის (რუსულის) ფ-საგან, რადგან რუსულ ცოცხალ მეტყველებაში  
წარმოითქმის сы.цафа და არა сы.цаба.

ჟკ—შკ: მითომ კაი ვაშკაცობა გასწია, რახან არსენა დაიჭირა  
(ტბ.); ვაშკაცი ზის იმისთანა, — თვალ წაართმევს კაცსა! (გოლთ.).

ღჩ—ხჩ: იქ ერთი ბახჩა იყო (მანგ.). ღშ—ხშ: მისულიყო აბესა-  
ლომის ბახში (მანგ.). ღთ—ხთ: ემ კაც ახთქმა ჰქონდა (მანგ.).

ღწ—ხწ: გამოქვაბულ მიახწია (მანგ.).

ზემოთ განხილული იყო შემთხვევები ყრუ ფშვინვიერთა მიერ  
მელერის მიმსგავსებისა. რიგ შემთხვევაში ასიმილაციას ადგილი  
აქვს ფშვინვიერთა-მკვეთრობის თვალსაზრისით, ე. ი. ყრუ ფშვინ-  
ვიერს თუ მკვეთრი მოსდევს, იგი ფშვინვიერსაც ამკვეთრებს (ასი-  
მილაციური გამკვეთრება); ასე, მაგ. ჩ და შ ფშვინვიერები ჭ'დ იქ-  
ცევიან კ'ს წინ, ჩვეულებრივ რუსული ენიდან შემოსულ სიტყვებ-  
ში. პროცესი ქართლის სხვა კუთხეებისათვისაცაა დამახასიათებე-  
ლი. მაგ.: ჩკ—ჭკ: ზემიჭკა მოგიტანე! (თონ.; საუბ.); ქემიჭკა (თონ.;  
საუბ.); ანიჭკა (თონ.; საუბ.); სპიჭკა უნდა ეენთო (მანგ.) (შღრ. პიჩ-  
კა მინდა, ცეცხლ ვანთემთ და!...; თონ. საუბ.); ტაჭკაზე დაუდო  
(მანგ.). შკ—ჭკ: დიდი კრუჭკა წაუღე! (თონ.; საუბ.). თყ—ტყ: მატ-  
ყამდათ ერთი მამა, მოხუცი (მანგ.). ცკ—წკ: მეწ კი ბევრჯელ დამი-  
მარხია (თოფი).

სხვა შემთხვევებში მელერი იმსგავსებს ყრუ თანხმოვანს (ასი-  
მილაციური გამელერება). მაგ.: ფრ—ბრ: ეს ბიჭი ჩაუსაბრდა ამ  
მღევსა (მანგ.). თგ—ღგ: არ გადმიგდო გულიდგანა (მანგ.). სღ—  
ზღ: წნილსა ზღებ (ფარცხ.); ბიჭებ მიზღვევენ კვალზედა (თონ.).  
ხგ—ზგ: ბოჭოკას მიგამგზავსეო (მსგავს ფუძეში ასიმილაციის

შემდეგ მეტათეზისია მომხდარი). შლ—ჟლ: ოდოჟლერი (←ოდომლერი) ყანა არის (ჩხ.).

გავრცელებულია თანხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაციაც. სისინა ხ თანხმოვანს შიშინა ბგერები მანძილზეც იმსგავსებენ. მაგ.: ს—ჭ—შ—ჭ: შაკმელი მოუნდათ (ჩხ.). ს—ჯ—შ—ჯ: აბა ერთი გაუშინჯე! (ფარცხ.). ს—ჟ—შ—ჟ: რამთენი შაქენი? (ჩხ.) დააყენა შექნათ (←საქნად) (წიფლები) (მანგ.).

ასიმილაცია სრულია: ს—შ—შ—შ: შაშუალოა (ჩხ.); დაშანიშნი ბიჭია (მანგ.) შეშანიშნავი (მანგ.).

საკმაოდ ვხვდებით მანძილზე თანხმოვანთა ასიმილაციური დაყრუების შემთხვევებსაც. მაგ.: ყრუ ფშინვიერი ჭ თანხმოვანი მანძილზეც ახდენს გავლენას მკლერ გ'ზე და იმსგავსებს მას სავსებით: გ—ქ—ქ—ქ. მაგ.: წინათ ხის გუთნები ქვქონდა (ჩხ.); უი, ეხლა ქვქონდეს ის კამეჩის მაწონი! (სალრ.). ერთ შემთხვევაში ნაასიმილაციარ გ'ს ფუძიდან გაუძევებია თავისი მასიმილირებელი ჭ თანხმოვანი (დისიმილაციური დაკარგვა): აგე, მძივისა, გენაცვალე, აკვანზე ქვონდა! (სალრ.).

ს მკლერდება ჴ'დ ბ'ს შორეულ მეზობლობაში, როცა ინტერვოკალურ პოზიციაშია მოქცეული. მაგ.: მაგას დიდი ფილოფოზობა (←ფილოსოფოსობა; ჩავარდნილია სო მარცვალი) არ უნდა (ფარცხ.).

ბ) თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია. ტ'ს ამკლერებს წინამავალი ნ: ნტ—ნდ (კონტ. ასიმ.). მაგ.: დიდი ზონდიკივით არი (სალრ.).

ნ'ს იმსგავსებს სრულად შორეული მეზობელი წინამავალი ლ: ლ—ნ—ლ—ლ. მაგ.: შილდალი (←შილდანი; ყველის დედის ერთერთი კომპონენტი) (სალრ.). ეს სიტყვა სხვაგვარი ბგერათცვლილების ობიექტიც გამხდარა: ასიმილაციის შემდეგ განუცდია პროგრესული დისტანციური დისიმილაცია (შილდალი→შილდარი), ან ერთბაში დისიმილაცია (შილდანი→შილდარი). მაგ.: შილდარი იმას ექვიან (სალრ.); მასში მომხდარა მეტათეზისიც (შილდანი→შინდალი). მაგ.: ღორის კუჭს ეტყვიან შინდალსა (გოლთ.); უნდა მაადულო შინდალი... (გოლთ.).

ს მკლერდება ჴ'დ პროგრესულადაც (ბ'ს გავლენით): ბ—ს—ბ—ზ: ხოლაბუნებში დგა ავტობუზი (ჩხ.): ინტერვოკალური პოზიცია ხელის შემწყობი გარემოება უნდა იყოს ს'ს ჴ'დ ქცევისათვის.

დისიმილაციის პროცესს უმთავრესად თანხმოვნებთან ვხვდებით, განსაკუთრებით ნარნარა ბგერებთან (რ, ლ): თუ სიტყვა ორ რ'ს შეიცავს, ერთ-ერთი ლ'დ იქცევა და პირუკუ, ეს მოვლენა საერთოა ქართული ენის აღმოსავლური კილოებისათვის.

რ—რ—რ—ლ (პროგრესული დისტანციური დისიმილაცია): პირჯვალი; ბევრჯელი; ორჯელი; კარიელში (←კარიერში) ქვის ამოღება (თონ.); ტრიელი (←ტრიერი) (თონ.). დისიმილაცია რეგრესულია: ტელიტორია (თონ.); დილექტორი (თონ.). ლ—ლ—რ—ლ: წყრული (თონ.); დაწყრულდება (თონ.); პროგრ. დისიმ.: ლ—ლ—ლ—რ: გადაყლაპური (მანგ.). ლ—ლ—ლ—ნ: მალატინკა (←МОЛОТІЛКА).

ს იცვალა წ'დ სიტყვაში სიწვილი (←სირსველი) (თონ.); აქ სხვა ცვლილებებიცაა მომხდარი: ე ქცეულა ი'დ, ფუძეში დაკარგულია რ თანხმოვანი: სირსველი→სირსვილი<sup>37</sup>→სისვილი←სიწვილი.

დისიმილაციის კანონის მოქმედების ძალით ხდება არა მარტო განმსგავსება ბგერებისა, არამედ ზოგიერთი მათგანის სრულიად გაქრობაც (იხ. ბგერათა დაკარგვა).

რაც შეეხება ხმოვნებს, აქ გვაქვს ბილაბიალურ ო'სა და უ'ს განმსგავსების შემთხვევები, ორივე პროგრესული ხასიათისა.

ო—ო—ო—ა: მეცნიერი გამოვიდა სოლომანზე მენახირე (ფარცხ.); სოლომან ბქენი (მანგ.). ო—ო—ო—ე: ფოთელი (თონ., მანგ., ჩხ., ბგვ., საღრ.) (შღრ. ჰცვივა და ჰცვივა ფოთოლი; მანგ.). ო იცვლება უ'დ (ო—ო—ო—უ) სიტყვებში: ლონუშო (ჩხ.) (ასეა ხშირად) და კორუმი (←კორომი) (თონ.).

იშვიათად გვაქვს ეე→იე: ვაკიები (კლდ.) (იხ. გვ. 108).

მ ე ბ ა თ ე ზ ი ს ი

აღგეთურში მოიპოვება ყველა სახის გადასმა. ეს მოვლენა ახასიათებთ უპირატესად ვინს, ნამდვილ სონორებს და ზოგ სხვა თანხმოვანსაც.

ვინის კონტაქტური გადასმის მაგალითებია: უ ჯ ვ ა რ დ ე ბ ა ხარებს (კლდ.); გაუჯვარდებიან (ჯორჯ.); ეგრე განეჯრიან დე-

37 ეს საფეხურიც მოეპოვება ენას (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 6, „სირსველი, სირსვილი“).

ბ ა ხომე (თონ.); ხავრეზი (მაწ.); აუქავრებს (←აუქარვებს); გა-  
ქვივრება<sup>38</sup> (მანგ.).

მეტათეზისი დისტანციურია სიტყვებში: ხვაზი (თონ., ჯორჯ.)  
და დალთვა (←დეალთა). მაგ.: დალთვაში წასვლა მინდა  
(თონ.); იმდღეს დალთველები იყვნენ აქა (თონ.).

გადასმულია მ: შემბული (თონ., მაწ.); დამბული (მანგ.); გადამ-  
ბული (გოლთ.). მეტათეზისი მომხდარია ბამ ფუძისეულ ისეთ ფორ-  
მებშიც, სადაც მანის ყოფნა საერთოდ არ იყო მოსალოდნელი: ცხა-  
დია, — იგი მიმღეობიდანაა შეთვისებული. მაგ.: დავამბი (თონ.);  
მოამბით ფეხი (თონ.); ვირი ხეზე არ ამბრა? (თონ.) და  
სხვა. სუმბუქი (ჯორჯ.) „ავადმყოფი“ სახეცვლილია „ავამტყოფ“-  
ად: ავამტყოფ დაადეს ირმის ტვინი (მანგ.). ეს ფორმა წარ-  
მოადგენს ერთ-ერთ საფეხურს „ავანტყოფი“-ში მომხდარი ფონე-  
ტიკური ცვლილებებისა (ავათმყოფი→ავამყოფი→ავამტყოფი→  
ავანტყოფი)<sup>39</sup>. „ავანტყოფ“ ფუძე დასტურდება ალგეთურშიც:  
ავანტყოფია (თონ.); ხოკი ავანტყოფობაა (ფარცხ.); ავან-  
ტყოფობს (თონ.).

ბარტყ და ბერტყ ფუძეებში ყ გადასმულია წინა მარცვალში,  
მისი ადგილი კი ტ'ს უკავია; ახალ მეზობლობაში (ბყ) ყ გამყდრე-  
ბულია ლ'დ. საფიქრებელია, რომ მეტათეზისი და ნაწილობრივი  
ასიმილაცია ერთდროულადაა მომხდარი ბყ საფეხურის გაუვლელად.  
აღმოსავლურ კილოებში გავრცელებული მეტათეზისის ეს შემთხვე-  
ვა ცნობილია და ახსნილი ლიტერატურაში<sup>40</sup>. მაგალითები: გამოუ-  
შო ბლარტი (ფარცხ.); კარგა ბლარტობს (სალრ.); იბ-  
ლარტა (სალრ., ტბ.); უნდა გადავბღერტო (ფარცხ.); დავ-  
ბღერტამდით (ჩხ.); დაბღერტამენ (ჯორჯ.).

ხ ~ მ: დაათამხდა (←დასთანხმდა) ცოლობაზე (მანგ.).  
ახალ კომპლექსში (ნმხდ) ვერ გაუძლია წარს და დაკარგულა.

ც ~ ქ: ქცმუტავს (მანგ.).

ზ ~ მ: დისტანციური მეტათეზისია მომხდარი კაზმ ფუძეში.  
მაგ.: ცხენ შაკქმაზამ! (ტბ.); შეკმაზული (მანგ.); მოიკმაზე  
(მანგ.); საკმაზი (თონ.).

წ ~ მ: პირველათ მზე რამწავე (= როგორც კი) ამოვა, —

<sup>38</sup> ვინის გადასმა ამ სიტყვაში ჩვეულებრივია დასავ. კილოებისათვის.

<sup>39</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი..., გვ. 71.

<sup>40</sup> იქვე; ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებ-  
ში, II, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა, თსუ, მოამბე, ტ. X, ტფ., 1930,  
გვ. 293; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

<sup>41</sup> ~ ნიშანს ვიყენებთ მეტათეზისის გამოსახატავად.

სხივები პირველათ ჩემ კარებზე მოვიდესო (მანგ.). აქ მეტათეზისი მომხდარია ს'ს დაკარგვის შემდეგ: რა წამსვე—რა წამვე—რამწავე; ეს სიტყვა ორი ღროის გარემოების („რა წამსაც“, „მაშინვე“) კონტამინაციით უნდა იყოს მიღებული (შდრ. თუარვე || თუარმე).

რ~მ: ბასტუმრა (←ბასტურმა) (თონ., ჩხ.); „მერმე“ იხმარება მე მ რ ე'ს სახით (ტბ., ჯორჯ., ჩხ., ბგვ., გოლთ., მანგ.).

მ~რ: ქრმის (თონ.); რღმა (თონ., მანგ.); რღმათ (მაწ., მანგ.); რ ღ მ ი ვ მოხნამს (თონ.).

ნ~რ: ზორნის (←ზონრის) (თონ.). რ გადასმულია მანძილზეც ამ სიტყვის შეუქუმშავ ფუძეში; ზორანი (თონ.).

რ~ნ: მაიმკვდანურა თავი (გოლთ.).

ლ~რ: სურიელი (ჩხ., ფარცხ., ტბ., მანგ.); მოსურიელდა (მანგ.); ყვერიელი (თონ., ჩხ.); მადრიელი (თონ.); ვათვარიელე (მანგ.); ძრიენ (←ძრიელ—ძლიერ) (სადრ.). აქ ლ შენაცვლებულია ნარით; ძრავლი (←მძლავრი) (თონ., ტბ.). აქ დაკარგულია თავკიდური მანი.

რ~ლ: ლავარძალა (←მრავალძარღვა) (თონ.); მ ძ ლ ა რ ა თ (←მზრალად) ხენა (გოლთ.). აქ მომხდარია ზ'ს აფრიკატიზაციაც; ლენკრუტა (←რენკლოდი) (ფარცხ.). ლ გადასმულია ისევ წინ, რაეს ადგილზე.

ნ~ლ: შილნის (←შინლის) ბოლო (მანგ.); ესა ი ღ ვ ა ნ ი დ ი ა ნ ი ა (←ინვალიდია) (თონ.) („ილვანიდი“ გვხვდება ქვე-მოიმერულშიც)<sup>42</sup>; ბლენი (თონ.); ბლენოდა (თონ.). თუ ბოლო ორ მაგალითში ამოსავალი ვითარება არაა დაცული, მაშინ ორმაგ მეტათეზისთან გვაქვს საქმე: ბლენი—ბნელი (მეტათეზისი მომხდარია მთელ ქართულში) და ისევ „ბლენი“. ხდება პირუქუც: ლ~ნ: ბანალი (თონ., ფარცხ.); შინდალი (←შილდანი) (ჯორჯ.).

კ~ზ: ზ გადასმულია წინ კუზ ფუძეში. მაგ.: ზ უ კ ი ა ნ ი გახდა (თონ., კლდ.); მოზუკული დედაკაცი (თონ.); დაზუკიანდება (კლდ.). ამ მოვლენას ქართლის სხვა კუთხეებშიც ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ საბას, თავის სიტყვის კონაში, განსამარტებელ ერთეულად, შეტანილი აქვს „ზუკა“ ფორმა, რაც კუზიანს ნიშნავს (თუმცა ამავე ლექსიკონში, თავის ადგილზე „კუზა“-ც მოიპოვება). ჩანს. მეტათეზისის ეს შემთხვევა საბას ღროსაც ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

ფ~შ: (მეტათეზისი კონტაქტურია აქაც და ქვემოთაც): სიცხე აქ და ფ შ ო თ ო მ ს (←შფოთომს—შფოთავს) (თონ.); ფშოთომდა (თონ.); უფშოთნია (თონ.).

<sup>42</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 283.

ხ ~ ხ: გვაქვს ხსნ კომპლექსში; ასევეა სხვა აღმოსავლურ დიალექტებში. მაგ.: ვსხნილით (ჯორჯ.); წყალში გასხნიდნენ (ენაგ.); ისხნება (გოლთ., ჩხ.); მოსხნის (ჯორჯ.); აუსხნა (გოლთ.); შობისთვინ გასხნილდება (ჩხ.); გულგასხნილათ (მანგ.)

მასხარ ფუძეში პირიქითაა: ხ ~ ხ: მახსარათ რო აიგდებენ.

ხშირ კომპლექსში ხ ~ შ: შხირი ტყე (ჩხ.); შხირათ (ფარცხ., ჩხ.); ომები გააშხირაო (მანგ.); ნაშხირი (თონ., მანგ.) (შდრ. ნახშირსა ვწვავდით; მაწ.; მთქმელი მთიულია): მენაშხირე (ჯორჯ.). „ნაშხირი“-ს სახით ძველი ქართულის ვითარება შემოუნახავს რიგ აღმოსავლურ კილოს, მათ შორის ალგეთურ მეტყველებას.

### ბგერათა დაკარგვა

ბგერის დაკარგვა თითქმის ყველა აღმოსავლურ და ზოგ სხვა კილოშიც ფართოდ გავრცელებული მოვლენაა; ასეა ალგეთურშიც. მრავალ შემთხვევაში თანხმოვნათა და ზოგჯერ ხმოვნათა დაკარგვა დისიმილაციურ ნიადაგზე ხდება. რიგ შემთხვევაში კი ქირს გადაქრით თქმა, რა ფაქტორი იწვევს მას. დაკარგვა უწყევთ ბ, მ, ვ, ნ, დ, რ, ლ, ზ, თ, ს და სხვა თანხმოვნებს, მათ შორის განსაკუთრებულ სისუსტეს იჩენენ მანი, ვინი და სანი.

მ იკარგება სიტყვის თავშიც (თითქმის ყველა თანხმოვნის წინ) და ბოლოშიც. სიტყვის თავში იკარგება მოქმ. გვარის მიმღობებთან და სხვა სიტყვებთან. მაგ.: დამარხველი (მანგ.); ბლავანი (←მბლავანი) (პ. თონ., გოლთ., ჩხ.); სარეცხი დავდულრე (ნაწარმოებია, მდულარე<sup>13</sup>საგან) (ჩხ.); დინარე (მანგ.); დიდარი (მანგ.). ნათობი (მანგ.); გზავრი (მანგ.); გონი (←მგონი) (სალ.); თავარი (ჩხ.); თავრობა (ტბ.); თელი (მაწ., ტბ.); თიული (ჩხ., ჯორჯ.); კათათვე (ბგვ., ტბ., გოლთ.); კვახე (ჯორჯ., სალ., გოლთ., ტბ.); კვდარი ღონიერიო (თონ.); კერდი (მანგ.); კლავი (მაწ.); კითხავი (მანგ.); რკინის კვნეტელა (მანგ.); კმენარი (←მკმენარი—მკმენარი) (ტბ., სალ.). ბოლო მაგალითში მ იკარგება დისიმილაციურ ნიადაგზე, რასაც ხელს უწყობს მკმ თანხმოვნათა თავმოყრაც. რგვალი (ჩხ., ტბ., ბგვ.); რგვლათა (ჩხ.); დავარგვალამთ (მაწ.); ზეთუნახავი (მანგ.); სუბუქია (სალ.); თავსუბუქი (შდრ. თავსუბუქი; სალ.); სუბუქათა (თონ.)<sup>13</sup>; სუქანი (სალ., ჩხ.); სხალი (ჩხ., ბგვ., ტბ.);

<sup>13</sup> მსუბუქ ქგუფში რომ მ და ს ერთად ვერ ძღებენ, ამას ადასტურებს მეტათეზისიცი (სუბუქი...).

სხვილი (ბგვ., ტბ., მაწ., საღრ.) (შღრ. მსხვილი; ჩხ., ბგვ.); ს ხ ე ო ლ ა თ დაუფქვიათ (გოლთ.); სხვილმარცვალა (ბგვ.); სხვილფეხა (ტბ.); მაჟალოს ს ი ს ხ ო ა (საღრ.) (შღრ. კაკლის სიმსხოა; ტბ.); ტევანი (ტბ., ფარცხ., ბგვ.); თხელტევანა (ბგვ.); ტკვარი (თონ.); ყრა-ლი (მანგ.); შრალი (ჩხ.); შიერი (მანგ.); ძივები (ჩხ., ტბ.); ურემი თ ა ე ძ ი მ ე ა (საღრ.). ბოლო მაგალითში ვმძ კომპლექსი, ერთი მხრივ, და წინამავალი ვ, მეორე მხრივ, ადვილებენ მანის დაკარგვას. ძოვრი (—მძოვრი) (თონ.); ძრავლი (—მძლავრი). ამ სიტყვაში მომხდარ მანის დაკარგვასა და მეტათეზისს (რ ~ ლ) შორის რომელი რომელს უსწრებს, ძნელი სათქმელია, იქნებ ერთდროულიც იყოს. წვანილი (საღრ., ფარცხ.); წარე (მანგ.); წუხარე (მანგ.); ორთავე ხ ა რ ე ზ ე (ჩხ.); ყველა ხ რ ი დ ა ნ (ფარცხ., ტბ., ჯორჯ., გოლთ.); ხ ა რ - თ ე ძ ო ზ ე წ ო ლ ა (მანგ.); ხარბექიანი (მანგ.); ეს შავფეხა ხ უ რ ვ ა ლ ე ა (ფარცხ.); ხოლოთ (ბგვ., საღრ., ფარცხ., ტბ.); სულთახუთავე (მანგ.).

მოთხრობით ბრუნვაში მდგომ მ ბოლოთანხმოვნიან სახელებთან ორი მანის შეხვედრის გამო ხდება ერთ-ერთი მათგანის დაკარგვა: ამ ბრუნვის შინაარსის გადმოცემაში კი წინადადების სხვა წევრები გვეხმარებიან. მაგ.: ჩ ე მ ა ძ მ ა მ მოიტანა (თონ.); ამ ი რ ე მ ა ც უ თ ხ რ ა (მანგ.); რ ო ს ტ ო მ ა დაუძახა (მანგ.) და სხვა. ამგვარ შემთხვევებში ისმის ერთი, ჩვეულებრივი მ და არა გრძელი მ.

მოთხრობითი ბრუნვისეული მანი შეიძლება სხვა ბაგისმიერებთანაც დაიკარგოს: ყ ა ჩ ა ლ ე ბ ა (—ყაჩალებმა) გაეარცვეს (მანგ.).

მ ადვილად იკარგება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშიც. განსაკუთრებით კავშირებსა და ნაცვალსახელებში: რო (თონ., ტბ., გოლთ., საღრ.); ხო (ტბ., გოლთ., მაწ., საღრ.); რატო (ტბ., მანგ.); იმიტო (ჩხ.); ო (—იმ) კაცმა (მანგ.); ა (—ამ) ბავშვმა (მანგ.); ა მკითხავმა (მანგ.); შვილო, რ ა (—რამ) მოგიყვანა აქაო (მანგ.).

ბ იკარგება: ანლაუტში, ბილაბიალურ თანხმოვანთან შეხვედრისას და ზოგჯერ სხვაგანაც. მაგ.: ე ა ნ ტ ი (—ბეანტი) (თონ.) (შღრ. გვ. 101); წინათ ვ ა მ ო ბ დ ი ..., ე ხ ლ ა ვ ა მ ო ფ (მაწ.) (შღრ. ვამბობთ; ჩხ.); ა მ ო ბ ს (თონ.); ვ ა მ ო მ დ ე (თონ.); რ ა ს ა მ ო ფ ? (თონ.); ყულფალი (თურქ. kulp-bag; ალგეთურში: საღურგლო დაზგის ნაწილი; თონ.)<sup>44</sup>: ე უ ნ ე ბ ა (ჩხ.).

ვ ადვილად იკარგება ინტერვოკალურ პოზიციაში: მე რ ე ა მ ო უ ს უ ფ თ ა ე ბ თ (გოლთ.) (შღრ. ბაგას ამოუსუფთავეფ; ჩხ.); შ ა ა ხ ე ა ე ბ ს (—შეახვაეებს) (ჯორჯ.); გაქვაებული (გოლთ.); უყვდაება

<sup>44</sup> ამ სიტყვის მეორე ვარიანტში კი ფარია დაკარგული: ყ უ ლ ბ ა ღ ი (თონ.).



(მანგ.)... შენც არ გაგაქვაოსო (გოლთ.)... ყვაილი (გოლთ., ტბ., ფარცხ., ბგვ.) (შდრ. ყვაილი, ბგვ.)... უბზეებენ (ჩხ.)... მინდა გათქმეინო! (ფარცხ.); იმდენი უთრია საბელი, რო ათქმეინა (ფარცხ.); გაახსენინა (ფარცხ.); სუ კაკალი ვაყრეინე (სალრ.) (შდრ. კაკალს ჩამოვყრევინებთ; ტბ.; დვაყრევინე; მაწ.): ერთი კაცი ზეიდან დადგება, ერთი — ქვეიდანა (ჩხ.). სიტყვებში: ზეიდან, ქვეიდანა ვინი დაკარგულია თანამედრ. სალიტ. ენის ნორმების თვალსაზრისით... შემეხვეოდა (მანგ.) ... მააგროა (ფარცხ.); ყანა რო მოა (ჯორჯ.): დეეთხოა ხემწიფეს (გოლთ.) ... გაუფუარი (ჩხ., სალრ.) ... ამ ბიჭზე დამნიშნე, მიმათხოეო (გოლთ.); ცხენებ უძოემდა (მანგ.) ... ყველამ თავისი მოწოოს (გოლთ.); სადლა გიპოო (მანგ.) ... წამოიდნენ (მანგ.). ო'სა და ი'ს შორის ვ'ს დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული კახურსა და ქიზიყურში; ალგეთურში — სპორადულია. ზმნებში უ'ს წინ იკარგება S<sub>1</sub> ნიშანი ვ: ვაბანავე (დედამთილი), დაურეცხე, დაუუთოვე (გოლთ.); კოკორები გამოუცხე (←გამოვუცხვე) (თონ.); ხელ გამოუყოფდით (სალრ.) ... უღვიარი პური (გოლთ., სალრ.) ... გაღვიებულიყო (ჩხ.); იტკიებდა (მანგ.) ... ლეიოდა (მანგ.).

ვინი იკარგება ხმოვანსა და თანხმოვანს შორისაც. მაგ.: გუთანზე და ჩუთზე მილია (←მივლია) (მაწ.); დაალო (←დაავლო) (მანგ.); გაუგზანია მარაბდაში (ტბ.); გაცეინული (მანგ.); კრუჟონიკი (←КРЫЖОВНИК); თაბრუდასხმული. უკანასკნელ მაგალითში ვ ვერ სძლებს ჰომორგანულ ბ'ს წინ. მამას გეხარო (←ჰგევხარ←ჰგავხარ).

ვინი ვერ ძლებს და იკარგება, აგრეთვე, თანხმოვანსა და ხმოვანს შორის, თითქმის ყოველთვის დეცესიურ კომპლექსში. მაგ.: გამონიჩბაზე წავალთ ხომე (ჩხ.); მისი ცოდით აიძსო; ქათმებს უნდა გააპენტრინო?! (სალრ.); გახილა (←გახილვა) უნდა კომბოსტოსა (თონ.); აღელებული; გამოკვერა (თონ.); ვენუკები იმ ქალსა (თონ.); ესე ვკაკამდით (←ვკაკამდით) (ბგვ.); შეუჩნდება და ჰფქავს (←ჰფქვეავს) (მაწ.). ბოლო მაგალითში ჰფქვ თანხმოვანთა თავმოყრა (რომელშიც ვინიცაა) უნდა იწვევდეს პირველი ვ'ს გაქრობას. უნაფქოთა ვართ (ჩხ., გოლთ.) (შდრ. გვარი უნაფქოშეილი); უძარლო (ჩხ.); გამოფაშული. სამი უკანასკნელი მაგალითიდან პირველ ორში ვ'ს მომდევნო ო'ს, ხოლო მესამე მაგალითში — უ'ს უღვეთ წილი ვ'ს დაკარგვაში.

დახოცის შემდეგ; წისაკრავი (თონ.; დაკარგულია ორი ვ; შდრ., წვიესაკრავი; გოლთ.); გამოუცხე (←გამოუცხევე) (თონ.).

ვინის თანხმოვანთა შორის დაკარგვის მაგალითებია: ამლელ-ჩამლელი; როცა ის ხლება უურძენი (ტბ.); დრიტა მაჭიკში დევს (ჯორჯ.); დაამტრემდა; ნატრი თვალი; ბავშ (←ბავშეს) (სალრ.). ამ ბოლო მაგალითში ერთ-ერთი ვ უნდა დაკარგულიყო (შდრ. ბაშვი), — დაიკარგა მეორე ვინი, მასთან ერთად მიცემითის ს'ც. ვ იკარგება აქვე (←აქუ) ფუძეში. მაგ.: აქს (გოლთ., ტბ., სალრ.); ტარო ამააქს (ჩხ.); ნაგავი რო გააქთ (გოლთ.); ქათამს თავზე რო აქ (ფარცხ.); სად მიგაქ? (სალრ.). ბოლო ორ მაგალითში დაკარგულია აგრეთვე  $O_3$  ნიშანი ს.

ვ იკარგება აუსლაუტშიც. მაგ.: ისიც კიდე სიმამრია (ჩხ.); მიჰყე!

დ იკარგება წ'ს გვერდით, განსაკუთრებით „უნდა“ ზმნაში. მაგ.: არ მინა (თონ.); გინა (ჯორჯ., ჩხ.); უნა (თონ., გოლთ., ტბ., ფარცხ., ბგვ., სალრ.); შეეშინა (მანგ.) (ბოლო მაგალითი ძვ. ქართულის ანალოგიურია). სიტყვის ბოლოში დ'ს დაკარგვის მაგალითებია: კარქა (ტბ.); ოლონ (მანგ.); უკაცრავა პასუხია, ერთი წიხლი ამოჰკრა (ტბ.).

ნ იკარგება უპირატესად დისიმილაციის ნიადაგზე (დ, მ თანხმოვნების წინ): თანხმოვანთა კომპლექსებში და სხვა. მაგ.: გაუჩადა ბიჭი (მანგ.); შენ ნახეას დომულობსო (მანგ.); იყავით ჯამთველათ (←ჯანმრთელად) (თონ.); ეს ბიჭი დაჯსთახმდა (←დასთანხმდა). ბოლო მაგალითში წ'ს დაკარგვას ნხმდ თანხმოვანთა თავმოყრა უწყობს ხელს. დაახლოებით ამის ანალოგიურია მეორე მაგალითიც: „დაჯთამხდა ცოლობაზე“, — ოლონდ აქ მეტათეზისიცაა მომხდარი. სხვა მაგალითებია: არსენას მოუტაცია მოახლე (ტბ.); დაჩეჩხე (←დაჩენხე) (მაწ.); გაწირული: გასაცდელი. ნ სიტყვის ბოლოში იკარგება განსაკუთრებით პირის ნაცვალსახელებში: შე, თქვე, ჩვე.

ლ იკარგება: ა) მ'ს წინ და შემდეგ, ბ) ჩ'ს მომდევნო პოზიციისში, გ) სიტყვაში: „სულ“, მაგ.: ხემწიფე (გოლთ., .....); სახეჩი ატამი (სალრ.); ხომე (ჩხ., ...); გრდემი (←გრდემლი) (ჩხ., თონ.....); სახში (ტბ., ჯორჯ., სალრ.); სახს (თონ.); სუ (ჩხ., ჯორჯ., ფარცხ., პ. თონ., ტბ.).

რ ერთ-ერთი იმ ბგერათაგანია, რომელიც ადვილად იკარგება, განსაკუთრებით თანხმოვანთა გარკვეულ კომპლექსებში. მაგ.: ცხილწყარო (←რცხილის წყარო) (პ. თონ.); თეთრცხილის

(—თეთრ რცხილის) შეშა კარქია (ჩხ.). მეორე მაგალითში რ'ს დაკარგვა ხდება ორი რ'ს შეხვედრის გამო. რ იკარგება ბრძ და გრძ კომპლექსებში: მობძანდება (ტბ.); ბძანება; წაბძანება; ბძენი: ბძო-ლა... გძელი (საღრ., ტბ.); გძლათ (ფარცხ.); სიგძე. ბრტყ ჯგუფში რ'ს დაკარგვის გამო (სიბტყე; თონ.) ტ'ს გვერდით მოქცეული ბ უმრავლეს შემთხვევაში ყრუვდება პ'დ და ვლებულობთ ახალ პტყ ჯგუფს: პტყელი (თონ., საღრ., მაწ.): პტყელფოთოლა (გოლთ., საღრ.). იმავე შედეგს გვაძლევს რ'ს დაკარგვა ბრჭყვ კომპლექსში: ჭ'ს მეზობლად ბ იქცევა პ'დ: ბალახია, პჭყეინავს (ჩხ.). რ არ გვაქვს სიტყვაში „უჩუმათ“; ხომ არ ასახავს იგი პირვანდელ ვითარებას, სანამ რ ჩაერთვოდა?.. რ იკარგება სხვა ჯგუფებშიც: ფთა (—ფრთა) (ჩხ.); ფთიანი: ფთხება; გაუფთხილდი! (ჩხ.); ფჩხილი; შეკთა (—შეკრთა). რ'ს დაკარგვის შემთხვევები ზრდ ჯგუფში განხილული იქნება ჴ'ს დაკარგვაში. რასა შევები! (გოლთ.); სიყმითვე; დამჩა; ახჩობს (ფარცხ.); არ დაიხჩონ ცხვრები! (მაწ.): სუ ერთიანათ ჩაიხჩენენ შიგა! (ტბ.); მოტუსული (თონ.) (შღრ. მოტრუსული; გოლთ.). ეგების აქ პირვანდელი ვითარებაა დაცული: შღრ. ტუსვა (ი. აბულ.). რ იკარგება სიტყვის ბოლოშიც: როგო: აგე!; თხსაეფ (—თხსაებრ) (გოლთ.).

თ. იშვიათად იკარგება ფშეინვიერი თ'ც: რთვილნაქამი კომბოსტო (თონ.); დათეხილა (—დათეხილა) (თონ.). ამ მაგალითებში დაკარგვა დისიმილაციურია; მეორე მაგალითში კი დაკარგვისათვის ხელსაყრელ პირობებს აძლიერებს ოთხი თანხმოვნის (თვთხ) თავმოყრაც.

ზ. რაც შეეხება მჟღერ სპირანტ ჴ'ს, იგი თითქმის სისტემატურად იკარგება ჴრდ კომპლექსში, რაც ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს აღმოსავლურ კილოებში. მაგ.: ირდება (ტბ., მანგ.): გაირდება (თონ., მაწ., ჯორჯ.); აღუაშვილის გარდილები იყენენ (ფარცხ.); მორდილი სოფელია (თონ.). ამ მაგალითებში ჴ დაკარგულია რ'ს წინ: ზოგ შემთხვევაში. ბგერათა ამავე ჯგუფში, ჴ'ს გაუღვენია რ: იზდება (ბგვ., ფარცხ.); მორდილი პინაა (ჯორჯ.); ახალგაზნდები და სხვა.

სანი, როგორც საკმაოდ არაგამძლე ბგერა, ხშირად იკარგება ქართლურში, კახურსა და ზოგ სხვა კილოშიც. განსაკუთრებით შორსაა წასული ეს პროცესი ქიზიყურში. ალგეთურ მეტყველებაში ს იკარგება სახელის ფუძეში, ბრუნვის ნიშნებში (მიც. ბრ., ნათ.; ბრუნვის თანხმოვ. ელემენტი), ზმნებში, ჩვენებით ნაცვალსახელებში; და სხვა.

ა) სახელის ფუძეში ს იკარგება ტ'სა (ხშირად) და წ'ს წინ; იშვიათად, ჭ'ს ან ზოგი სხვა თანხმოვნის წინაც. მაგ.: ტაქანი (თონ., მანგ.); ტარში (—старый) (ჩხ.); ტუმრები (თონ.); ტრაქენიკი (ჩხ.); ტვირი (მანგ.); ტოლბა (მანგ.); ტოლი (ჩხ.); წორე (ჩხ.); იწავლი (მანგ.); პიჩკა (თონ.); გამჭვალული (მანგ.); მომხო (—მომსხო) (თონ.).

ბ) მიცემით ბრუნვაში მდგომი სახელის ხმარება ბრუნვის ნიშნის (ს) გარეშე მეტად გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს ალგეთურში. მაგ.: გუ თ ა ნ მიეკეცამდით (პ. თონ.); ნ ა ყ ო ფ გაიკეთებს (სალრ.); ა რ ა ყ გამოეხდილთ (თონ.); ფ უ ჩ ე ჩ მოვჰკრით (სალრ.); ძ ლ ი ვ მახერხებს (ჯორჯ.); ორომზე პურებ ვაწყობთ, ლ ა ვ ა შ ვათხელებთ (ჩხ.); ზ ო გ ტ ყ ვ ი ლ ველაპარაკები, ზ ო გ მ ა რ თ ა ლ (თონ.); ზ ე თ დაასხამ, ხ ა ხ ვ დააჭრი, მ ა რ ი ლ დააყრი და შჰამ! (სალრ.); ერთ წ ე ლ ი წ ა დ ისხამს, მეორე წ ე ლ ი წ ა დ არ ისხამს (ფარცხ.) და სხვა მრავალი.

ზოგჯერ, ერთი და იგივე პირის მეტყველებაში, მიც. ბრუნვაში მდგომი ზოგი სახელი ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი, ზოგს კი ნიშანი ახლავს. მაგ.: მე ჩემ შ ვ ი ლ ე ბ თავს ვერ დავანებამო. (გოლთ.); ე კ ა ლ ვეძახით ნარის ეკალს (ჩხ.); თუ დამეკვდაო. ხ ე ლ ე ბ დაგიქნევთო: ღვდელი იხჩობოდა და ხელებს იქნევდა (ტბ.); ძირს რო რამე ეგდოს, ხ ე ლ არ მოკიდამს (თონ.).

ზემოაღნიშნულ ნიმუშებში ბრუნვის ნიშნის გარეშე წარმოდგენილ სახელებს მოსდევთ თანხმოვნით გათავებული სიტყვები; სანი არ ჩანს მაშინაც, როცა მომდევნო სიტყვა ხმოვნით იწყება: თ ა ვ თ ა ვ აქ ორი კოჭი (ჯორჯ.); ღ მ ე რ თ არ მოიგონემს (სალრ.); ხ ე ლ არ მოკიდამს (თონ.); კ ა რ ა ქ ამაილეფ (სალრ.); ჭ ი ლ ა გ ეტყვიან (ფარცხ.); ჯ ე ჯ ი მ იმას ეძახიან (გოლთ.); კ ვ ე რ ც ხ ალარ დამდებს (ტბ.) და სხვა.

მიც. ბრუნვაში მდგომ თანხმოვნით დასრულებულ დამატებას ეკარგება ბრუნვის ნიშანი, მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიციაშია იგი (დამატება): უსწრებს წინ შემასმენელს (როგორც ეს ზემომოყვანილ მაგალითებშია), თუ მიჰყვება მას (როგორც ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან დავინახავთ); რას მიათრევენ ა კ ვ ე ნ ე ბ ? (თონ.); დაჰყრის გ ო ჰ ე ბ (ჯორჯ.); გადააპნევდნენ ნ ა კ მ ა ზ (ჩხ.); თვლები აქ თ ა მ ფ ლ ა კ (ჩხ.); წაუგდებენ ტ ყ ლ ა პ (ჩხ.); აწვალებს კ ა ც (ჩხ.); უნაგირსაც უკეთებენ ვ ა რ შ ა ვ (ფარცხ.); გამოუჭრობს ც ე ც ხ ლ (ჩხ.); წითელი ფათეები რო აქ ფ ა რ დ ა გ (სალრ.); ლალა მააქ ფ უ ტ კ ა რ (ტბ.) და სხვა.

ცნობილია, რომ მიცემით ბრუნვაში მდგომ სახელთან ბრუნვის ნიშანი (ხ) არ იკარგება, თუ მას ახლავს ემფატიკური ხმოვანი ა (ასეა, მაგ. კახურ კილოში)<sup>45</sup>. ჩვენს დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში ამ ფონეტიკური კანონის დარღვევის ფაქტი, ჭერჭერობით, თითქოს, არსად არაა შენიშნული. სხვა სურათს იძლევა, ამ მხრივ, ალგეთის ხეობის მეტყველება: იქ ჩვეულებრივია მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშე ხმარება ისეთი ფუძეთანხმოვნისა სახელებიც, რომლებიც ა ხმოვნით არის გავრცობილი. მაგ. მოვრეკამ ხ არება (თონ.); ერთი არ აბია ჩვენ ქლიავება (თონ.); ფარცხზე დააწყობენ დიდრონ ბელტება (თონ.); სურათები გაღულიათ რგოლის ხელმძღვანელება (ჩხ.); გავანებამ თავა (თონ.); ამოიღებს კოვზა (თონ.); მოუჩხრეკამ ცეცხლა (ჩხ.); დები ჰყვანდა საწყალა (ჩხ.); ხარი გააწევს უღელა (თონ.); ნაცარ დაპყრის ძირა (ფარცხ.) (შდრ. ჩამუელოთ ძირსა; გოლო.); აღარ უგდებდნენ ყურა (კლდ.); ჩავყრით კორკოტა (კლდ.); ძალიანა ცხელა ქალაქა? (ჩხ.); ქვაბში ნაღებ არ აყენამს, სადღვებელში — კარაქაო (თონ.); მოიტეხამს ფეხა (თონ.); დეკემბერში ჭაჭობაა, სად იშოვი კვერცხა! (თონ.) (შდრ. ქათმები აღარა მდებენ კვერცხსა; ტბ.).

წარმოდგენილ მაგალითებში ქვემდებარე-შემასმენლის წყობა ინვერსიულია (ჭერ შემასმენელი, შემდეგ ქვემდებარე): ზოგჯერ ს დაკარგულია მაშინაც, როცა წყობა პირდაპირია. მაგ.: მაგის ცოლი ვაშლეზა მპყიდის (ჩხ.); კევა მღეჭამს (თონ.); პურა ვხალამდით (კლდ.); ბალახა შჭამდნენ (კლდ.); იმ რვა კაცსაც (—კაცსაც) კიტრი აჭამა (მანგ.). პარალელურ მაგალითებში ს შენახულია ა'ს წინ: დავაყრით მარილსა (ჩხ.); დაასაფლავებენ მკვდარსა (ჩხ.); თვალს წაართმევს კაცსა (გოლო.) და სხვა.

ამგვარად, ფონეტიკური მოვლენა, რომელიც მიც. ბრუნვის ნიშნის ხ'ს დაკარგვაში გამოიხატება, იმდენად მტკიცეა ალგეთურში, რომ მის წინაშე ფონეტიკური კანონიც უძლურია. ამ მხრივ ალგეთის ხეობის მეტყველება რამდენადმე მხარს უბამს ქიზიურს, რომელშიც დადასტურებულია ორიოდ შემთხვევა ხ'ს ა'დ დასუსტებისა სხვათა სიტყვის ო'ს წინ, მიუხედავად იმისა, რომ: „ხმოვნების წინ ჩვეულებრივად აღდგება ხოლმე დაკარგული ბგერა“<sup>46</sup>. მაგრამ: „ხ

45 არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

46 არნ. ჩიქობავა, ხ ბგერის დასუსტება ქიზიურში: ენიშის მოაპზე, I, 1937, გვ. 59.

ბგერას ესეც არ შევლის, იმდენად მკვიდრია ის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა<sup>47</sup>.

გ) ნათეს. ბრუნვაში მდგომ პრეპოზიციულ მსაზღვრელს, თუ სხვა სახელს, უხშირესად დაკარგული აქვს ბრუნვის ნიშნისეული ს. მაგ.: ქორწილი შემდეგ მშვიერი მოსულა (თონ.); პური ქამი დროსა (ჩხ.); თვალი წამალი (თონ.) ჩიტი თვლებივით ასხია (ტბ.); გრაკლი ცოცხი (მაწ.); მაწვნი კერძ გააკეთამ (ფარცხ.); კვერცხი დასადებათ (ჩხ.); მამლი ყიულისას (გოლთ.) (შდრ. მამლის ყიულისას; მთქმელი იგივეა, თხრობა — გაბმული). ს არ ახლავს აგრეთვე მსაზღვრელად გამოყენებულ ნაცვალსახელს. მაგ.: ქალი დაუბრუნდა თავი ოჯახს (თონ.); დადგება თავი ბინაზე (ჟორჯ.); შეგვიდგებოდა იმი ძებნა (მაწ.); მაგი სახელი გავარდნილია (ტბ.). თანხმონებით ს ელემენტის გარეშე გვევლინება, ჩვეულებრივ, კომპოზიტების პირველი კომპონენტი, როცა იგი ნათ. ბრუნვაში მდგომ მსაზღვრელს წარმოადგენს. მაგ.: ხართვალა (საღრ.); რძიკორკოტა ამეხრაკა (თონ.); გუთნიდედა (ტბ. და სხვა სოფლ.); რძიფუაი შევქამე (თონ.); და სხვა. ნათ. ბრუნვის ნიშნისეული ხანი იკარგება -თვის (—||-თვის), -თანა თანდებულების წინ: იმითვის ვტირვიარო (მანგ.); იმი თვინა, რო ნაგვალეგია (მაწ.); იმი თანა პური სხვა არ არი (თონ.).

ზმნებში იკარგება პირის ნიშანი სუფიქსური ს: დგა (←დგას) (ჩხ.); მონავარი ბატები მყაამ (ჩხ.); ერთი ბლავანი არა გვყავ (ჩხ.); ალვირით გვიჭირამ (ტბ.); ამ ბიჭ დაპყამ ძროხა; აქ (←აქეს); დააქ (←დააქეს) და სხვა.

ჩვენებით ნაცვალსახელებს ზოგჯერ არ ახლავს თანხმონებით ელემენტი ს: ეჯელი იქით მიხვეტე! (თონ.); ენაცარქექიაი (მანგ.); ინეკერჩხალი (მანგ.) და სხვა.

სანდაკარგული ფორმების გვერდით, როგორც ვნახეთ, ხშირია სანშენახული ფორმებიც. მათ შესახებ იგივე ითქმის, რაც დასკვნის სახით ითქვა ამ ბგერის დაკარგვის წინარე საფეხურების (მს, მპ, მ) მდგომარეობის შესახებ ალგეთურში (იხ. გვ. 18).

გ იკარგება ზმნებში (O<sub>2</sub> პრეფიქსი) ჰომორგანული ბგერების (უკანაენისმიერ ხშულთა ან ფშვინვიერთა) წინ. მაგ.: თუ კითხა (←გკითხა) (მანგ.); მე შენ არ მოკლამ! (მანგ.). დაკარგვამდე შესაძლოა გ'მ განიცადა სრული ასიმილაცია და იქცა კ'დ, შემდეგ კი მოხდა მისი დისიმილაციური დაკარგვა. გ დაკარგულია აუსლ-

<sup>47</sup> არნ. ჩიქობავა, ს ბგერის დაკარგვა ქიზიურში: ენიქის მოამბე, I, 1937, გვ. 59.

აუტში ჩვენებით ნაცვალსახელებში: საქონლის ხორცეულში იტყვიან მა (←მაგ) წიგნარას (ტბ.); მა გზასა (მანგ.). ბოლო მაგალითში, ალბათ, მომდევნო სიტყვის თავიკიდური გ'ს გამოც მოხდა დისიმილაციური დაკარგვა.

სხვა თანხმოვანთაგან დაკარგულია ფუძისეული ქ: აკვანზე ქვონდა (სალრ.). დაკარგვა მომხდარა მას შემდეგ, რაც ქ'მ დაიმსგავსა გვ პრეფიქსისეული გ ელემენტი (ასიმილაციური დაყრუება) და შემდეგ თვითონვე შეეწირა მას (ქვონდა — ქვქონდა — გვქონდა).

ფ'ს დაკარგვა სიტყვაში „ყულფალი“ იხ. ბ'ს დაკარგვაში.

შ იკარგება ტ'ს წინ: ტოფი (←შტოფი) (ჩხ.).

ჭ არაა განვითარებული სახელში „ჭაერი“, ან იყო და დაიკარგა: მარაბლაში ფინთი აერი იყო (ტბ.). ჭ დაკარგულია ზმნაში, როცა იგი ობიექტური პრეფიქსია მესამე პირისა: თითქოს ბუზიც არ აფრენიაო (ჩხ.).

ხმოვანთა შორის გვაქვს შემთხვევები ა, ი, ო, უ ხმოვნების დაკარგვისა.

ა დაკარგულია სახელებში: პატრა და ქალმანი: პატრა კაცი იყო, მაგრამა ისეთი ხმა ჰქონდა, როგორც მენი! (ტბ.); პატრა ბიჭებს გედევადოთ წყალი (მანგ.); პატრები იყო (სალრ.); კობით უკეთებდნენ ქალმანს წინა (ჩხ.); აი, რო გაუცვდებათ ქალმანი, ან ჩუჰბტი (ჩხ.). შეიძლება ამ სიტყვებში ა'ს დაკარგვა დისიმილაციური ხასიათისაც იყოს (ერთ ფუძეში სამი ა გვაქვს). ა არა გვაქვს ზმნაში „მიყუღამ“ (←მივაყუღებ) (ჩხ.).

ი: „აი“ ნაწილაკის ი ელემენტი დაკარგულია, ან მომდევნო ჩვენებითი ნაცვალსახელის (ის, იმ) ი ხმოვანთანაა შერწყმული (ელიზია): აიმთის (←აი იმ მთის) წვერებშია (თონ.); მემრე ჰაისა (←აი ისა), კვერცხი უნდა გათქვიფო! (ფარცხ.). ი'ს დაკარგვის მაგალითებია: სიცხემ დააშორშორა (ფიცრები) (ჯორჯ.) (შდრ. დააშორიშორებს; გოლთ.); ახალწელწადი დღე იყო (ჩხ.); ციენათელა; მიმღერიან (←მიიმღერიან); რასაკერელია (გოლთ.). ბოლო მაგალითში ი'ს რედუქცია უნდა მომხდარიყო ვინის დისიმილაციური დაკარგვის შემდეგ.

ო: რამდელა (←რამოდენა) იყო მზეო (მაწ.). აქ ო'ს დაკარგვის შემდეგ ნ'ს განუცდია დისიმილაცია.

უ არაიშვიათად იკარგება „ეუზნება“ ზმნაში: ვებნეო დიო, არ წავალო (გოლთ.); მამა ებნევა. უარყოფითობის უ ხმოვანი დაკარგულია რთული სიტყვის მეორე კომპონენტში: პირბანე-

ლ ა (—პირუბანელა) (პ. თონ., ჩხ.). უ დაკარგულია „უნდა“ ზმნაში (იხ. ქვემოთ).

**მარცვლის დაკარგვა.** ცალკეული ბგერების გარდა, ხშირად, სიტყვაში თუ გამოთქმაში მთელი მარცვალი ჩანს დაკარგული. მაგ., დაკარგულია ებ: მე ძაან მე რ ც ხ ვ ი ნ ო დ ა (გოლთ.). ბე: გამგონელსა. ვა: ხელსაფქვები. ლი: ძაან (ფარცხ., ტბ.). ინ: მაშვე (თონ., მაწ.); მაშვეთი (მაწ.). ნე: პატარა ლაგანი ა მ ა ი ტ ა ! (ბგვ.); ფორხონთ ა მ ა მ ი ტ ა ! (თონ.); მ ო ი ყ ვ ა ბავშვი აქა! (თონ.). რე: ჯოხი დ ა მ ი ჭ ი ! ცი: მი ე ხელი! (თონ.); აბა, რ ა ვ ი ! (თონ.).

ზოგჯერ ორი-სამი სიტყვისაგან შემდგარი გამოთქმა ბგერებისა თუ მარცვალთა დაკარგვის გამო ერთ სიტყვადაა შერწყმული და აღარ ხერხდება თავდაპირველი სიტყვების ცნობა. მაგ.: ე მ დ ე (—ე მანდ ე?), ქლიავი რო დაეჩურჩეთ! (ტბ.). სხვადასხვა ოდენობას ვლდებულობთ „უნდა“ სიტყვის გაცვეთის შედეგად. მაგ., ღ ს დაკარგვის გარდა, და ამ დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზითაც, მასში შემდეგი სახის ცვლილებებს ვხვდებით: ა) როცა „უნდა“ ზმნა ი ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას მოსდევს, მისი თავიკიდური უ, დასუსტების შემთხვევაში, ზოგჯერ ირაციონალური ხმოვნის მაგვარ (გ) რეფლექსს იძლევა და ზმნა წინამავალ სიტყვას ეკვრის. მაგ.: რ უ შ ი (—рш) გ ნ ა გაუკეთო? (თონ., საუბ.); საქონლის ა ლ ხ ა ჯ ი გ ნ ა იყვეს, — სადაც საქონლის ნაკელია (თონ.). ბ) ზოგჯერ ეს უ მთლადაც იკარგება, თუ წინამავალი სიტყვა თანხმოვნით (ნ, რ) თავდება. მაგ.: ვ ი ნ ნ ა შაგინახოსო (გოლთ.). ამ მაგალითში უ'ს დაკარგვის შემდეგ, წინა სიტყვის ნ'სთან შერწყმის გამო, მიღებულია გემინირებული წარი და ორი სიტყვა ერთ სიტყვადაა ქცეული, რასაც ღ ს დაკარგვაც უწყობს ხელს; ბიჭი ა რ ნ ა (—არ უნდა) გაგზანო? (თონ.); ბუმბული ა რ ნ ა გავაყრინოთ? (თონ.); ა ღ ა რ ნ ა მოვრდეს სახში? (თონ.)<sup>48</sup>.

ხშირად ა, ე, ო ხმოვნების დაკარგვა ხდება სუფიქსურ ხმოვანთა აშკარა გავლენით (რედუქცია); ერთ შემთხვევაში უ'ც ჩანს ამოღებული, რაც ამ ბგერის რედუქციის შესაძლებლობას ადასტურებს ახალ ქართულშიც (ძველში ხომ სხვა მდგომარეობა იყო)<sup>49</sup>.

<sup>48</sup> ამ მაგალითებში, კითხვით სიტყვებზე (გაუკეთო? გაგზანო? და სხვა) მოსული მახვილის როლი მეორენაარისხოვანი არ უნდა იყოს ფონეტიკური პროცესის წარმართვაში (შდრ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჯავახური..., გვ. 294).

<sup>49</sup> უ'ს რედუქციის თაობაზე იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე, I, თბ., 1946, გვ. 74, 76—82.



მაგალითები: ა: ნახდის წვენი (თონ.); ლატნები (მაწ.); უწინ-  
 დელმა აჯმებმა იკოდნენ (ჩხ.); ჳლები (მხ. ჳალი) (ჯორჯ., ჩხ.,  
 ტბ.); საძნე ჳლიანი ურმითა მზითევი წაულია წეროვანში  
 (თონ.); მალალჳლიანი ურემი (საღრ.); მოყვითლოა (საღრ.);  
 ჳერ აღრეა, ნუ აიკვირაძლე! (ჩხ.). ზოგჯერ მოკვეცილია.  
 გადა- რთული პრევერბის მეორე კომპონენტის ა ხმოვნების (ი. უ)  
 წინ. მაგ., ისე გადიფუშება ხოლმე, მშვენივრათა! (თონ.);  
 გადიკითხეს; გადიბერტყა; გადუფარებია; დიდი მადლობა გადუ-  
 ხადეს (შღრ. მემრე ველარ გადაუხადა; ტბ.); გადუჳამა; სურა-  
 თები გადულიათ (ჩხ.). ხსენებული პრევერბის გამარტივება  
 ხდება იქაც, სადაც ა'ს თანხმოვანი მოსდევს. მაგ.: გადგიბრუნ-  
 და ფეხი! (მაწ.); გადვიხედე; გადმიყვანეს; გადმიგდო და სხვა. ე:  
 ყვლიპარიასა (←ყველიპარიასა) (თონ., პ. თონ.); ფრინველის  
 ხორცი (ჩხ.); ჳლებს (მხ. ჳელი) ავაჳუჩებთ (ჩხ.). ო: გოდ-  
 რებით მოჳჳონდათ (ჯორჯ.); მაწვნის კერძი (ფარცხ.); სას-  
 წვრები (თონ.). ბოლო ორ მაგალითში რედუჳცია ნაწილობრივია.  
 უ: ეს სათითრები (მხ. სათითური) ძაანა მშველის (პ. თონ.);  
 ნათითრები (მხ. ნათითური) ეტყობა (თონ.).

ხმოვანთა რედუჳციის გვერდით, არაიშვიათად დაცულია  
 ა, ე, ო ხმოვნები ისეთ ფონეტიკურ გარემოცვაში, სადაც მოსა-  
 ლოდნელი იყო მათი ჩავარდნა. მაგ.: ა: კვალის გოგორა (თონ.)  
 (შღრ. კვლის ხარი; ჳორჯ.); გუთანი რო ამოვარდება კვალიდან  
 (მაწ.); ტყემალის მინაგვარი არის (საღრ.); ცხვარის  
 მატყლს ეტყვიან (გოლთ.); წამალის გაუგზავნელობა; ჳვეით-  
 ხარის (←მხრის) ჳალები (გოლთ.); სადულარით ლობიო  
 გვედგა (საღრ.); ბალები (ტბ., მაწ.); ჳალებ (←ჳალებს) (ჯორჯ.,  
 ფარცხ.); ჳალებიან ურემსა (მაწ.); დაილალება; დედოფ-  
 ჳებს ვაკეთამო; კარგი გოგო იზარდება (ჩხ.); გაუავდარ-  
 დება (თონ.); საარაყეთ შევინახამდით (მაწ.). ე: თითბე-  
 რისა იყო (საღრ.); საცერიტოლა; მოზვერათ ითვლება  
 (ფარცხ.); მთხრობელათ გამოვიდოდა (თონ.); მაკრატელა-  
 თა; კარების მაგიერათ (გოლთ.). ო: ადეჳი სასწორი-  
 დანა! (ჩხ.). ბოლო მაგალითში მოსალოდნელი იყო ნაწილობრი-  
 ვი რედუჳცია (მაგიერად, სასწვრიდან).

### მ ა ხ ვ ი ლ ი

ქართლურ კილოში, სალიტერატურო ენის მსგავსად, კითხვითი  
 წინადადებისათვის, რომელშიც კითხვითი სიტყვა არ არის, დამახა-

სიათებელია აღმავალი ინტონაცია, რომელიც ბოლო მარცვალზე ზმის აწევით დასრულდება ხოლმე. ჩვეულებრივ, ასეა ალგეთურ-შიც, მაგრამ არც თუ იშვიათია ტონური (კითხვითი) მახვილის გამოყენების შემთხვევები ბოლოდან მეორე მარცვალზე. ამგვარი ვითარება ძირითადად ზემო სოფლების (თონეთი, პ. თონეთი, მაწევანი, გოლთეთი...) მეტყველებაში უფროა შენიშნული. მაგ.: რა ქნეს, ვერიპრვეს? (თონ.); ისევ მოხვედრი შენ ნატამალზე? (თონ.); (წიწილას) დააგდები ნემდა ქორსა? (გოლთ.); სად იყა, ბიჭო, შეშაზე? (თონ.); რაცა თქვან, უნდა მამიტანონ? (თონ.); მოგვა არ უნდა პურსა? (მაწ.); თქვენი ქათმები მორქვენ? (თონ.); ნასიბი პური არ არი, გოგო? (კლდ.); ურემი და გუთანი არ ვრცი მე? (მაწ.); მაშ ურემს დანდლები არ აქს? (მაწ.); მე ვერ წაგრეყვან? (გოლთ.); ცოდო არ ავარეხლა მე? (მაწ.); მაწონი შავად რდო? (მაწ.); კარქათ აუწყე პირი ნამგალ? (პ. თონ.); ეხლა არ აგეაქ? (სალრ.) (ზოგი მაგალითი მარცვლის დაკარგვაშიცაა).

#### გვერათა განვითარება

ბვერათა ჩართვა აქ ისე არაა გვერცელებული, როგორც ბვერათდაკარგვა, მაგრამ საამისო მაგალითები მაინც საკმაოდაა. თანხმონთანაგან ჩნდება უპირატესად მ, ნ, რ, ვ სონორები. ვხედებით ხმონთანა განვითარების შემთხვევებსაც.

მანის გაჩენა სიტყვის თავში ჩვეულებრივია აღმოსავლური დიალექტებისათვის, რაც სხვა კუთხეებისათვისაც არაა უცხო. მაგ.: მძვირი (თონ.) (შდრ. ძვ. ქართ. ძვრი)<sup>50</sup>; მშური (ჯორჯ.); მზვარა (თონ.) (შდრ. ძვ. ქართ. ზუარაკი)<sup>51</sup>; მცა (მანგ.); მდევი (მანგ.). სიტყვაში „დევი“ მანი აღარ ჩანს, თუ მას წინ უძღვის მითითებითი ამ ნაცვალსახელი: დაატაკა სადგისი ამ დევსა (მანგ.); მქდე (გოლთ.). მანი გადაყოლილია „მქდე“-ს შემცველ ზმნებშიც: დაამქდევენ ჯოხზე (ჩხ.); ავამქდევთ ჯოხით (გოლთ.); ამოვამქდეო (ფარცხ.). მანი განვითარებულია სიტყვის შიგნითაც. მაგ.: მალამ უნდა გამტყციოს (←გატყციოს) კედელი (თონ.); რო დამცხარდეს კრუხი (გოლთ.); ვირი ხეზე არ ამბრა? (თონ.); მამშვრალი (მანგ.); უმძრახნი; უმძრახობა (სუბსტიტუციით ან ასიმილაციით: უნძრახნი; უნძრახობა) (სალრ.).

<sup>50</sup> იხ. მ რ კ, 9, 39.

<sup>51</sup> იხ. ლ კ, 15, 27.

ნ ვითარდება დ, გ თანხმოვნებისა და სხვა ხშულთა წინ. მაგ.: ხმიანობა (სალრ.); ქელი ავანგურთ (მაწ.); თხები გაქენჩე! (გოლთ.); ლინქყი ის არი, ავდარი რო მოვა და მაილინქყება დედა-მიწა (ჩხ.) (შდრ. ლიქყი; თონ.; გოლთ.).

ზმნათა უმრავლესობა მეორე თურმეობითში ბოლოკიდური ა'ს წინ ჩაირთავს ნარს, რაც გაუმართლებელია ახალი სალიტერატურო ქართული ენის თვალსაზრისით. მისი უადგილო გამოყენება ანალოგიით აიხსნება<sup>52</sup>. მაგ.: გაერეცხნა (ჩხ.); მაგრა გაებერტყნა (მაწ.).

რ'ს განვითარების შემთხვევებიდან მხოლოდ ორიოდღა თავისებური (ახალი). მაგ.: გუდაფშრუკა (—გუდაფშუტა) (თონ.). რ'ს გაჩენა ამ სიტყვაში შეიძლებოდა „ფშრუკა“ (ფშრუკავს) სიტყვის ანალოგიით ავეცხსნა; კრიხვინი (მანგ.); დაკურწა (მანგ.). ყ ბგერა რ'შ დაა ქცეული ქართლურში (ასეა, მაგ. შივა და ქვემო ქართლში) სიტყვაში „იარშიკი“ (—ЯШИКИ). მაგ.: ჩაყარეს ამ იარშიკში (მანგ.).

დ ჩართულია სიტყვებში: ქალამანდი, რუსმანდი (—ლურსმანი), ქქნდებოდა.

ვინი ადვილად ჩნდება როგორც თანხმოვნების, ისე ხმოვნების წინ. მაგ.: გამოთიბამს ნაღვრებში (ნალარი) (თონ.); საქვრეთელით დაქვრეთამენ (გოლთ.); ჩხვრიმალი (სალრ.; შდრ. ჩხიმალი); ქავლებ (ქალი) გაუყრიან (გოლთ.); თავთუხის პური (ჩხ.; შდრ. თათუხი); მზვარეულებს მიმბარეს (მანგ.); გუთნის მანქვები (მხოლოდ. მანქი) (თონ.); ბატის ბუმბულს გავსხვეპამთ (გოლთ.); გასხვიპოს რა! (ჩხ.); წადი, ბაგა ამობაგვე! (ჩხ.). ზოგიერთ შემთხვევაში ვინი გვევლინება მასდარში ავ თემიან ზმნათა მასდარების ანალოგიით: მიყოლვა (მანგ.), ან იგი ზმნაშია გადმოყოლილი თავისივე მასდარიდან: ამ ბიჭმა იცურვა, იცურვა... (მანგ.). ხშირად ვინი ჩნდება ზმნებში სხვათა სიტყვის ონის წინ ხმოვანთაგასაყარად. მაგ.: ნეტა ერთი პირი დავადოვო (ტბ.); ლაბა გაუშოვო (სალრ.); უნდა ასიამოვნოვო (ფარცხ.).

სხვა თანხმოვანთა ჩართვის შემთხვევებია: ზ: წყალში რო მოუკიდებთ ფქვილსა, დაიზმურკლება (ტბ.). ხ: მძიმეა სკევრი (თონ.). კ: როცა დიდი ხეა, გავფორტკნით ხომე (გოლთ.). ქ: შედგა ფეჩქზე, შეუკეთა ბლომათ შეშა (მანგ.). ხ: ზრჩოლი (პ. თონ.) (შდრ. რჩოლი; მაწ.). ზ: მემრე, ჰაისა (—აი ისა), კვერცხი უნდა გათქვიფო (ფარცხ.).

თანხმოვანთა გარდა შეინიშნება ხმოვანთაგანვითარებაც. ალგეთურში გვაქვს თითქმის ყველა ხმოვნის ჩართვის შემთხვევა. მაგ.:

<sup>52</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 72, 73.

ა: ურემს კონკილა (←კონკილა) შეუდგი! (პ. თონ.): ერთ დღეს მასპო (=მოსპო) ეს სახემწიფოები (გოლთ.); ცხრათავიანი მღვევი მოვასპეიო (მანგ.). ბოლო ორ მაგალითში „ზედმეტი“ ა'ს ქონა უძველესი პრეფიქსული წარმოების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს<sup>53</sup>. ე: ნაგვალევი (მაწ.); ე დატულია სიტყვაში „ხვალე“: ხვალე დილას უნდა გამოვაცხო პური (ტბ.). ი: ბრიმა (მანგ.) (იხ. უ'ს ჩართვაც). უი, რა ბატასილია! (←ბედასლი; არაბ-სპარ. ბადასლი) (ჩხ.); ჩირდილის პამიდორი დავკრიფე. ა: ფურნეში ჰაჰერი არ შედის (თონ.). უ ხმოვანიც ზედმეტი (ჩართული) ჩანს ძველი ქართულისა და სხვა დიალექტების მონაცემთა მიხედვით შემდეგ შემთხვევებში: ვერა ხედამ, შე ბრუმა!?! (თონ.); ბრუმა (მანგ.); რასა შერები, ქალო, დაბრუმაველები! (თონ.); მე დავბრუმაველებოდი, იმდენსა ვქსოვდი! (გოლთ.). სხვა შემთხვევაში ამავე „ბრმა“ ფუძეში უ'ს ნაცვლად ინია ჩართული: ბრიმა (მანგ.). აშკარაა, რომ „ბრმ“ კომპლექსს, რომელშიც სამ თანხმოვანთაგან ორი წყვილბაგისმერი ხშულია, — თანხმოვანთგასაყარად გაუჩენია უ და ი ხმოვნები. უ აღდგენილია სიტყვაში „სატრფო“, რომელიც „ტურფა“-საგან უნდა იყოს ნაწარმოები (ისევე, როგორც „ტრფობა“)<sup>54</sup>. მაგ.: რა ოცნება სად აფრენდა, აგონებდა სატურფოსა! (მანგ.). ამ შემთხვევაში შეიძლება სალექსო მარცვალთრაოდენობამაც მოითხოვა ხმოვნის ჩამატება.

### ს უ ზ ს ტ ი ტ უ ც ი ა

ბგერათშენაცვლებაც საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ალგეთურში. ერთმანეთს ენაცვლებიან უმთავრესად წარმოების ადგილისა თუ რაგვარობის მიხედვით ახლობელი ბგერები (უპეტესწილად თანხმოვნები), მაგრამ ზოგჯერ შენაცვლება ხდება, აგრეთვე, ამ მხრივ საკმაოდ დაცილებულ ბგერებს შორისაც. დავიწყოთ ბაგისმიერებით და გავყვეთ უკანა რიგის ბგერებისაკენ.

ბ — ვ: იჰმევა (სალრ.): გამეტევით ურტყამს; ქმარი ეებნევა (ეუბნება) (გოლთ.) (შლრ. ვეებნებოდი; მანგ.). წარმოდგენილ მაგალითებში შეიძლება დისიმილაცია გვექონდეს, ორ მათგანში (იჰმევა, გამეტევით) ნაწილობრივი ხასიათისა, რადგან აქ მადისიმილირებელია მ ბილაბიალი თანხმოვანი, მესამე კი (ეებნევა), — სრუ-

<sup>53</sup> შლრ. არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის, ქართულ ზმნებში, იკე, ტ. II, თბ., 1959.

<sup>54</sup> ა. შანიძე (იხ. ვ. თოფური, რელექციისათვის ქართველურ ენებში: იკე, I, გვ. 81).

ლი სახისა. ე ე ბ ნ ე ვ ა ზმნაში რომ დისიმილაცია არ არის გამო-  
 რიცხული, იქიდან ჩანს, რომ თუ საანალოზო სიტყვაში პირველი ბ  
 დაკარგულია, მაშინ მეორე უცვლელად რჩება. მაგ.: ე უ ბ ნ ე ბ ა,  
 რო ყანები მოვჭრათო (ჩხ.). თუმცა ქართლში ვხვდებით ე ბ ნ ე ბ ა  
 ფორმასაც. ბ — ფ: ამას უწოდებენ ეჯიფს (ჩხ.). შეიძლება აქ ასიმი-  
 ლაცია იყოს, იმ შემთხვევაში, თუ სახელობითში არ დასტურდება  
 „ეჯიფი“. ფორხონა (ბორხვენა; ბალახია). ხ'ს გავლენა ხომ არაა  
 აქ? ფ — ბ: ისეთი ბუნთუშა<sup>55</sup> პური გამოვიდა რო! (თონ.). პ — ფ:  
 აფუტარაკი (←აპუტარაკი; ბალახია; მაწ.); ქათამი გავფუწკოთ!  
 (თონ.) (შდრ. ეს ქათამიც გაიპუწკა; თონ.). ფ — თ: თათარა და თელა-  
 მუში ორივე ერთია (თონ.). მ — ბ: შემოვახობიკეო (ფუძეა „ხობიკი“)   
 ყველაფერიო (საღრ.); ცეცხლი შამოხობიკებული გვაქ (ბგვ.);  
 ბრუდე ხე (პ. თონ.); საყვერის უღელი ბრუდეა (ჩხ.); სიბრუდე.  
 ბ — მ: როგორ მუსლუკებივით არიანო (ჯორჯ.) (შდრ. ბუსლუკს  
 ეტყვიან; ფარცხ.) ...მუხუნძელა (საღრ., ფარცხ.); არ იკმინება  
 (ფარცხ.); ისეთი კმენარი (←მკბენარი) მყვანდა, — ერთი შაკაზმუ-  
 ლი ცხენი ღირდა! (ტბ.); ძალს ვეძახით კმენარსა (საღრ.); არსენას  
 ნათლიმამა ბოდმისხეველი იყო (ტბ.). ბ'სა და მ'ს მონაცვლეობას  
 ადგილი აქვს ებ და ობ თემის ნიშნებშიც, რომლებიც შესაბამისად  
 ემ'ს და ომ'ს გვაძლევენ: გაგაფუჭემს; ყიდულომს და სხვა. ასეთი  
 მონაცვლეობა დამახასიათებელია ქართლის რამდენიმე კუთხისა-  
 თვის<sup>56</sup>. ვ — მ: მიწრო (გოლთ., ჩხ., ჯორჯ.); უნდა შამაამიწროვოთ!  
 (ჩხ.); მომიწროებული (ჯორჯ.); ამსებოდა (ჯორჯ.); ტიკი გაგიმსოსო  
 (ტბ.); ულმაშებივით ამოდის (ჩხ.); დაურმება (←დაურვება); სა-  
 ურმელი (←საურველი) (შდრ. საქონელ დაურვეოთო საურველი-  
 თაო; ფარცხ.). ალგეთურში დადასტურებულია ს ა უ რ მ ე ლ ი'ს  
 ნამეტათეზისარი ფორმაც: ს ა მ უ რ ვ ე ლ ი, რომელშიც მანს  
 მესამე მარცვლიდან მეორეში გადაუნაცვლებია; სასწვრები სამი  
 მასკვლავია დაწკებილები (თონ.); მოვიდნენ თუარმე (←თუარვე),  
 მაშინვე დაებანე (კლდ.) (შდრ. ავალთ თუარვე, — იქვე ცხოვრობ-  
 და; ჩხ.) (სხვა მაგალითები იხ. სინტაქსში, გვ. 92). თ უ ა რ ვ ე ||  
 თუარმე კავშირი, რომელიც დროის გარემოებას ერთვის, კონტამი-  
 ნაციით ჩანს მიღებული „თუ არა“ რთული კავშირისა და „მაშინვე“  
 ზმნიზედისაგან<sup>57</sup>. შესადარებელი მაგალითის („ავალთ თუარვე...“)  
 შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ სიტყვა „თუარვე“ მისთვის ჩვე-

55 ეგების აქ ნ'ს გავლენასთან, ე. ი. ასიმილაციასთან, გვაქვს საქმე.

56 მაგ. გომარულისათვის, აგრეთვე, მესხური და ჭავჭავური კოლოებისათვის.

57 შდრ. გ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

ულ გარემოცვაში არაა ნახმარი, — მას არ ახლავს სიტყვა „მაშინ-  
 ვე“. ვ'სა და მ'ს მონაცვლეობას ადგილი აქვს -ავ და -ევ თემიან.  
 ზნებშიც: სძინამს; არ უნახამს; გოქსა გამს; ვერა ხედამდა; წემს;  
 მისდემდა და სხვა (შდრ. გამოვნიჩბავთ; ჩხ. და სხვა). მ — ვ: მინავ-  
 დე (←მინამდე) (გოლთ.); მწყევსი; ამწყევსებდნენ. მ — ნ: უძძრახი  
 (თონ.); უძძრახობა (სალრ.); ბადინები (←ბადიმები) (ჩხ.); მარია-  
 ნობისთვე (გოლთ.); ხენწიფე (გოლთ.) (შდრ. ხემწიფე; გოლთ.);  
 ავტანობილი (ჩხ.); რანკიანი (←„რამკიანი“) (გოლთ.): მოვანტკრევთ  
 (სალრ.); ეგრე დაინტკრესო (თონ.) მიიხონნიკა (←მიიხონნიკა)  
 (სალრ., ბგვ.); შემოვიხონნიკებთ (სალრ.); უნცროსი: ზურნუხტი  
 (მანგ.); დაანწყვერევენ (თონ.). ნ—მ: სამთლებ აანთებენ (ჩხ.); გამ-  
 სხვაება (ჩხ.); გაამთავისუფლა (გოლთ., მანგ.); ჩამ (ჩანს); იმტერე-  
 სი; ოლომც; მუჟრი; გამცხადება: გადავანარჩუმე; ღურღუმი (თურქ-  
 ღურღუნ—ღამდგარი, დაგუბ. წყალი და სხვა; ალგეთურში: ქვეშქვე-  
 შა, ჩუმჩუმა ადამიანი: ჩხ., პ. თონ.) [შდრ. ღურღუნნი (პ. თონ.); ტურ-  
 ღუნია (ჩხ.). იხ. ქემოთ: დ — ტ]⁵⁸. ბ — გ: გულაფკა (←гyлавка);  
 ცხვარი გაინერგა (ჩხ., ჯორჯ.); სანერგი ცხვარი (ჯორჯ.) (შდრ.  
 ცხვარმა ინერბა; თონ.). ნერგ ფუძის გავლენა ხომ არაა? დ — თ:  
 რამთენჯერ (სალრ.); რამთონი გამოვა? (გოლთ.); მაქთენ (←მაგდენს)  
 (ჯორჯ.): იმთელი. დ — ტ: ბანტაევიით (←бандаж) ჰქონდათ (ბგვ.);  
 იმტენი; იმტელი; იმტელჯერ; იმოტენა; თითონ ტურღუნია (←ღუ-  
 რღუნნი) (იხ. ზემოთ); რა ტურღუნაა! (ჩხ.) უი, რა ბატასალია!  
 (←ბედასლი; იხ. ი'ს ჩართვა; გვ. 44). თ—ტ: მახატი (მანგ.).  
 ტ—თ: გაითართლაო (←გაიბარტლა), გათართლულიაო (ფარცხ.);  
 გათართლა (არის) ტალახში ამოსერა (შ. თაქ.) (შდრ. ა ი ტ ა რ -  
 ტ ლ ე ბ ა და ტ ა რ ტ ლ ფუძის შემცველი სხვა ფორმები).  
 დ—რ: ანწყვერევა; დანწყვერული. დ—გ: გვრიტა (←დვრიტა)  
 (სალრ., გოლთ., ჩხ.). ს — ზ: ზემიქკა (||ქემიქკა); პაკოზი (←пакос);  
 ზაპოენიკი. ნ—ლ: ლოდარი (←ნოდარი); ლიკორწმინდა: შებილი  
 (←шебиль); სული (←სუნი) (ფარცხ.); რამდელა (←რამოდენა)  
 (მანგ.); იმოტოლა: იმტელი (ჩხ.); ბალანა (←ბანანი) (ტბ.). ლ — ნ:  
 ქანწული (ჩხ.); შვინდისარი (მანგ.); ძრიენა (←ძრიელ—ძლიერ)  
 (სალრ.). რ — ლ: გაწლიოკებულიო, გამხდარიო (ჯორჯ.); აუქავლეო  
 (←აუქავრე) (ბგვ., გოლთ.); აქავლება (ბგვ.); ინდაული; სუფლა.  
 ლ — რ: ცხირწყარო (←ცხილწყარო—ცხილიწყარო—რცხილიწყა-

58 ზოგ მაგალითში შეიძლება ასიმილაცია იყოს (მ—ნ: უძძრახი, მოვან-  
 ტკრევთ), ზოგში კი — დისიმილაცია (მ—ვ: მინავდე, მწყევსი. მ—ნ: ბადინები,  
 მარიანობისთვე. ნ—მ: სამთელი, გამცხადება).

რო—რცხილისწყარო) (პ. თონ.). რ — ნ: იელენტულა (—იელურ-ტულა). ნ — რ: ბარანა (—ბანანი) ვაშლი. რ — მ: მოლმეცილი (—მოლრეცილი) (ჩხ.) (მოლრეცილი'სა და მოლმეკილი'ს შერწყმა?!. ზ — უ: უღმარტლი; უღმარტლიანი (ადგილის სახელწოდებაა). ზოგჯერ სპირანტს ენაცვლება აფრიკატი, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ეს სპირანტი წარმოადგენს: ზ — ძ: სიძმარში ენახე (გოლთ.); საგძალი; მძლარათ ხენა (აქ მეტათეზისიცია მომხდარი) (გოლთ.); გვერძე; ძინძობილი (—ЗЕНДЗУБЛИ) (თონ.); ძიგძაგი (—ДРОИИДЗУГ) (ტბ., მაწ.); ჯერ დავაძიგძაგებთ, მერე დავფარცხამთ (მაწ.) (შდრ. დააზიგზაგებს; მაწ.). ს — ც: წვერი შეეპარცა.

ზოგჯერ პირუკუ პროცესთან გვაქვს საქმე, ხდება დეზაფრიკატიზაცია. საამისო მაგალითები შედარებით ნაკლებია: ძ — ზ: იმერეთისკენ იციან ზარი (—ძარი) (მაწ.); ნაფუზარი; ბაზო (—ბაძო). ძ — დ: ედება (—ედება); კორდებიანი (—კორძებიანი) ხე. ბოლო ორ მაგალითში გამჭრალია აფრიკატ ძ'ს შემადგენელი ზ სპირანტი და იგი (ძ) ოდენ ხშული დ თანხმოვნითლა წარმოდგენილი... ტ — კ: კავოტი (—ტაოტი) (ჩხ.); ეს, შვილო, ბონძიკაა! (სალრ.) (შდრ. ბონძიტა; დ. ჩუბ.; ბონძოტი; საბა); მწლაკეა შინდი (მაწ.) (შდრ. მწლატე ძვ.; გლ.). ტ — ჭ: დიდი ჭვირთი მიმაქ (თონ.) (აფრიკატიზაცია). წ — ტ: კვირტლი (—კვირწლი) (ჩხ.) (დეზაფრიკატიზაცია). შესაძლოა აქ გვექონდეს შერწყმა ორი სიტყვისა, რომლებაც თითქმის სინონიმურია: კვირტი და კვირწლი. წ — ჭ: ჭირიხტა (სალრ.) (წირიხტა; გლ.). ჭ — ჩ: კაუჩიანი (—კაუჭიანი) ხე (ჩხ.). ჯ — უ: შეჟდა (ესეც დეზაფრიკატიზაციის ნიმუშია). ჯ — ძ: ძამბარა (—ჯამბარა); საძამბრე. ძ — ჯ: ნახევარი დღის მიწა ამოვჯირკვე (ჩხ.). ჭ — ჯ: ჯუჯრუტანა (—ქუჭრუტანა). გ — ქ: კარქა (ტბ., გოლთ.); კარქობა (თონ.); დაკარქული; დაკარქვიყო. გ — კ: დაჯანდაცდება (გოლთ.); ფარდაკი (ფარცხ.); ამხანაკი (ტბ., გოლთ.); ბუნაკი; ნალოკები. ქ — კ: ქათმებს ფორიაკი შეუყენა (ფარცხ.); აგვაფორიაკა (სალრ.); ქუჭყი ძირს ჩაილეკება (მაწ.). კ — ქ: ქვირიონი არის ის, ფუტკრებ რო შკამს (სალრ.). ყ — კ: კორული (||ყორული) (თურქ. koruk 'ნაკრძალი'); თივას დავაკორულემთ (მაწ.); კორლანი (||ყორლანი) (თურქ. kurgan 'ციხესიმაგრე'); კულაბი (||ყულაბა); კუნწი (||ყუნწი). ს — ჰ: ზმნებში, ცხრა თანხმოვნის წინ ს'ს ნაცვლად ზოგჯერ ჰ პრეფიქსი გვევლინება. მაგ.: დაჰთალა; დაჰთვლიმამდა; ჰთესია; დაჰტაცა; მოჰტეხიყო; დაჰტყუა; მიჰცეს; ჰცვივა; აჰწიეს; მოჰწიეს; მოაჰწარი; დაჰწერა; შეჰწვდებოდა.

ხანის ადგილას ზოგჯერ იმავე ჰაეს ცხედებით ნათ. და მიც. ბრუნვებში და სიტყვის ფუძეშიც.

სანს ჰაე ენაცვლება ბრუნვის ნიშნებში: ა) ნათესაობითი ბრუნვა: ორი წლიშ თავზე; ხარები ტყიჰკენ გარეკა; იმიჰთვინ; ბუზიჰტოლა; ძმიჰწული. ბ) მიცემითი ბრუნვა: ჩემ დაჰ დეეძინა; მამაჰ უამბე; მეცხვარეჰთან და სხვა.

ს'ს ნაცვლად ჰ გვაქვს სიტყვის ფუძეში, მაგ.: ფოჰტის უმფროსი; საჰტუმრო; ქრიჰტინე; ქრიჰტიანი; ჰწორია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა უპირატესად მდ. ალგეთის ზემო წელის სოფლებში შეინიშნება.

ხმოვანთა მონაცვლეობიდან აღსანიშნავია:

ა — ე: პოვერი (←повар) (ფარცხ.); მაშერელი (მანგ.) (ამ ორი მაგალითიდან პირველი უცხო სიტყვაა და ამიტომ შესაძლოა არა სწორად გავიხილი, მეორე კი — იშვიათად ხმარებული, წიგნური). ა — ი: ხალისი (←ხალასი) პური (გოლთ.); სინამ. ე — ა: ხეჰკაჰური (ჩხ., გოლთ., ტბ.) (შდრ. ხეჰკეჰური სხალი; ფარცხ.); გარეშამო (ტბ., ჩხ., მაწ.). ბოლო მაგალითში რთული სიტყვის მეორე ნაწილი, შამო-ზმნისწინი შემო-ს ენაცვლება. უ — ა: გალუსტაკი (←გალუსტუკი←ჰალსტუხი) (ჩხ.). ამ მაგალითში უცხო სიტყვის არაადეკვატურ აღქმას, ალბათ, დაემატა საკუთარი ენის მარაგიდან ფალუსტაკი'სა, გუნდა-ლახუსტაკი'სა და მისთანათა გავლენა, ე — ი: შებილი (←шебень). ი — ე: ისენი (ჩხ., საღრ.); პრავეზია (←провизия) (მანგ.). ი — ო: პოშოლის მავგაროა (ჯორჯ.). ი — უ: მამა უხეურო (←უხეირო) ჰყამ (ჩხ.): უხეურო ადგილია (კლდ.); შავად შეღებული; მოტანული; (ბოლო ორ მაგალითში ცვლილება მიმღეობის -ულ მაწარმოებლის გავლენითაა გამოწვეული); კრუჟონიკი (←кружовник). უ — ი: იფრო (ბგვ., საღრ., მაწ.). ო — უ: გაღმა ხუშკაკალა (←ხოშკაკალა) მოდის, როგორ გაათეთრა! (პ. თონ.); ხუშკაკალა, — იგივე სეტყვა (შ. თაქ.); ცოტა ხუშურები (=ფიჩხ-ფუჩხი) მოჰკრიფე და მიიტანე! (ტბ.) (შდრ. ხოშორი „წვრილისა და ჰხვილის საშუალი“; საბა). ო — ე: მონება. ამ მაგალითში ო'ს ე'დ ცვლა შეიძლება მორფოლოგიური ხასიათისა იყოს: -ებ ფორმანტიანი მასდარის ანალოგია, ან კიდევ პირიანი ფორმის, ემონება'ს გავლენა.

#### კოვალასთა მონაცვლეობა

ენებსა და მათ დიალექტებში წარმოდგენილი ხმოვანთა და თანხმოვანთა მრავალგვარი კომპლექსები სხვადასხვა ხასიათის ცვლი-



ლებებს განიცდიან. ამგვარ ფონეტიკურ მოვლენებს უხვად ვხვდებით ქართული ენის დიალექტებშიც. ალგეთურ მეტყველებაში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვიწრო+ფართო (ო+ა) ან თანაბარი ლიანობის (ო+ე, ო+ო) ხმოვანთა კომპლექსების რეგრესული დისიმილაციური დავიწროება უა'დ, უე'დ, უო'დ. ანალოგიურ ცვლილებას განიცდიან (უა, უე, უო ჩგუფებს გვაძლევენ), აგრეთვე, ოვა, ოვე და ოვო კომპლექსებიც.

ზემოწარმოდგენილი მონაცვლეობა დამახასიათებელია საერთოდ ქართული ენის დიალექტებისათვის<sup>59</sup>.

ოა — უა დადასტურდა: ა) ო ხმოვანფუძიან სახელებზე ა სუფიქსის დართვისას. მაგ.: არ ვარგა, ალაუა (←ალაოა) (ჩხ.); ვარუასა შკირდა (ტბ.); ძალუა (მანგ.). ბ) მო- პრევერბიან (აგრეთვე მო-'ს შემცველ რთულ პრევერბიან) ზმნებთან, როდესაც ამ პრევერბს მოსდევს ა ხმოვანი. მაგ.: ფეხი მუაქრა (←მოაქრა) (გოლთ.); მაგრა მუაქრა პირი; გამუატარეს ის ქალი (მანგ.). ოე — უე გვაქვს ო ხმოვანფუძიან სახელებში, როდესაც ისინი -ებ სუფიქსს ირთავენ. მაგ.: კალუები (ტბ., გოლთ., კლდ.); კოფუები (სალრ., ტბ.); ბევრჯელ დაგვიბრმავებია სორუები (ფარცხ.); დრუება და სხვა. ოვა — უა: მოაწუა (←მოაწოვა) (თონ.); სიბერემ თავზე დასთუა (მანგ.); რო შამუა, კარქა დამწიფდება (გოლთ.); ძალუა შენმა დამპატიყა წინდი საქსუარაზედა (მანგ.); ხბორი საძუარზე გაუღით (ჯორჯ.); გასათხუარი გახდა (მანგ.). ოვე — უე: პროცესი ხდება უმთავრესად ზმნებში, როგორც დაბოლოებაში, ისე პრევერბებთან. მაგ.: არ აწუემდა ხბოსა (თონ.); აძუემს (თონ., ჯორჯ.); ჩემი ქალი ითხუეო (გოლთ.); წინდას ქუსლი გამოვაქსუე (თონ.); ყველაფერი იპუება ჩემს ოჯახში (გოლთ.); ჩვენ წინ წამუელით (გოლთ.). ამგვარ მონაცვლეობას ადგილი აქვს სახელებშიაც: მეველე ვერ იპოვიდა მძუებელსა (ჯორჯ.); ჩემი ნავრუები. ოვო — უო: ეს ოვო წარმოდგენს -ოვ თემიანი ზმნების დაბოლოებას I კავშირებითში. მაგ.: ქელი უნდა ავანგრუოთ (მაწ.); ქალი უნდა ვითხუოო (მაწ.). ეე — იე: ვაკიები (კლდ.). ეა — ია: ესა ხია ესე მოქნილი, როგორც ნიჩაბი (ჩხ.). ეუ — იუ: ანიულეები (←ანიელეები) (კლდ.). ეე — იე, ეა — ია და ეუ — იუ სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესს გულისხმობს [პირველი ორი

59 შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იყე, I, თბ., 1946, გვ. 25, 26, 28, 29; ა. შანდიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ., 1962, გვ. 23.

(ეე — იე და ეა — ია) დისიმილაციაა, მესამე (ეუ — იუ) — ასიმილაცია, მიუხედავად ამისა, ფიზიოლოგიურად ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან; ეს არის კომპლექსის წარმოთქმის გაადვილება.

ვა — ო. ხმოვნათა მონაცვლეობის გარდა, ცვლილებებს ადგილი აქვს მარცვალთა შორისაც; აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ვა — ო პროცესი, რაც მეტ-ნაკლებად ქართლის სხვა კუთხეებშიც (ყველაზე მეტად ქართლის ჩრდილო ნაწილში)<sup>60</sup> შეინიშნება, მაგრამ იგი ქართლურისათვის იმდენად არაა ნიშანდობლივი, რამდენადაც აღმოს. საქართველოს მთიანეთისა (მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური...) და ბარის (კახური), მათ შორის, ამჟამად, ჩვენთვის უკლებლივ ფარგლებს გარეთ მყოფი კილოებისათვის.

არნ. ჩიქობავა ვა'ს ო'დ შერწყმაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ვ ბგერის იმ ფონეტიკურ თვისებას, რომ იგი: „ქართულში თანხმოვნების შემდეგ ჩვეულებრივ არსებითად წყვილბაგისმიერია“<sup>61</sup>. მთიულურში ვა — ო დადასტურებულია მეტწილად იმ სიტყვებში, რომლებიც ძველ ქართულში უა'თი (უმარცვლო უ + ა) გადმოიციმოდა (თუალი, ჭუარი, კუალი...), სიტყვის თავში, ან სიტყვის შიგნით, თანხმოვნის შემდეგ<sup>62</sup>. მთიულურისავე მასალის მიხედვით ვა'ს ო'დ ქცევამდე უნდა გაეველო ვო საფეხური<sup>63</sup>. ვა'ს ო'დ ქცევას ადგილი აქვს როგორც სახელებში, ისე ზმნებში. მაგ.: ცოდო არა ვარ ეხლა მე? (მაწ.); ერთი ბეწო (მაწ.); ურემში შევდოთ; მოაქვომ ერბოში (საღრ.); მიიწომს და აიხრაკება (ჩხ.) (შღრ. მიიწვავს<sup>64</sup> ძირზე; მთ.); ქვამარილს დაეფქომთ (გოლთ.) (შღრ. დაეფქვამთ; ჩხ.); სახედრები გაუშვა (შღრ.!), სახედრები ბალახზე გაუშო და მგლებმა არ დაუჭამეს?! (ტბ.); მიბლიკვნა (სცემა) და გაუშო (ჩხ.); ჩაიცო ვაშკაცურათ (გოლთ.); ცოცხ მოუსომენ (გოლთ.); პატარას ფოფონა ერქო (ტბ.); არსენას უთქომ (ტბ.); თავის ნააქომპაროა, კერპი! (ჩხ.). საპირისპირო პროცესის დამადასტურებელია ო — ვა. მაგ.: მაგ გვარსალა პანტას როგორა შქამ?! (პ. თონ.) (შღრ. გორსალა)<sup>65</sup>; ხოლმე/ხვალმე მონაცვლეობა იხ. გვ. 66. ვე — ო. -ვე

60 გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, არაგვის ხეობის ქართლური, გვ. 315, 316.

61 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 44.

62 ი ქ ვ ე, გვ. 45, 46.

63 ლ. კ ა ი შ ა უ რ ი. მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 12.

64 საინტერესოა, რომ ვა და არა მისი მონაცვლე ო ფიქსირებულია მთიულურის მეტყველებაში.

65 შიგა ქართლი, სოფ. მეჭერისხევი, ჩვენი მივილინების მასალა.

ჯგუფიც იმავე ო'ში გადადის, როგორც სახელებში, ისე ზმნებში, მაგ.: ხაროზი (← ხარეზი) დაპყვებოდა (ჯორჯ.); ფორხონა (ბორხენა) (პ. თონ.); კოდის თავ-ბოლო სადღობელივით იყო (კლდ.); დღაბ-დღუბ, — გააქ სადღობელს! (გოლოთ.) (შდრ. სადღეებელი გამიტყდა; მთქმელი იგივეა!); ეძებდო, — პოობდო (მანგ.). ეს მოვლენა უპირატესად მთის კილოებშია გავრცელებული, ჩვეულებრივია დასავლური კილოებისათვის. ვი — უ. ვი (უმარცვლო უ + ი) გვაძლევს უ'ს სიტყვებში: წუვი, წუმა, საყურველი, ხუთო, ყიული და -თუს (← -თვის) თანდებულში. მაგ.: მოიტა, ქალო, ჩემი წუები (← წუეები) ჩაიცო! (ჩხ.)<sup>66</sup>. წუმა (მანგ.); რანაირათ ააშენეს. საყურველი ამბავია! (ტბ.); გააღესამენ ხუთოში (სალრ.); მამლის ყიულმა რო მათანა (გოლოთ.); ისეთი საპალტოვე მისცა გოგოსთუსა, რო კარგი ძალიანა! (ჩხ.). მოვლენას ეხვდებით რიგ ქართულ კილოში.

აღგეთურში გავრცელებულია სკ/შკ და სტ/შტ ჯგუფების მონაცვლეობაც, რომლებშიც ს'ს ენაცვლება ში'შინა შ არაში'შინა კ და ტ თანხმოვანთა წინ. მაგ.: სკ — შკ: ზაკუშკის თეფში (გოლოთ); სახნისმა თქვა, ქვეშენელ დავალ (მანგ.); ფაშკუნჯი (მანგ.). სტ — შტ: მე ავალ აგერ და დაუშტვენო (მანგ.) (შდრ. რო მოვა დათვიო, დაუსტვენო. მანგ.). პირუკუ ვითარების ამსახველი ფაქტები, რომლებიც, აგრეთვე, დასტურდება აღგეთურში (შტ — სტ: ისტიდან გადავარდი; მუსტა), შეიძლება პირველსახეს წარმოადგენდნენ და არა ფონეტიკური ცვლილების შედეგს, როგორც ეს ჯერ კიდევ XVI — XVII საუკუნეების ტექსტებშია დადასტურებული (ტასტი და მისთ.<sup>67</sup>; საინტერესოა, რომ ამ სიტყვას მხოლოდ ამ სახით წარმოსთქვამდა გ. ნ. ს., თბილისელი ინტელიგენტი, დედ-მამით შიგა ქართლელი). სკ/შკ, სტ/შტ, შტ/სტ მონაცვლეობა რიგ ქართულ კილოშია გავრცელებული, უპირატესად აღმოსავლურში.

### თანხმოვნის დახრუპა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში

აღგეთურ მეტყველებაში ჩვეულებრივია მედერი თანხმოვნის დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში; ყრუვდებიან ბ, დ და სხვა თანხმოვნები.

<sup>65</sup> „წუვი“ დადასტურდა დაბა წუნეთშიც: „წუვი ჩაიტანდნენ შარვალა და ჩახსაკრავით შეიკრამდნენ“.

<sup>67</sup> ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს., თბ., 1964, გვ. 23, 24.

ბ — ფ: ჩარხ მისცემ და ატრიალევ (ჩხ.); არ გაუშვევ (მაწ.); გავენებევ თავსა (ჯორჯ.); რა ქუშიანი ცხენივით ახველევ (ჩხ.); ქერქს გააძროვ (ჩხ.). ბანი ყრუვდება ხმოვანთ შორისაც<sup>68</sup>; მაგ.: ამამზღევ, — ინანეფო (გოლთ.); რას ბურტყუნეფო; სოკოსეფვა (თონ.).

დ — თ: საქმე რო მარჯვეთ მოვა (ჩხ.); მეძნეურეთ ვიყავი (თონ.); საარაყეთ შევიანახამდით, პურათ ის არ იქნებოდა (მაწ.); სხვილათ დაუფქვიათ (გოლთ.); ზეთ<sup>69</sup> დაადგა. დ'ს დაყრუებას არც ხმოვანთა ორმხრივი მეზობლობა უშლის ხელს. მაგ.: ბარათოვს დაუყენებია კოშკის ყარაულათა (ტბ.); ყვითლათა მწიფდება (ჩხ.); ძველათა (გოლთ.); ტამაზლუხათა (პ. თონ.); ჩავდეთ წნილათა.

### ხმოვნის გაგრძელება (თუ გავრცელება)

აღგეთურ მეტყველებაში არაიშვიათად ვხვდებით ხმოვნის გაგრძელებულად წარმოთქმის შემთხვევებს. შეუიარაღებელი ყურით გავვიპირდა იმის დადგენა — ამგვარ შემთხვევებში ნამდვილად ხმოვნის გაგრძელებასთან გვაქვს საქმე, თუ გემინაციასთან. უფრო საფიქრებელია, რომ აქ მართლაც ორი ხმოვანია<sup>70</sup>, რომელთაგან მეორე უფრო სუსტი შემართვისაა. მოვლენა შეინიშნება ერთმარცვლიან ზმნებში (რომლებსაც ზოგჯერ სხვათა სიტყვის ო ერთვის) და მას ექვემდებარება ხუთივე ხმოვანი. ა ხმოვნის გაორმაგება ხდება ჩვეულებრივ არ ის (I და II პირში), ჰყავს და აქვს ზმნების აწმყო დროის ფორმებში. ეს ანიანი მაგალითები შედარებითი სიმრავლით გამოირჩევა, რაც სათანადო ზმნების უფრო ხშირი ხმარებით აიხსნება მხოლოდ. ხმოვანგაორმაგებული სიტყვა (შემასმენელი) წინადადებაში ერთგვარად გამოყოფილია მომდევნო პაუზითაც.

ა: უნაფქოთა ვაარ (გოლთ.) (მდრ. უნაფქოთა ვართ: ჩხ.); მეც ნახევარი ქვა ვაართო (გოლთ.); უხეიროები ხაართო

<sup>68</sup> ანალოგიურ პოზიციაში ბ თანხმოვანი შემონახული აქვს კახურ კილოს (იხ. არ. მართიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52, 53).

<sup>69</sup> ყრუ თანხმოვანი უცვლელად რჩება ამ სიტყვისაგან ნაწარმოებ რთულ სიტყვაშიც, ე. ი. სიტყვის შიგნით: ზეთსიძე (—ზედსიძე).

<sup>70</sup> იხ. ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში: იკე, I, 1946, გვ. 342, შნშ 3; ნ. ქუთელია და თ. აბზიანიძე, ქართული დიალექტის ზოგიერთი ინტონაციური თავისებურება: თსუ, საიუბ. კრებ. მიძღვნილი გ. ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი, 1969, გვ. 151.

(გოლთ., საუბ.)... მონავარი ბატები მყაამ (ჩხ.); სუ თეთრი ცხენები ჰყაავთ (მანგ.); ეგ ერთი შვილი გყაამსო (ფარცხ.) ...აიღეფ კორკოტსა, თუ გააქ (ფარცხ.) (შღრ. წველა გააქ, ბიჰო?; აქ, როგორც კითხვით წინადადებაში, მახვილი კითხვითი სიტყვის მეორე ას ხვდება); რაც ფული მააქ, — მოქცემთო (მანგ.); ისე მააქ დაფანტული ტვინი, რო! (თონ.); შენა გაქ (შღრ.) დიდი ხმაო? — მე მააქსო (მანგ.) ...რაც ამ საცალომა ქნააო, ხვალ დილაზე ვთქვააო (მანგ.). ე: ეს წამალი რგეებს (კლდ.); დევებმა თქვეეს (მანგ.); გვაქეს ეს გაორკეცების მაგალითი სახელურ ფუძეშიც: ამართეის დიდი ძეელი (მანგ.). ი ხმოვნის გემინირება ჩვეულებრივ ხდება ზმნის ი ფუძიან ფორმებში. ძირითადად ასეთებია ზმნები, რომლებსაც აწყყოს ფუძე ინით ეწარმოებათ. მაგ.: დიდ სიამოვნებასა მგვრის (საღრ.); აგე, ჩეროში ზიის! (თონ.); ერთი ბებერი კაცი ზიის... წყლი პირზე (მანგ.); ღმერთი სუ ქადა-ნაუქსა ჰყრიისო (მანგ.); ყველამ თითო ზღაპარი თქვიითო (მანგ.). ძალიან ძვირი ღიირს (ენაგ.).

ო: გრძნობს, რო ცუდი თვალთ უყურებს (ჯორჯ.); მთხოვს, მაგრამ არ ვაძლევ (ბგვ.).

უ: ეს ქვაბი უკვე დუულს! (თონ.).

ხმოვნის ამგვარი გაორკეცება საერთო მოვლენაა ქართლურისა (ქართლის სხვა კუთხეებშიც შეინიშნება)<sup>71</sup> და კახურისათვის<sup>72</sup>; იგი დადასტურებულია ზემოიმერულშიც<sup>73</sup>. ხსენებული მოვლენა აქამომდე მხოლოდ ა ხმოვნის მიმართ იყო შენიშნული, რაც მისი ფონეტიკური ვარიანტულობის ერთ-ერთ საბუთადაც იქნა მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში<sup>74</sup>. აღსანიშნავია ერთი გარემოება: ზემომოყვანილი ყველა შემთხვევის ანალოგიური ფაქტები უცხო არაა სალიტ. ენაზე მოუბარ პირთა მეტყველებისათვისაც (ფიქსირებული გვაქეს რამდენიმე მაგალითი), რაც ქ. ლომთათიძეს შეუნიშნავს „აქეს“ ზმნის მიმართ. ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მოვლენის კვალიფიკაციისას.

71 იხ. მაგ.: ალ. დლონტი, გრძელი ანის საკითხისათვის ქართლურში: თსუ შრომები, XII, 1940.

72 იხ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65, 66.

73 იხ. პ. ჭაჭანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 64.

74 იხ. პ. ჭაჭანიძე, იქვე.

არსებითი სახელი. ფუძემოვნიანი სახელები სახელობითში ზოგჯერ -ი სუფიქსს დაირთავენ. მაგ.: ერთი დიდი ჯამი რძი ფუთი შეეკამე (თონ.); პაპაი ავთ არი (მანგ.); იყო ერთი ხემწიფეი (მანგ.); მე ისევ ის სანდროი ვარ და მაგათი სიაყვაცე! (კლდ.); გომარლები ამბობენ: ელენეი, დათიკოი... (ჩხ.). ეს მოვლენა ქართლის სხვა კუთხეებისათვის უფროა დამახასიათებელი<sup>75</sup> და ალგეთურში შედარებით იშვიათად გვხვდება. იმავე -ი სუფიქსით გაფორმებულ სახელზე -ვით თანდებულის დართვის შემთხვევაც მოგვეპოვება: ბუცი ვით რო არი! (გოლთ.).

ერთ შემთხვევაში მრავლობითობის -ებ ფორმანტის დართვას ფუძეთანხმოვნიან სახელზე არ გამოუწვევია სახელობითის ინიშნის მოკვეცა, ესაა მიკროტოპონიმი ფიჭვიები (კლდ.).

მიც. ბრუნვის -ს ფორმანტი ხმოვანფუძიან სახელებთან ზოგჯერ წარმოდგენილია -ახ, -აჰს, -აჰ ან -ა'ს სახით. მაგ.: ქორი დაეცა კრუხ-წიწილაახ და წაასხა (გოლთ)... ყველაზე პირველათ ეგ მოლის, — თუთააჰსთან ერთათ (ტბ.) ... სხვააჰსთან დაიარება (მაწ.)... იმაჰ დედა არ უნდა (სალრ.); სქლათ რო რამეჰ დაფთესამ (სალრ.); მეწვრიმალეჰ დაადედა (გოლთ.); გაყოფის დროჰ გადაადებენ (ჩხ.) და სხვა.

რაც შეეხება მიც. ბრუნვაში დასმულ თანხმოვანფუძიანებს, ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, სრულიად ჰკარგავენ ბრუნვის ნიშანს. მაგ.:

ან წიწილებ დაუფქომთ ან ჭუკებ (სალრ.); სანთლებ აანთებენ (ჩხ.); ჯილაგ საქონელზე იტყვიან (ტბ.); მერე გოგირდ ვაძლევდით (ბგვ.); ნეხვ ვაყრიდით (ბგვ.); ნიგოზ დაენაყამდით (სალრ.); მეზობელ არ გაიკითხამს (სალრ.); ნიშან დაადებენ (ფარცხ.); ხათრ არ შეგინახამს (ჩხ.); ორკვირტ მალლა გაუშვებთ (ტბ.); ბავშ (აქ ვინიცაა დაკარგული) (სალრ.); სიმინდის ჩალას ფუჩეჩ ვეტყვით (ჯორჯ.); ერთბიჭ მოაქწონს (ჩხ.); ჩარხ მისცემ და ატრიალევ (ჩხ.). ზმნიზედაში: მთელი ხეხილი ძირ დააჰცა (გოლთ.).

მიც. ბრუნვის ნიშანი ხშირად არ ჩანს ემფატ. ხმოვნის წინაც კი (იხ. ფონეტიკა, გვ. 37). მაგ.: ვირები დაუქარგიათ საწყლება!

<sup>75</sup> მაგ. გომარულისათვის, რაც შეინიშნება ალგეთის ხეობაში ჩამოსახლებულ გომარელთა მეტყველებაზე დაკვირვებისას.

(ჩხ.). ეს მოვლენა გავრცელებული აღმოჩნდა თბილის-მანგლისისა გზაზე მდებარე დაბა წყნეთის მკვიდრთა (მათ შორის კოჭრიდან, თელეთიდან და სხვა სოფლებიდან გამოთხოვილთა) მეტყველებაში<sup>76</sup>.

მიც. ბრუნვის ნიშნის უკვალოდ გაქრობას არ გამოუწვევია ბრუნვის მოშლა და როგორც მაგალითებიდან ვნახეთ, ენა ადვილად ურიგდება მას.

ნათ. ბრუნვაში მდგომ უკვეცელ ხმოვანფუძიან სახელს შეიძლება იშვიათად სრული სახით ჰქონდეს შენარჩუნებული ბრუნვის ნიშანი, როგორც ეს ძველ ქართულში იყო. მაგ.: ის ერბოკვერცხი კ უ ის კვერცხისა ყოფილა! (ტბ.).

ნათ. ბრუნვაში მდგომი სახელები ზოგჯერ -ახ, -იახ, -იამ, -ამ და -იამ ბოლოსართებს ან კიდევ იმავე ბრუნვის აფიქსისეულ ოდენ -ი ელემენტს დაირთავენ. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე:

ნათ. ბრუნვა ფუძეხმოვნიანებთან -ახ სუფიქსითაა წარმოდგენილი შემდეგ მაგალითებში<sup>77</sup>: კინტუაახ ცოლი გიჩივისო (გოლთ.); ნინაახგან ვისესხე, მეთქი (გოლთ.); ხბოახთვინ ინახამს (ჩხ.); სით-ბოახთვინ აქვს (გოლთ.).

ფუძეთანხმოვნიან სახელებთან ზოგ შემთხვევაში ნათესაობითის -ის ბოლოსართს რთული -იამ აფიქსი ენაცვლება. მაგ.: ტოლიამტოლა საამწორი იყო, ღიდი! (ჩხ.).

ნათ. ბრ. -ს (←-ის)→-ამ. შავ.: ერთი გუნდაამტოლა ცომი უნდა მოგლიჯოს (ჩხ.). ამ მაგალითში ნაგენეტივარი მსაზღვრელის პირველი კომპონენტი, რომელიც ფუძეხმოვნიანი სახელია, მოუკვეცავადაა წარმოდგენილი, რაც სპორადულ შემთხვევად ჩაითვლება.

იმავე ნათ. ბრუნვაში მდგომი თანხმოვანფუძიანი სახელი ზოგჯერ შეიძლება -იამ რთული კომპლექსითაც იყოს გაფორმებული. შავ.: რო გეგეცხო კაციამთვინ თავში, თავ გაუტეხამდა! (მაწ.); ადვილი იყო, რა, გლენებამთვინ! (ჩხ.); აი, თეეზიამთვინ რო აკეთებენ (გოლთ.).

76 გაკვეთილება სწავლობს; ფერად-ფერად ტანსაცმელა თხოვლობს; მორიელი აღამიანა კელამს; იმ ხალხა სძინამთ, მიდი რადიოს ჩაუწიე; პატივა ვეკმ; არავის მივემ იმის მეტაო და სხვა.

77 აქ მოყვანილი ზოგი ნიმუშის გადმოტანა მოგვიხდა ფონეტიკური ნაწილიდან.

ნათესაობითის -ს ელემენტს ხმოვანფუძიანებთან იშვიათად შეიძლება -ჰ შეენაცვლოს. მაგ.: გემოზე მოხარშულ ლობიოჰთანა გემრიელი არაფერია! (პ. თონ.).

თანხმოვანფუძიანებთან კი -ის ბოლოსართს -იჰ ენაცვლება. მაგ.: საქონლიჰთვინ, ღორიჰთვინ, სუყველაფრიჰთვინ საქირა (ჩხ.).

ნათესაობითის ნიშნად -იჲ (—ის) გვაქვს შემდეგ მაგალითებში: დათესვიჲ დროს (სალრ.); მერე შუაღლიჲთვინ წაუღებდით ხომე სადილ (ჩხ.); ბალახი მოაქთ საქონლიჲთვინა (თონ.).

როგორც ვნახეთ, ნათ. ბრუნვის ზემოგანხილულ აფიქსთა დიდი ნაწილის ერთ-ერთ კომპონენტს ნახევარხმოვანი ჰ წარმოადგენს. იგი, უწინარეს ყოვლისა, წარმოგვიდგება, როგორც ბრუნვის ნიშნისეული -ი ელემენტი, რომელსაც თითქოს ნაწილობრივი რედუქცია განუცდია ა, ო, უ ფუძიან სახელებთან, მაგრამ ეს ასე არ არის! (იხ. ფონეტიკა, გვ. 12).

დაბოლოს, უნდა წარმოვადგინოთ ალგეთურში გაბატონებული ფორმა ნათესაობითისა, რომელშიც სრულიად გამქრალია აფიქსისეული -ს თანხმოვანი და ბრუნვის ნიშანი -ი ხმოვანზეა დაყვანილი. ასეა, საერთოდ, აღმოსავლურ კილოთა უმრავლესობაში. ნათ. ბრუნვის ამგვარი ფორმა განსაკუთრებით გავრცელებულია პრეპოზიციულ მსაზღვრელთა შორის (ეს არ ეხება უკვეცელ ფუძეხმოვანებს). მაგ.: თ ვ ა ლ ი წამალი (თონ.); ბ უ ხ რ ი ქილები (თონ.); მა წ ვ ნ ი კერძი (ფარცხ.); პ უ რ ი ჰ ა მ ი დროსა (ჩხ.); მ ა მ ლ ი ყიულისას (გოლთ.) (შდრ. მამლის ყიულმა რო მათანა; მთქმელი ერთია!); დადგება თ ა ვ ი ბინაზე (ჯორჯ.); თ ა ვ ი ჰკუაზე დადის ბავშვი (მაწ.); მ ა გ ი სახელი გავარდნილია (ტბ.). რთულ სიტყვებში: გუთნიდელა (თონ.); ხარითვალა (სალრ.); რძი-კორკოტა (თონ.); იმითანა (თონ.); იმითვინა (მაწ.) და სხვა.

ალგეთურშიც დასტურდება შემთხვევები ზმნისართების ერთი ჯგუფის მიერ სახელის მართვისა მიც. ბრუნვაში<sup>78</sup>. მაგ.: ფარცხისს აქეთ ცხენი ველარ წამოსულა (ტბ.).

მოთხ. ბრ. ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებთან ზოგჯერ გვხვდება -მა იმავე პირობებში, რომელშიც იხმარება ემფატიკური ა (იხ. გვ. 58). მაგ.: ადგა ამ მოლამასარდინამა და თარხანის ცხენსა კული ძირში მააჰრა (ტბ.). იგივე -მა გვაქვს ც (ა) ნაწილაკის დართვისას: მემრე კაი პური ჰამეს ნინიკამაცა და არსენამაცა (ტბ.). შეიძლება შევხვდეთ -მა'ს დართვას მოკვეცილ ხმოვანფუძიან სახელზე: თ ა ვ

<sup>78</sup> შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 145.



მ ჯ დ ო მ ა რ მ ა თქვა. ზოგჯერ მოთხრობითში დაყენებულ მ ფუ-  
ძიან სახელთან ერთი მანი ისმის: აბესალომა უთხრა (მანგ.).

მიმართ. (ვითარ.) ბრ. ნიშნად თითქმის ყველა შემთხვევაში გა-  
მოყენებულია -თ (←-დ) და -ათ დაბოლოება, როგორც ეს ფონეტ-  
ნაწილშიც იყო აღნიშნული (გვ. 52). მაგ.: მაშინ მეძნეურეთ ვიყავი  
(თონ.); ეს ღვარეული ორ ბულულათ დადგათ (თონ.) და სხვა. მი-  
მართულებითის -თ (←-დ) ელემენტი სიყრუეს ინარჩუნებს ა ხმოვ-  
ნის წინაც. მაგ.: დავჭრით წვრილათა (გოლთ.); გალენამს ბზეთა  
(ჯორჯ.); მაიყვანა ცოლათა (ჩხ.).

საინტერესოა შემონახვა რიგ სახელებთან ოდინდელი -ივ სუ-  
ფიქსისა<sup>79</sup>, რომელსაც უკვე დაკარგული აქვს მოქმედებითი ბრუნ-  
ვის ნიშნის ფუნქცია. ამჟამად იგი გვხვდება, როგორც ზმნისართე-  
ბის მაწარმოებელი აფიქსი<sup>80</sup>. ალგეთურში ხშირია ასეთი წარმოე-  
ბის ზმნისართები, რომლებშიც -ივ სუფიქსს ახალ სალიტ. ქართულში  
უპირატესად მიმართ. ბრუნვა ენაცვლება. მაგ.: თანაბრივ მოკრიფე  
ლობიო! (თონ.); გუთანი ისე რღმივ არ მოხნამს (თონ.); დიდ პან-  
ტამდინ რო მიხვალ, მერე გეზივ უნდა გაბრუნდე! (თონ.); რგვლივ  
უნდა გამოშკრა! (თონ.); ამოვზელამთ კოხტათ, მშვენივრივ (მაწ.);  
ოდნივ ამოზელა უნდა (სალრ.); წიგნი წაიკითხე ხმამაღლივ! (მაწ.);  
-ივ'იანი ფორმა შეიძლება ა ხმოვნით იქნეს გავრცობილი: იმის ბად-  
ლივა ავანტყოფი ბიჭი გაგზანა (თონ.). -ივ გადმოსცემს მოქმ. ბრუნ-  
ვას, მაგალითებში: ეგ შენგნივ არი! (თონ.); ზაფხულობრივ ჩააჩრე-  
კამენ (ტბ.). ზოგჯერ ბრუნვა გაურკვეველია: ექიმი ყოველ დღივ  
მოდირდა (თონ.) (მოქმ. ? სახ. ?).

ე მ ფ ა ტ ი კ უ რ ი ხ მ ო ვ ა ნ ი. ალგეთურისათვის ჩვეულებ-  
რივია ემფატიკური ა'ს გამოყენება სახელებთან და მეტყველების  
სხვა ნაწილებთან, ძირითადად იმავე პირობებში, რომლებშიც მას  
ვხვდებით ახალ სალიტერატურო ქართულში: სპეციალურ ლიტერა-  
ტურაში გამოყოფილია, ერთი მხრივ, ისეთი შემთხვევები, როდესაც  
აუცილებელია ა ნაწილაკის ხმარება<sup>81</sup>, მეორე მხრივ, დასახელებუ-

<sup>79</sup> ივ სუფიქსის თაობაზე იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი  
აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 90—92.

<sup>80</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973,  
გვ. 76; ე. თ. ფურია, ქართული, გვ. 139.

<sup>81</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება; ქართული ენის  
განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 37; თ. ზურაბიშვილი, მავრ-  
ცობი ა თანამედრ. სალიტ. ქართულში; ქართული სიტყვის კულტურის საკითხები,  
წ. I, თბ., 1972, გვ. 45, 46; ემფატ. ხმოვანი ვრცელადა განხილული აგრეთვე თ. ბე-  
როზაშვილის შრომაში, ნიკო ლომოურის ენა, საკანდიდატო დისერტაციის,  
ავტორეფერატი (რუს. ენაზე), თბ., 1967, გვ. 16—25.

ლია „იმ რიგის შემთხვევები, როდესაც ა არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს, მაგრამ... გარკვეულ კონტექსტში მისი გამოყენება კანონზომიერია“<sup>82</sup>.

ჩვენ წარმოვადგენთ ალგეთურში დადასტურებულ, ა'ს გამოყენების მხოლოდ „მეორე რიგის“ შემთხვევებს.

აქ მეტწილად გავრცობილი სახით ვხვდებით მიც., ნათ., მოქმ. და მიმართ. ბრუნვებს; ა ერთვის -ივ სუფიქსიან ფორმასაც. როგორც ზემოთაც ითქვა (გვ. 56), მოთხრობითში -მა ერთვის საკუთარ და საზოგ. ხმოვანფუძიან სახელებსაც, იმავე პირობებში, როგორშიაც ვხვდებით ემფატ. ა'ს; საფიქრებელია, რომ -მა'ს ა ელემენტიც იმავე რიგისა იყოს, რაც სხვაგან<sup>83</sup>. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ა'ს გაფართოებული აქვს გამოყენების ფარგლები იმდენად, რომ შესაფერ სიტუაციაში იგი გვხვდება ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვასთანაც კი.

ნაცვალსახელები, ზმნისართები, თანდებულები, კავშირები და ნაწილაკები ხშირად სრული სახით იხმარება იმავე სიტუაციაში, როგორშიც ემფატ. ხმოვნიანი ბრუნვის ფორმები.

ემფატიკური ა'ს გამოყენების პირობები ზოგადად შემდეგია<sup>84</sup>:

ა) პ ა უ ზ ა ს თ ა ნ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი. მაგ.: დავდგამთ რძესა, მოვხდით ნალებსა (ტბ.); ცომს გავათხელამთ საგორავითა (ჩხ.); შეაღდედამ მაწვნათა (ფარცხ.); უნა გამოვხადოთ ხელმეორეთა (ბგვ.); წითელი ვარდებივით როა, ცერცვისავითა (ტბ.); სიტკბოს გულისთვისა (ჯორჯ.); შაილღებიება თანა (გოლთ.); დაულამდა გზაზედა; იმას ხმარობენ წყლისთვინა (ჯორჯ.); ბევრი საქმისგანა (ჯორჯ.); ჯორით უვლია უწინა (ფარცხ.); ჩამუელით ძირსა (გოლთ.); არ არი აქათა (მთ., მაწ.); დაფელამენ კარგა (ჩხ.); ისეთი ჯაშარატია ეგაცა, რო! (ტბ.). ბ) „და“ კავშირის წინ. მაგ.: ბერიკაცები აკერინებენ ტყავებსა და ქულებსა (თონ.); აილო ამ მოლამასრადინამა და... (ტბ.); გადავზელამთ მარილითა და პილპილითა (ჩხ.); დაიძინა თითონა და სახედრები გაუშეა საძოვარზე (ტბ.); გ) ზ მ ნ ე ბ ის წ ი ნ. მაგ.: წველა-დღვება ერთათა ქექონდა (გოლთ.); თეთრათა ყვავდება (ჯორჯ.); ძალიანა ცხელა (ჩხ.); იმითვინა თქვეს (სალრ.); თვლები ჯამბართა აქ მიბმული გუთანს (ტბ.).

ალგეთურ მეტყველებაში ა'ს გამოყენების ერთი შემთხვევაც დასტურდება; სახელდობრ, ორზე მეტ სიტყვისაგან შემდგარ მარ-

82 თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ი ქ ვ ე, გვ. 46.

83 ი ქ ვ ე, გვ. 47.

84 შდრ. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ი ქ ვ ე, გვ. 52.

ტივ თხრობით წინადადებაში იგი ერთვის პირველ ან მეორე სიტყვას; ასეთ შემთხვევაში წინადადება ორ ინტონაციურ ერთეულად იყოფა, რომელთაგან პირველი (ხშირად, მეორეც) მთავრდება ა'ხმოვანდართული სიტყვით. ეს სიტყვა აქცენტირებულია, ინტონაციურად გამოყოფილი და ამის შემდეგ პაუზა ჩნდება (გრაფიკულად ჩვენ მას ვერტიკ. ხაზით გადმოვცემთ): პაუზის შემდეგ, მეორე ინტონაციურ ერთეულში, მოქცეულია ზმნა<sup>85</sup> დანარჩენ წევრთა გარემოცვაში. მაგ.: საკრამიტე თიხასა | დაჯულამენ კარგა (ჩხ.); გაწურულ დოსა | უზამთ მარილსა (მაწ.); იმ ლამესა | დაიძინა თითონა (ტბ.); ტყავსა | დაშკრიან შოლტებათა (თონ.); უფალსა | ჯორით უვლია უწინა (ფარცხ.); გლებებსა | არა ჰქონდათ საპონი (ჩხ.); მატყლითა | შალებსა ვქსოვდით (თონ.); იმის ბაღლათა | ავანტყოფი ბიჭი გაგზავნა (თონ.); წინაწინა (=უწინ) | ბატონი იღებდა გლეხისგან მეოთხედსა (გოლთ.). ამგვარი წინადადებები ახასიათებს დინჯ, აუჩქარებელ თხრობას.

**მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ე ი.** მრავლობითის გადმოსაცემად -ებ'ის პარალელურად ზოგჯერ ნ და თ სუფიქსებიც იხმარება. ასე, მაგალითად, კრებით სახელებში შინაარსობლივი სიმრავლე ხშირად შორფოლოგიურადაა გამოხატული ნ სუფიქსით. ნიმუშები: კაი ზალხნი იყენენ (ტბ.); შეისვა ეს და-ძმანი (ზურგზე) (მანგ.). საინტერესოა მრავლობითის გადმოცემა თ სუფიქსით მართულმსაზღვრელიან კომპოზიტში: მე რა უნდა მეთქვა, ხეთოდენი (=ხეებისოდენა) კაცები დგანან და ხმას არ იღებენ?! (ფარცხ.).

**ნაცვალსახელი.** მესამე პირის ის ჩვენებით ნაცვალსახელს ზოგჯერ მოკვეცილი აქვს ხ ელემენტი. მაგ.: გაათენა ი ლამე (გოლთ.).

სხვადასხვა ბრუნვაში მდგომ იმავე ის ნაცვალსახელს შეიძლება შევხვდეთ „აი“ სიტყვასთან შერწყმული სახით, რის შედეგადაც ორი ი'ს ნაცვლად ერთ ი'ს ვლდებულობთ. მაგ.: ჰაი ისა (←აი ისა) (ფარცხ.); აი მთის (←აი იმ მთის) (თონ.). აქ შერწყმულია, აგრეთვე, „აი“ სიტყვის ბოლოკიდური და „იმ“ სიტყვის თავკიდური მ ბგერა.

სალიტერატურო ქართულის „ე ს ე ც“, „ე გ ე ც“, „ი ს ი ც“ ნაცვალსახელები ხშირად წარმოდგენილია ე ს ა ც, ე გ ა ც (ა),

<sup>85</sup> ამიტომაც შესაძლებელი ამ ა'ს გამოყენება თავკიდურხმოვნის და პრევერბიანი ზმნების წინაც (შღრ. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ი ქ ვ ე, გვ. 53; თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 19).

ის აც სახით (იხ. აგრეთვე ემფატ. ხმოვანი). მაგ.: ეს აც სტუმ-  
რებსაო (ჩხ.); აი, ეს აც არი და მიირთვიო (გოლთ.)... ეგ აც:  
ახალწელწადია (ჩხ.); ისეთი ჯაშარატია ეგ აცა, რო! (ტბ.)...  
ის აც ის არი, რა! (ფარცხ.); ის აც კიდე სიმამრია (ჩხ.).

ამ ნაცვალსახელი ემ'ის სახით გვევლინება. მაგ.: ემ სადულა-  
რით ვერ დაედგამ ლობიოსა (თონ.); ემ სიმალლე! (საღრ.). ერთი  
კლდეისელი ღრმა მოხუცი „ის ემ ე“-ს გამარტივებულ სახეს,  
სე მ ე'ს ხმარობდა. მაგალითები: ქოშა ქვა გავმართე წისქვილისა.—  
როგორც რო სე მ ე (= ისე მ ე), — ისე გაიფატრა! (კლდ.); (არქი)  
რკინა არის და ზედ არი, სე მ ე ზ ე, — ღერძზე (კლდ.); რო ს ე-  
მ ე ს იქმოდა, — შეაბამდა ხარსა, ხარი აღარ გასწევდა (კლდ.).

თანდებული. ალგეთურში დასტურდება თითქმის ყველა თან-  
დებული.

ა) -ვით(ა). როგორც ცნობილია -ვით თანდებული ფუძეხმოვ-  
ნიანებთან მხოლოდ მიცემით და ნათესაობით ბრუნვებს მართავს<sup>86</sup>;  
ამდენად საინტერესოა მისი დადასტურება სახ. ბრუნვასთან: ბ უ ი-  
ვ ი თ რო არი! (გოლთ.). ცნობილია ისიც, რომ თანხმოვანფუძიან  
სახელებს იგი სამ ბრუნვაში: სახ., მიც. და ნათესაობითში ერთვის.  
წარმოვადგენთ -ვით'ის მიერ სახელის მართვის ნიმუშს მხოლოდ  
ნათესაობით ბრუნვაში, რაც სალიტერატურო ქართულში შედარე-  
ბით იშვიათად გვხვდება<sup>87</sup>: წითელი ვარდებივით როა, ცე რ ც ვ ი-  
ს ა ე ი თ ა (ტბ.).

ბ) თან(ა) თანდებული ქართულში ზმნისართის ფუნქციითა-  
ცაა გამოყენებული; ასეთ შემთხვევაში იგი, ჩვეულებრივ, წინ უს-  
წრებს ზმნას<sup>88</sup>. ალგეთურში გვაქვს შემთხვევები, როცა თანა ასრუ-  
ლებს ზმნისარის ფუნქციას, წყობა კი პოსტპოზიციურია. მაგ.: უვ-  
ლიდნენ გარეშამო და მღეროდნენ თ ა ნ ა (ჩხ.); ის აც შაილღვიბე-  
ბა თ ა ნ ა (გოლთ.).

გ) -ში თანდებულისანი მიცემითი, როგორც ცნობილია, ადგი-  
ლის გარემოებას გამოხატავს (სადაობითი ბრუნვა)<sup>89</sup>. ადგილის გა-  
რემოების გადმოსაცემად ალგეთური იყენებს უთანდებულ მიცე-  
მითსაც, რომელიც ხშირად ბრუნვის ნიშნის გარეშეცაა წარმოდგე-  
ნილი. მაგ.: ო დ ი ს ს ვიყავი, სათიბში (თონ.); ხ ო ზ ე თ ს მიე-

86 თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, „ვით“ თანდებული ქართულში: თსუ შრომები, X, თბ., 1939, გვ. 148.

87 ი ქ ვ ე, გვ. 147.

88 არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში: ი კ ე, I, თბ., 1946, 33-220.

89 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, I, გვ. 52.

დივარ. ბალახი უნდა ჩამოვიტანო (თონ.)... ქალაქ წავიდა (ტბ.); გარ შემოუსხდნენ. ბოლო ორ მაგალითში ბრუნვისეული ს დაკარგულია. ზოგჯერ ადგილის გარემოების გამომატველ უთანდებულო მიცემითს ბრუნვის ნიშანი (ს) არ ახლავს მაშინაც, როდესაც ა ხმოვნითაა გავრცობილი. მაგ.: არ იქნება ესლა ყურძენი ქალაქა? (←ქალაქსა) (ჩხ.); ცხელა ქალაქა? (ჩხ.). ასეა დაბა წყნეთშიც. მაგ.: დიდი ხანია არა ეყოფილვარ ქალაქა.

ამგვარ მაგალითებში, ერთი შეხედვით, კაცმა შეიძლება დაინახოს გადმონაშთის სახით შემორჩენილი ფორმა მიმართულებითისა, რომელსაც ბრუნვის ნიშნად ოდენ ა ხმოვანი აქვს დართული (ამგვარი მიმართულებითი ახასიათებდა ძვ. ქართულს, თანამედროვე კილოთაგან კი, ძირითადად, — ინგილოურს; რამდენიმე ფაქტი შემორჩენილია ახალ სალიტ. ქართულშიც)<sup>90</sup>, მაგრამ სათანადო მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ საქმე გვაქვს, საერთოდ, ემფატიკური ა'ს წინ ზოგჯერ მიც. ბრუნვის ნიშნის უქონლობის (რაც თავისებურების სახით გვხვდება ალგეთურ მეტყველებაში) კერძო გამოვლენასთან (იხ. ს'ს დაკარგვა, გვ. 37). ამ მოსაზრებას ამაგრებს ალგეთურშივე დადასტურებული პარალელური ფორმების არსებობა. მაგ.: ნაიარ დაპყრის ძირა (ფარცხ.) და: ჩამუელით ძირსა (გოლთ.); სად იშოვი კვერცხა! (თონ.) და: ქათმები აღარა ძღებენ კვერცხსა (ტბ.); ჩემ ჳირება! (თონ.) და: ჩემ ჳირებსა! (თონ.) და სხვა (დასანანია, რომ ხელთ არა გვაქვს ქალაქსა ფორმის დამადასტურებელი მაგალითი!).

დ) -ზე თანდებული არც თუ იშვიათად გვხვდება მისი ადრინდელი სრული -ზედა სახით. მაგ.: გამობმული აქვს თვლებზედა (ტბ.); ჩაშპრიან შუაზედა (ტბ.); მეტი მოვა ჩემ მკდეზედა (გოლთ.); დაულამდა გზაზედა და სხვ. თანდებულიან მიცემითს ზოგჯერ შეიძლება უთანდებულოც შეენაცვლოს: კაპს იყო მოდებული ღვედი (ჯორჯ.).

ე) -თვის თანდებული გვხვდება სხვადასხვა სახით, როგორცაა: -თვის(ა), -თუსა (შდრ. მესხ.-ჯავახ. -თუნ)<sup>91</sup>, -თვის(ა): სიტკბოს გულისათვისა (ჯორჯ.) ... საპალტოვე მისცა გოგოსთუსა (ჩხ.)... ბალიშების თვინ ბატის ბუმბული არის კარგი (გოლთ.); ვაზის თვინ ავჭრით კაპიჭსა (სალრ.); მემრე დაუძახნია ცხენისა-

<sup>90</sup> არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიშკის მოამბე, I, თბ., 1937, გვ.17, 18.

<sup>91</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი..., გვ. 244.

თ ვ ი ნ (ტბ.) ... არშიებსა ვქსოვდით ხომე ჩარსავების თ ვ ი ნ ა (ჩხ.); იმას ხმარობენ წყლის თ ვ ი ნ ა, ღვინის თ ვ ი ნ ა (ჯორჯ.). ზოგჯერ -თვინ(ა) ერთვის ნათ. ნიშნის ს ელემენტდკარგულ ფორმას: წნილი თ ვ ი ნ, რამით ვ ი ნ არის ეგა (ჩხ.); გუთნიდელი-თ ვ ი ნ და მეხრეები თ ვ ი ნ (თონ.); ალბათ იმით ვ ი ნ ა თქვეს (სალრ.).

ვ) გა ნ (ა) თანდებულს ვხვდებით ნათ. ბრუნვის უორმასთან (კითხვაზე: რისგან?): დაძალულია ბევრი საქმის გა ნ ა (ჯორჯ.). ასი-მილირებული სახით (გარდამავალი საფეხური) მას შეიძლება შეეხვდეთ მოქმ. ბრუნვასთანაც (კითხვაზე: საიდან?): არ გადმიგდო გულიდ გა ნ ა (მანგ.).

ზ) -ებრ თანდებული პირველადი სახით ჩვენ არ შეგვხვდრია; გაგრცელებულია მისი სახეცვლილი ფორმა: -ფფ (ლოპოსე ე ფ, თხასე ე ფ...).

თ) -დამ(ა) თანდებული იხმარება მოქმ. ბრუნვასთან<sup>92</sup>. იგი გამოვლენილია სოფ. კლდეისის მკვიდრის, 98 წლის ბერიკაცის მეტყველებაში. მაგალითები: კლდეს უჯანი დამ გავიტანეთ არხი (კლდ.); ღრუ ხეებში ვპოულობდით (ფუტკარს), იქი დამ გამოდიან (კლდ.); მანანა ფოთლი დამაც მოჰქონდა (ფუტკარს), ყვავილი დამაც (კლდ.). შედარებით ხანმოკლე ისტორიის მქონეს, სრული გადაშენების გზაზე მდგომ ამ თანდებულს<sup>93</sup>, ამჟამად ქართულში შედარებით იშვიათად ვხვდებით, იგი უფრო კახურისთვისაა დამახასიათებელი, ამდენად საინტერესოა მისი აღრიხდელი გამოყენების კვალის დადასტურება ქართლის ერთ-ერთ კუთხეში.

ი) -მდე || -მდის თანდებულებიდან, რომელთა გამოყენებაც დამახასიათებელია როგორც ძველი, ისე ახალი სალიტერატურო ქართული-სათვის, -მდე თითქმის არ გვხვდება ალგეთურში, -მდის კი შეიძლება აქა-იქ გამოჩნდეს. ამ თანდებულთა ნაცვლად იქ გაბატონებულია -მდინ სახეობა, რომლის გამოყენებაც ძირითადად საშუალო ქართულისათვის იყო დამახასიათებელი. ქართული ენის კილოებს გარდა -მდინ გვხვდება ზოგი მწერლის (მაგ. ილიას) ენაშიც<sup>94</sup>. მაგალითები: მეორე დღე მ დ ი ნ (ჯორჯ.); ოცდასამ რიცხვამ დ ი ნ (ჯორჯ.); ერთ წლამ დ ი ნ (თონ.); სამ წლამ დ ი ნ ზაქია (ტბ.); დეკემბრამ დ ი ნ არის ტყეში (ბგვ.); ოქტომბრამ დ ი ნ

<sup>92</sup> არ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიშქის. მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 62.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>94</sup> არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 234.

გვისხია (ბგვ.): გაიტანს თავა მ დ ი ნ (ჯორჯ.): ძირიდან მაღლა-  
მ დ ი ნ (ფარცხ.).

უფრო იშვიათად, -მდინ'ის პარალელურად შეიძლება შეე-  
ხვედეთ -მდისინ სახეობასაც, რომლის გამოყენებაც საშუალიდან  
ახალ ქართულშია გადმოსული. მას ვხვდებით ზოგი მწერლის ენა-  
შიც. მაგ.: სანამ დ ის ი ნ კალო გაიმართებოდა (ჯორჯ.); მინა-  
მ დ ის ი ნ, დეკემბრამდინ არის ტყეში (ბგვ.).

კ) გარდა თანდებული ზოგჯერ გარდაია'ს სახითაა წარმოდგე-  
ნილი. მაგ.: ხარჯი-ბორჯის გ ა რ დ ა ი ა. შეიდი ფუთა სუფთა პური  
ავილე (პ. თონ.); ქალბიქა ყველა სურვიელში არი, ფრინელის გ ა რ-  
დ ა ი ა (ფარცხ.). გარდაია ზემოიშვიათად დასტურდება<sup>95</sup>.

### ზ მ ნ ის ა რ თ ი

ალგეთურში ზოგიერთი (თუხე დასრულებული) ზმნისართის  
თავისებურებას წარმოადგენს ბოლოში ი ხმოვნის დართვა; ასეთე-  
ბია: დილითი, წინათი (←წინათ); საჩქაროთი. მაშინვეთი/მაშვეთი.  
(=მაშინვე) ზმნისართებზე კი მთელი მარცვალაია დართული (თი),  
რაც ანალოგიითა და უნიფიცირების მიდრეკილებით უნდა აიხსნას.  
მაგ.: ეს ყვავილები დ ი ლ ი თ ი იშლება ხომე (თონ.); დ ი ლ ი-  
თ ი მოვიდა (გოლთ.); წ ი ნ ა თ ი უფრო ვთესამდით ოსპსა (თონ.);  
ს ა ჩ ქ ა რ თ ი მამა წინ მოვიდა სახში (გოლთ.); მ ა შ ი ნ ვ ე თ ი  
ვიპოვე (თონ.); მ ა შ ვ ე თ ი გაქცეულა (ტბ.); რატო მ ა შ ვ ე თ ი  
არ შაუკერე? (მაწ.).

თუხე დასრულებული ზმნისართებისა, თუ ზმნისართული ფუნ-  
ქციით გამოყენებული სახელების ი ხმოვნით გავრცობის მიდრეკე-  
ლების მაუწყებელი უნდა იყოს სხვა დიალექტურ ერთეულებში  
დადასტურებული შემდეგი მაგალითებიც: „ძმაკაცობითი. ქთამითი,  
მონათრებითი“<sup>96</sup> „ღამითი, წინათი, მაგრათი...“<sup>97</sup>; „ნაჯახითი, თო-  
ფითი, ნიჩფითი...“<sup>98</sup>

ეს ი, რომელსაც ემფატიკურს უწოდებენ<sup>99</sup>, ზოგჯერ, დიალექ-  
ტიკურ ა'ს ადგილას გვხვდება და თითქოს მისივე ფუნქციით  
გამოიყენება, ოღონდ, აშკარა სხვაობა იმაშია, რომ ი თავისუფალია.

95 ქ. ძოწენიძე, ზემოიშვიათი კილოკავი, გვ. 149.

96 ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტური მასალები, იკე, XVII, თბ., 1970,  
გვ. 339.

97 არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

98 ქ. ძოწენიძე, ზემოიშვიათი კილოკავი, გვ. 148.

99 არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი; იქვე.

იმ პოზიციური შეზღუდვებისაგან, რაც ა'ს გამოყენებას ახასიათებს. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ, თუნდაც, ზემოიშვრული შეზღუდვანიმუშებს: „ერთიმეორის მიხედვითი აკეთებენ საქმეს; ვერაფრის დიდებითი ვერ დეიქირა<sup>100</sup>, რომლებიც ა'ს ვერ იგუებენ; არ შეიძლება: „მიხედვითა აკეთებენ; ან: ვერაფრის დიდებითა ვერ დეიქირა“.

ზემოიშვრულში „ა'ს ადგილას და მის ბაღლად“<sup>101</sup> ი'ს ხმარების საილუსტრაციო ზემოდასახელებული მაგალითები გამოსაყოფად მივიჩინეთ ისეთებისაგან, როგორცაა: „ადამიანისი, კაცისი... ორმოზდაათი“.

მოქმედებითი ბრუნვითაა გაფორმებული ზმნისართთა ერთი წყება, რომლებიც სალიტ. ქართულში, ჩვეულებრივ, თანდებულიანი ან უთანდ. მიც. ბრ. ფორმით იხმარება: ასეთებია: ხნით, დლით, გაზაფხულით (ა). შემოდგომით / შამოდგომით. მაგ.: საღამო ხნით ჩამოიარე! (თონ.); იმ დლით გამოვაცხეთ პური, როცა სეტყვა იყო (თონ.); გაზაფხულით არი კარქი ალგეთი, მაშინ დიდი! (თონ.); თელახაში ხეებში იცის, გაზაფხულითა (ტბ.); შემოდგომით დათესილი ნიორი უფრო კარქია, ვიდრე გაზაფხულით დათესილი (თონ.); შემოდგომით იკრიფება (ფარცხ.); შამოდგომით ყველაფერს რო ავიღებთ (საღრ.).

ერთ-ერთი გოლთეთელი ქალის მეტყველებაში დადასტურებულია „ერთხან“ სიტყვის ხმარება ნაცვლად ზმნისართისა „ერთხელ“, როგორც ეს ზოგ მთის კილოშია (ხევსურული, ფშაური), მაგ.: „ერთხან წავიდა ეს ქალი წყალზე, მეორეთ წავიდა კიდე; ერთხან აკოცა, მეორეთ აკოცა კიდევა; რამთენჯერ მეუბნევა, განა ერთხან?!“.

ეხლადაეხლა ნიშნავს: „ამ ბოლო დროს, ბოლო ხანებში“. მაგ.: ეხლად აეხლა მოკლე კაბები, მიწრო კაბები შამაიღეს (გოლთ.). ფორმა პირველში ხშირად ენაცვლება „პირველად“ და „ჯერ“ ზმნისართებს. მაგ.: პირველში (=პირველად) რო გუთან გავიტანდით, უნდა ყოფილიყო ორშათი, ან ... (კლდ.); პირველში არ აწუემდა ხბოსა, მერე მოაწუა (თონ.); პირველში (=ჯერ) ხორბალი მოიხარშება წყალში.

„უწინ“, „წინათ“, „ჯერ“ ზმნისართების პარალელურად იხმარება წინ-წინ (ყველაზე ხშირად), წინდაწინ, წინაწინ(ა) ფორმები. წინაწინ(ა) უნდა მომდინარეობდეს წინდაწინ(ა)საგან დონის ჩაეარ-

100 ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, გვ. 148.

101 ქ. ძოწენიძე, იქვე, გვ. 147, 148.



დნით (ალგეთურში დადასტურებულია, აგრეთვე, ამ უკანასკნელი-საგან მიღებული მსაზღვრელი სახელი წინდაწინდელი)<sup>102</sup>. ადგი-  
ლობრივ მთიულთა მეტყველებაში წინ-წინ'ს წინავ(ა) შეესატყვი-  
სება. მაგალითები: წინ-წინ (=ჯერ) გაირეცხება, მერე დაი-  
ჩეჩება (თონ.); წინ-წინ (=უწინ) შოშიის გზა ზევით იყო  
(თონ.); წინდაწინ (=უწინ) თესამდნენ ხომე (მაწ.); წინ-  
დაწინ იცოდნენ ხომე (ჩხ.); წინაწინ (=ჯერ) ნელა შაუ-  
კეთამენ (გოლთ.); წინაწინ (=წინათ) ესე არ ვიყავი (ჩხ.);  
წინაწინა ბატონი იღებდა გლენისგან მეოთხედსა (გოლთ.)...  
წინავა, — სსონაირი ხალხი იყო წინავ! (მაწ.).

ღროის ზმნისართათაგან აღსანიშნავია, აგრეთვე, ერთავთ  
(←ერთთავად) (=გამუდმებით) ზმნისართი: ალაყაფის კარები აქ, --  
რკინის კარები, ერთავთ იხურება და იღება (გოლთ.). „მე-  
რე“-ს ენაცვლება მემრე სახეობა, რომელიც ნამეტათეზისარი „მერ-  
მე“-საგან (მერმე←მემრე) მომდინარეობს: მემრე მეორე ამ-  
ხანაგს მოუხნამენ (ჯორჯ.).

ადგილის ზმნისართი „აქეთ(ა)“ დასტურდება აქათ(ა)'ს  
(←აქათ) სახითაც, რაც შედარებით არქაულ ფორმას წარმოადგენს.  
იგი უმთავრესად ადგილობრივ მთიულთა მეტყველებაში იჩენს  
თავს: არ არი აქათა (მაწ.). „გარეშემო“ და „გარშემო“ აქ იხმა-  
რება უპირატესად გარეშამო და გარშამო'ს სახით. მაგ.: კბილები  
აქ სხვილი გარეშამო (ბგვ.); გარშამო უვლიან მიწას  
(ჯორჯ.); გარშამო კუწუბები აქ (ჯორჯ.); ხორკლებივით აქ  
გარშამო (ბგვ.).

ვითარების ზმნისართია კომპოზიტი ზენა-ქვერათ || ზერა-ქვე-  
რათ (=ხან ფეხზე, ხან ლოგინში). მაგ.: ზენა-ქვერათ ავან-  
ტყოფობს (ჩხ.); ზერა-ქვერათ არი (შავს.). ალგეთურში  
დასტურდება აგრეთვე სახელი ზერა-ქვერა და ზმნა ზერა-ქვერაობს.

-ივ სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართების შესახებ საუბარი  
იყო ზემოთ (გვ. 57).

მიმართულებითის ფორმით, ნაწილობრივი შეკვეცით, იხმარე-  
ბა მინამ (←მუნამდმე) და სანამ (←სადამდმე) ზმნისართები, რომ-  
ლებიც -მდის თანდებულისა და იხ მარცვალდართული სახითაც დას-  
ტურდება: მინამდისინ, სანამდისინ. მაგალითები: ორშუფათს და-  
იწყებენ ხენას, მინამ კვირამდინ (ჯორჯ.); სანამ მოხვალ, დადამდე-  
ბა; მინამდისინ, დეკემბრამდინ არის ტყეში (ბგვ.); სანამდისინ კალო  
გაიმართებოდა (ჯორჯ.).

<sup>102</sup> მაგ.: წინდაწინდელი სიძე კარქი იყო (საღრ.).

ჩვენ აქ არ განგვიხილავს ისეთი ზმნისართები, რომლებიც ჩვეულ-ებრივია აღმოს. კილოებისათვის და ახალს არაფერს იძლევიან (მაგ.: ძან, მთლათ, ჩუმათ და სხვა).

#### ნ ა წ ი ლ ა კ ი

განუსაზღვრელობითი ნაწილაკი მე ზოგჯერ დართულია მოთხრ. ბრუნვაზე, ნაცვლად სალიტ. ქართულში გაბატონებული სახელობითისა, მაგ.: რამდენ მამე ხანმა გაიარა (ტბ.).

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ც ნაწილაკი არ ახლდეს მიმართებით სიტყვას. მაგ.: ვისი პური წაიწვედა, — ვიტყვოდი, უბედოო, ვისი ბუნჩულა გამოცხვებოდა, — ბედნიერიაო (გოლთ.).

გვაქვს შემთხვევა, როცა -ვე ნაწილაკი ნაცვლად სახ. ბრუნვის მხ. რიცხვის ფორმისა, დართულია მიც. ბრუნვის თანხანი მრავლობითის ფორმაზე: ორთავე ხარეზე გადაკაკულებია (ჩხ.).

ნაწილაკი „ლამის“ ზოგჯერ იხმარება „ლამიჲ“ სახით: ლამიჲ ძირ დასთრევთ (ტბ.).

საინტერესოა „ხოლმე“ ნაწილაკის შემონახვა ხვალმე'ს (—ხუ-ალმე) სახით დაბა წყნეთში. მაგ.: ქალებ ვაცხოვდით ხვალმე, ნაზუქსა (წყნ.); ეგრე იძახიან ხვალმეო (წყნ.). ხვალმე ფორმა გვხვდება „ვეფხის-ტყაოსანში“, რაც აღნიშნული აქვს ა. შანიძეს<sup>103</sup>.

#### შ ო რ ი ს დ ე ა უ ლ ი

უკმაყოფილო გაკვირვების გამომხატველი შორისდებულებია ია?! იია?! და იიიაჰ?! მაგ.: რა ნახე, შე ცეცხლმოკიდებულო შენა, ია?! (თონ.). იი კი დანანებისა, გულდაწყვეტისა. მაგ.: იი, ეგრეა ჩემი ამაგიო?! (თონ.).

ლორის გაააგდები შეძახილებია: ეექს! ვიე, ვიე! და ზუე ჰე!|| ზვიე ჰე!; ძროხის მოსახმობია: თფუუდე! და დიოდო, ჰო!

#### შ მ ნ ა

პირის ნიშნები. პირის ნიშანთა გამოყენების მხრივ ალგეთური შემდეგ სურათს იძლევა:

ა) სუბიექტური ნიშანი პირველი პირისა ვ არ იხმარება უ'ს წინ, როგორც ეს ძვ. ქართულშივე იყო. მაგ.: მურაბის ტასტს უძახით ჩვენა (საღრ.); ეხლა ბათქაში უყოთ (თონ.); ერბოს უზამთ და ვკამთ (მაწ.).

<sup>103</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, გვ. 338.

ბ) ალგეთურში, ისევე, როგორც საერთოდ ქართლურში, მეორე პირის სუბიექტურ ნიშანს აბსოლუტური ზმნები ჩვეულებრივ არ დაირთავენ. მაგ.: შვილო, რათ მო ბ რ უ ნ დ ი უკან? (გოლთ.); რას და კ ი ნ კ ი ლ ო ფ ? (თონ.).

რელატიური ზმნები ჩვეულებრივ დაირთავენ  $S_2$  პრეფიქსს. აქ იხმარება იგივე ნიშნები, რაც  $O_3$ 'სთან (ა, აჰ, ან ახ, აგრეთვე აჰს; პარალელურად შენახულია ჰ ან ს), ოღონდ, ამ შემთხვევაში არაა გამორიცხული, რომ ისინი ობიექტის ნიშნები იყოს. მაგ.: ა (—ჰ): რო გააგზანი მუშას (ჩხ.); როცა გააპარსამ ცხვარსა (თონ.). ა (—ს): კერძ რო დაადგამ (ტბ.): რომელი შადძლებთ? (ჩხ.). აჰ (—ჰ): გაზაფხულით გადააჰკრეკამ (ჩხ.); ჩააჰყრი შიგა ბურღულსა (ბგვ.). აჰ (—ს): აბა ვნახოთ, როგორ დააჰტევე გულსა დალთვაშია! (თონ.). ახ: გაახტეხამ და ჭიანია! (საღრ.); გაახსტევედამ კვერცხსა (ბგვ.). აჰჰ (—აჰს): საჰმელს რო შადჰჰკამ (ტბ.). ჰ: მზეზე რო გაახედამ! (თონ.). ს (—ჰ): რძეს რო დასდგამ და აიჭრება (ჩხ.); რამდენსაც გინდა იმდენს ამოშჰრი (ჭორჯ.).

არაიშვიათია შემთხვევები  $S_2$  პირის ფორმების უნიშნოდ ხმარებისა ასეთივე (რელატიურ) ზმნებთან. მაგ.: გაზაფხულით უნდა დათესო (ფარცხ.); რო გასრესამ (თონ.).

თუ აბსოლუტური ზმნების ვითარებას დავეყრდნობით, მაშინ რელატიურ ზმნებთან გაჩენილი ნიშნები, როგორც ითქვა, ალბათ, ობიექტის კუთვნილებად უნდა ჩავთვალოთ.

წართქმით ბრძანებითში პირის ნიშნები ამგვარ (რელატ.) ზმნებთანაც აღარ გვხვდება, რაც კანონზომიერია. მაგ.: სუ ნებაზე ამოყარე პური! (თონ.); ანაგავი ჩაყარე ჩელხში! (ჩხ.); წინ ვაცები გაქეჩე! (პ. თონ.).

გამონაკლისის სახით, ამგვარ ვითარებაში, შეიძლება პრეფიქსიც გამოჩნდეს. მაგ.: ცოტა ხნის შემდეგ მოჰხადე თონესა! (პ. თონ.); აბა დაჰკვირდით!<sup>104</sup> (=დააკვირდით) (თონ.).

გ) ალგეთელ ქართლელთა მეტყველებაში (ირიბდამატებიან ზმნებში) უმრავლეს შემთხვევაში დაცულია ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ჰ და ს (—შ), რომელიც ხმოვნის შემდეგ ხშირად ა'ს სახით, ზოგჯერ აჰ ან ახ და იშვიათად აჰს სახითაც გვევლინება. მაგ.: ა—(ჰ||ს): სუ ჩამოაჯაფეს (ტოტები) (თონ.); დაადგომიან ძალები ამ ვარცლ ცომსა და კარგათ მოულოკიათ! (გოლთ); ჩექმითა აცემეა (ჩხ.)... ისეთი ლამაზი იყო, რო ქალაქს აქეთ ქალი არა შკობდა!

<sup>104</sup> ეს მაგალითი გომარულშიცაა (იხ. ე. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში: „ჩენი მეცნიერება“, ტფ., 1924, № 2, გვ.95).

(ტბ.). ძმ: იმასაც ქმარი მოაქვდომიყო (გოლთ.); სამი შეილი ძჰყვანდა (ტბ.); წითელა ძჰქონდა (შავს.). წინაენისმიერებთან ძმის ნაცვლად, ჩვეულებრივ, გვაქვს მს (ღ'ს წინ — ძჴ, შიშინების წინ კი — ძშ). მაგ.: ქათამს გააქცევივა ბუმბული (სალრ.)... ჩააჯდებენ ქილაში (ქართ. დიალ., 1, გვ. 315)... მერე რამთენიც დააშჰირდებოდათ, — ამაილებდნენ (ენაგ.). იმავე წინაენისმიერებთან ზოგჯერ დატულია ძმ: ძალიან მოაქწონდა ის ქალი (თონ.). ძმს: ისეთ ხეს შეეტოტინოს, რომელსაც შააქსწვდეს მეთქი (გოლთ.). ოკ ნიშნად ზოგჯერ უცვლელადაა შენახული ჰ და ხ (ხ უფრო ხშირად) პრეფიქსები. მაგ.: ჰ: თეთათვი არ ჩაჰყვეს! (ჯორჯ.); საქმეს, სახლს გული დაჰყარა (ჩხ.). (შდრ. თავი ოჯახს ისევ გული დააჰყარა, დაუგურგურა; თონ.); მოჰყავდა კაი ნაყოფი (ბგვ.). ს: მატყლი გასძვრება ხომე (თონ.); რო მოსწყდება (ფარას), დაიკარგება (ჩხ.); ყურები სტკივაო (შავს.); ავი ქარი დასცემია (თონ.).

წინაენისმიერი თანხმოვნების წინ ს'ს პარალელურად ზოგჯერ ვხვდებით ჰ'საც, რომელიც ზემო სოფლების მეტყველებისთვის უფროა დამახასიათებელი. მაგ.: დაჰტაცა (მანგ.); დაჰტიროდა (მანგ.); დაჰთვლიმამდა (მანგ.); მიჰცეს (მანგ.).

ხშირად პირის ნიშანს იჩენს მიცემითში დასმული პარდაპირი ობიექტიც. მაგ. ძ: მემრე გააჴეკამენ (ჩხ.); შავათ შააღებამენ (გოლთ.); დააჴრიან (თონ.); გააჴურთამს (თონ.) (ბოლო ორ მაგალითში ძ პრეფიქსი ს'ს მონაცვლეა და არა შ'სი); ჩააღებენ ცომში და გამააცხოზენ (ტბ.)... შეშჰირხლავს (ჯორჯ.); გუთანი ვერ გაშჰრის (კლდ.). ძმ: ნაალში ჩააჴყრიან (გოლთ.)... დააჴთაკრამენ (აონ.); გააჴთლიან (გოლთ.). ძს (→ || ძშ): დააძრამს (ჩხ.); მანებზე დააძწნამენ (ბგვ.) (შდრ. მერე დასწნამ ლასტასა; მთქმელი ერთია!)... არ შააშჰამს (ჩხ.). ძმს (→ || ძმშ): პარკში ჩააძსწურამენ (გოლთ.)... (ყველის დედამ) არ გააძშჰრა (ტბ.). ჰ: ქვეყანას რო შაჰყრის (შავს.); ცელს კვერზე ჰკვერამდნენ (ჩხ.) (შდრ. წინათ სხვანაირათ კვერავდნენ; მთქმელი ერთია!). ს: ხეს წალდით გასთლიდნენ (შავს.); თოხს სამჰედლოში გამოსწყეპავენ (ტბ.). ჰ წინაენისმიერებთან: დაჰთალა (მანგ.); დაჰტუა (მანგ.); დაჰწერა (მანგ.).

ზოგჯერ ორპირიან ზმნათა ანალოგიით ერთპირიანი ზმნაც იჩენს ობ. ნიშანს. მაგ.: ხორცი უნდა გააძსტარდეს მაშინკაში (ჩხ.); რო დასთვრება, — არ მოსწონს (კლდ.).

სახელობითში დასმული პარდაპირი ობიექტი ზმნაში ნიშანს არ იჩენს (ასეა ჩვენს ხელთ მყოფი მასალების მიხედვით). მაგ.:

ფუტკარმა ბარტყი გადმოყარაო (თონ.); კვერცი უნდა დადოს (ფარცხ.); ერთ უღელა ხარმა რაც დაძალოს (ჯორჯ.).

ანალოგიით ობ. პრეფიქსი შეიძლება შეგვხვდეს I პირთანაც: აბა, საცდელათ მოვჭკითხო საქმელი! (გოლთ.).

იგი (პრეფიქსი) სპორადულად იჩენს თავს I პირში მაშინაც, როცა ზმნა აბსოლუტურია: დიდხან ვიცოცხლეფ, — მოვჭკედები, ცოტა ხან ვიცოცხლეფ, — მოვჭკედები! (გოლთ.).

აქა-იქ შეიძლება გამოჩნდეს ზმნათა უპრეფიქსოდ ხმარების შემთხვევებიც ირიბდამატებიან ზმნებში. მაგ.: ნამი მოხედა და დანედლა (შავს.); სახლები როქონდათ უწინ (ჩხ.); ფული მართებს (ჩხ.); წელი ტკივა (ჩხ.).

ღ) მესამე სუბ. პირის ფორმები ს სუფიქსის ნაცვლად ზოგჯერ ჰ'ს დაირთავენ ე, ი, ო ხმოვანთა შემდგომ. მაგ.: უნდა გაფურჩნო, რო გათხელდე და კარგი ტარო (შღრ.) გაიკეთოს (საღრ.): უნდა წყალი გაუვიდე (საღრ.); ლამი ძირ დასთრევთ (ტბ.); უნდა იდულო (საღრ.). იგივე ჰ გვაქვს ზოგჯერ S<sub>II</sub><sup>P</sup> -ეს სუფიქსის -ს ელემენტის ნაცვლად აორისტში. მაგ.: ცოტა ნაკმაზი მააქუჩე (ჩხ.); კბილი გიპოვნე და! (საღრ.).

S<sub>3</sub> ს არ ახლავთ ზოგჯერ -ავ და -ამ თემიანი მოქმ. გვარის ზმნებს პირველ თურმეობითში. მაგ.: მოსამსახურისთვინაც უთქვამ (ტბ.); არსენას უთქომ (ტბ.) არც თუ იშვიათად S<sub>3</sub> ს არ გააჩნიათ, აგრეთვე სტატიკური და ინვერსიული ზმნების აწმყო დროის ფორმებს. მაგ.: ხბორი აქა დგა (ჯორჯ.); შიგკაცი წევ (გოლთ.); კუდი შუბლზე უდევე (ფარცხ.); ბაკივით არი შამოწნული (ჩხ.) (შღრ. ადგილი არის — ქერა მიწა, ადგილი არის — თიხამიწა (ჯორჯ.); საბალნე მიმაქ (თონ.); პატარა ქუჩეჩებივით აქ, გემო ტკბილი (შღრ.!) აქვს (ტბ.); მოუსვენარი ბავშვი გეყავ (ჯორჯ.).

რიცხვი. მრ. რიცხვის მე-3 სუბ. პირში გარდაუვალი ზმნები ორივე ნამყოში, გარდამავლები კი ნამყო უსრულში, დაირთავენ -ნენ დაბოლოებას; -ენ'ს თითქმის არ ვხვდებით. მაგ.: დაყარეს და გაიქცნენ (თონ.); გადააპნევდნენ ნაკმაზ (ჩხ.); შამოგვეცინამდნენ (გოლთ.) (ბოლო ორი მაგალითი ხოლმეობითია)... ნამგალს ლესამდნენ (ჯორჯ.).

ინ/ენიანი ვნებ. გვარის ზმნები მრ. რიცხვის ნიშნის (თ) წინ იშვიათად -ენ'ს ჩაირთავენ, რაც ძვ. ქართულიდანაა შემორჩენილი. მაგ.: თქვენც მალე მემეშველენითო (მანგ.); ადექ და მოიკმაზენით (მანგ.).

ნაკვთა წარმოება. ალგეთურის თავისებურებები, რომლებიც ნაკვთა წარმოებას ახასიათებს, ძირითადად ქართულს ემთხვევა. აღვნიშნავთ შემდეგს:

ა) I სერიიდან ხოლმეობითი მეორის ფორმებია შემორჩენილი ანდაზაში: ვირსაო პიტნა სძულდაო, მიუტანიანო და წინ დაუდიანო (ფარცხ.).

ბ) II სერიიდან ნამყო ძირითადის ფორმები სხვათა სიტყვის ო'ს წინ ზოგჯერ იკვეცენ ნართაულ ი'ს: წადიო და უთხარო, ცხვარი გამამიგზანონო (ტბ.).

გ) III სერიიდან თურმეობითი პირველის მაწარმოებლად უმრავლეს შემთხვევაში -ია სუფიქსი გამოყენებულია -ავ და -ამ თემის ნიშნით ზმნებთანაც. მაგ.: ბატონებს მოუკლიათ იმის მამა (გოლთ.); ცული არ უნახია იმ ტყესა (ჯორჯ.); ჭიას კარტოფილი დაუხრია (ჩხ.)... არაფერი მითქვია (თონ.). იშვიათად ხმარებული „სთესებიათ“ (=დათესილი ჰქონიათ) ფორმაა გამოყენებული მაგალითში: წალკური კართოფილი სთესებიათ ნემენცურასა (ჩხ.). ზოგჯერ თურმეობით პირველში მოსალოდნელი -ებ ნიშანი არ ახლავს ზმნას, რაც ვნ. გვარის მიმღეობიდან მომდინარეობს (ჩხ. გვ. 78): უკვე ჩაი ადულულა! (ჩხ.).

იმავე სერიიდან, თურმეობითი მეორე, ნაცვლად -ოდა სუფიქსისა, -იყო მეშველი ზმნით იწარმოება ორპირიან გარდაუვალ ზმნებთანაც (ერთპირიანების ანალოგიით). მაგ.: წინ შამოხვედრათ გარეული ტახი (გოლთ.); არ უნდა დადსკიდებიყო (მანგ.); ძროხები მოსაწველი დარჩენიყო (გოლთ.); „ელოდნა“ (ორპირ.) ზმნის ნაცვლად გამოყენებულია ლოდნებიყო (ერთპირ.): ლოდნებიყო, ლოდნებიყო და მერე წამოსულიყო (ჩხ.). „თურმე ტყუოდა“-ს ნაცვლად უხმარიათ ტყუებულებიყო: ის მგზავრი ტყუებულებიყო (გოლთ.).

თურმეობით მეორეში ნაცვლად „დაგვერწო“ ფორმისა -ო სუფიქსიანი ზმნების ანალოგიით, გამოყენებულია დაგვერწო ფორმა: როგორ უნდა დაგვერწო აკვანი? (სალრ.).

ამავე თურმეობითში უშუალო კონტაქტის ფუნქციით გამოყენებულია კაუზატივი: საბუთი წეერთმეინათ (=წაერთმიათ), — სხვის მაშინაზე რათა ზიხარო (გოლთ.).

გვარი. ვნებითი გვარის „დაეძინა“ ზმნაში ზოგჯერ ერთდროულად ვხვდებით პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებას. მაგ.: არსად არ დაგეძინდეს გზაშიო (გოლთ.); ამ ბიქს ჩეეძინდა (გოლთ.).

ვნებითი გვარის „მაკდება“ ზმნის ნაცვლად ალგეთურში ფეხ-შოკიდებულია მაკულოფს ფორმა (საშ. გვ.) (შდრ. „კეშულობს“). მაგ.: მაკულოფს პირველათ (ჩხ.). ეს სიტყვა ამ სახით იმერულშიცაა დადასტურებული<sup>105</sup>. ვნ. გვარის „ტრიალდება“ ზმნის ნაცვლად გამოყენებულია საშ. გვარის ტრიალოფს ფორმა: ვერ ტრიალოფს გუთანი (ჩხ.).

ქცევა. „მოსპობს“ ზმნა წარმოდგენილია პრეფიქსული ახმოვნით (ერთ დღეს მაასპო ეს სახემწიფოები; გოლთ.), რომელსაც საარვისოს ნიშნად თვლიან (ა. შანიძე) (შდრ. გვ. 44).

ალგეთურში ვხვდებით საობიექტო ქცევებიან შედარებით იშვიათად ხმარებულ ფორმებს. მაგ.: ვერ შაუვალთ ჩვენაო (ლექები ბირთვისის ციხეში გამაგრებულ ქართველებს) (ტბ.); დაუძრო (←დააძრო მან ის მისთვის) ხმალი მოსაკლავათ (გოლთ.). თავისებურია დეფფთხოთ ფორმა, რომელიც საობიექტო ქცევის „დაუფთხნენ“ ფორმის ნაცვლადაა გამოყენებული შემდეგ მაგალითში: ბეშუებს არ გაუშეფ, — ან გოქები დეეფთხოთ, ან რამე, — სად უნდა გარეკონ?! (მაწ.). ენიან ვნებითთა ანალოგიით ნაწარმოები ეს ზმნა პოლისემიურია; ზემორე კონტექსტში მას კავშირებითი მეორის გაგება აქვს, მრავლობითის თნიშანი ობიექტისაა.

ნეიტრალურის ნაცვლად საობიექტო ქცევაა გამოყენებული მაგალითში: რო მოუტყდება (=მოსტყდება) რამე...ახოს შემაადებენ (ჩხ.).

თემის ნიშნები. ალგეთურ მეტყველებაში თვალსაჩინოა სხვადასხვა თემის ნიშანთა გაერთსახოვნების ფაქტი; ამგვარი მიდრეკილება ძირითადად აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს. აწმყოს საწარმოო აფიქსთა შორის აღსანიშნავია -აშ თემის ნიშნის გამოყენების არის საგრძნობი გაზრდა: ერთი მხრივ იგი ხშირად ენაცვლება -ავ მაწარმოებელს, მეორე მხრივ, ასევე ხშირად, იკერს იგი -ებ სუფიქსისა და გამონაკლის შემთხვევებში -ობ და -ი სუფიქსების ადგილსაც კი. -აშ (←ავ) გვხვდება უთემისნიშნო ზმნებთანაც.

-აშ←-ავ. მაგ.: გუთანი უბია და ხნამს (ჩხ.); ისე ფქვამს, რო სუ ნალბამს (პ. თონ.); დაეცეხამთ (თონ.); მონავარი ბატები მყაამ (ჩხ.); აღვირით გიჭირამ (ტბ.); ვაზს ესხლამდით (ბგვ.); ქალი მოჰყამდათ წიოკობითა (ტბ.); შეჰკრამენ კონაკონა (მაწ.).

<sup>105</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 65.

-ამის პარალელურად არაიშვიათად -ავ'ი სარგებლობს თავისი უფლებებით და რაც საგულისხმოა, ზოგჯერ ერთი პირის გაბმულ მეტყველებაში ერთი და იგივე სიტყვა ხან -ავ'ითაა წარმოდგენილი, ხან -ამ'ით. შდრ. მაგ.: ცელს კვერზე ჰკვერა მ დნენ (ჩხ.) და: წინათ სხვანაირათ კვერა ვ ე დნენ (ინფორმატ. ერთია!); ხელითა ვჩურჩ ა მ თ (ტბ.) და: კაკალს ვჩურჩ ა ვ თ (მაწ.); გავლენა მ თ კალოსა და: ჩელხსა ხელახლა ლენ ა ვ ე ნ (თონ.); სქლათა სთეს ა მ და (ჯორჯ.) და: ჰალეებში ვთეს ა ვ თ (ტბ.); რძეს აიწურ ა მ ს (ჩხ.) და: სუფთა პარ-კში გავწურ ა ვ დით (ჩხ.); მამა ჰყ ა მ (ჩხ.) და: იქა გვე ა ვ სახლი-კაცები (თონ.) (სხვა მაგ. იხ. უთემისნ. ზმნებთან).

არის საპირისპირო შემთხვევებიც: -ამ—-ავ. მაგ.: სვ ა ვ ე ნ, ქეიფობენ (გოლთ.); კვერცხს წაუსვ ა ვ ე ნ (თონ.); ყველა თავში არ-ტყ ა ვ ს (ფარცხ.).

-ამ (—-ავ) ნიშანი ვ (—ჟ)ზე დაბოლოებულ სიტყვაზე დარ-თვისას, ვ'სთან შერწყმით ლებულობს -ომ სახეს. მაგ.: ხორბალს ავშუშამთ, მერე წიწილებ დაუფქ ო მ თ (სალრ.); აგურს დავე ო მ თ (ჩხ.); მიიწ ო მ ს და აიხრაკება (ჩხ.) (შდრ. მთ. მიიწვ ა ვ ს ძირზე; მაწ.): რო ჩაიწ ო მ ა შეშა (ჩხ.). უკანასკნელი მაგალითი სპორა-დულ შემთხვევებს მიეკუთვნება. ჩ ა ი წ ო მ ა'ში -ომ ნიშანი, ალ-ბათ, მოქმედებითი გვარის „ჩასწომს“ ფორმის ანალოგიითაა მიღე-ბული.

-ავ'იანი „ხალავს“ ზმნა აწმყოს წრეში იწარმოება ინიანი ზმნე-ბის ანალოგიურად. -ავ'ის ნაცვლად ი'ს დაირთავს: ხორბალ დახლიან (ჯორჯ.)...

უთემისნიშნო, მათ შორის ფუძემონაცვლე, ზმნებიც დრო-კი-ლოთა აწმყოს ჯგუფში ირთავენ -ამ (—-ავ) ან იშვიათად -ებ თემის ნიშნებს. მაგ.: ულოსთვის მოვგლეჯ ა მ თ (მაწ.); მოუჩხრეკ ა მ და კარგა მეეკიდება (ჩხ.); გამოვჰყლეტ ა მ თ წყალში (ტბ.); მამასახ-ლისი ჰკრეფ ა მ და (ჩხ.); ავდარი შრეტ ა მ ს პურსა (სალრ.).

ამავე ტიპის ზმნებთან ვხვდებით -ამ'ისა და -ავ'ის პარალელუ-რად გამოყენების შემთხვევებსაც: შდრ., მაგ.: ნუშებ დახვრეტ ა მ ე ნ (გოლთ.); და: ხეს რო გახვრეტ ა ვ (ჩხ.); ცომს მოზელ ა მ (გოლთ.) და: ეხლა ზელ ა ვ ს ცომ (მთქმელი იგივეა).

ზოგჯერ ხსენებული ფუძემონაცვლე ზმნები იმავე აწმყოს ჯგუფში -ამ ნიშანსაც ირთავენ და ნამყო დროის ჯგუფში წარმოების მსგავსად (და საფიქრებელია — მისივე ანალოგიით) ფუძის ფლექ-სიასაც განიცდიან (ე'ს ი ენაცვლება ფუძეში). მაგ.: მ ო ზ ი ლ ა მ



ცომსა (ფარცხ.); ფქვილს ხელზე ავსვრიძამთ (ჩხ.); იმას ხელით დაგლიჯამენ (ჯორჯ.); გავთქვიფამთ რძეში (ფარცხ.); დავფინამთ მზეზე (ტბ.); ღიძას დავკრიფამთ (საღრ.).

ორმაგი თემის ნიშანი გაუჩენია (-ევ+-ამ) „მოაქდევს“ ზმნას აწმყოს ჯგუფში: მოვაქდევამთ (მაწ.) [შღრ. დაამქდევებენ (აქაც ორმაგი ნიშანია: ევ+ებ) ჯოხზე; ჩხ.].

აქა-იქ -ამ' (←ავ)'იანი ზმნების ანალოგიით, -ამ ნიშანი, ზოგ ზმნაში -ობ და -ი თემის ნიშნების ადგილზეც იხმარება. მაგ.: არავინ იცის, რასა ფიქრამ და (მაწ.); პურს ვიყიდა მთო (გოლთ.)...

-ამ (←ავ) თემიან ზმნათა გავლენით -ამ ნიშანი გაბატონებულია -ებ'ის ნაცვლადაც; ხდება თითქმის სრული უნიფიკაცია. მაგ.: ნაცილებ მიგონამსო (თონ.); ყანა კოქ გაიკეთამს (ჯორჯ.); მერე შევაგემამთ და გაიხლებით (მაწ.); იძინამ? (ჩხ.) (შღრ. თუ დაიძინებს ბავშვი, მოვისვენამთ; ჩხ.); მერე ფქვილ მოუკიდამ (ფარცხ.) (შღრ. ფიქვ რო უკიდებენ; გოლთ.); რო მივიდოდი ხომე, შამოგვცინამდნენ (გოლთ.); წესიერ კაცს გამირიგამს. (გოლთ.); აქეთ-იქით დაურიგამენ ხომე, მიაწვდიან (გოლთ.); მადულამენ (ფარცხ.); მოვაქუჩამდით (მაწ.); ვასესხამთ (ფარცხ.); შეადედამ (ფარცხ.); გაანელამს (ფარცხ.); გავასწორამთ (მაწ.); იტირამს (მაწ.); ერბოს გადავაახლამ (მაწ.); აქ მივყუდამ ზურგსა (ჩხ.) და სხვა მრავალი. ბოლო მაგალითში რელიტირებულია ახმოვანი (←მივაყუდებ).

ხდება შებრუნებითაც (-ამ→||-ებ): იმას წაუსვებენ (მაწ.); ცოცხს გადაუსვებთ ხვავსა (ბგვ.).

იმავე მთანხმოვანს შეიცავენ -ემ და -ომ მაწარმოებლებიც, რომლებიც შესაბამისად -ევ, -ებ და -ოვ, -ობ სუფიქსებს ენაცვლებიან.

-ემ←-ევ: დავასხამთ პინებზე, გავწ-გამოვწემთ, ერბოს უზამთ. და ვქამთ (მაწ.); ნელ-თბილ წყალში ჩავამტვრემთ და დავდგამთ. ჯამითა (მაწ.); ფოცხებით მივდემთ (პ. თონ.); საჯოლღავში შემოუქცემთ (მაწ.); (მეხრე) მოსწემს ხარს (ჩხ.); გუთანი რო მოხნამს, იმას ამოსდემს ხომე (ჩხ.); ხარკ აძლემთ (თონ.).

-ემ←-ებ: არაფერს აკეთემ (გოლთ.) (შღრ. რასაც ვეტყვი, არ აკეთებ; გოლთ.); რა გაჩხუბემთო (თონ.); არ აწუემ და ხბოსა (თონ.); ერთ სიტყვას ვერ გავაგონემ (თონ.); ვმუშაომდი და ვილემდი (თონ.); ამოვიდემთ კარაქსა, გადმოვიდემთ დოსა, მერე გავაციემთ ... ჩავდემთ ერთ ქილაში (ფარცხ.); სა-

ქონელს არ შეუშვებთ (მაწ.); აქემდნენ იმ კაცსა (გოლთ.); შრატს მოიგდემს (მაწ.); ჩავაგდებთ ბოქვაში (მაწ.).

-ემ და -ომ აფიქსების პარალელურად მოქმედებს -ეფ (←-ებ) და -ოფ (←-ობ) ვარიანტებიც, რომლებშიც -ებ და -ობ თემატური ნიშნების თანხმოვანი ელემენტი (ბ) დაყრუებული სახითაა წარმოდგენილი.

-ეფ←-ებ: კვერცხში ამაველ ეფ პურსა (სალრ.); შეუყენეფ წყალსა და მოუვიდეფ ფქვილსა (სალრ.); მერე აღულეფ შრატსა (ტბ.); ტაროს გამაიდეფ (ჯორჯ.); უყარაულეფ (სალრ.); რო დამსაქმეფ, ხმას არ ამოიდეფს (თონ.); არ გილალატეფო (თონ.) და სხვა.

-ეფ←-ებ. -ამ თემიანი ზოგი ზმნის -ებ დაბოლოება ენიან ვნებითში -ევ ნიშნითაა წარმოდგენილი დრო-კილოთა აწმყოს ჭგუფში. მაგ.: რალაც მიესხმევა ... საქმელი შეესხმევა (სალრ.).

ერთ შემთხვევაში -ებ'ის ფუნქცია უკისრია ვ თანხმოვანს: გაბამდნენ ბაწარ და ქსოვდნენ, მე მიყურვია იქა, მოხიში (ჩხ.).

ზმნა „შეიკვრება“ იხმარება ძველქართული „შეიკვრის“ ფორმითაც (იხ. გლ.). მაგ.: კონა შაიკვრის (ჯორჯ.) (შდრ. შაიკვრება კარები: ფარცხ.).

-ობ თემის ნიშანს, როგორც ზემოთაც ითქვა, ხშირად ენაცვლება -ომ, ზოგჯერ -ოფ და სპორადულად -ამ ნიშნები.

-ომ←-ობ: დავადნომთ ძველერბოსა (მაწ.); თოფიხალთა მიწაში ცხოვრომს (თონ.); თანუქარი რკინას ალბომს (თონ.); ძლივ დაღონღილომს (თონ.); ღორი კეშულომს (თონ.); მარცვალი ნედლომს, არ იფქვის (ბ. თონ.).

-ოფ←-ობ: არა კადრულოფო (თონ.); რასა ყელყელაოფ, რა დაინახე?! (ჩხ.); თოვლ-ჰყაპ ვაპიროფ (თონ.).

-ამ←-ობ: ფიქრამდა (მაწ.).

-ობ←-ებ. ზოგჯერ, ანალოგიით, -ებ თემის ნიშნიანი ზმნები -ობ (←-ოფ) ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგ.: ქუსლრო მოვქსოვთ, მერე ყელს დავიწყობთ (ჩხ.); ვერ მუასწრობდით (გოლთ.); ჩარხი ტრიალობდა (ჩხ.)... შენ რამოდენას ლაშლაშოფ ხომე! (ჩხ.) და სხვა.

„შეპფერის“ ზმნა -ი'ს ნაცვლად -ობ'ითაა ნაწარმოები: შვილათ შაპფერობს, მეთქი (გოლთ.).

პრევერბი. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, და სხვა აღმოსავლურ კილოთა მსგავსად, ალგეთურის თავისებურებაა შე- და მო-პრევერბების პარალელურად ხშირი ხმარება შა-

და მა- ვარიანტებისა, მათ შორის შა- გვხვდება როგორც ზმნებში, ისე სახელზმნებში. მაგ.: შა- (—შე-): სიცხემ არ შა აწუხოს (სალრ.); ლობიო შა ვანელეთ (სალრ.); შამაბეზრეს ბატებმა (ჩხ.); შვიდი ქათამი სუ შა უქამა (თონ.); ახში ხელ-ფეხი შა უჯრეს არსენას (ტბ.); შა იკმაზა, შა იარალდა, შა ჯდა ცხენზე და წავიდა ვაშ-კაცური ტანისამოსით (გოლთ.); შა აღუღებს და შა ირკინა თვა-ლი (გოლთ.); შა სხდნენ ცხენებზედა (ტბ.); ტბისი უნდა შა გვეს-ყიდა (ტბ.); ალგეთზე ხბორები ჰყოლია და შა შინებია (ტბ.)... ერთი შა ტევა არი (ჯორჯ.); შა კაზმა უნდა (ფარცხ.); ჩერქეზული უნავირი არი, სუ შა ვერცხლილი (ფარცხ.); ფეხები აქ შა კრული (ჯორჯ.); შა უქმელს არ უშვებს (გოლთ.); ბუზმენტის შა საკრა-ვები ჰქონდა (ჩხ.). შა- გამოყენებულია და- პრევერბის ფუნქციით მაგალითში: ირემი და ხარი შა ამობილდნენ (ჩხ.).

მა- (—მო-): მა აქუჩებს (ჯორჯ.); მაინც მა ახელებს სადმე (ფარცხ.); მა აკრამენ მაგრა პირსა (ჯორჯ.); შეშას მა ათრევენ; ყელზე მა აბამენ (ჩხ.); რაც მა ადგება, — წამაისერის (სალრ.); მა ახერხებს (ჯორჯ.); მა იპარსა წვერ-ულვაში (გოლთ.); კარქა მა იშუშება (ბგვ.); ხბო უნდა მა იგოსო (ფარცხ.); კირკაეთ მა იხარშება (სალრ.); ყვაილს მა იბამს (ტბ.); ერთი ცხენი მა მეციო (გოლთ.); ხშირათ მა მიგლეჯია (ბგვ.); უნდა შენ მა მინარიკლო! (მაწ.); სტუმარი მა მივიდა (ბგვ.) (შდრ. ეს რა მო მივიდა!; გოლთ.).

მო- პრევერბის მა- სახით ხმარებას ერთგვარი კანონზომიერება ახასიათებს, რაც ფონეტიკურ ნაწილშია განხილული (გვ. 20, 21). იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება მო- და მა-ს მონაცვლეობა რთულ პრევერბებშიც, როგორცაა: შემო-, ამო-, გამო-, წამო-, ჩამო-.

რთული პრევერბი შემო- გვხვდება, როგორც შამა-, ისე შემა-ს სახით; მეორე მხრივ გვაქვს შამო- ვარიანტიც. მაგ.: მართულ შამა ავლეფ (ჩხ.); ზურგზე შამა იკრა ყმაწვილი (ტბ.); მიწრო კაბები შამა ილეს (გოლთ.); მაყრულ რო შამა აძახეფ! (ჩხ.)... დახოს შე მა ადებენ (ჩხ.)... სახლს სამჯერ შამო უვლიან (ჩხ.); მუშტი შამო ჰკრა (ტბ.); ერთი საურამე საბელი არ შამო-სწვდებაო (სალრ.); შამო ვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი (ჩხ.); თიბათვეში შამო დის (გოლთ.); შამო დგომით არ დაითესება (ფარცხ.); შამო უსვლელია ჯერა (ფარცხ.).

ამა- (—ამო-): თითო-თითოს ამა არჩევენ (ჯორჯ.); კოვზით ამა ილენ (ჩხ.); მალა უნდა ამა ისროლოს (ჩხ.); პატარა ლა-განი ამა იტა! (ბგვ.); ტოტებ ამა იყრის (პ. თონ.); ამამილეფ,—

ინანეთო, არ ამა მიღეთ, — ინანეთო (გოლთ.); საბეწვე ამა მიღეჯეჯდა (თონ.).

გამა- (←გამო-): სუ გამა აცლის გულსა (ჩხ.); გამა ახვევდნენ ჩვარში (ჩხ.); გამა იქცნენ (ტბ.); ლივს გამა იტანს (თონ.); ნაყოფ არ გამა იღებს (სალრ.); უთხარო, ცხვარი გამა მიგზანონო (ტბ.).

წამა- (←წამო-): ზურგით ხო ვერ წამა იღებდა (ტბ.); რაც ენაზე მაადგება, წამა ისვრის (სალრ.).

ჩამა- (←ჩამო-) ჩამა მისხა (ფარცხ.).

თუ ზმნა ე ხმოვნით იწყება, ან ზმნის თავკიდურ ხმოვანს ე მოსდევს, ასეთ ზმნაზე დართული მო-, ჩა-, და- პრევერბები ხშირად მე-, ჩე-, დე- სახით გვევლინებიან ასიმილაციის გამო. ასევე ხდება იმავე პირობებში მოქცეულ მო-, და-ს შემცველ რთულ პრევერბებშიც. ასე, მაგალითად, წამო- პრევერბის ნაცვლად გვაქვს წამე- ვარიანტი. ზოგჯერ ამგვარსავე პირობებში მყოფი რთული პრევერბის პირველი წევრის ხმოვანიც (ა) ე'დ აცვლება (მაგ. გამო-ს ნაცვლად გვაქვს გემე- და სხვა).

მაგ.: მე- (←მო-): კარგა მე ეკიდება (ჩხ.); მერე ყელში მე ედება (ჩხ.); დე- (←და-): წამეეკრა ფეხი და სუ დე ექცია, საღულარიც (=ქოთან) დე ემტვრია (სალრ.). ჩე- (←ჩა-): რაც გინდა ჩე გესხა შიგა (სალრ.). რთული პრევერბები: წამე- (←წამო-): წამე ეეკრა ფეხი (სალრ.)... გემე- (←გამო-): აელო და ყელი გემე ექრა (გოლთ.). ჩემე- (←ჩამო-): თმა ჩემე ეშალა (გოლთ.).

არის შემთხვევები ერთი პრევერბის გამოყენებისა სხვა პრევერბის ფუნქციით. მაგ. და- გამოყენებულია ჩა-ს ნაცვლად, და-ს ადგილზე კი შა- (←შე-) არის ნახმარი: მზე რო დავა (შდრ. და-სავლეთი) ჩასავლელათ (კლდ.)... ირემი და ხარი შა ძმობილდნენ (ჩხ.).

მნიშვნელობის გასაძლიერებლად გადა- (←გარდა-) შენაცვლებია შე- პრევერბს მიმღობაში: გადა წუხებულები იყვნენ შიმ-შილითა (გოლთ.).

ზოგჯერ ზმნას არ ახლავს მოსალოდნელი პრევერბი. მაგ.: აბრუნა (=მო აბრუნა) ცხენი და უკან გამაიქცა (გოლთ.).

უპრევერბობა ზოგჯერ მრავალჯერობას გამოხატავს. მაგ.: რო ცივდება (=აცივდება ხოლმე), მაშინ ტკება (ფარცხ.); ისა ყვაილს იტანს (=გამოიტანს ხოლმე), წითელი ყვაილი იცის (ბგვ.).

მიმლეობათა შორის კანონზომიერი წარმოების გვერდით ვხვდებით ზოგ თავისებურებასაც.

მ- პრეფიქსით იწარმოებენ მიმლეობას რიგი -ავიანი მოქმედებითი გვარის ზმნები, როგორიცაა (მკოხავი (ვინც კევრს კოხავს; პ. თონ., ჩხ.) და სხვა.

მრავლადაა ვნებითი გვარის მყოფადის მიმლეობის ფორმები; ზოგი მათგანი აღნიშნავს იარაღს, რითაც მოქმედება ხდება (სა-, სა-ელ-ა წარმოება).

სა-: საჯოღლავეი მსხვილი ცხრილი, რითიც ჯოღლავენ ჯელღს (თონ., ჩხ., მაწ.); სახალავი თუჯის ჭურჭელი, საკორკოტე ხორბლის დასახალავად (საღრ., კლდ., შავს.); საკვერავი რაზედაც იარაღს კვერავენ, ზინდანი (ჩხ.) (შღრ. საკვერი; გოღთ.); საწყავი „ჩავყრიღთ კორკოტს დიდრონ საწყავებში, იმას ჩავნაყამღთ სანაყავითა“ (ტბ.); სანარწყავი, სანარწყალი, სანერწყავი, სანერწყული ჩაღრმავებული ადგილი გომურში. საღაც შარღი და პატივი ჩავღინება (თონ., ფარცხ., ტბ, კლდ., ჩხ.); საწური ქაფქირი (ჯორჯ.); საკეცი 1. ცეცხლის ასაღები მამა (ჩხ.); 2. სახსარი ადამ. ხელ-ფეხისა (საღრ.); სახეჩი ადვღპობადი (ატამი) (საღრ.); საკიღი ტანსაცმლის დასაკიღი (გოღთ.); სამალევი (←სამალავი), სამალეები (←სამალავები) სახნავ-სათესი მიწის სახელწოღება — შიშიანობის დროს ხაღნი იქ (გამოქვებულებში) იმაღებოღა (თონ.); სახვეტი „გზებ რო ხვეტამენ, თოელი რო მოვა, ცხენები უბია...“ (ჩხ.). სა-ელ-ა: სახვეტელა გრძელი, თავმოხრ. რკინის ჯოხი, ფურნეში ცეცხლის მოსაჩხრეკად და ნაკვერცხლის მოსახვეტად, საჩხრეკი (თონ.); საცეხველა (საცეხვავი/საცეხვი) სიმიღნღის, ლობიოს დასაცეხვი კეტი (ჩხ., თონ.). სა — უღ: სანერწყული იხ. ზემოთ; სართაულები ს. კლღეისის მამულია, მხოლოდ ერთხელ ითოხნება, ამიტომ ბაღახი ერევა და ძნელი გასამარღლი ხღება. გვაქვს სა—არ და სა—ო წარმოებაც. სა—არ: გასამაკინარი, სამაკინარი, სამაკინებელი დეკეული, ფურზაქი, რომელსაც პირველი დამაკების დრო მოუვიღა (ფარცხ., ჩხ., გოღთ., თონ., ჯორჯ., საღრ.); სა — ო: სარიღო ტიფი (არსენას ქალი რო მოუტაცნია... სარიღო შახვედრია; ტბ.); საფარეზო ვისაც უღდა ეფერო, სალოღიავებელი („ეფარეზება“) (საფარეზო ქალი; ჩხ.).

ვნებ. გვარის ნამყო დროის მიმღეობაში გვაქვს ზოგი თავისებურება.

-ულ სუფიქსით ნაწარმოებ მიმღეობაში ზოგჯერ ჩავარდნილია სათანადო ზმნისეული -ებ თემის ნიშანი: ჩ ა მ ო კ ი დ უ ლ ი (საღრ.); უმიც, ა დ უ ლ უ ლ ი ც ნაღებია (ტბ.)... რთულ სახელში: იმ ა ნ ა ც ე რ მ ო კ ი დ უ ლ ი (ხალიფაფა) გემრიელი მოდის (კლდ.)... „ბრაზიანი“-სა და „გაბრაზებული“-ს შერწყმით მიღებულია გა ბ რ ა ზ ი ა ნ ე ბ უ ლ ი: გაბრაზიანებული იყო (გოლთ.). „დახალული“-ს ნაცვლად ხშირად იხმარება და ხ ლ ი ლ ი („ხლის“): დახლილ ბურღულს ჩაჰყრი წყალში (ჯორჯ.). ვნებ. გვარის ზმნათა შორის ზოგჯერ ვხვდებით ერთთემიან, ხმოვანმონაცვლენ ფუძეში ე ხმოვნის მქონე და ზოგსაც სხვა ზმნას, რომელთაც ნამყო დროის მიმღეობა მოსალოდნელი -ილ'ის ნაცვლად -ულ სუფიქსით აქვთ ნაწარმოები -ულ'იანივე მიმღეობათა ანალოგიით. მაგ.: მე და ბ ა ნ უ ლ ე ბ ი მქონდა ხელები (ჩხ.); გაწურთხული (ტბ.); გათქვეფული (შ. თაქ.); შავათ შეღებულსა დაშბვა არ უნდა (თონ.); დედაჩემი წიგნშია დაბეჭდული (მაწ.); დ ა ნ ა ყ უ ლ ი (გოლთ.); მოტანული (ჩხ.); მოყვანული (ჩხ.).

პრეფიქსიანი ვნებითის მიმღეობის წარმოება პროდუქტიულია ალგეთურში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ნ ა რ ბ ი ლ ი — მიწა, რომელიც დამუშავებული იყო, რომელზეც ეთესა რამე; ნ ა ძ რ ა ვ ი მიწა — დამუშავებული მიწა (თონ., მაწ.); ნ ა ჩ ე ნ ჩ ხ ი ძვლებდაღეწილი. მაგ.: დამტვრეული იყო საწყალი, სუ ნაჩენჩხი! (ხევში ჩავარდნილი კაცი) (პ. თონ.); ნ ა ჩ უ ნ ჩ ი დაჩურჩული ლობიოს ცარიელა პარკები (მაწ.); ნ ა წ მ ე ნ დ ი ნაკმაზი (მაწ.); ნ ა რ კ ვ ე ვ ი ტაბაჯზე გაკეთებული პურის ხარჯი (თონ., ჩხ.); ნ ა ჯ ო ლ ლ ი ანალეწის გაცხავების (გაჯოღღვის) შემდეგ ცხავში დარჩენილი მსხვილი ბზე და გაულეწავი თავთავი (საღრ., გოლთ.); ნ ა რ თ ი შინ დართული ძაფი, უპირატესად მატყლისა (თონ., ჩხ., შავს.); ნ ა დ ღ ვ ე ბ ი 1. დო (ტბ.), 2. კარაქი (საღრ.); ნ ა ჰ მ ე ვ ე ი: კამეჩები ნაჰმევები არიანო (გოლთ.); ნ ა ჰ ა რ ე ვ ი (—ნა — ავ) ვადაზე აღრე, ჩუმად მომხდარი დაახლოება დედალ-მამალი ცხვრისა (ტბ., ფარცხ., ჩხ.); „ნაშვილევი“-სა და „ნაშვილობი“-ს შერწყმით მიღებულია ნ ა შ ვ ი ლ ო ბ ე ვ ი: თავის ნაშვილობევს გაატანა (გოლთ.)... ნ ა ფ ხ ე კ ა ვარცლიდან ანაფხეკი ცომი (თონ.). ეს ბოლო მაგალითი ნა — ა წარმოებისაა.

ზოგი სტატიკური ზმნის მიმღეობის მსგავსად მო — ე აფიქსებითაა ნაწარმოები მიმღეობები შემდეგ მაგალითებში: მ ო მ რ ი გ ე

(—მომრიგებელი) დალალი (ჩხ.); მოსადილე მუშისათვის სა-  
 დილის მიმტანი (გუთანზე და სხვ.) (თონ.); მოწლოვანი.  
 მოწლე (ითქმის აგრეთვე: მოწლევე და მოწლეური)  
 ნაყოფის წელიწადგამომვებით მომცემი ხე (თონ., ჩხ.); მოჭრე.  
 თავის ჭერის მომლოდინე (უპირატესად წისქვილში) (თონ., ჩხ.);  
 მოთავე: „სოფელში დაივლიან უფრო მოთავე ახალგაზრდები“  
 (ყეინობის დროს) (სალრ.). ერთ შემთხვევაში -ავ'იან ზმნას („ხერი-  
 ნავს“) მიმღეობა მ-ს ნაცვლად მო- პრეფიქსითა აქვს ნაწარმოები:  
 მოხვრინავი ღრმა მორევი. მაგ.: დიდი მოხვრინავებია (ალ-  
 გეთში) და შიგ არ ჩახვიდე, მეთქი, ვეხვეწე (ბიქსა) (ჩხ.). მა — არ.  
 აფიქსებითაა ნაწარმოები მიმღეობა სტატიკური ზმნისა „ცხოვ-  
 რობს“: მაცხოვარი. მაგ.: ისეთი მაცხოვარი იყო, რომა!..  
 (ჩხ.). მოქმ. გვარის მა- პრეფიქსითაა ნაწარმოები მიმღეობა მა-  
 ცადი სტატიკური ზმნისაგან „ცდილობს“. მაგ.: ქამაში მაცადო,  
 საქმეში ზარმაცო! (თონ.).

#### სიბუჟაწარმოება

ალგეთელ ქართლელთა მეტყველებაში თვალსაჩინოა წარმოქ-  
 მნილ სახელთა სიუხვე და მრავალფეროვნება. აქ ვხვდებით თით-  
 ქმის ყველა სახის წარმოებას.

კნინობითის ა, აკ, იკ, უკ სუფიქსიანი სახელებია: ა: ხელჯო-  
 ხა (მოკლე ჯოხი; სალრ.); თათუა (ხელი ბავშვის ენაზე;  
 სალრ., ჯორჯ.) ბარულა (ხის პატარა ბარი; ჩხ.: ა'სთან ერთად  
 აქ გამოიყოფა -ულ სუფიქსიც). აკ: დოჯაკი (პაწაწა თონის  
 პური; სალრ., ტბ., შავს.) იკ: ბონძიკა (პატარა თიხის ქილა;  
 სალრ.). უკ: ბაცმანდუკა (ბალახია ერთგვარი; ტბ.).

ქონების სახელების მაწარმოებელთაგან შედარებით პროდუქ-  
 ტიულია იან და ასუფიქსები. იან: ღოჯიანი პური (გალივე-  
 ბული ხორბალი). ყადრიანი (თადარიგისანი, დამზოგველი;  
 თონ.), თილისმიანი (ტყბილი ენის პატრონი; პ. თონ.): ბუ-  
 სიანი (არაფრის მაქნისი ადამ.: გოლთ.), შირიმიანი (ში-  
 რიმით დაავადებული; შავს.) და სხვა მრავალი. იან'ის ნაცვლად ან  
 სუფიქსს დაირთავენ ო ხმოვანზე დასრულებული სახელები: ერ-  
 ბოანი, კილოანი ქილა, ყეტოანი.

იან (|| ან) სუფიქსით ნაწარმოები ზოგი მსაზღვრელი სახელი  
 არსებითადაა ქცეული და საზღვრულის გარეშე იხმარება; ასეთი  
 სახელები ზოგჯერ ერთ ადგილზე თავმოყრილ მცენარეთა ან სხვა  
 საგანთა სიმრავლეს გადმოსცემს და ხშირად ტიპონიმებს წარმოად-

გენს. მაგ.: ორჯამიანი (დიდი თიხის ჯამი), ლობიოანი (ლობიოიანი ნამცხვარი; სხვა კუთხეებში არის ლობიანიც), წვიმიანი („წვიმიანში კომბაინი ვერ შედის“; კლდ.), ტყიანი („ტყიანში ფიჭვი იცის“; კლდ.), წვრიმლიანი (ნორჩ ხეებიანი ადგილი ტყეში). ჩირლლიანი (ხშირი, გაუვალი ტყე; პ. თონ.), ქილიანი (კლდ.), პანტიანი (ს. კლდეისის სათიბია), ბალიანი (ჩხ.), კაკლიანი (სათიბია ს. მაწვენისა). მრავლობითის თ სუფიქსთან ერთად იან აღნიშნავს საგვარეულო ქონებას, მამულს. მაგ.: ყავრიანთა (ყავრიშვილების ყოფ. მამული, ამჟამად სოფ. თონეთისა).

ა სუფიქსით იწარმოება ქონების აღმნიშვნელი რთული სახელები, რომლებშიც პირველი კომპონენტი მეორის მსაზღვრელია და ზედსართავ ან რიცხვით სახელს წარმოადგენს. მაგ.: დიდთვალა საჯოღლავე (ჩხ.), პატარათვალა საჯოღლავე (ჩხ.). (მ)სხვილთვალეა საჯოღლავე (ჯორჯ.), ცხრათაველა პური (მაწ.), თხელტევეანა ყურძენი (ბგვ.); მოკლებეწვა მატყლი (ჩხ.). ორგულა ახალუხი (თონ.), ახალბედა (ხელახლად დაქორწინებული ან გათხოვილი ქვრივი; ჩხ.). მარტივი ფუნისაგანაა ნაწარმოები სახელები: სრელა (ზოლებიანი) და ფერდელა (ფერდ-ელ-ა) ლობიო (წითელგვერდა ლობიო; ჯორჯ.). ათი იწარმოება ზოგი ზმნური წარმოშობის სახელი, რომელიც ამ ზმნის ფუძით გამოხატულ თვისებას მიაწერს ვისმე ან რასმე. მაგ.: ღრაქუნა (ვაშლის ჭიშია; კლდ.), ჩაშხრიალა (პატარა ჩანჩქერი; თონ.), ყოყინა (ზაქი; თონ.), დოღრიალა (ვისაც ღრიალით ლაპარაკი ახასიათებს; ჩხ.), სხლატუნა (ვინც სწრაფად და ბევრს დადის: მეტი სახელია ქალიშვილისა; თონ.), სარიჩეხია (ვაზის ჭიშია, უხვად ისხამს მსხვილმარცვალა, ვეება მტევნებს; ბგვ., საღრ.). ზოგი აიანი სახელი მიმღობისაგანაა ნაწარმოები: გაბმულა (ორ ხეზე გაბმული ჩასაწოლი ძუძუთა ბავშვებისათვის; თონ.). რიგი ათი ნაწარმოები სახელები-სა გამოხატავს მსგავსებას რაიმე საგანთან, მოყვანილობისა, ელფერისა, გემოსი, სუნისა, ადამიანის ხასიათისა თუ სხვა ნიშნის მხრივ. მაგ. ბიჭა (დაბერებული, გამაგრებული ბოსტნეული; საღრ., ჯორჯ.), ნემსა (მარხილის ნაწილია; თონ., ტბ., ჩხ.), შოლტა (გუთნის ნაწილია; კლდ.), ნამგალა მიწები (მოხვეული მიწები; კლდ.), ბუშტა ლეღვი (მსხვილი ლეღვია, უგემური; საღრ., ჯორჯ.), ნიორა ხახვი (კბილებიანი ხახვი; საღრ.), კართოფილა ვაშლი (ტბ.), ბრინჯა (მეტი სახელია ძალიან თეთრი



გოგოსი; თონ.), ტყემალა ქლიავი (სალრ.), შაქარა ქლიავი (ჩხ., ფარცხ., ბგვ.), ყურძენა ქლიავი (ტბ.), ბოგირა (1. გამძლე კაცი. 2. ძნელად მოსადრეკი კაცი, კლდ.), ძალლა (ავეკაცი; კლდ.) და სხვა. ამგვარად ნაწარმოები ზოგი სახელი ა სუფიქსის შემდეგ ნა მარცვალსაც დაირთავს: გველანა (გველის მსგავსი თევზი; ჯორჯ.). ადამიანის სხეულის ზოგიერთი ნაწილის სახელისაგან (კისერი, ცხვირი, მუცელი) ა მწარმოებელი წარმოქმნის ახალ სახელებს, რომელთა მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად განსხვავდება თავ-თავისი ძირეულებისაგან. მაგ.: კისერა (კისერ-მოდრეცილი ადამიანი; ჩხ.), ცხვირა (დიდცხვირა ადამიანი), მუცელი (1. დიდმუცლიანი ადამიანი, გინდა ქურჭელი. 2. ჭამის მოყვარული, მსუნავი).

ზოგ სახელთან გვაქვს პარალელური წარმოება, ხან ა ერთვის, ხანაც — ი: ადრეულა/ი, ორყეველა/ი (ხე, ტოტი), ყვეარა/ი.

უქონლობის სახელებში გავრცელებულია უ — ო ტიპის წარმოება; რაც შეეხება უ — ურ'ს — იგი იშვიათად გვხვდება. უ — ო: უწილკერძო (მეტი სახელია კაცისა; თონ.), უწველო (მაგ. ოჯახი, — ვისაც წველა არა აქვს სახლში; ჩხ.); უარზანოკო კერძი (უცხიმო, ან საერთოდ შეუნელებელი კერძი; ფარცხ., სალრ.), უწილო (=უძარღვო) (ცომი, პური; თონ., ჩხ.), უმურაზო გაუხარელი, უბედო; თონ.), უფეხო (პატარა, ფეხაუდგმელი ბავშვი; კლდ.), უთვალნაქერო (ვისაც ჭერ არავისზე უჭირავს თვალი; თონ.). უ — ურ: უყამური (უთავბოლოდ მხარჯავი; თონ., საპირისპირო: ყამიანი). უყამური (უყმური; თონ.). ვხვდებით აგრეთვე უ — არ, უ — ელ და ოდენ უ პრეფიქსიან წარმოებასაც. მაგ.: უ — არ: უფუარი (გაულევივარი; თონ.), უღიმარი (ვინც არასდროს არ იღიმება; კლდ.), უმტყუნარი [რომ არ გიმტყუნებს არასდროს. „საცა შამოპკრამო (მათრახს), — უმტყუნარიო, გააპობსო“; გოლთ.] და სხვა. უ — ელ: უქმელი (ცოტას მკამელი; ჩხ.), უხურებელი თონე (ჩხ.). უ: უხვედრი ალაგი (მიუვალი ალაგი ტყეში; მაწ.). შევხვდით უ — ა'თი ნაწარმოებ ტოპონიმსაც: უხმარია (მინდორი და ტყე მანგლისის მიდამოებში; ტბ.).

წარმომავლობის სახელებში ურ (ულ) სუფიქსი ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს (და, ამგვარად, ელ სუფიქსს ენაცვლება) ალგეთურშიც, ისევე, როგორც კახურში, ფშაურში<sup>106</sup> და

106 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, გვ. 78.

სხვა. მაგ.: იქვეური („იქვეური ქალია“; ფარცხ.). ზმნისართებისაგანაა ნაწარმოები აღმაური და თავქვეური (როგორც შემომოყვანილი იქვეური): „აღმაური გზა, თავქვეური გზა“ (კლდ.). ურ (ულ) ან ურა (ულა) სშირად გვხვდება სახელებთან თვისების ან მსგავსების აღმნიშვნელად სათანადო საგანთან მიმართებით. მაგ.: ჭაკური (←ჭაკვეური) (ნაჭრელის სახეა; შავს., თონ.), ბატიფეხური (1. ნაჭრელის სახეა, თონ.; 2. ქალამნის პირის მოსაქიმი გრეხილი თასმა, სამტოტაა; ჩხ.), უბეური თავშალი (ოთხკუთხა, ირიბად გაკეცილი თავშალი; საღრ.), კვერცხისებური ქლიავი (ჩხ.), ხელეური საგან გვაქვს ზმნისართი ხელეურად [თავისი ხელით, კუსტარულად (კეთება რისამე); კლდ.], კდიური სახლი [ხის ძელებით (ჭდობით) ნაგები სახლი; ჩხ., გოლთ., თონ.], სირაჯული ხელსახოცი (დიდი, წითელი, ზოლიანი ჩითის ცხვირსახოცი, — მაზარის ქვეშ, გულზე იფარებდნენ უპერანგო გლეხები; ჯორჯ.), ხომანდული (1. ვაშლის ჭიშია; ტბ., კლდ., 2. მსხლის ჭიშია; საღრ.). ჩხიბურა (ნაჭრელის სახეა. „გაჩხიბულ-გამოჩხიბულია“; თონ.), ბლუნძურა მარცვალი (მსხვილი მარცვალი; შღრ. ბლუნძულა), ნემენცურა. (მეტი სახელია გერმანელებში გაზრდილი კაცისა, იცოდა გერმანული) („წალკური კართოფილი სთესებიათ ნემენცურასა“; ჩხ.).

რთული წარმოშობის იურ (ივ+ურ) მაწარმოებელს შეეხვდით ზმნისართში სოფლიურათ [„დასდებოდნენ სოფლიურათ (მთელი სოფელი) და კაი დროს გაატარებდნენ“; საღრ.].

პირთაგან წარმომავლობის ეულ სუფიქსი სახ. ბრუნვის ფორმას ერთვის, ნაცვლად ნათესაობითისა სახელში მამეული (დედ-მამის ოჯახი გათხოვილი ქალისათვის; „მამეულიდან ჩხიკვთიდანა ვარ გამოთხოვილი საღრაშენში“; საღრ.). ამავე ეულ სუფიქსითაა ნაწარმოები გვარის აღმნიშვნელი სახელები. მაგ.: ცოცხლეული (ცოცხ. საქონელი ან ფრინველი; თონ., ფარცხ.; საპირისპიროა დაკლული; „ცოცხლეული იყიდე, დაკლული არ იყიდო!“ (ფარცხ.); ხორცეული (გამოყენებულია შიგნეულის მნიშვნელობით; „საქონლის ხორცეულში იტყვიან მაწიგნარას“; ტბ.).

აბსტრაქტული სახელები. განყენებულ ცნებათა მაწარმოებელ აფიქსთაგან ობა'თია ნაწარმოები რიგი სახელებისა; მათ შორის ზოგი მიღებულია არსებით სახელთაგან, ზოგიც მოქმ. გვარის მიმღობათაგან. მაგ.: თვალნაქერობა [გულის რჩეულზე თვალის დაქერა; საღრ.], უჯერობა (ჯერის დაქერის შეუძ-

ლებლობა წისკვილში: თონ., საღრ.), უ მ ძ რ ა ხ ო ბ ა || უ ნ ძ რ ა ხ ო ბ ა (უბრობა; მარხვის მეშვიდე კვირას, დიდ ხეთშაბათს იცოდნენ; ფარცხ.), კ ე რ ძ ო ბ ა (კერძო საკუთრების არსებობა: „წინათ რო კერძობა იყო, მაშინ იცოდნენ...“; ჩხ.), წ ლ ო ვ ა ნ ო ბ ა (მოწლოვანე ხის თვისება: წელიწადგამოშვებით დასხმა ნაყოფისა; „კაკალმა წლოვანობა იცის; თონ.), ს ა ვ ა ტ ო ბ ა (ერთი ბეწვა ღონე; „შმიშლით სავატობა აღარა აქს, რო ფეხი გადაადგას“; თონ.), ქ ო მ ა გ ო ბ ა (მხარის დაჭერა, მოსარჩლეობა; „ერთმანეთს ქომავობა გაუწიონ ხოლმეო“; თონ.), ხ მ ი ა დ ო ბ ა (მრცვალბულის მოსაგონარი დღე, მოდის დიდმარხვის წითელ პარასკევს; ამ დღეს ხშიადს აცხობენ და სამარხვო საკმელებთან ერთად მეზობლებს ურიგებენ; საღრ., ფარცხ., გოლთ.), ყ უ რ ძ ნ ო ბ ა (ყურძნის მოკრეფის დრო; ტბ., ფარცხ.), ჭ ა ჭ ო ბ ა (კვერცხის მდებელი ქათმების მოლევის დრო შემოდგომაზე, უკვერცხობა; „ქათმები აღარა მდებენ ხომე კვერცხსა ჭაჭობას, მართლაც, ჭაჭა რო გაჩნდება, — კვერცხი აღარ არი“; ტბ.), მ ო ჭ ე რ ო ბ ა (ჭერის დაცვა მორწყვაში, ან სხვა საქმეში; გოლთ.) და სხვა.

კონკრეტული მნიშვნელობა აქვთ ობა'თი ნაწარმოებ შემდეგ კრებით სახელებს: ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა („ქართველობამ იცის ყველის გაკეთება“; მაწ.), მ ე ზ ო ბ ლ ო ბ ა, ნ ა თ ე ს ა ო ბ ა („მეზობლობას, ნათესაობას დაუძახებთ და ვიქეიფებთ“; ჯორჯ.), ქ ა ლ ო ბ ა („ჩემი რძალი და სხვა ქალობაც წასულა აღბულაღშია“; თონ.), ლ ო რ ო ბ ა („მთელი ქვეყნის ღორობა სუ დახვეტა და წამაასხა ის ღორი“; ჯორჯ.). მსგავსადვეა ნაწარმოები წილი'საგან წი ლ ო ბ ა (გაუყრელი ოჯახის წევრი თავისი წილი ქონებით; თონ., პ. თონ.; „რამდენი კაცის წილობა ხართ ოჯახში?“; თონ.). ქალობა'საგან -ილ სუფიქსის დართვით წარმოქმნილია ქ ა ლ ო ბ ი ლ ი (ნაშვილევი ქალი; „ეს ჩემი ქალობილია“; თონ.).

ობ სუფიქსით ნაწარმოებია სახელები: ქ ვ ი შ რ ო ბ ი (ქვიშიანი, მწირი მიწა), ქ ა ნ ჭ რ ო ბ ი (ქაობიანი ალაგი), ბ ე ა ნ ტ ო ბ ი (1. ქაობიანი ალაგი; ჩხ., გოლთ., 2. ადგილი, სადაც ზოგჯერ ფშები გამოდის; მაწ.).

დანისნულეების სახელები. პრეფიქს-სუფიქს სა — ე'ს მეშვეობით იწარმოება მრავალი დანისნულეების სახელი, რომელთაგან თითქმის ყველა არსებითადაა ქცეული. მაგ.: ს ა ჭ ა მ ბ რ ე (ჯამბარის გამოსადები მოკაუჭებული ხე; კლდ.), ს ა ხ ა შ ე (თიხის დაბალი ქილა ხაშის ანუ პურის ცომის შესანახად; თონ., ჩხ., გოლთ.), ს ა ღ ვ ე დ ე (ღვედის ყულფის გამოსადები კაპი გუთანზე; თონ.,

კლდ.), საფიჩხე (ფარცხის დასამძიმებელი მორი; თონ., ჩხ.), სატომრე (შინ დაშადებული მტკიცე ქსოვილი დაზღისა, ტომრების შესაკერად; შავს., ჩხ., თ. წყ.), სასულე (ნახვრეტი ქვევრის სარქველში; ტბ.), სასაპონე (კამეჩის რქა, რომელშიც ურმის ლერძზე წასასმელ საპონს ასხამენ; ჩხ., მაწ.), საობლე (ინტერნატი; გოლთ.), სანახშირეები („სათიბებია, საძოვრები, უწინ ნახშირსა სწვამდნენ იქა“; კლდ.), სანაცრე (სათუთქე ნაცრის ჩასაყრელი ჭურჭელი; ჩხ.), სანალბე (უმი ნალბის მოსაგროვებელი მოზრდილი ხის ჭურჭელი; ენაგ., მაწ.), საბეწვე (წვრილფესვიანი იარა, რომელიც თითზე უჩნდებათ; თონ.). სამამლე (მოსაშენებლად შერჩეული ყვინჩილა; ტბ.), სამასალეხე („დიდ სამასალე ხეებს ხერხამენ“; გოლთ.), საკოქტყე (რცხილიან-მუხიანი ტყე ს. ფარცხისის ჩრდილოეთით), სამგლე გორა (ს. ფარცხისის მიდამოებშია, მგლები სცოდნია).

სა — ო აფიქსებით ნაწარმოები სახელები ასევე საზღვრულჩავარდნილი სახელებია. მაგ.: საცურაო (მარხილის ნაწილია; ჯორჯ.). საჰაერო (იგივეა, რაც სასულე; ტბ.; იხ. ზემოთ), სამღებრო (საღებავი; თონ., ჩხ.), სამეველო (მეველეობის საფასური, „საყარაულო“; ტბ.), სათვალთო (თვალისათვის მოსაწონი, ლამაზი; „სათვალთო მარცვალი აქ“; ბგვ.), სამკედრო („გაყოფი დრომ ჭადადებენ გინდა საქონელსა, გინდა ფულსა. გინდა სახლსაც გადაადებენ, ერთ ოთახს, სამკედროთა“; ჩხ.). სა — ო წარმოებისაა ზოგი ზმნისართიც. მაგ.: სათვალფერი-სოდ (ვისთვისმე მოსაჩვენებლად; კლდ., საღრ.), სასოფლოდ [მთელი სოფლის ხალხი ერთად: „(ყეინობას) ვისიმე ეზოში, სადმე სასოფლოთ იქეიფებენ“; საღრ.].

აქა-იქ ცოცხლობს სა — ურ წარმოებაც. მაგ.: საფთხურა (საფრთხობელა ჩიტებისათვის; ტბ.), საბმური (გომურა: ფარცხ.), საებაური (ცხენის მოსართავის ნაწილი, — თასმა, რომელიც ყბაზე უკეთდება ცხენს, რომ აღვირი არ წასძვრეს; მისი ლიტერატურული ფორმაა „საყბეური“ (იხ. გლ.), რომელიც აგრეთვე დასტურდება ალგეთურში (ჯორჯ., კლდ., ენაგ.). საყბეური თავისებურად ნაწარმოები სახელია: ყბა'საგან ახალი, დანიშნულების, სახელის მისაღებად მას დართული აქვს სა- პრეფიქსი და -ურ სუფიქსი. დანიშნულების მაწარმოებელთა შორის ქართულში გვაქვს სა — ე და სა — ურ წყვილები, რომელთა ყბა'ზე დართვითაც უნდა მიგველო შესაბამისად „საყბე“ ან „საყბური“ („ყბა“ კვეცადია), მაგრამ მათ ნაცვლად, ჩვენს წინაშეა მესამე სახეობა (საყბეუ-

რი). ისმის კითხვა: რა გზითაა მიღებული ფორმა საყბეური, ან რა მიმართებაშია მასთან დიალექტური საყბაური? ამის თაობაზე შეიძლება სხვაგან მოგვიხდეს ზოგი ვარაუდის გამოთქმა.

წინა ვითარების სახელების წარმოება გვაქვს ნა — არ (-ალ) და ნა — ევ აფიქსებით (მრავლობითში ორივე წარმოება -ებ სუფიქსსაც იმატებს).

ნა — არ (-ალ): კომპოსტოს ნაძირალი (კომპოსტოს მოჭრის შემდეგ მიწაში დარჩენილი ძირი; ჩხ.), ნალორალი (ადგილია ს. კლდეისთან), არსენას ნაბინავარი (მიუვალი კლდისანი და ტყიანი ადგილი სოფ. ფარცხისის ჩრდილოეთით), ნათოშტარი (სახნავი ადგილის სახელწოდება სოფ. თონეთთან), ნაქალაქარი (ძველი ნამოსახლარი სოფ. მაწვენის გარეუბანში); „ნათონარი ადგილი ყოფილა“ (თონ.).

ნა — ევ: ნაარხაჯევი (არხაჯი || ალხაჯი საქონლის დისასვენებლად ამოჩემებული ადგილი; „ნაარხაჯევი ადგილები ყოფილა“; გოლთ.), ნაყანევი (|| ნაყანობი) (მაწ., კლდ.), ნათევი (თესვაში: დათესილი მიწის ზღვარი ხნულში; კლდ.), ნამცხვრების მიწები (—ნამცხვრევი) (ადგილია ს. ფარცხისისა, სადაც უწინ ცხვარი ეყენათ).

მრ. რიცხვი ნა — არ წარმოებისა: ნაბაკრები (ვაკე ადგილია სოფ. სალრაშენის ვალმა; წინათ იქ ცხვრის ბაკი ყოფილა; „ნაბაკრების მაყვალა!“), ნაჯოგრების მიწები (ს. ფარცხისის ვალმა), ნაგორახლები (ჩხ.).

ხელობის სახელებს აწარმოებენ მე — ე და მე — ურ წყვილები. უფრო აქტიურია მე — ე წარმოება. მე — ე: მეკევერე (კევრის მკეთებელი ხელოსანი; ჩხ.), მექახრაკე (ვინც ჰახრაკს ატრიალებს; თონ.), მეგუთნე (1. გუთნისდედა; თონ., 2. ვინც გუთანზე მუშაობს; ჯორჯ.). მე — ე'თია ნაწარმოები მეწრეულე, რომელიც „მეწლეული“-ს (იხ. გლ.) ახალი გააზრიანებით ჩანს მიღებული (ჩხ., ფარცხ.), მე — ურ: მეძნეურე (—მეძნეური) (ძნის შემკვრელი; თონ., ჩხ.).

გეოგრაფიული სახელები ქვემო ქართლის ტერიტორიაზეც ნაირგვარია. გვაქვს -ეთ და -ისი წარმოება. -ეთ: ხოზეთი (ძველისძველი ნასოფლარია ს. თონეთის მიდამოებში, ამჟამად სათიბია), ორბეთი (ეკლესიის ნაშთი ორბეთის მთის წვერზე; სალრ.). თონეთი (სახნავი ადგილის სახელწოდება). -ისი: ოდისი (ძველისძველი ნასოფლარია; თონ.).

ხარისხის სახელებიდან მო — ო აფიქსებითაა ნაწარმოები ოდ-

ნაობითი სახელი: მ ო მ ხ ო (—მომხხო) [„მომხო ნემსია“; თონ., ჩხ.: „ცოტა მომხო თავები აარჩიე (ხახვისა)!“ ჯორჯ.]. მკავე‘საგან ნაწარმოებია მ ო მ ქ ა ვ ე, ნაცვლად „მომქაო“-სი („ცოტა უფრო მომქავეა“; ტბ.). ერთ შემთხვევაში მო — ო ს მაგივრობას წ ა — ო ეწევა („წაგძელო მარწყვია“; მაწ.).

მცენარეთა კრებულის სახელები. -ნარ სუფიქსი, გარდა მცენარეთა კრებულის სახელებისა, ისეთი რიგის სახელთა მწარმოებლად გვევლინება, როგორცაა: გ ო ხ ნ ა რ ი (ადგილ-მამულია მდ. ალგეთის ზემო წელში), კ ო პ ი ჰ ნ ა რ ი || კ ო პ ი ჰ კ ნ ა რ ი (ჩხ.) და სხვა.

### კ ო მ ა ო ზ ი ტ ა ე ო

ალგეთურ მეტყველებაში უხვადაა წარმოდგენილი კომპოზიტები (თხზული სახელები).

ფუძის მარტივი გაორკეცებით მიღებული კომპოზიტებია შემდეგი არსებითი სახელები, ზედსართავეები და ზმნისართები: ღ უ რ ღ უ რ ი (ღრმა და ვიწრო მორევი; ჩხ.), ხ ვ რ ი შ - ხ ვ რ ი შ ი (მარცვალ-მარცვალი; ითქმის მარილის... შესახ.; საღრ.), დ ო ყ - დ ო ყ ი [1. თამამი, მსხვილი (მცენარე). 2. სრული (ქალი); ჯორჯ.], ქ უ ც მ ა ქ უ ც მ ა (ნაჭერ-ნაჭერ; კლდ.), ბ ღ უ ჯ ა - ბ ღ უ ჯ ა (ბლუჯობით. ბევრი: „ბლუჯა-ბლუჯა ასხია“; თონ.), თ ა ლ ა მ - თ ა ლ ა მ [თალმობით: „თალამ-თალამ აწვდის“ (თივას); ენაგ.], წ ო რ ო - წ ო რ ო [ნაგლეჯ-ნაგლეჯ (მიდის თონეში ჩაკრული ჩვილი ცომის პური); ტბ. და სხვა სოფლ.]. ამგვარი კომპოზიტის მეორე ნაწილი ზოგჯერ თვისების ან მდგომარეობის გამომხატველ ა ს დაირთავს ბოლოში. მაგ.: შ ა ვ - შ ა ვ ა (მოცვი; კლდ.); წ ო პ - წ ო პ ა (მალალი და წვრილი ადამიანი; თონ.); ლ ი პ - ლ ი პ ა (სითხით პირამდე გავსებული; თონ.) და სხვა.

ფუძის მარტივი გაორკეცებით ნაწარმოები ზოგი კომპოზიტის პარალელურად გვაქვს ფორმები, რომლებიც ფუძეთა შორის „და“ კავშირს ჩაირთავენ. მაგ.: კ ო რ უ მ - კ ო რ უ მ ი || კ ო რ უ მ ი და კ ო რ უ მ ი (ჩხ., თონ.); კ ო რ ო მ - კ ო რ ო მ ი || კ ო რ ო მ ი და კ ო რ ო მ ი (თონ.); კ უ ჰ - კ უ ჰ ი (კ უ ჰ ი — არშიის ან სხვა ნაქსოვის სახე; თონ., მაწ.) || კ უ ჰ ი და კ უ ჰ ი (შავს.) და სხვა. „და“ კავშირით შეკრულ ზოგ კომპოზიტს არ გააჩნია ზემოხსენებული პარალელური ფორმები. მაგ.: ჰ ე ლ ი და ჰ ე ლ ი (ბევრი ჰელი ერთმანეთის მიყოლებით: „აი, ესე, ჰელი და ჰელი არი ნათიბი და ის უნდა მოვაქუჩოთ“; საღრ.), თ ა ვ დ ა თ ა ვ : გამოთქმაში: თ ა ვ - დ ა თ ა ვ გა მ ო დ ი ა ნ (ზუსტად ჰყოფნით შემოსავალი, არც

რჩებათ, არც აკლდებათ: შავს.). ფუძეგაორკეცებული ზმნები, თუ მათი სახელები (მასდარები) ხშირად სულიერთა ხმიანობას გადმოსცემენ. მაგ.: კუ ტ კუ ტ ე ბ ს [მშვიდად ხმიანობს (კრუხი); თონ.], და უ კ უ ს კ უ ს ე ბ ს (დაუძახებს კრუხი წიწილებს; თონ.), ყ ი ვ ყ ი ვ ე ბ ს (ინდაური; მაწ.), მ უ რ მ უ რ ე ბ ს (უკმაყოფილოდ ბუტბუტებს; შავს.); აქედან სახელი მ უ რ მ უ რ ა (ვისაც მურ-მური ახასიათებს: ჩხ.); ზოგ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტში პირველი ნაწილის ხმოვანი მეორე ნაწილში შენაცვლებულია სხვა ხმოვნით. მაგ.: ა — უ: ლ ა ყ ა - ლ უ ყ ი თ დადის („გადადის და გადმოდის“; კლდ.)... ე — უ: კ ე წ ე წ - კ უ წ ე წ ი (წვრილი ფიჩხ-ფუჩხი; ჯორჯ.) და სხვა.

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტები გვხვდება თითქმის ყველა ტიპისა.

მსაზღვრელად არსებითი სახელია გამოყენებული პირდაპირი წყობის შემდეგ მაგალითებში: ს უ რ ა მ ს ხ ა ლ ი (ყელვიწრო მსხალია; ჯორჯ., გოლთ.); კ ო კ ა მ ს ხ ა ლ ი (ძირგანიერი და ყელვიწრო მსხვილი მსხლის ჯიში; ჩხ.); ქ ე ა შ ა ქ ა რ ი (საპირისპიროა: ფხვნილი შაქარი; ტბ.); ქ ე ა ხ ი დ ა (მდინარეში ჩაწყობილი ქვების ხიდი; ჩხ.); გ ო გ რ ა ქ ლ ი ა ვ ა (ქლიავის ჯიშია: ტბ.); ძ უ ძ უ ბ ა ლ ა (წვრილი წითელი ტყის ბალი; საღრ.); ძ უ ძ უ მ ა რ წ ყ ვ ა (მოგრძო მარწყვი; მაწ.); ჭ ი ა ყ ვ ე ლ ი („ჭიაცველი წვრილია ძაფებივითა“; მაწ.); ქ ო შ ა ქ ე ა (ყუთხის ქვა შენობაში; კლდ.); კ ო ლ ო ც უ ლ ი (რუსული პირვიწრო ცული; კლდ.); ჭ ო ლ ო კ ი ნ ა რ ი (ნარის ერთ-ერთი სახეობა, — მსხვილ-ეკლიანია, ფარცხ.); ტ ა შ ი ჭ უ ჭ ყ ი (ერთი (თუ ორი?) ხელის გულის სისქე ჭუჭყი; თონ.).

მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი შემდეგ მაგალითებში: ხ ა რ ზ ა ქ ი (სახარე ზაქი 1 წლამდე; თონ.); წ ყ ა ლ კ ო რ კ ო ტ ა (წყლით მოხარშული კორკოტის ფაფა; ფარცხ.); გ ო დ ო რ მ ა რ წ ყ ვ ა (მსხვილი მარწყვი; მაწ.); ა დ ა მ პ ა პ ი ს ა მ ბ ა ვ ი (ძალიან ძველი ამბავი: „ადამ პაპის რამეს მოგიყვება“; მაწ.).

წყობა შებრუნებულია: დ ი ლ ა ბ ი ნ დ ი (ადრიაინი დილა, ჯერ ისევ რომ ბნელა; ჩხ.); რ ქ ა ნ ე კ ი [„რქანეკზე ღვაყენებთ“ (ვაზს გასხვლის დროს); ბგვ.].

მსაზღვრელად ზედსართავია, წყობა — პირდაპირი, მაგ.: დ ი დ ს ე რ ი (მთა ს. თონეთის ახლოს; ჩხ.); დ ი დ ვ ე ლ ი (გამწილი ადგილია ს. კლდისთან, სახნავიანი და სათიბიანი), თ ე თ რ ც ხ ი ლ ა (ჯაგრცხილა; ჩხ.); ყ რ უ ჩ ი ტ ა (ჩიტია ერთგვ.; მაწ.); ყ რ უ ჭ ა ლ ა (ადგილია ს. ჯორჯიაშვილთან), დ ა მ პ ა ლ მ ი წ ე ბ ი

(ქანკრობი ადგილია, სახნავ-სათესი; კლდ.); ყოჯამუხიანი (koca თურქ. 'დიდი; ბებერი') (ტყეა ს. კლდეისის გაღმა); ხოშკაკალა (წვრილმარცვლიანი სეტყვა; პ. თონ., ფარცხ.), თავწყალი (ბავშვის დაბადების წინ წამოსული წყალი; კლდ.); ქვედატანი (წელს ქვემოთ ჩასაცმელი კაბა, ბოლოკაბა; მაწ.); ზედატანი (წელს ზემოთ ჩასაცმელი ქალისა; „ქვედატანი და ზედატანი ვიცოდით“; მაწ.).

წყობა შებრუნებულია (ზედსართავი მეორე ადგილზეა) მაგალითში: დილაბნელი (ადრიანი დილა, ბინდ-ბუნდი; კლდ.).

ნაწილაკი მსაზღვრელად: არახილი (მოცხარი; კლდ.).

ზმნისართი მსაზღვრელად: ძირმისმულა (|| ძირმის-ხმულა) (თონის ძირში მიკრული პატარა პური; საღრ. ტბ.).

მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები გვაქვს სამივე სახისა:

ა) მსაზღვრელის სრული (-ის || -იჰ) დაბოლოებით: ძილის ვარდი (ხვართქლა; ტბ.); ხელის ფიცარი (ახლად მოჭრილი კრამიტის გასასწორებელი ფიცარი; თონ.); კანის ყურძი (კლდ.) || კანიპყური (თონ.) (ჯარატარის ნაწილია); კლდის-თავი (კლდიანი და ტყიანი ადგილი ს. თონეთის ახლოს); თავისწვერა (ჭიუტი, თავნება ადამიანი; თონ., ჩხ.).

ბ) თანხმოვნის (-ს) შეკვეციტ: ჩიტისპური (ბალბის ნაყოფი; თონ., ჯორჯ.); რძიფუა (რძის ფაფა; თონ., ფარცხ.); რძიკოტა (რძეში მოხარშული კოვკოტი; ფარცხ., ჩხ., გოლთ., ჯორჯ.); თაგვიკუდა (ბალახია; გოლთ.); მელიკუდა (ბალახია; გოლთ.); ჩიტითვალა (ნაჭრელის სახეა, ჩიტის თვალს ჰგავს; შავს., კლდ., ჩხ.); ხართვალა (მოგრძომარცვლიანი ჭიშია ყურძნისა; ბგვ.); სისხლი მიწები (სახნავ-სათესია ს. თონეთისა).

გ) დაბოლოების სრული შეკვეციტ: პირსახლართი (ტომრის პირის ყულფებში გასაყრელი თოკი; თონ.); თავბალანი (თავის ბალანი, თმა; „თავბალანი სუ ეემტვერა გოგოს შიშითა“, პ. თონ.); ოქროსაცქველა (ისეთი მეზობელი, რომელიც არაფერს გათხოვებს; საღრ., ტბ.).

თანინი მრავლობითის ფორმაა წელთნაშობი (თუ ეს არაა მოქმ. ბრ.: „წელით ნაშობი“) (თავის ნაშობი, ღვიძლი შვილი; „ისე მოყარა, ისე გაზარდა, როგორც თავისი წელთნაშობი შვილი“; კლდ.).

რთული სახელის პირველი ნაწილი ზმნისართს წარმოადგენს შემდეგ მაგალითებში: ქვეშგანადენი (პურის გაწმენდისას



ცხრილის ქვეშ განადენი ნაგავი; თონ.); თავმონახადი (1. ცხრილის თავზე მოგდებული ნაგავი; ენაგ. და სხვა სოფლები, 2. უმი ნაღები; ჩხ.); თავმონაყარი (იგივეა, რაც თავმონახადი, მნიშ. 1; თონ.). ბოლო ორ მაგალითში „თავ(ს)“ სიტყვა-მიც. ბრუნვაში მდგომი სახელია, რომელიც აქ ზმნისართად არის ქცეული. თავისებურადაა ნაწარმოები კომპოზიტი წყალგარდა (← წყალს გარდა 'უწყლოდ'), რომელშიც სიტყვის მეორე ნაწილი „გარდა“, მიც. ბრუნვაზე დართულ თანდებულს წარმოადგენს, კომპოზიტი მთლიანად კი, — ვითარების გარემოებას; იხმარება გამოთქმაში: წისქვილი წყალგარდაა (წისქვილში საფქვავე არ არის; ამ დროს წყალი საფქვავე ღარიდან მეორე ღარშია გადადებული: „როგორ ვერ დაეფქვამ, წისქვილი წყალგარდა გღია!“; თონ.).

ტოლად შერწყმულ არსებით სახელებში გვაქვს ისეთები, რომლებიც რაიმე ნიშნის მიხედვით არის ერთმანეთთან დაახლოებული. ასეთი სახელების მაგალითებია: ღვედ-იარალი (ღვედო და სხვა იარალი გუთნისა; პ. თონ.); კაბდო-ხელნა (ფარცხის ნაწილებია; თონ., ჩხ., მაწ.); ქვიშა-კირი (წყალში არეული ქვიშა და კირი კედლის გასაღესად; თონ.); ღარ-კავი (წყვილი გადაბმული ძელი — თივის ზვინზე გადაჰკიდებენ ქარისაგან დასაცავად; კლდ., თ. წყ.); საცვალ-პერანგი (პერანგი და ქვედა საცვალი, თონ., კლდ., შავს.), ერბო-ყველი (არაყანში ჩაფხვნილი და მოდულებული ყველი; მაწ.); წველა-დღვება (რძის მიღება და რძის ნაწარმის კეთება; საღრ., ფარცხ.: „წველა-დღვება ერთათა ქვეონდა“; გოლთ.).

შერწყმულია სინონიმური მნიშვნელობის არსებითი სახელები: წილ-კერძი (ოჯახიდან გაყრილის წილი ქონება; თონ.); ფლავ-ნაშილი (კორკოტის ფაფა; მაწ.). აქვე შემოვა ნაწილობრივი სინონიმები: ქვაბ-ქოთანა (თიხის ქვაბი; თონ.); მსხალ-პანტა (მსხვილი პანტა; გოლთ., ჩხ., ჯორჯ.); ნაცართუთქი (1. თუთქი; კლდ., შავს. 2. ჩვარში გამოხვეული ნაცარი; ღარიბი გლეხები საპნის მაგიერ ხმარობდნენ; ჩხ.).

ანტონიმებია: ქალა-ბიჭა (1. „უედალთ თუ მოიგო ძროხამ, ქალა-ბიჭას ეტყვიან“; თონ. 2. ურწანი; გოლთ., ფარცხ. 3. პერმოფროდიტი; ფარცხ.), თავ-ბოლო [თავი და ბოლო. „თავ-ბოლოს წაამტკრევდნენ თავთავს“ (შუაგულს სათესლედ იტოვებდნენ; შავს.); „(ბრმა კოდის) თავ-ბოლო სადლობელივით იყო“; კლდ.).

ზედსართავების შერწყმის მაგალითია მ შ რ ა ლ - ბ ე რ წ ი („არც მაკეა, არც ხბო ჰყავს, არც იწველება“; ჩხ., ტბ., ფარცხ.).

არ-ტოლად შერწყმულ სახელებში, რომლებიც პოსესიურ კომპოზიტებს წარმოადგენს, შედარებით იშვიათია პირდაპირი წყობა (ზედსართავი — არსებითი სახ.), რომლის მაგალითებიცაა: წ ვ რ ი ლ თ ვ ა ლ ი (წვრილი, ყიყმატი; ითქმის მარცვლეულზე, მაგ. ლობიოზე; ფარცხ.), ზოგ კომპოზიტში ზედსართავად რიცხვითი სახელი გვევლინება. მაგ.: ო რ ხ ე ლ ი ი არაღი (იარაღი, რომლის მოხმარებასაც ერთდროულად ორი კაცი სჭირდება: „რანდა ორხელია“: თონ.); ე რ თ ნ ა ყ ო ლ ი (საქონელი, რომელმაც ჯერ-ჯერობით ერთხელ მოიგო; ჯორჯ., ფარცხ.).

ქონების აღმნიშვნელ შერწყმულ სახელთა შორის ვხვდებით ისეთებსაც, რომლებშიც პირველ ადგილზე არსებითი სახელია, მეორეზე კი — მიმღობა. მაგ.: (თ) რ თ ვ ი ლ ნ ა ჰ ა მ ი (საგვიანო ბოსტნეული, ან ხილი, რომელსაც მოკრეფამდე თრთვილი უსწრებს: თონ. და სხვა სოფლ.). ე ნ ა დ ა ც უ ლ ი (ვინც ამბის შენახვა იცის; ჩხ.); ე ნ ა მ ა ს რ ი ა ლ ი (ენის მიმტან-მომტანი; თონ.); პ ი რ მ ო ყ რ ი ლ ი (პირმომრგვალებული; კლდ.).

არ-ტოლად შერწყმული სახელების შებრუნებული წყობა გვაქვს მაგალითებში: ყ ბ ა შ ა ვ ი ც ხ ვ ა რ ი (შავყებებიანი ცხვარი; ტბ.); ყ ბ ა წ ი თ ე ლ ი ც ხ ვ ა რ ი („ყბაშავიც არი, ყბაწითელიც არი, მარტო ცხვარზე ითქმის“; ტბ.); ყ ე ლ ბ რ უ დ ე (მრუდე ტანისანი: „ყელბრუდეს ხეს მოშპრიდა და გუთანს აასხამდა“; კლდ.); თ ა ვ წ ვ რ ი ლ ი მიწები (კლდ.); გ ე მ ო წ მ ი ნ დ ა (კარგი გემოსი; უპირატესად ხილზე ითქმის; გოლთ); თ ვ ა ლ ბ ო რ ო ტ ი (ბოროტი თვალის ადამიანი; კლდ.); თ ვ ა ლ მ შ უ რ ი || თ ვ ა ლ შ უ რ ი (შურიანი თვალის მქონე; შავს., კლდ.); პ ი რ ბ ო შ ი („ენადაცული რო არ იქნება“; ჩხ.); ხ ე ლ გ ა მ რ ჯ ე („დასვამდნენ ყენის, ვინც უფრო ხელგამრჯე, ხელბარაქიანი იყო, რომ იმ წელიწადს კარგი მოსავალი მოსულიყო“; საღრ.); ხ ე ლ ბ ა რ ა ქ ი ა ნ ი (საღრ.); წ ე ლ ლ ი ა (ყუქამრო; მეტი სახელია კაცისა; თონ.; შღრ. გლ.); გ უ ლ უ ხ ა ბ რ ო (რისამე არმცოდნე, გულსუფთა; კლდ.).

ზოგჯერ აბოლოსართითაა გაფორმებული არ-ტოლად შერწყმული სახელის ზედსართაული ნაწილი (მხედველობაში გვაქვს კომპოზიტები, რომლებშიც პირველ ადგილზეა სახელი, მეორეზე — ზედსართავი). ასეთ შემთხვევაში ზედსართავი თავისთავად შეიძლება არსებითი სახელის ფუძისაგან იყოს წარმოქმნილი. მაგ.: ბ ო ლ ო წ ი თ ე ლ ა (მდ. ალგეთის თევზია; საღრ.); პ ი რ ბ ა ნ ე ლ ა

(—პირუბანელა) (უსალმო, უცხვირპირო ადამიანი; პ. თონ., ჩხ.); ფეხრბილა საქონელი (ფეხებგაცვეთილი; ასეთ საქონელს სიარული უჭირს; კლდ.); ხელუქნარა („უსაქმური“; კლდ.); ხელბაცაცა (ქურდი; თონ., კლდ.); ფეხბუმბულა (მსუბუქი ჭკუის ადამიანი; ჯორჯ., სალრ.).

ზოგჯერ მეორე ადგილზე ზედსართავის ნაცვლად შეიძლება ზმნისართი იყოს: პირალმა მიწები („შელმა რო მიდის“; კლდ.) და სხვა.

## ს ი ნ ტ ა ქ ს ი

**შემასმენელი და ქვემდებარე.** ზოგჯერ ქვემდებარე, რომელიც შინაარსით ერთზე მეტის აღმნიშვნელი სახელია, ან ორცნებიანი კომპოზიტი, ფორმით კი მხოლოდობითია — შემასმენელს შინაარსის შესაბამისად ითანხმებს; მაგ.: ხალხი გაქცეულან (ტბ.); ტანისამოსი მოუტანეთ, დარეცხილები იყვნენ (ტბ.); ზოგი იმაკებენ (ჩხ.); ახალგაზრდობა მოკრეფამდნენ მოსაკრეფს (სალრ.); (ხალხის) ნაწილს უნდა წაეყვანათ ის ყვინი წყალზე (სალრ.); იგრილა ხალხმა და სუ ერთიანათ ჩაიხჩენენ შიგა (ტბ.). (ბოლო მაგალითში, რომელიც რთულ თანწყობილ წინადადებას წარმოადგენს, პირველი წინადადების ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს ფორმის მიხედვით, მეორეში კი შინაარსის მიხედვით).

სამაგიეროდ, შერწყმულ წინადადებაში მიც. ბრუნვაში დასმული ერთზე მეტი რეალური სუბიექტი არ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, რაც იშვიათია. მაგ.: გეხარდებოდა დედას და მამას (გოლთ.).

ასევე იშვიათად შეიძლება ქვემდებარეს რიცხვში არ შეეთანხმოს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მაგ.: მშიერ ხო არ გაუშვებს ხარებ! (ჯორჯ.).

**ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან.** ხშირად შერწყმულ წინადადებაში, რომელშიც ერთსა და იმავე დროში მდგომ შემასმენლებად გვაქვს გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები და წყობა ისეთია, რომ გარდაუვალი ზმნა უსწრებს გარდამავალს, ქვემდებარე, რომელიც გარდაუვალ ზმნასთანაა დაკავშირებული, მას არ უწევს ანგარიშს და იმართვის გარდამავალი ზმნის მიერ<sup>107</sup>. მაგ.: წასწვდა მაშინ

107 შდრ. ე. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, უფრ. „ჩვენი მეცნიერება“, ტფ., 1923, № 1, გვ. 113—121.

თმებში ამ ბიჭმა და წააქცია (გოლთ.); მეეხვია ამ ქალმა და კოცნა დაუწყო, შენ ჩემი ძმა ხარო (გოლთ.); ადგენ ამ ბიჭებმა და მისცეს თავისი და ამ ბიჭსა და ღიღი ქორწილი გადუხადეს (გოლთ.); ადგა, შავიდა ამ ქალმა, გადაათვალიერა (გოლთ.); მერე ამოდულდა ცოლმა და ტირილი დაიწყო (გოლთ.); გავიდა ამ მღევმა, აიკიდა (ნაცარქექია) (მანგ.); გამოვა მოლამასრადინამა და ნახა ცხენს ტუჩებუ დაქრილი აქ (ტბ.). ბოლო მაგალითში გარდაუვალი ზმნა („გამოვა“) სხვა დროშია, ვიდრე გარდამავალი.

**კავშირი.** თუ კავშირი შეიძლება შეგვხვდეს ძველი ფუნქციით. რომის ნაცვლად: „მერე ეუბნევა ცოლსა, თუ ბიჭი სად არი!“ (გოლთ.).

ღროს გამომხატველი მჭკვემდებარებელი კავშირი თუარა იშვიათად თუარვე || თუარმე სახითაც გვხვდება (იხ. 45), მაგ.: „მომიდნენ თუარვე, მაშინვე ხნამდნენ“ (კლდ.); „მოკვდა თუარმე, ამ ქალმა მაშინვე კუბო გაუკეთა“ (გოლთ.).

ამავე ტიპის „რა წამსაც“ (= როგორც კი) კავშირის ადგილზე შეიძლება სპორადულად შეგვხვდეს რამწავე სახეობა: „პირველათ მზე რამწავე ამოვა, — სხივები ჩემ კარებზე მოვიდესო“ (მანგ.) (იხ. გვ. 29).

## ლ მ მ ს ი კ ა

### არაპირფშავი

**უფლობს** — მფლობელობს: „ბერები უფლობდნენ იმ ტყესა“ (საბეროს) (თონ.).

**ენუკება** — ეხვეწება, სთხოვს: „ცხვრის მაწონი რო შამენ უკე ხოლმე, შაგიდელე მეთქი“ (მაწ.).

**იქამს** — იქმს, იზამს: „რო დაისვენებს, ესე კი არ იქამს“ (მაწ.): „რას იქამ მერე?“ (მაწ.).

**მწიფს** — მწიფდება: „შემოდგომით მწიფს“ (ჩხ.).

**შეიკვრის** (|| შაიკვრის) — შეიკვრება: „კონა შაიკვრის“ (ჯორჯ.).

**იტურნამს** (— იტურნებს) — იტვრინება, ხმას არ იღებს (შღრ. იტურნა — ‘დაიყურნა’, საბა; შღრ. იტურნებს. გლ); „რო ვეტყვი, თვალი წამალი არა გაქ, რა, — მამეცი მეთქი, — იტურნამს“ (თონ.); **გატურნამს** — გაიტვრინება: „არათერი მითქვია, გავტურნე და ჩავიარე“ (თონ.); **წატურნამს** — იგივეა, რაც გატურნამს: დათვი რო მოსულა, ამ ბიჭს წაუტურნია“ (თონ.).

ეხსება — „ეხუმრება“ (ტბ.); „გაეთამაშა, რა!“ (საღრ.); „ესი-  
ყვარულება, ეარშიყება“ (საღრ.) (შღრ. ხ ა ს დ ე ბ ა. გლ.); „გე-  
ხასები, კაცო!“ (თონ.); „კი არ გიხარია, რო გეხასება?!“  
(ტბ.). გახასებით — ხუმრობით (თონ., ტბ., ფარცხ.) (შღრ. ხ ა-  
ს ა დ. გლ.); „გახასებით უთხრა“ (თონ.); „გახასებით  
ეტყვიან: უი, შე ლიფსიტაო!“ (ტბ.).

კურკო — რკო. გვხვდება, აგრეთვე, თუშურში („კურკოჲ“) <sup>108</sup> და  
ფშაურში <sup>109</sup> (შღრ. „კრკო“ ძვ. გლ.): „მუხა ისხამს კურკოს“  
(ტბ.); „ჩვენ დვალთაში რკოს ვეძახით და აქ ეძახიან კურკოს“  
(ჯორჯ.): „ტყეში ეყარა ხოლმე კურკო, რამე და იმასაც შქამ-  
დნენ (ლორები)“ (ჩხ.); „შარშან კაკალიც ბევრი იყო და კურ-  
კოც ბევრი იყო“ (ტბ.).

გურგლათ — მრგვლად. შღრ. ფშ. „მურგვლივ“ (= ირგვლივ) <sup>110</sup>:  
„გურგლათ აყეთებენ (რჩოლს), ხეს გააცხელებენ, გაჰკაკვამენ“  
(ფარცხ.).

სამოგვე — ფეხსაცმლის საპირე ტყავი: „(ჩუსტების) საპირე-  
თა? — ტყავი იყო თხისა, სამოგვეს ვეძახდით“ (თონ.).

მასკულავი — ვარსკვლავი: „მრავალს“ ჩვენ უძახით მასკულ-  
ლავსა, ერთათ ბევრი რო არი“ (საღრ.).

მურეშა — მოშაო-მოწითალო, მურა (საქონელი) (იხ. საბა,  
შღრ. ს. მენთ. <sup>111</sup>): „მურეშა, მურა როა, მოშაო-ნაცრისფერი“  
(კლდ.). მურეშა სინონიმია მურა'სი, რომლის ნათესაობითი  
ბრუნვის დასავლურ (ზანურ-სვანურ) ფორმას ჰგავს იგი.

მრეში — მოწითალო, მოწითლოდ შეჭრელებული (შღრ. საბა):  
„პამიდორზე იტყვიან, მრეში, შამრეშილიაო, — არც მწიფე,  
არც მკვანე, მწიფობა რო აკლია“ (ჩხ.). ხომ არაა მიღებული მრეში  
მურეშა'ს თუ მურეში'ს შეკუმშვით?

კაპანკლდეები — ტოპონიმი (ვიწრო კლდიანი ჩასავალია ტყე-  
ში. კლდ.) (შღრ. კაპან ი. საბა).

მარაგი ღამე — ზამთრის თბილი, ოდნავ მოღრუბლული ღამე  
(იხ. გვ. 102).

<sup>108</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 23.

<sup>109</sup> ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 12.

<sup>110</sup> ალ. ლეკიაშვილი, ივრის-ხეური ფშაური; სტუდენტთა სამეცნ.  
შრომების კრებული, წ. I, თბ., 1941, გვ. 161.

<sup>111</sup> ს. მენთეშაშვილი, ქართურის სალექსიკონო მასალა: იყე, XVII,  
თბ., 1970, გვ. 251.

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენს დაკვირვებებს ალგეთური ლექსიკის ზოგ ფუძეზე<sup>112</sup>.

**ბუწი** — ალიან ცოტა, ერთი ბეწვა (მატყლი, თივა, ჩალა, ფქვილი...); იხმარება უარყოფის დროს („ბუწი ჩალა არა მქონდა, რო საქონელი შემენახა“. პ. თონ.; „ბუწი ფქვილი არა მაქ.“ პ. თონ.). უფრო ადრე ბუწი (—ბუწვი?) 'ბლუჯა თმის' (ან 'ერთი ღერი ბეწვის?' შდრ.) აღმნიშვნელი სახელი უნდა ყოფილიყო (შდრ. ბუწკი<sup>2</sup> — უხეირო თმა. გლ.), რომელიც შემდგომ მსაზღვრელად იქნა გამოყენებული მნიშვნელობის გაფართოებით (განზოგადებით). ბუწ (—ბუწვე?) ფუძის გაორკეცებით ჩანს მიღებული ბუწუწი (—ბუწ-ბუწი), რომელიც ჩვეულებრივ მრავლობითში იხმარება: ბუწუწები 'თმები' (შდრ. გლ) („სირცხვილით სულ ბუწუწები ჩამომივიდა!“ დ. იორამ.; „სულ ბუწუწები დაიგლიჯა!“ ჩხ.).

**სრელი** — ალგეთურში „სვეს“ (მკაში ერთ გავლაზე გატანილ ზოლს) სრელი<sup>1</sup>ც ჰქვია (მაწ.) (იხ. გვ. 124). ერთმა მაწევნელმა გლეხმა დაკუთხული თავთავის წიბოსაც სრელი უწოდა. სრელი ხევსურულში ვიწრო და გრძელი ყანაა<sup>113</sup>. ალგეთურშივე დადასტურებულია სრელა ('ნათესის ერთი მწკრივი'. მაწ.) (იხ. გვ. 124), რომელიც ზედსართაული მნიშვნელობითაც იხმარება ('ზოლიანი ქრელი', მაგ.: პირუტყვი. ტბ., საღრ.). შდრ. გლ: შდრ. „სრე“ (გლ).

თუ სრელ<sup>1</sup>ში -ელ დეტერმინანტი სუფიქსია, მაშინ ფუძედ გვჩნება სრ, რომელიც შეიძლება რედუცირებული იყოს (ე ან ა ხმოვანდაკარგული). თუ ე<sup>1</sup>ს ალვადგენთ, მივიღებთ სერ ფუძეს, რომელიც გვაქვს „სერავს“ ზმნაში და შეიძლება სახელში „სერი“ („სერს უწოდენ მოგძედ წარზიდულს გორასა“. საბა).

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ სრელ ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა, რომელიც დღესაც ცოცხალია „ზოლი“ უნდა იყოს.

<sup>112</sup> წარმოდგენილ ფუძეთა შედარებით ვრცელი ანალიზი იხ. წერილში: „ეტიმოლოგიური დაკვირვებები“ (ეურნ. „მაცნე“, თბ., 1976, № 1, ენისა და ლიტერატურის სერია).

<sup>113</sup> ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 196.

სრელა'ს, როგორც მებოსტნეობის ტერმინის, სინონიმია შარი<sup>114</sup> (პ. თონ., ჩხ.) (იხ. გვ. 166), რომელიც შიგა ქართლშიც იხმარება. ('ვაზის, ხეხილის, ბოსტნეულისა და მისთ. ერთი მწკრივი'. სოფ. დი-სევი, ცხინვალის რაიონი) (შდრ. გლ. მნიშვ. 2).

სხვა ქართულ დიალექტებში მსგავსი ფუძე არ ჩანს.

შარ- ფუძე ქართული სერ-'ის ზანურ ფონეტიკურ შესატყვი-სად გამოიყურება. საგულისხმოა, რომ შარ- დასტურდება ზემო სვანურში (სადაც შეიძლება იგი ზანიზმს წარმოადგენდეს) იმავე „ზოლი“-ს მნიშვნელობით („შარ“ „ზოლი“; „შარა ბარდან“ „ზოლე-ბიანი ნაჭერი“)<sup>115</sup>.

ამგვარ ვარაუდს (შარ- ფუძის ანალიზს ქართულის დონეზე) დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს აღმოსავლური წარმომავლობის სახელი „შარა“ (გზატყეცილი).

შარ'თან დასაკავშირებელი ჩანს შაშარი'ც (იხ. ზემოდასახე-ლებული წერილი).

ყეყელი — ორად განშტოებული, ორკაპა (ხე, ტოტი...) („ყე-ყელი ტოტი აქ ამ ხესა!“ პ. თონ.). ყეყელი'ს მსგავსად „ორი“-ს, „წყვილი“-ს აღმნიშვნელი სიტყვაა აგრეთვე ყეყარი, რომელშიც გამოიყოფა წყვილობის აღმნიშვნელი ყეყ-<sup>116</sup> ფუძე. ეს ვ არა გვაქვს საანალიზო სიტყვაში, ამიტომ, თუ დავუშვებთ, რომ ყე- (←ყეყ-?) შეიძლება აქაც „ორი“-ს აღმნიშვნელი იყოს, მაშინ სიტყვა რთული აგებულებისა აღმოჩნდება და ასე დაიშლება: ყე-ყელ-ი, რომელ-შიც ყელ- წარმოადგენს ყე- ელემენტის მიერ საზღვრულ ფუძეს. რაღაა ეს ყელ-? მოსალოდნელია, რომ იგი ხის აღმნიშვნელი სიტყვა იყოს, რადგან „ყეყელი“ ხის ან ტოტის მსაზღვრელად იხმარება: ყელი'ს მსგავსი ასეთი სიტყვა კი არის ძელი, რომლის თავიკიდურ აფრიკატ ძ'ს ადგილას გვაქვს სპირანტი ფ. ს ა ბ ა ს თავის ლექ-სიკონში მოეპოვება სახელი ყეჭალი 'კაპიანი ლუქმის ასალები საჭ-მელად', რაც ორთითა ხის ჩანგალი უნდა იყოს. ყეყელი და ყე-ჭალი სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს მდგომი სიტყვებია. რომლებიც ბგერობრივადაც ჰგვანან ერთმანეთს: პირველი მარცვა-ლი (ყე-) მათ საერთო აქვთ, რაც ფრიალ საგულისხმოა. რაც შეეხე-

<sup>114</sup> შდრ. „შარი — ამაღლ. მიწა ბოსტანში, რომელზედაც რიგზედ გადარგუ-ლია მცენარეები“ (ეპისკოპოსი კირიონი, სალექსიკონო მასალა, კრებ. „ძველო საქართველო“, ტ. II, ტფ., 1913).

<sup>115</sup> სვანურს შესაბამისი მასალა გამოიყენეთ ენათმეცნიერების ინსტი-ტუტში დაცული სვანურ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონიდან.

<sup>116</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული და კავკასიური. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 403:

ბა მეორე სიტყვის (ყეჯალი) ჯალ- ნაწილს, იგი ზანური ზუსტი შესატყვისი ჩანს (ჯ-ალ<sup>117</sup>) ქართული ძელ- ფუძისა, რომელსაც ცვლილების შემდგომ ჟელ- სახე მიუღია.

ამრიგად (თუ წარმოდგენილი ანალიზი მართებულია), ირკვევა, რომ: 1. ყეჯარ'თან ერთად ქართლურს შემოუნახავს კიდევ ერთი სიტყვა, რომელშიც წყვილის აღმნიშვნელი ფუძის ერთ-ერთი უძველესი ყე- (←ყევ-) სახეობაა წარმოდგენილი. 2. საბას დროს, როგორც ჩანს, ცოცხალ სიტყვას წარმოდგენდა (საფიქრებელია, ქართლურშივე) მისი ზანური შესატყვისი ყეჯალი. 3. სახელში ყეჯალი შემონახულია ჯა (←ჯ) ფუძე -ალ დეტერმინანტი სუფიქსითურთ, რომელიც (-ალ) თვით ზანურში მხოლოდ მრავლობითის ფორმებში აღდგება, ან კიდევ შეიძლება დაცული იყოს ზოგ ნაწარმოებ ფუძეში (მაგ. ო-ჯ-ალ-ეში-ი)<sup>118</sup>.

ყეჟელი'ს სინონიმია ორყეჟელი/ა<sup>119</sup> („ ო რ ყ ე ჟ ე ლ ი ხ ე ა “. თონ.: „როცა გომს ვაშენებთ, ო რ ყ ე ჟ ე ლ ბოძებში გაუგდებთ თავხეებსა“. თონ.; „ ო რ ყ ე ჟ ე ლ ა ხ ე ე ბ ზ ე გ ა ვ დ ე ბ თ ბ ო ძ ს ა “. თონ.), რომლის არსებობის ფაქტიც ყეჟელი'ს შინაარსის დაჩრდილვის მაუწყებელია, ჩვენი ეტიმოლოგიისათვის კი — დამაჯერებლობის შემმატებელი.

მოქოლვა ნიშნავს საჯის (ს ა ჯ ი — თუჯის მრგვალი ჭურჭელი ლავაშის ან პურის გამოსაცხობად; ხმარობენ მთაში წასული მწყეპსება) ძირის დაფარვას, ძირის მოლესვას წყალში აზელილი ნაცრით. საჯს მოქოლავენ ცეცხლის ძალის გასანელებლად, რომ პურს ძირი არ დაეწვას („მწყემსობაში პურს რო ვაცხობდით საჯზე, — ქვეიდან საჯს მოქოლამდით“. მაწ.; „ მო ქ ო ლ ვ ა ნ ა ც რ ის წ ა ს მ ა ა . მო ქ ო ლ ვ ა ვ ი ც ი თ სა ჯ ის ა , რო პ უ რ ი არ დაწ ო ს “. ჯ ო რ ჯ .).

მოქოლავს ზმნა ერთ-ერთი წევრია ქოლ- (←ქვალ) ფუძის შემცველი სიტყვებისა, როგორცაა: ჩაქოლვა<sup>120</sup>, დაქოლვა, საქოლავი; აქოლვა, ამოქოლვა. ბოლო ორ სიტყვას (აქოლვა, ამოქოლვა — 'კედელში ღია ადგილის, მაგ. უკარო ჩარჩოს, ამოშენება, ამოლობვა') უკავშირდება სემანტიკურად მოქოლვა'ც, რომელიც საჯის ძი-

117 არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 120; შდრ. И. Кипшидзе, Грамматика мшугрельского (иверского) языка. С.-Петербург, 1914, გვ. 027.

118 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფ., 1934, გვ. 309, 310, 496; შდრ. И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 411.

119 შდრ. „ ო რ ყ ე ჟ ე ლ ი — წ ვ ი ლ ა დ წ ა შ ო ლ ი ო რ ი ტ ო ტ ი “ (ეპისკოპოსი კირიონი, დასახ. ნაშრ.).

120 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 14.



რის ცეცხლისაგან დაცვას, იზოლირებას გულისხმობს; ამ შემთხვევაში „მოსაქოლავი“ მასალა ნაცარია და არა ქვა (ივარაუდება, რომ თავდაპირველად მასალა, რომლითაც ქოლ- ფუძისეული ზმნებით გამოხატული მოქმედება სრულდებოდა, როგორცაა, მაგ. ამოქოლვა ან მოქოლვა, ქვა უნდა ყოფილიყო).

ამავე ქოლ- ფუძის გაორკეცებით<sup>121</sup> უნდა იყოს მიღებული აღმოს. საქართველოს კილოებში, მათ შორის ალგეთურ მეტყველებაშიც, გავრცელებული გამოთქმა ქოქოლას (←ქვალ-ქვალას?) აყრის — 'ხელების მოძრაობით გამოხატავს რალაცის მიყრას ვისთვისმე (ვისაც კიცხავს): ქოქოლას მიყრა ჩვეულებრივ თანხლებულია წყევლით („მეხი კი დაგაყარე!“ ან „ჩაგტიტე!“). ეს ეესტიკულაცია ჩაქოლვის აქტის (ჩასაქოლავად განწირულისათვის ქვების მიყრის) გამოხატვას უნდა წარმოადგენდეს.

ქოლ- ფუძისეულ ისეთ სიტყვათა გვერდით, რომელნიც ამოღობვას ან დაფარებას გამოხატავენ, უნდა მოვიხსენიოთ ალგეთურში გავრცელებული ზმნა ქულავს, რომელშიც გამოიყოფა ქულ-ფუძე. დაქულვა 'დაფარებას, დახშვას, დაგმანვას' ნიშნავს („რო დააფარებენ“. გოლთ.; „თავის სოროებს დავქულამთ ხომე, როცა ბრიგადელი დაგვიძახებს“. გოლთ.).

როგორც ვხედავთ, ქოლ- და ქულ- ფუძეები სემანტიკურად (და არა ოდენ სემანტიკურად!) ერთიანი ფუძეებია.

მოჭაჭვა ახლად გაკეთებული ყველის მაგრად მოწურვაზე ითქმის („ყველი ისე მოვჭაჭვე, რო შრათი სულაც არ გაჰყოლია“. პ. თონ.). გაჭაჭვა კი ნიშნავს: ა. ცხიმის სავსებით გაცლას (რძისათვის) („ჩემი მეზობელი ისე შჭაჭამს რძესა, რო იმისი მაწონი არც კი იჭმევა!“ პ. თონ.; „ეს სეპარატორი ისე სჭაჭამს რძესა, რო ჟლინტი ცხიმიც კი არ გასდევს“. პ. თონ.). ბ. ფქვილის ძალიან გაცრას („ისე გაუჭაჭვია, რო მთელი ქატი გაუყოლებია!“ პ. თონ.).

სოფ. პატარა თონეთში ცალ მუჭს ჭაჭვიც' უჭვია („ერთი ჭაჭვი ძლივ ამოდის ერთ ძირ კარტოფილზე!“ პ. თონ.). შესაძლოა, მოჭაჭვა თავდაპირველად მხოლოდ ყველის მოწურვაზე ითქმობდა, როცა მას სახელდახელოდ მუჭით ანუ ჭაჭვით წურავდნენ; მოჭაჭვა'ც შეიძლება აქედან იყოს წარმომდგარი ვინის ჩავარდნით: მოჭაჭვავს → მოჭაჭავს (?).

121 შდრ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, გვ. 88

წყალგარდა (—წყალს გარდა) — უსაფქვევოდ (თონ., გოლთ.) (როცა წისქვილში საფქვევი არაა, საფქვევი ღარიდან წყალს მეორე ღარში გადაუგდებენ) („კოლექტივის პური გაილეწა, ხალხი ავანს აიღემს და ვინ გაუშვემს წყალგარდა წისქვილა!“ თონ.).

გარდუკეტა (ნაწარმოებია არქაული გარდა- პრევერბით). — კერპი, გაუტეხავი ადამიანი („აი ერთი გაჭირი ადამიანი რო იქნება, გარდუკეტა კაციო და ვერა გავაგონე რაო“. სალრ.; „რო გაკერპდება ადამიანი, გაჯიქდება და თავის სიტყვას არ გატეხამს“.. სალრ.).

ჰყურობს (თონ., ჩხ.) — მისდევს რასმე?<sup>122</sup> (თონ., ჩხ.) („ამ თათრულ ხინკალს ძალიანა ჰყურობს ხალხი“. ჩხ.; „ალარა ვყურობთ არაფერსა, შვილო, სუყველა გადავაგდეთ, ახალგაზდები ყველასა ჰყურობენ“. თონ.).

ტაში ჰუჰყუი — ერთი (თუ ორი?) ხელის გულის სისქე ჰუჰყუი („ბიკო, არა გცხვენია, ერთი ტაში ჰუჰყუი ადევ შენ ხალათსა?!“ თონ.).

ეკონომიურობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მთელი წინადადების შინაარსით დატვირთული ზმნები: ჩამასწარით (ჩემს დათესვას დაეჩქარეთ) და ამამასწარით (ჩემს ამოღებას დაეჩქარეთ), ანდაზაში: „ნიორმა თქვაო, გიორგობისთვის ჩამასწარითო და მკათათვეს ამამასწარითო“ (თონ.).

მეცგიზაი (—მეცგიზამი) ერთი ამბის მთავარი პერსონაჟის სახელია, რომელიც ასე დაიშლება: მეც გიზამ (=მეც დაგმართებ, მეც მაგიერს გადაგიხდი).

<sup>122</sup> შლრ. გურ. ყურობს -- ესმის, ეყურება

დარგობრივი ლექსიკა

გუნების მოვლენები და დედამიწის რელიეფი

ალგეთელები ადრე დილას, მზის ამოსვლამდე, დილაბინდს („დილაბინდი იყო რო ავდექი“. ჩხ.) ან დილაბნელს („დილაბნელზე ზეზე არიან“. კლდ.) ეტყვიან. ნაცვლად სიტყვისა „დილით“, ამბობენ დილითი (გოლთ.). როცა უნდათ თქვან „ანათებსო“, ზოგჯერ იტყვიან ასინათებსო! („ავტანობილმა რო აიაროს, აქ ასინათებს“. ჩხ.). „გამოჩნდება“-ს ნაცვლად, ზოგჯერ დაჩნდება'ს ამბობენ („ეხლა არ დაჩნდება სოფელი, ნისლია!“ პ. თონ. შდრ. გლ). დღის გათავებას დღის დაბერებას ეტყვიან (თონ., კლდ.) („დიდი დღეა და გვიან ბერდება, გვიან ღამდება“; „დღეს როგორი დღე დაბერდება, არ ვიციო!“ თონ.). ზაფხულის დიდ დღეს ქალაქია დღეს ეტყვიან (თონ., კლდ.) („ამ ქალაქია დღეს მაშ ვერ მოასწრეთ?“ თონ.).

მთვარე რომ დაძველდება (15 დღემდე), იტყვიან, მთვარემ გვერდი მოიტეხაო ან მთვარეს გვერდი ჯერ არ მოუტეხიაო (თონ.). დღედადღე ნიშნავს ყოველდღეს (თონ.), „მუდამ“-ის ნაცვლად ხშირად გაიგონებთ ნიადაგ სიტყვას (თონ., პ. თონ.), ეხლადაეხლაო, იტყვიან, როცა უნდათ თქვან, „ბოლო ხანებში, ბოლო დროს“-ო (გოლთ.). დიდი ხნის წინანდელ ამბავზე იტყვიან ადამ პაპის დროსაო (მაწ.) („ადამ პაპის რამეს მოგიყვება“. მაწ.). როცა უნდათ თქვან „წინათ, უწინ“, „ჯერ“ ან „პირველად“, ხშირად იტყვიან: წინწინ (თონ., პ. თონ.), წინდაწინ (მაწ., ჩხ.), წინაწინ (გოლთ., მაწ., ჩხ.) (მთიულები ამბობენ: წინავ ან წინავა. მაწ.), ამის შესაბამისად „წინანდელი“ ან „პირვანდელი“ იქნება წინწინდელი (თონ.) ან

1 შდრ. გაასინათებს (ლ. ლეჟავა, ზემოიპერულის მასალები ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით: იკე, IX—X, თბ., 1958, გვ. 185); სინათე, მოუსინათებს (ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა ლექსიკონი).

წინდაწინდელი (საღრ.). „მაშინვე“-ს ნაცვლად ზოგჯერ ამბობენ: მაშვე (მაწ.), მაშვეთი (მაწ., ტბ.) ან მაშინვეთი (თონ.). ხელდახელ ნიშნავს „ხელად“ („ხ ე ლ დ ა ხ ე ლ მოვარბეინფ!“; თონ.). დაახლოებით ამასვე ნიშნავს დეზად („ასე დ ე ზ ა თ საღ იშოვნე?!“; შ. თაქ.).

წყნარ, უქარო და თბილ ამინდს შემკობილ ამინდს უწოდებენ (თონ., ტბ.), თავ-თავის ღროზე წვიმა, დარი და ნიავიც (როგორც მოსავალს მოუხდება) შემკობილ ამინდად იწოდება (საღრ.).

თონეთელებისათვის ზენა ნიავი ჩრდილო-დასავლეთის ნიავია, მოდის მთიდან. ზენა ნიავეზე კარგად ნიავედება ნალეწი (თონ.). ქვენა ნიავი კი აღმოსავლეთის ნიავია. ზენა ქარი ცივი და უსიამოვნო ქარია, „მოსავალს არ უხდება, მარცვალს აშრობს, როცა ეს ქარი ქრია, მთელი სოფელი ტირის“ (თონ.). ქვენა ქარი სამხრეთის გრილი და სასიამოვნო ქარია, „მოსავალს ძალიან აკეთებს, კაი მარცვალი გამოდის“ (თონ.).

ჩხიკეთელებისათვის ზენა მხარე ან ზეით მხარე თონეთისა და მანგლისის მხარეა („ზ ე ნ ა ხ რ ი ს ნიავეს ვეხვეწები, იმის ამბავი მამიტანე-მეთქი“. ჩხ.). ზემო უბანს ზედა უბანს ეძახიან, ქვემო უბანს, ქვეშა უბანს ან ქვეშუბანს („ეს ქვენა ნიავი ქვეშა უბნისა არის“. თონ.; „ე გოგო ქვეშუბნელია“. თონ.).

ქარი ხან დაიძინებს (ჩადგება) (თონ.), ხან ამოვარდება. როცა ქარი ერთი და იმავე მიმართულებით ხშირად ქრის, მას გაბატონებულ ქარს ეძახიან (თ. წყ.). ერთ-ერთი მამულის სახელწოდებაა ქარის შიწები, რომლებიც გაბატონებული ქარის (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) მიმართულებით არის გადაჭიმული (თ. წყ.). ცა თუ საღამოთი წითელია, მეორე დღეს ან ქარი ან ავდარი იქნებაო (თონ.). უქარო, მზიან ადგალს ყუდროს ეძახიან (თონ.) (ჩვეულებრივი მნიშვნელობით ეს სიტყვა აქ არ იხმარება). როცა სცივათ და ზასათობად „ყუდროში“ დაჯდებიან, — ყუდროს გაუყუჩდაო, იტყვიან (თონ.) („ბებრები საღამოთი ყუდროს გაუყუჩდებიო ხომე“. თონ.). აქაური მთიულები ჩრდილს ნაგრილს ეძახიან (მაწ.).

პაპანაქება სიცხის დროს ცხელი ჰაერის ლაპლაპს სიცხის ლული ეწოდება (თონ., კლდ.); იტყვიან აგრეთვე, ბურქო ტრიალებსო (ჯორჯ.), ანდა ხიცხის ბურიიაო (ჩხ.). ზაფხულის დასასრულს (მარიამობისთვეში) რომ ჰაერი შეიცვლება და აგრილდება, ჰაერი გატყდაო, იტყვიან (თონ., კლდ.). მთვარის გამოცვლას მთვარის შემლას ეძახიან (თონ.).

ღრუბლიანზე იტყვიან დაღრუბლულიაო (ჩხ., შდრ. გლ), ანდა. როგორ მოიბუღაო (მოიღრუბლაო) (ენაგ.). წვრილ, უუუუნა წვიმას თქორი ეწოდება. ასეთი წვიმა, ან ღრუბელი და ჭანლი რომ წამოვა, თქორავსო<sup>2</sup>, იტყვიან. ასეთ ამინდს უინჟლი ავდარიც ეწოდება (თონ.). ზოგჯერ ითქმის წვიმიანი და არა „წვიმიანი ამინდი“ („წვიმიანი კომბაინი ვერ შედის“. კლდ.). წვიმას უფრო ავდარს ეძახიან („ქერში ავდარი ჩამოვიდა“. თონ.; „ავდრის წყალი კარქა რეცხამს სარეცხსა“. თონ.), ზოგჯერ კი, — ავდრობასაც (თონ.) („წელან რო ავდრობა წამოვიდა, ნამი მოხედა და დანელდა თავთავი“. თონ.). კერიდან ჩამოსულ წვიმას (ტბ., ფარცხ.) და თხელ ლაფს (გოლთ.) წუნწუხსაც ეძახიან. წუნწუხი ჩნდება ხოლმე გომურშიც საქონლის შარდისა და სხვა სიბინძურისაგან. ხშირ, გაბმულ წვიმებზე იტყვიან მოჟინებული წვიმებია ან მოჟინებული ავდარიაო (ჩხ.), წყლით გაჟღენთილს მთიულები გაჟინთულს ეძახიან (მაწ.). წვიმაში დასველებულზე იტყვიან, გაიზუნჯლაო (თონ.). ბევრი წყალი რომ დაიქცევა, დაჰოჭდაო, იტყვიან (ტბ.). მთიულები „დააქცია“-ს ნაცვლად დააღვრიას ამბობენ (მაწ.). წყლის ერთბაშად შესხმას შეხვიღებას<sup>3</sup> ეტყვიან (გოლთ.). ძალიან ცოტა წყალს, წყლის წვეთს უღინტს // უღინტლს ეძახიან. უფრო უარყოფის დროს ითქმის, მაგ. „უღინტიც კი არ იყოო“ (თონ.).

ნამს, სისველეს ტენი ეწოდება (თონ.), ნამიანს, — ტენიანი (თონ., ჩხ.), დანესტიანებას კი, — დატენიანება (თონ.) („ნალი დატენიანებულა, გაიტა მზეზე!“ „ხორობალი რო დატენიანდება, აღარ დაიფქვის“. თონ.). ქაობიან ალაგს ჭანჭრობს ეძახიან (კლდ.). ადგილს, სადაც დამდგარი წყალია ბჟანტობსაც ეტყვიან (თონ., ჩხ., გოლთ.). ერთ-ერთ წყაროს პ. თონეთის ტყეში დამპალი წყალი ეწოდება. სოფლის მკვიდრთა ცნობით, ეს წყალი ჟანტია<sup>4</sup> (ჰ ბჟანტი) („ლაფის გემო აქვს“) და სასმელათ არ ვარგა. დამპალმიწები სოფ. კლდეისის სახნავ-სათეს მამულებს ეწოდება, რომლებიც „წვიმიანში“ გვიან შრება (კლდ.).

დიდი სეტყვა რომ მოვა (ჯორჯ., ტბ.), დიდი წვიმა (პ. თონ., ტბ., საღრ, კლდ.), ან დიდ წვიმასთან ერთად წვრილი სეტყვა და ქარიშხალი (თონ.), სელგა მოვიდაო იტყვიან. წვიმას რომ გადაიღებს, გაიდარაო, ამბობენ (თონ.), ანდა გადიფელიკა, გაიფელიკა,

<sup>2</sup> შდრ. ქართლ.: გათქვარავს (თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან: იკე, XVII, თბ., 1970, გვ. 306).

<sup>3</sup> შდრ. ქართლ.: ჩაახივლებს (იქვე, გვ. 317).

<sup>4</sup> შდრ. ჟანტია — „მცირე რამ სისუელე“ (საბა), სველი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული, გვ. 203; თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 207).

გამოიფელიკაო<sup>5</sup> (კლდ., ენაგ.). თონეთსა და პ. თონეთში სეტყვას ხოშაკალას<sup>6</sup> // ხუშაკალას ეძახიან. ძალიან მსხვილ სეტყვას კი, — სეტყვას (პ. თონ., ფარცხ.). წვრილი სეტყვა ქვემო ქართლები-სათვის ხორხოშელაა (მაწ., ტბ., ფარცხ., ჯორჯ., ჩხ.). ორშაბათი სეტყვის უქმედ ითვლებოდა. ამ დღეს სამღვთოდ დაკლავდნენ ერთ თხას, „ელიას უყვარსო“, ცხვრებს, მოიტანდნენ ღვინოს. სხვა სოფლებსაც დაჰპატიებდნენ და დროს ატარებდნენ (გოლთ.).

ცივ. ბურუსიან დღეს ცრიატი დღე ჰქვია (პ. თონ.). კარგი ამინდი რომ შეიცვლება (მოიღრუბლება, ბურუსი და ჟინყელი წამოვა, აცივდება), გაცრიატდაო, იტყვიან (პ. თონ., ჩხ.).

ხეხილს ან სხვა რამეს ჰირხლი რომ დაედება, შეშჰირხლა (ჯორჯ.), დაიჰირხლაო (სალრ.), ამბობენ. როცა ჰაერში სუსხია და ყველაფერს ჰირხლი ედება, იტყვიან, ჰირხლიანი ამინდია (ჯორჯ.), ჰირხლავსო (სალრ.).

დღეები რომ აირევა და აცივდება, იტყვიან, „ჩაკლაკი (წერო, წეროების გუნდი) მოდის, ეხლა თოვლი უნდა მოვიდეს, ჩაკლაკის დღეა დღესაო“ (კლდ.). ამბობენ აგრეთვე, წეროს გუთანი უბიაო (წეროების გუნდი დაწყობილად რომ მიფრინავს) (კლდ.). თოვლიანი ქარბუქი ჩოღუშია (პ. თონ., ჯორჯ., ჩხ.), ქარიშხალი რომ ამოვარდება, თან მოჰყვება წვიმა და ცა მოიბურება, იტყვიან, როგორ გაჩოღუშდაო (პ. თონ., ტბ., ბგვ., ჩხ.). დიდ სიცივეს დურაღს ეძახიან (ჩხ., ტბ., კლდ.), ძალიან თბილად რომ ჩაიცვამენ გღურაღავსო? (ძალიან გცივაო?) (დ. იორამ.), ანდა: დაგღურაღა (კლდ., ჩხ.), დურაღი ხომ არ მოგსვლია, დადურაღული ხომ არა ხარო? შეეკითხებიან. ზამთრის თბილ, ოდნავ მოღრუბლულ ღამეს (აქა-იქ დღესაც. ტბ.) ეწოდება მარაგი ღამე<sup>7</sup> („ამაღამ მარაგი ღამეა“. ჯორჯ.), ან მარანგიათი ღამე (ჯორჯ., ფარცხ., ტბ., პ. თონ.) („მარანგიათი ღამე იყო და გათენებამდინ მუშაობდა წისქვილი“. პ. თონ.). ზამთარშივე რომ მოთბება, დამარაგდაო (დათბაო) (ფარცხ., ჯორჯ.), იტყვიან. ქარ-მზიანი ამინდი თოვლს რომ შეაღხობს, ლელმა ჰკრაო, ამბობენ (თონ.).

ქვეყნიერებას ალგეთელები ევროპიას // ეროპიას უწოდებენ ზშირად („მამ მთელ ევროპიას აშუქებს ეს მზე?“ თონ.). ევრო-

5 შდრ. ა ი ფ ე ლ ი კ ე ბ ს — ჯანღს აიყრის, გამოიღარებს (ს. მენთეშა-შვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა, გვ. 253).

6 ხორშაკალა? შდრ. ხორხოშელა (—ხორშ-ხორშელა?). შდრ. ხორში (ილ. აბულაძე).

7 შდრ. მარაგი (გლ.), მარაგნი (თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 203), მარაგიათი (ეპისკოპოსი კირიონი, დასახ. ნაშრ.).

მიაა (|| ეროპიაა) აგრეთვე მთელი ქვეყნის ხალხი, ან ბევრი ხალხი („ე რ ო პ ი ა დადიპ ამ ადგილითვინ, ისე მოსწონთ“. თონ.).

ირიბ გზას (უფრო აღმართში) გეზი გზა ეწოდება (თონ., პ. თონ., ფარცხ., ტბ.). ამა და ამ ადგილამდე რომ მიხვალ, მერე გეზივ უნდა გაბრუნდეო, იტყვიან (თონ.). როცა ურემს აღმართში უჭირს, — დაუგეზავებენ, რომ შელავათი მიეცეთ ხარებს (პ. თონ.). ამას დაქეშავებასაც ეტყვიან, — ცოტა დაუქეშავეო (პ. თონ.). და-ირიბებული გზის შესახებ იტყვიან, გზა ქეშათ (ირიბად) მიდისო. თავქვეში გზიდან რომ გადაუხვევენ, დაუხვიეს იტყვიან (პ. თონ.). სწორ გზაზე კი, — მოუხვიეს. თავქვეს დათავქვეებასაც ეძახიან (კლდ.). იტყვიან: აღმაური, თავქვეური<sup>8</sup> (კლდ.). უკან დაბრუნდი<sup>9</sup> საცვლად იტყვიან უკან დატრიალდიო (პ. თონ.).

თუ მიწაზე ბილიკი არ არის, ბევრი სიარულით ბილიკას დაპქნიან (მიწას გატკეპნიან, ბილიკს გააჩენენ) (თონ.). ერთბაშად დიდი ფედარი რომ მოვა, — დედამიწა, გზები სულ გაიწეპება // გაიწეკება (თონ., ჩხ.), გაიტყიება (დაიტკეპება), „როგორც საგორავი გადაატარო და გატყიპო“; გაწეკილ ადგილზე აღარაფერი მოდის (ჩხ.). გაბმული წვიმისაგან დედამიწა მოილინჭყება (ჩხ.), ლიჭყით (თონ.) // ლინჭყით (ჩხ.) (თხელი ტალახით) დაითარება. მოლინჭყულზე კაცი ფეხს ვერ მოიკიდებს, „აცურდება“. ტალახს ფოლორცსაც ეძახიან, სუ გაფოლორცავდა (გატალახდა) გზაო (კლდ.). დიდ ტალახს ხლარცი ეწოდება (თონ., კლდ.). საქონლის ან ურმისაგან აპიჭყნილ და ისევე გამხმარ ტალახიან ადგილს თუ გზას კოპიჭნარი (ჩხ., ბგვ., სარ.) // კოპიჭნარი (პ. თონ.) ეწოდება. კოპიჭნარი სასიარულოდ ცუდია, მგზავრს ფეხებს ამტვრევს. ნაადრალზე რომ მზე დააჭერს, მიწა ქვასავით ხმება და კორხლები (გამაგრებული მიწის ნატეხები) (ტბ., მაწ.) ანუ გორახები (ჩხ., გოლთ., ტბ.) // გორახები (კლდ.) ჩნდება. ნაგორახლები ეწოდება ერთ ადგილს ს. ჩხიკვთასთან.

ვაკე ადგილს დუზი ეწოდება (ჩხ., გოლთ., თონ., მაწ.) („დიდი დუზი ვაკე იყო, თვალგაუწვდენელი“. თონ.: „დუზზე დააბი ცხვრები, ფერდა არ იყოს, არ დაიხჩონ!“ მაწ.). დაბლობ ადგილს დაბალს ეძახიან. ერთ-ერთ საძოვარს მანგლისთან კოკას დაბალი ეწოდება (თონ.). ს. სალრაშენის დიდ სახნავ-სათეს მიწას, რომელსაც აქეთ-იქიდან მაყვლიან-შვინდიანი ტყე აქვს, დაბლები ეწოდება („დაბლებში მოვკრიფეთ მაყვალი“. სარ.).

<sup>8</sup> ამავე წარმოებისა. ს. ფარცხისში ჩაწერილი იქვეური.

მწირი, უბალახო, ან დაბალბალახიან მაღლობ ადგილს გოხი ჰქვია (კლდ.). გოხს ეძახიან აგრეთვე, შიშველ, კლდოვან სერებს (მაწ.). ს. თონეთის ერთ-ერთ სახნავს შუაგოხი ეწოდება, მეორე ადგილ-მაგულს კი გოხნარი (წალკას ეკუთვნის. შემდეგში იქვე ამავე სახელწოდების სოფელიც გაჩენილა)<sup>9</sup>. ამავე გოხთან უნდა იყოს სემანტიკურად დაკავშირებული მეხილეობის ტერმინი გაგოხვა (მკვანე ხილის გაკრეფა) (გოლთ., ბგვ.) და სხვა პრევერბებრანი ფორმები ამ სიტყვისა (იხ. გვ. 171). გოხს ენათესავება მნიშვნელობით კრია (გამხმარი, კლდოვანი ადგილი. იხ. საბა) („კრიას გადაივლი და მერე ტყე გამოჩნდება“, პ. თონ.), ანუ კრიახი (ჩხ., მაწ.). სიტყვა კაპანი (იხ. საბა) შემორჩენილია ტოპონიმში კაპან-კლდეები (ქვიანი ჩასავალია ტყიანიდან, ვიწრო ბილიცი)<sup>10</sup> (კლდ.).

მცირედ ჩავარდნილ ადგილს გადახრამულს ეძახიან („საცა პატარა გადახრამული ალაგია, ისე სტოვებს კომბაინი, ვერ უდგება“. პ. თონ.). ჩამზღვლეულ კლდოვან ადგილს ჩაფლატული ეწოდება. ტოპონიმია ჩაფლატულები (პ. თონ.). ფოტორა ადგილს ეტყვიან კლდიან და ტყიან უხერხულ ადგილს, სადაც კაცს უჭირს მოძრაობა (კლდ.).

მიწაში (ზოგჯერ მდინარის ფსკერზე) ჩაღრმავებულ ადგილს ამოქვაბულს ეტყვიან („ამოქვაბულთ იყო, იქ შაიტაცა წყალმა“. ჩხ.). ასეთი ამოქვაბულის წყალს, ღრმა და ვიწრო მორევს ღურღურს ეძახიან („თურმე ესე ღურღური იყო ჩასავარდნი!“ ჩხ.)!; მას მოხვრინავიც (ჩხ.) // მოხვრივანიც (ჩხ.) ეწოდება („დიდი მოხვრინავები ალგეთში, ვინც ფონი(?) იცის გავა, ვინც ფონი არ იცის, ვერ გავა. ჩხ.). ს. ფარცხისის ჩრდილოეთით არის მოხვრინავის ხევი („იქით არი, ბირთვისებისკენ, წყალრო ჩამოდის, მაღლიდან ჩამოდის და მოხვრინავს ეძახიან“. ფარცხ.).

როცა მდინარეში გასვლა უნდათ, თუ თხელი წყალია, ქვახიდას (ჩხ., საღრ.) გამართავენ ხოლმე (მოზრდილ ქვებს ჩააწყობენ ერთმანეთის მიყოლებით). სახელდახელოდ ხიდის გადებას გახიდეხს ეტყვიან (კლდ.). პატარა ჩანჩქერს ჩაშხრიალას ეძახიან (თონ.).

წყაროს წყლის შესახებ ამბობენ ხმელია ანუ ხამია, დასაბან-დასარეცხად არ გამოდგებაო (თონ.): წყალს, რომელიც მაღე უკ-

<sup>9</sup> უწინ გოხნარიდან მოპქონდათ აჭაურ გლეხებს კოხი კვერტბის მოსაკობად.

<sup>10</sup> შღრ. კაპანი (შიგა ქართლი) (თ. სილარძე, ქართლური ლექსიკონი, გვ. 312).

<sup>11</sup> შღრ. ქართლ. ღურღური — ხის ტანის გული შიგანო (გ. ხორცეაშვილი, „ალავერდი“: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1971.4.VI.



ლავს წყურვილს, მაძღარ წყალს ეძახიან (მაწ.). „მგლის წყარო ისეთი წყალია, ერთ ჭიქას ველარ დაღევ, მაძღარი წყალია!“ (მაწ.). თბილ, დასალევად უსიამოვნო წყალზე იტყვიან ღუბელააო (თონ.) (შდრ. დ უ ბ ე, აქვე, გვ. 106).

### კ უ რ ე უ ლ ი

ა. ხვნა-თესვა. მიწის იმ ნაწილს, რომელიც მეცნარეს საკვებს აწვდის (ზედა ფენა), ალგეთელები ნიადაგს ეძახიან (თონ., ჩხ., გოლოთ.), ამიტომაც რომ დიდი ხნის (თავიდანვე) მოუხნავ, ნოყიერ მიწას განიადაგებული მიწა ეწოდება (თონ., ჩხ., გოლოთ., თ. წყ.), ეს იგივე ყამირია (ამ ნიადაგს ერთმა კლდეისელმა გლეხმა მიწა უწოდა: „მოდრავ ფენას, სახნავ-სათესს, მიწა ჰქვიაო“).

ნიადაგი საპირისპირო მნიშვნელობითაც იხმარება, ესაა მიწის ქვედა, მაგარი შრე, რომელიც უსარგებლოა მოსავლისათვის.<sup>12</sup> იტყვიან: „ნიადაგზეა დასული მიწა და იმიტომ არ მოდის კარგი მოსავალიო“ (თონ.). სახლის აშენების დროს სანამ ნიადაგს არ იპოვიან, საძირკველს არ ჩაყრიან (თონ., საღრ.).

ნიადაგი პირველი მნიშვნელობით, ანუ ზედა „მოდრავი, სახნავ-სათესი ფენა“ (კლდ.) შეიძლება იყოს თიხნარი (ჩხ.), იგივე თიხამიწა (კლდ.), ქვიშნარი (ჩხ.), იგივე ქვიშრობი (ქვიშიანი და ქვიანი მიწა) (მაწ., კლდ.), აყალო მიწა (ჩხ.) და შავი მიწა (ჩხ., კლდ.). ეს უკანასკნელი საუკეთესო მიწად ითვლება. ადგილობრივი მთიულები მას შავნაჲ მიწას და მდებარე მიწას უწოდებენ (მაწ.).

თიხნარი ნიადაგი უეარგისია მოსავლისათვის. ზოგი გლეხი თიხნარს და საერთოდ მწირ ნიადაგს ქერა მიწას ეძახის (ჯორჯ., ჩხ.). (არის ქერა ქვაც, მაგარი ქვაა, ასეთად თვლიან, მაგალითად, ვარძიის ქვას. ტბ.). ქერა მიწის სინონიმია თეთრი მიწა (ჩხ., მაწ., კლდ.). თეთრ მიწას ეძახიან, აგრეთვე; კირისმაგვარ მიწას, რომელსაც დაწვა არ სჭირდება, მას კირის ნაცვლად იყენებენ კედლის გასალესად (ჯორჯ.). თიხნარს კლდეისელები წითელ მიწას ეძახიან, აგურისა და კრამიტის გასაკეთებლად გამოდგებაო, ზოგი კლდეისელის გამოცდრღებით კი წითელი მიწა „კედელშია კარგი“ (კედლის გასაკეთებლად): ს. კლდეისის მცხოვრებნი შავი მიწისა და წითელი მიწის ანუ თიხის ნარევეს ღომა მიწას ეძახიან, „ღომა ფერია, მოწითალო ფერიო“, ღომა მიწა თირივით რბილიაო. ზოგ გლეხს მოს-

<sup>12</sup> შდრ. ქართლ. გაანიადაგებს — ყველაფერს მოუსპობს, გაანადგურებს (მ. მესხიშვილი, მასალები ქართლური დიალექტური ლექსიკონისათვის: იყე, XVII, თბ., 1970, გვ. 286).

წონს მასში მოყვანილი მოსავალი, ზოგს, — არა. ლომა მიწას იგივე კლდეისელები სარია მიწასაც ეძახიან.

სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთს მამული ეწოდება (თონ., კლდ.). მას უბრალოდ მიწასაც ეძახიან. „ამას იქით ჩვენი სოფლის მიწები იაო“, იტყვიან, „ხოდაბუნები... დიდი მიწები იაო“ (ჩხ.). საუკეთესო მამულად ითვლება ხოდაბუნი, გაშლილ ვაკეზე მდებარე ნოყიერი მიწის დიდი ნაკვეთი (ჩხ., კლდ.). ხოდაბუნები ეწოდება ს. ჩხიკეთის ბოლოზე მდებარე დიდ მინდორს. აქ იგი ტოპონიმად ქცევის გზაზეა „ხოდაბუნებში დგა ავტობუსი“. ჩხ. „ხოდაბუნები დიდი მინდორია სოფლის ბოლოში, დიდი მიწები“. ჩხ.).

დაბალ, ჩავარდნილ ვაკე ადგილს დუბეს ეძახიან. „დუბეში ჩავიდეთო“, იტყვიან, „ეს ხო მთა ადგილიაო“ (მაწ.). („კარტოფილი გვაქ ამოსალები დუბეებში“. ჯორჯ.). ასეთი ადგილის მიწა ფიცხი მიწაა (ჯორჯ.), „მხურვალეა“ (ტბ.) და მოსავალს არ იძლევა (ტბ., ჯორჯ.). ფიცხი მიწაა თინხარიც, რომელსაც „ყანა არ მოჰყავ“ (ჯორჯ.). ს. თონეთის ერთ-ერთ სახნავ-სათეს მამულს ფიცხისი ეწოდება. ჩავარდნილ ადგილს ტაფობსაც ეძახიან (ჩხ.). ფერდობის მიწა უვარგისად ითვლება, ჩვეულებრივ იგი ხრიოკს წარმოადგენს, რადგან საკვები ნივთიერების შემცველი ფენა ავდრებისაგან არის ხოლმე გადარეცხილი.

ნოყიერ, შავ მიწას ღონიერ მიწას უწოდებენ („ღონიარი“, მთ.), რადგან მას კარგი მოსავალი მოჰყავს. ასეთ მიწას ღალიანსაც ეტყვიან. კარგ მიწაზე იტყვიან აგრეთვე მთავარი მიწააო. (ჩხ.). მწირ მიწას უღონო ან უძალო მიწას ეძახიან, ასეთია ქერა მიწა, მას ძალა არა აქვს და მცირე მოსავალი იცის (ჯორჯ.). უღონო მიწას უწიალოსაც ეტყვიან, ასეთია ქვიშნარი (საღრ.). უძალო ადგილს ხირხატიც (ჯორჯ.) // ხირხოტიც (კლდ.) ეწოდება, „არაფერი არ მოდის, ხირხატი ადგილიაო“, იტყვიან, ან კიდევ: „ხირხოტი — ქვიშანი მიწაა, წვრილი ქვა რო ურევია შიგაო“ (კლდ.). მიწა, რომელიც „მუდამ წელიწადს“ იხვნება და ითესება, — ცვდება, იფიტება. ამიტომ მას მოღლილ მიწას ან გამოღალულ მიწას უწოდებენ. უღონო მიწას სასუქს დააყრიან (ჩხ.), შიგ ნაკელს შეიტანენ (საღრ., მაწ.) და, ამგვარად, გააღონიერებენ (ჩხ.) // გააღონიერებენ. „ერთი გაღონიერებული მიწა ორსა და სამსა შჯობიაო“, ამბობენ (პ. თონ.). საქონლის სასუქით („ნეხვით“) გაღონიერებულ მამულს ნანეხვს ეტყვიან. ნანეხვია, აგრეთვე; საქონლის საყარი (შღრ. გლ). საცხოვრებელი სახლის მიდამოებში მდებარე საუკეთესო მამულს ნაფუ-

ზარი ეწოდება. ნაფუზარს ყოველწლივ საქონლის პატივს აყრიან და ამის გამო ძალიან ნოყიერდება (თონ.). ნაკელი ახალი შემოტანილი სიტყვაა (საღრ.). ადგილობრივი მთიულები ნაკელს ნაგავს ეძახიან. მიწის ნაკვეთს, რომელსაც ბევრი ზვრინჭა (ძალიან წვრილი ქვა. საღრ., ტბ.) ურევია, ზვრინჭიანს ეძახიან (მღრ. ზვრინჭიანი სალესავი. იხ. გვ. 158).

თუ მიწის ნაკვეთი ბუჩქნარით არის დაფარული, ჯერ უნდა გაიჯაგოს (თონ.) და შემდეგ მოიხნას. საყანე მიწის სიმცირის შემთხვევაში ზოგჯერ ტყის გაჩეხაც უხდებათ. განაჩეხ (ნატყევეარ) ადგილს (თონ.) გაასუფთაებენ: ჯირკვებს (თონ.) ანუ კუნძებს (ჩხ.) (მიწაში დარჩენილ მოჭრილი ხის ძირებს) ამოპყრიან. ამას ნაკვეთის გაჯირკვა (თონ.) ანუ ამოჯირკვა (თონ., ჩხ., კლდ.) ეწოდება („ნახევარი დღის მიწა ამოვჯირკვეთ“. ჩხ.).

მიწას, რომელიც არასდროს არ მოხნულა, უძრავი მიწა ეწოდება. მას გაუტეხავ მიწას („პირველათ გასატეხი მამული“. თონ.), ხამ მიწას (თონ., გოლთ. მაწ., კლდ.), კორდ მიწას („კორდი გატეხეო“. კლდ.) და ყამირსაც<sup>13</sup> (კლდ., თონ.) ეძახიან („ყამირი არის ხამი, მოუხნავი მიწა, პირველათ რო მოხნამენ, განიადავებული მიწა“. თონ.). ყამირს ადგილობრივი მთიულები ბორტს უწოდებენ („თუ ყანა არა თესებულა და ხამია მიწა, იმას ბორტ ვეძახით“. მაწ.) ასეთი მიწის დამუშავება ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ უხვ და კარგ მოსავალს იძლევა, რადგან „სუ დასვენებულია“ (ჯორჯ.). თუ მამული ერთხელ მაინც არის მოხნული, ის უკვე ნაძრავია („ნაძრავი მიწა სხვა არი, ბორტი მიწა სხვა არი“. მაწ.). ხამი მიწის პირველად მოხვნას მიწის გატეხვა (გოლთ.), ყამირის გატეხვა ეწოდება. ერთხელ გატეხილი მიწა ყამირთან შედარებით უფრო ადვილი მოსახნავია. მოსავალალებულს და ხელმეორედ მოხნულ (დაბარულ) მიწას ნარბილი ჰქვია (თონ., ჩხ., კლდ.). საერთოდ ნარბილია მიწა, რომელიც ითოხნებოდა ან კიდევ მეორე წელიწადსაც მოიხნა (კლდ.).

ნარბილ მიწას ხშირად სხვა თესლის დასათესად იყენებენ. მაგ. ნაკარტოფილევ ადგილს გადაბარავენ და ქერს დათესავენ, ან პირუკუ. მოხნული და შემდეგ გამაგრებული მიწის გაფხვიერებას განარბილებას ეტყვიან, მაგ., ანეულს გაანარბილებენ ხოლმე აჩაჩით. იმ მამულს, სადაც ყანა ეთესა ნაყანევი (მაწ., კლდ.) // ნაყანები

<sup>13</sup> არაბული ყამირის შემოსვლამდე და სალიტერატურო ქართულში მის განმტკიცებამდე, ხომ არ გააჩნდა ქართულს ამ ცნების აღსანიშნავად საკუთარი ტერმინი უძრავი მიწა, რომელიც დიალექტმა შემოგვიანა?

(თონ., კლდ.) ან ნაყანობი (ჩხ.) ეწოდება (იხ. აგრეთვე „ნაოში“; აქვე). „ნ ა ყ ა ნ ე ბ შ ი დ ა თ ე ს ი ლ ი კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი უ ფ რ ო კ ა რ გ ი მ ო ვ ა ო“ (თონ.). უწინ ნაყანევს ერთი წლით ან მეტით ასვენებდნენ, ალარ ხნავდნენ, რადგან „მუდამ წელიწადს რო გადახნამ და გადმოხნამ, ის არი მოღლილი მიწა, იმას ალარა აქ სინოყიერე და ძალა. ერთ წელიწად რო დავეთესამდით, მეორე წელიწად დავასვენებდით, ახლა სხვა მიწაზე დავეთესამდით“ (საღრ.). ერთი წლის დასვენებულ მიწას ნაჩხატი (თონ., პ. თონ., ჩხ.) // ნაჩხარტი (თონ., პ. თონ.) ეწოდება. ნაჩხატში კარგი ბალახი იცის, რომელსაც თივად იყენებენ. ნაჩხატს ეძახიან, აგრეთვე, ხნულში უხნავად დარჩენილ გაბალახებულ ხარვეზს და ხნულებს შორის უხნავ ზღვარს (კლდ.). ზოგი გლეხი ნათიბსაც ნაჩხარტს ეძახის (თ. წყ.). თუ ნაჩხატი მეორე წელიწადსაც ან უფრო მეტ ხანს უხნავ-უთესად დარჩა, — რცხალი იქნება (შდრ. საბა: კ რ ც ხ ა ლ ი) („ის მამული რ ც ხ ლ ა თ დარჩა“, თონ.: რ ც ხ ა ლ ი გავთიბე“. კლდ.; „რ ც ხ ა ლ მ ა კ ი პურის მოყვანა იცის“. პ. თონ.). ს. კლდეისის მცხოვრებთა მფლობელობაშია სათიბები (დასვენებული მიწებია), რომლებსაც ახლაც რცხლებს ეძახიან.

დიდ მინდვრებში მიწები ერთიმეორეს მისდევს. მიწის ყოველ დიდ უბანს, მონაკვეთს ტანი<sup>14</sup> ეწოდება (თონ., კლდ.). იტყვიან: პირველი ტანის მიწა, მეორე ტანის მიწა და ა. შ. „ერთ ტანზე არის კარგი, მოსავლიანი მიწაცა და ცუდი, უმოსავლო მიწაცა“ (კლდ.). ს. თონეთის ერთ-ერთ სახნავ-სათეს ტყიან ადგილს მოკლე ტანებს ეძახიან. ტანს თარგსაც ეტყვიან (კლდ.).

გაშლილი ვაკე ადგილის მიწებს ვაკე მიწებს ან ველს ეძახიან (კლდ.). ს. კლდეისს ეკუთვნის გამოღმა ვაკიები (—ვაკეები) და გაღმა ვაკიები. მასვე ეკუთვნის დიდველი და რგვალი ველი; ს. ფარცხისის მფლობელობაშია მალლა ველების მიწები.

მიწის ნაკვეთს, მამულს აქვს თავი და ბოლო. კლდეისელებს აქვთ სათიბები, რომლებსაც კალატოზიანთ მიწის ბოლოებს ეძახიან (კალატოზიშვილებისა ყოფილა ძველად). ზოგ მიწას თავი წვრილი აქვს და ბოლო განიერი, ასეთ მიწებს თავწვრილ მიწებს ეძახიან (კლდ.). მიწა შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე. ს. კლდეისს აქვს გძელი მიწები, ს. თონეთს კი ზემოდსახელებული მოკლე ტანები. განდაგან მდებარე მიწებს განის მიწებს ეძახიან (თონ., კლდ.); არის განის გზაც (კლდ.). მიწას, რომელიც ჭერ სწორად მიდის, შემდეგ კი მოუხვევს, ნამგალა მიწას ეტყვიან. მიწა რომ შეღმა მიდის, იმას:

<sup>14</sup> შდრ. შუატანი (გვ. 124).

პირაღმა მიწას (კლდ.) ან პირშელმა მიწას (ფარცხ.) ეძახიან, ფერდა ადგილის მიწებს კი ფერდი(ს) მიწებს, სერი(ს) მიწებს (კლდ.) ან სერების მიწებს (ფარცხ.). ასეთი მიწები ძნელი სახნავია, ტრაქტორი ვერ უღვება, ამიტომ განდაგან და ცალფთვი (ყალი მხრიდან) იხვნის. კლდისელებს ეკუთვნით ნოყიერი მიწები, რომლებსაც სართაულებს ეძახიან: ანუ ულად, ანუ ორკერ მოხვნის ნაცვლად ერთხელ უხნავენ, ამის გამო ბალახი მოერევა ხოლმე და ძნელი გასამარგლი ხდება (შდრ. სართი ქვა — ძნელად დასამუშავებელი, მავარი ქვა. კლდ.).

ადგილმდებარეობის მიხედვით არის ვაღმა მიწები (კლდ.). უკანმიწები (კლდ.), ზემოდასახელებული ვაღმა ვაკიები, გამოღმა ვაკიები (კლდ.), გამოჩინებული (ორმხრივ კლდეებითა და ტყეებით შემოზღ., კარგი, დიდი სახნ.-სათ. ადგ. ს. სალრაშენის ჩრდ-ით).

მიწის სახელს ხშირად მასთან ახლოს მდებარე ტყე, ტბა, ან სხვა რამ განსაზღვრავს. მაგ. ს. თონეთს ეკუთვნის: ტბა (საყანე ადგილი ტყით, ვაკით და ფერდათი), ბრუდე წყალი (თონ.), უკანტყე (სახნავ-სათესი ადგილი ტყით), სისხლის(ს) მიწები, ვარდის მიწები, ს. ფარცხისის კუთვნილი: ბილიკების მიწები (ბევრი ბილიკებია), მიჯნი(ს) მიწები (მიჯნებია ჩაყრ. ძველად), თელის მიწები (ბევრი თელებია), ორმუხის მიწები („ორი დიდი მუხა დგა და ორ მუხი ან ს ეძახიან“), კოშკები, ციხის მიწები, ტყი(ს) მიწები და სხვა.

პირველად რომ გუთანს გაიტანდნენ<sup>15</sup>, უნდა ყოფილიყო ორშაბათი, სამშაბათი ან ხუთშაბათი (ოთხშაბათი და პარასკევი „ნავს“ დღეებად ითვლებოდა. კლდ.). ხვნის დაწყებამდე (ზოგჯერ წინა საღამოს. თონ.). ჯერ ღვედ-იარაღს გამართავდნენ (თონ.); დაკეცილ ღვედს (გრძელი და ვიწრო ანაჰერი ტყავისა) გაშლიდნენ, ზედ უღლებს დააწყობდნენ, დაახლოებით ორ-ორი მეტრის დამორებით, რაც ერთი უღელა ხარის გამართვას სჭირდება და შეჰკრავდნენ ღვედზე კულამებით (კულამა ორწვერად შეგრეხილი მოკლე და ვიწრო ტყავის თასმაა, კლდ.); ამას უღლების გაშლას ეძახდნენ. მოამზადებდნენ. აგრეთვე, დანარჩენ იარაღს: ჰაპანს, ჯაქვს, აპეურებსა და ტაბიკებს. ღვედ-იარაღის გამართვას ან უფრო მოკლედ, ღვედის გამართვას (ჩხ., კლდ.) ერთმა თონეთელმა გლეხმა გუთნის გაშლაც უწოდა. როცა მზის ჩასვლამდე საკმაო დროა დარჩენილი (თონ.), ან „მზე რო დავა ჩასასვლელათ“ (კლდ.), იტყვიან: „ჯერ მზე ერთი გუთნის გაშლაზეაო“ (თონ., კლდ.).

<sup>15</sup> ადგილის უქონლობის გამო გამოეტოვებ მონაკვეთი: „გუთანი, გუთნეული, გუთნის ღედა და მხარები“.

გუთანში შესაბამელად წინა საღამოსვე ან მეორე დღით ადრე მორეკავდნენ ხარ-კამეჩს, ზოგი ღამიანად შეაბამდა და მთვარიანზე ხნავდა (კლდ.): კვირას ისვენებდნენ. „თუ სოფელში კაცი მამკვდარიყო“, გუთანს იმ წუთსვე გამოუშვებდნენ და დასაფლავებამდე გუთნის იარაღი მინდორში ეყარა (კლდ.). ხვნის დაწყებამდე გუთნეულის წინა ხარს შელოცვილ კვერცხს დაახლიდნენ შუბლზე, რომ გუთანმა თვალი არ აიღოსო [ცუდი თვალის, ავი თვალის პატრონმა არ დათარსოსო, მაგ. „ერთი კაცი ცუდი თვალის კაცი იყო, რომ შეაბამდა ხარსა, ხარი აღარ გასწევდა“. კლდ.; „როცა პირველში (=პირველად) გლეხი გუთან გაიტანდა, — გამოიტანდა გუთნი დედა კვერცხა, წინა ხარს შიგ შუბლში მიარტყამდა: ვინც ავი თვალით დაგვინახოსო, — ეგრე დაინტერესო“. თონ.]

ხვნის დასაწყებად მიწას გუთანს მოუკიდებენ (კლდ.), „ჩაგდებენ კვალში“. პირველად რომ შევიდოდნენ მამულში, ჯერ მიწას დაიკვალავდნენ (გუთნით კვალს შემოავლებდნენ ნაკვეთს) (ჯორჯ.) (შდრ. გაიკვალავდნენ, გვ. 111). დაკვალვა საერთოდ ხვნის დაწყებასაც ნიშნავს: „პირველში მიწას რომ გაშპრიან, იტყვიან, დაიკვალაო“ (კლდ.). ს. თონეთის ერთ-ერთ საყანე ადგილს დაკვალულები ეწოდება. სხვადასხვა მეპატრონეთა ხნულებს შორის მიჯნად ტოვებდნენ მოუხნავ ზოლს, რომელსაც ზღვარი (თონ., პ. თონ.) // მზღვარი (შდრ. გლ.) ეწოდებოდა. ზღვარს კორღანსაც ეძახდნენ, ოღონდ კორღანი ქვების გროვას წარმოადგენდა (ფარცხ.).

მიწის მოუხნავ მხარეს ველი ეწოდება, მოხნულ მხარეს კი — კვალი. იტყვიან: გუთანს კაც ველი მიაქვსო (მიწის განიერ ზოლს ქრისო), გუთანს პატარა ველი მიაქვსო (ვიწრო ზოლს ქრისო), გუთანს ველი მიეციო („დიდ ველს რომ დაუგდებენ, რომ ბევრი მოხნას, განიერი იყოს, ვიწრო არ იყოს“. შავს.). თვალს, რომელიც ველზე, ანუ მშრალზე დაგორავს (პატარა) ველის გოგორა ეწოდება (თონ., კლდ.). გუთნის დიდ თვალს, რომელიც კვალში დადის, კვლის გოგორა ჰქვია (თონ., კლდ.). ველის მხარეს მავალი ხარი ველის ხარია (კლდ.,...), კვლის მხარეზე მოსიარულე ხარს კვლის ხარს ეძახიან (კლდ.,...).

მიწა ორნაირად იხენებოდა: კვალზე (ჯორჯ.) და ნაზურგზე (ჯორჯ.). კვალზე ხვნის დროს (გარშემო უვლიან მიწას. ფარცხ.), მიწის შუაგული ფოსოვდება (ჯორჯ.), გამოინალრება (კლდ.), ამიტომ მეორე წელიწადს ნაზურგზე ხნავდნენ („აქედან გაუვლის, იქიდან გამოუვლის, შუაში იქნება ნახნავი და ის არი ნაზურგეი“. ფარცხ.). ნაზურგზე ხვნის დროს მიწაში რომ შევიდოდნენ, ჯერ

შუაზე უნდა „შეეგდოთ“ გუთანი, შუაზე გაიკვალავდნენ და ნაპირები რომ დარჩებოდა, ნახურგზე აყრიდნენ კიდევ (ჯორჯ.), დანაზურგებდნენ, დანაზურგდებოდა (შუაზე „ამონალრული“ მიწა. სწორდებოდა. კლდ.). შემდეგ წელიწადს ისევ კვალზე მოხნავდნენ, რადგან მუდამ ნახურგზე ხვნით მიწის შუაგული მალღდება, „მალღაურდება“ (ჯორჯ.).

ვაკე მიწა ორ კვალზე (კლდ.) ანუ ორფთივ (კლდ.) იხვნის „გინდა დანაზურგება, გინდა გამონალვრა“ (კლდ.), ფერდა მიწა კი ცალ კვალზე ანუ ცალფთივ (ცალი მხრიდან) და სიგანეზე იხვნებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გუთანი „არ შეეკიდებოდა, ხარვეზი ბევრი ჩაჰყვებოდა“ (კლდ.). ფერდაში ხვნის დროს გუთანი „წამოწოლილი“ რომ მიდის, გუთანი მხარზე წამოუწვავა, იტყვიან (ჯორჯ.).

გუთნეულის მოსაბრუნებელ ადგილს ხვნაში საქცევი (თონ., პ. თონ., ჩხ.), მოსაქცევი (თონ.) ანუ მოსაბრუნნი (მთ.) ეწოდება. საქცევეში რომ გავიდოდნენ („თავში რო გავიდოდა გუთანი“. კლდ.), წინა მხრე ჩამოვიდოდა, ხარებს მოაბრუნებდა და გუთანს აუგდებდნენ (ჯორჯ.), აუშვებდნენ (ჩხ.) ანუ აგლეჯავდნენ (კლდ.) (ალბათ გუთნის დედა აუგდებდა) (კვლიდან ამოიღებდნენ), რომ ახალ კვალში მოეკიდებინათ. გუთნეულის საქცევეში გასვლას და შემობრუნებას გასაქცევება ეწოდება. „აბა, გაუსაქცევთ, კარგა გადით, გავიდა გუთანიო!“ (პ. თონ.), შეეხმაურებოდა გუთნის დედა მეხრეებს. საქცევეში ყველაზე დიდი ძალა საძირის უღელს ადგება, ამიტომ ამ უღელში კამეჩებს უბამდნენ (ჩხ.). ხვნის დამთავრებისა და გუთნის აშვების შემდეგ (ჩხ.) გუთანს მიჰყვავდნენ (პ. თონ., ჩხ.) (გაშლილ ღვედს მიჰყვავდნენ და უღლებს მიაწყობდნენ), ამას ღვედ-იარაღის მიკეცვაც ეწოდებოდა (კლდ.). თუ გუთნის იარაღი შინ არ მიჰქონდათ, ისევე გაშლილს ტოვებდნენ მინდორში (კლდ.). ხვნის დროს გუთანი რომ „ყელში აიღენდა“ (კლდ.) ტალახს, — ჩეკით (ბრტყელბოლოიანი ჯოხით. კლდ.) გაასუფთავენდნენ, გაფხეკდნენ. გუთნის ღერძს (ურმისასაც) შიგადაშიგ საპნით პოხავდნენ, რადგან ცხელდებოდა და ღრიტინებდა. გამოშვებულ ხარებს მთელი ღამე აძოვებდნენ, მეორე დილით აღრიანად მორეკავდნენ და განაგრძობდნენ ხვნას, თან „პოროველას“ მღეროდნენ (ენაგ.) (ურემზე კი „პალალოს“ მღერა იცოდნენ. ენაგ.). ხვნაში გუთნის გეზს გუთნის დედა აწესრიგებს: თუ გუთანმა ნახნავისკენ, ე. ი. კვლისკენ გაიწია, გუთნის დედა მეხრეებს დაუძახებს: გამოიში! (თონ.) // გამაიში! (ჩხ.), ე. ი. გუთანი ველისკენ მოსწიეთო. თუ

გუთანი კვალიდან ამოსხლტა და ველზე აღმოჩნდა, — ზედა-ო  
 გასძახებს გუთნის დედა, ესენიც (მეხრეები) „მიიკრამენ ხარს ისე-  
 ვა“ და კვალში ჩადგება გუთანი (მაწ.) (შღრ. დაიზედავე. ქვემოთ).  
 საქცევში მობრუნების დროს ზოგჯერ ღვედი ჩაიკეცება // მოიკე-  
 ცება ხოლმე; „ხარი გაშალეთო, ღვედი მოიკეცაო!“ დაიძახებენ ამ  
 დროს (მაწ.), წინა ხარებს „გაუჯვარდებიან“ და ღვედი გაიჭიმება.  
 ზოგჯერ დროზედ ვერ შეამჩნევდნენ და საქონელს ფეხი გაეხლარ-  
 თებოდა ღვედში, მაშინ დამნახავი დაიძახებდა: „ხარი (კამეჩი) დაი-  
 ღვედაო, გააჩერეო! (ჯორჯ.), ან კიდევ: დააყე, დააყე, დაიღვე-  
 დაო!“ თუ არ გააჩერეს, შეიძლება საქონელს ფეხი მოსტყდეს,  
 როცა ღვედი გაიჭიმება. უფრო გუთნის თავის ხარები იღვედებო-  
 და. შეიძლება ურემში შებმული საქონელიც დაიღვედოს („ურემ-  
 შიც და გუთანშიც, როცა ყვევარა უბია“. შავს.), ამ დროს გუთანში  
 წინა ხარებს გააჩერებენ, ურემში, — ურმის თავის ხარებს. გაუტე-  
 ხავი მიწა და საერთოდ ძნელად დასამუშავებელი მამული სუფთად  
 არ იხვნებოდა, აქა-იქ ჩაჰყვებოდა პატარა მოუხნავი მონაკვეთები,  
 რომლებსაც ზედ ბელტი გადაეფარებოდა, ამაზედ იტყოდნენ: წიწილა  
 ჩაჰყვაო. ხნულის შუაგულში ან სხვა ადგილას მოუხნავად დარჩე-  
 ნილ თუ დატოვებულ ადგილს ნალარი ეწოდება, ნალარის მოხვნა  
 შედარებით ძნელია, ამიტომ შიგ ხარებს ატრიალებდნენ და ისე  
 მოხნავდნენ, გამონალრავდნენ. კვლებს შუა შიგადაშიგ შეყოლილ  
 მოუხნავ ადგილებს ხარვეზს უწოდებდნენ. „არიქა, ბიჭო, აქეთ მო-  
 უშვი ხარი, ხარვეზი ჩაჰყვაო!“ (მაწ.), ან კიდევ: „დაიზედავე, ბიჭო,  
 ხარვეზი დარჩაო!“ (კლდ.), დაუძახებდა გუთნის დედა მეხრეებს,  
 კვალიდან გუთანს გადააყენებდა და ხარვეზს ააღებინებდა (კლდ.)  
 (ხარვეზებით მოხნული მიწა უხარისხო ნახნავად ითვლებოდა).  
 ხვნის დამთავრებამდე ზოგჯერ ერთი-ორი მეტრის ოდენა მიწა დარ-  
 ჩებოდათ მოუხნავი, რომელსაც ნეკს<sup>16</sup> უწოდებენ (კლდ.): „ნეკი  
 დარჩა მოსახნავიო!“ დაიძახებდნენ, გუთანს მოაბრუნებდნენ და  
 გამოხნავდნენ. ნეკის გამოხვნას გამოწეკვას // გამოწეკვას (კლდ.)  
 ეძახიან.

ყამირის გატეხას აძნელებს ხოლმე ბურთივით ამობორცვილი  
 გამკვრივებული მიწა, ჩვეულებრივ გაბალახებული. ასეთი მიწა ჭა-  
 თბშიც იცის და მას კორომს ან კორუმს ეძახიან. რამდენიმე

<sup>16</sup> შღრ. ქართლ. ნეკა — სამკუთხედად დარჩენილი ნაკვეთი მიწისა (იხ.  
 თ. ს ა ლ ა რ ი ძ ე, ქართლური ლექსიკიდან, გვ. 314); ქართლ. ნეკურა — ერთიან  
 მამულში შეჭრილი სამკუთხა ნაკვეთი (იხ. მ. მ ე ვ ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები...,  
 გვ. 291).



კორომზე იტყვიან: კორომ-კორომიაო ან კორომი და კორომიაო (თონ.). როცა ვარგისი მამულია და კარგად, ღრმად იხენება, იტყვიან: კარგი პირი ვადააქვსო (თონ.), კარგი პირი ამაიტანაო (მაწ.). მცირე ადგილი რომ დარჩება მოსახნავი, იტყვიან: ერთი გუთნის პირილა არიო (მაწ.), ან ერთი გუთნის კვალილა დარჩაო (ჯორჯ., ტბ.).

ხენაში რამდენიმე პირი შეამხანაგდებოდა, რადგან ყველას არ ჰყავდა სამყოფი რაოდენობის გამწევი ძალა ან არ ჰქონდა სახნავი იარაღი („სამყოფი ხარი არა მყამდა“. კლდ.). პირველ დღეს იხენებოდა გუთნისა და ღვედის პატრონის მიწა, შემდეგ, რიგრიგობით დანარჩენ ამხანაგებსაც მოუხნავდნენ, რაც გრძელდებოდა, დაახლოებით 20 დღეს. მთელი კვირა მუშაობდნენ, შაბათს ან კვირას (კლდ.) ისვენებდნენ, ან სულ არ ისვენებდნენ.

შრომის ანაზღაურება შემდეგნაირად ხდებოდა: გუთნის დედას ორი დღისა<sup>17</sup> ანუ ორი ალო (ჯორჯ.) ერგებოდა, ღამის მეხრეს ორი (ჯორჯ., ენაგ.) ან ერთი ალო, თუ დღისითაც იმუშავებდა, ერთ ალოს ნახევარი ალოც ემატებოდა (კლდ.) („კვირა საღამოს აძოვებდნენ ღამის მეხრეები, ეძლეოდათ ერთი ალო, თუ ისინი დღისითაც იქნებოდნენ, — ნახევარი ალო ემატებოდათ“. კლდ.), დღის მეხრეს ერთი ალო ეძლეოდა (ენაგ.), სახნის ეძლეოდა ორი ალო, გუთანს (გუთნის ყელს) — ერთი ალო, ღვედს — ერთი ალო, საკვეთელს — ნახევარი ალო, ჭამბარას — ნახევარი ალო (კლდ.). ვისი ალოც იხენებოდა, პურს ის აკმევდა მუშას. დიასახლისი დაამზადებდა საკმელს (ლობიოს შეკამანდი, მაწვნის კერძი, რძიკორკოტა, პურისა და ერბოს ხარშო...) და ჭერთა წაუღებდა (ფარცხ.) გუთანზე, ან გაატანდა ვისმე ჭამ-ჭურჭელთან ერთად. ჭერის წამლები ქალი ანუ მოსადილე მუშებს გაუკერძავდა // გაჭკერძავდა (კლდ.) საკმელს, რომელსაც ეზიდებოდნენ, ჩვეულებრივ, ხელადით (პირგანიერი ყურიანი თიხის ქილა, „გუთანზე წაიღებდნენ კერძსა“. თონ.) ანუ გუთნის ხელადით (თონ., ფარცხ.). გუთნის ხელადა ყურიანი მოუკალავა წითელი თიხის ქილა იყო, ძირვიწრო, პირვიწრო და მუცელგანიერი, 7 — 8 კაცის კერძი ჩადიოდა შიგ (ფარცხ.). საკმელს ხარშავდნენ გუთნის ქვაბში (მოზრდილი ქვაბი სპილენძისა. თონ.). მუშას დღეში სამჯერ აკმევდნენ: დილის საკმელსა და დილის პურის ჭამას სადილი ეწოდებოდა (თონ., ჩხ., კლდ.) (მდრ. საბა) („დილით წავედი, სადილი წაულე მუშებსა“. თონ.; „გუთანზე

<sup>17</sup> (ერთი) დღის მიწა არის ერთ დღეში შვიდ-რვაჯერ ხარის მიერ მოხენილი მიწა.

წაუღებდით ხომე სადილ, ადრიანათ ავდგებოდით ხომე, რო მოგვესწრო კერძის დამზადება“. ჩხ.), შუადღისას — სამხარი (კლდ.); სალამოსას კი — ვახშამი. ზოგიერთი გლეხი შუადღის საჭმელსა და პურის ქამასაც სადილს ეძახდა, იტყოდნენ: დილის სადილი, სამხარის სადილი (თონ., ჩხ.). ზოგიერთ სოფლებში (კლდეისი,...) ვახშამი აღარ იცოდნენ: გუთნის გამოშვების შემდეგ ღამის მეხრეები წაახმდნენ ხარებს საძოვარზე, დანარჩენები თავთავიანთ სახლებში წავილოდნენ და იქ ვახშამობდნენ.

წლის დროის მიხედვით მიწა სამგვარად იხენებ-ითესებოდა:

ა. ანეული მაისიდან ივლისამდე მოხნული მიწაა, რომელიც შემოდგომით ითესება; მოხენა ჯობია მაისში, რადგან ივნის-ივლისში მიწა მზისაგან გამოგვალულია, გამაგრებული და გუთანნი ძნელად ქრის (კლდ.). ანეული გათიბულზე იხენება, მაგრამ ვისაც თივა არ სჭირდება, გაუთიბავად მოხნავს, შემოდგომამდე ბალახი ღებება, მზე კი ბელტებს შლის და აფხვიერებს. ს. კლდეისს აქვს სახნავ-სათესი მიწები, რომლებსაც ანიულებს ეძახიან, ეს ანიულები „კაი მიწებია, ვაკე მიწები ყოფილა და მომკიდნენ თუარვე, მაშინვე ხნამდნენ, ხნული დაიწოდა მზეზე დათესის დრომდინა“ (კლდ.). ანეულად მოხნულმა მიწამ კარგი მოსავალი იცის, მაგრამ დათესვამდე ხნული გაბალახდება და გამაგრდება, განსაკუთრებით ავდრების დროს (თონ., ტბ.), ამიტომ მიწას ხელმეორედ არაღრმად გადახნავენ, რომ მიწა გაფხვიერდეს და სინესტე გაახლდეს, ამას აჩუთვას (თონ., ჩხ., ტბ., მაწ.) ეტყვიან („ავდრებისგან გატკიპულ ხნულ ა ვ ჩ უ თ ა მ დ ი თ“, თონ.). აჩუთვა ხდება აჩაჩით („როცა მოხნულია და დიდი ხანი გავა... თესვას რო დაიწყებენ, აჩაჩით უნა გაიარო, რო გაანარბილოს“. ტბ.). აჩაჩა პრიმიტიული სახენელია („აჩაჩას ერთი ხე აქს, გაჩაჩხული ძირი, ისა ხნამს და ორი ტარი,... ვისაც აჩაჩა აქ, აჩაჩითა შჩიჩქნიან“, ტბ.). აჩუთვა ჩუთითაც ხდება, რომელსაც აქაური მთიულები კავს უწოდებენ. ჩუთი ანუ კავი (ტბ.) აჩაჩასთან შედარებით გაუმჯობესებული იარაღია: წარმოადგენს პატარა ხის სახნისს, ზოგჯერ რკინაწამოცმულს, რომელიც არაღრმად, ზერელედ ხნავს და აახლებს ხნულს („ჩუთი, აი კავიანი ხე არის, იმ კავზე რკინას გაუკეთებენ და აშჩუთამენ...“ ტბ.; „...ჩუთი უფრო კარქია, ვიდრე აჩაჩა“. ტბ.). ჩუთში აბამდნენ ორულელა ხარს. ჩუთს მთიულები დათესილი ხნულის დასაფარცხავადაც იყენებდნენ (მაწ.). ხნულის ხელმეორედ მოხენას გადახვნასა (თონ., გოლთ., მაწ.) და მიწის გადაბრუნებასაც (გოლთ.) ეტყვიან.

გადახვანა მოუხნავი მიწის მთლიანად, ერთიანად მოხვნასაც ნიშნავს (გოლო.).

ბ. გაზაფხულზე მოხნავენ და მაშინვე დათესავენ პურსა (დიკა, პოშოლა) და ქერს.

გ. ნაოში მოსავლის აღების შემდეგ შემოდგომით მოხნული მიწაა, ნაყანევია, რომელსაც მაშინვე თესავენ. ამიტომ ნაოშს ზოგი ნაყანევს // ნაყანებს ან ნაყანობს უწოდებს („თუ ანეული სამყოფი არ არი, მაშინ შემოდგომაზე ყანას რო მოვმკით, ნაყანევს ისევ მოვხნავთ და მაშინვე დათესავთ, ეს არის ნაოში, ზოგი ნაოშ ეტყვის, ზოგი ნაყანევს“. კლდ.; „ანეულ აჩუთამენ და ერთათ დათესამენ ანეულსაცა და ნაოშსაცა“. ჩხ.).

ხნულს აფხვიერებდნენ დათესვამდეც და დათესვის შემდეგაც. დათესვის წინ დიდ-დიდი ბელტების დასამტვრევად ზოგჯერ ხნულს გათოხნიდნენ // დათოხნიდნენ (მაწ.). ხნულის მოსასწორებლად და ბელტების დასამტვრევად კაბდო-ხელნასაც ხმარობდნენ (თონ.). კაბდო (თონ., კლდ.) მოგრძო, მძიმე ფიცარია, რომელსაც აქეთ-იქიდან თითო ხელნა აქვს გამობმული, ხელნებში უღელია გაყრილი. კაბდო-ხელნას ფარცხის წინ უბამდნენ და დათესილ ხნულზე გადაატარებდნენ. თუ მიწა მაგარი იყო და კაბდო ვერ ერეოდა („ზოგი ბელტი ისეთი მაგარია, რო კაბდო ვერა სტეხამს, გადაუვლის გორახს მალლა და წავა“. ტბ.), მაშინ ფარცხის წინ ფოჩხს მოუბამდნენ. ფოჩხი (თონ., კლდ.) ოთხკუთხად შეკრული ხის ჩარჩოა, შიგ ჩასხმული პარალელური ფიცრებით, რომლებიც ქვემოდან დაფარულია ხის ან რკინის თითებით (კლდ.). ფოჩხის თითები კარგად შლიან, აფხვიერებენ მიწას, თან ბალახს გლეჯენ გაბალახებულ ხნულში. ფოჩხში აბამდნენ უღელ ან ყვეარა ხარსა (თონ.). ზოგჯერ ფოჩხს წინიდან კაბდო-ხელნასაც გამოუბამდნენ უღლითურთ (თონ.). ადგილობრივად მოსახლე მთიულებისთვის ფოჩხი (ფოცხიც!) ნათიბის მოსაგროვებელი იარაღია, რომელსაც უპირატესად საფარცხველს // საფარცხს უწოდებენ („ფოჩხი და ფოცხი ერთია, შვილო. ჩვენ საფარცხველს ვეძახით“. მაწ.). ფოცხი ქართულში ბალახის მოსაგროვებელი და მიწის გასაფხვიერებელი ხელით სახმარი იარაღია. როგორც ჩანს, ფოცხისაგან განსხვავებული მნიშვნელობით დამკვიდრებულა (უმთავრესად დიდსა და პატარა თონეთში) მისი ფონეტიკური ვარიანტი ფოჩხი. ფოცხის ძირითადი მნიშვნელობა საბასთან ასეა განმარტებული: „...ჩნულთ ასაოშავი თითებიანი კაბდოსავით“ და მეორადია მისი დანიშნულება, როგორც „...ბალახთ მოსაგროვებელი“-სა. შდრ. ცელის ფოცხი, რომელსაც აქვს დედანი და თით-

ბი, იხმარება ყანის ცელით თიბვის დროს (ცელის ტარზე ამაგრებენ ცელის პირთან), თავთავს ერთ მხარეზე აწვენს, აწყობს (იხ. თიბვა-ში). ფოჩხი, ამჟამად რკინის კლაკნილა ფარცხმა შეცვალა, რომელიც მოსახლეობაში რუსული სახელწოდებით არის შესული, ოღონდ აფრიკატიზებული სახით: „დიგდაგი“ (—*дигдаги* — *дигдага*) (ტბ., მაწ.). „დიგდაგით“ ხნულის გაფხვიერება კი „დადიგდაგებაა“ (მაწ.). ფოჩხი და „დიგდაგი“ (კლაკნილა ფარცხი) გლეჯს ქანგას, კარგად ჩენჩხავს (ტბ.), აწვრიმალებს (მაწ.) გორახებს, კორხლებს და კონდოლებს. კონდოლი (მცირე ბელტი) (პ. თონ.) გეოგრ. სახელადაა ქცეული (სოფელია თელავის მისაღ-გომებთან). მიწის კარგად დამუშავებას, წმინდად გაფხვიერებას გათქვეფას უწოდებენ, კაი გათქვეფილი მიწააო (ჩხ.), იტყვიან.

დათესვის დროს მივლენ და თესლს დააპნევენ (კლდ.). მთეს-ველს ფეშტამალში (დიდი წინსაფარი; თონ.) აქვს თესლი, მარჯვენა ხელით ამოიღებს და აქეთაც ააპნევს, — იქითაც, თან მიწის თესლის პირს (დათესილი მიწის ზღვარს) მიჰყვება, რომ ორმაგი ნათესი არ გამოვიდეს: ხნულის ბოლოში რომ გავა და შემობრუნდება, — ნაფთევს შეჰკრავს (თესლს „გადააბამს“) რომ ხაში (დაუთესავი) ადგილი არ დარჩეს, ადგილი არ მოსცდეს (კლდ.). თესლის გადაბნევის დროს მთესველი პირჯვარს გადაიწერდა და იტყოდა: „ღმერთო, შენ მიეცი ბარაქა ხარის ქედსა, გუთნის კვალსა და ჩვენს მოსაეალსა!“ (მერე გადააბნევედა მარცვალს და იტყოდა: „ეს თავგებსაო, ეს ჩიტებსაო, ესაც სტუმრებსაო!“ (ჩხ.). თესავდნენ თანაბრად და თხლად, რადგან თხლად ნათესს აქეთ-იქიდან ნიავი ხვდება, სქლად ნათესმა კი სიმხურვალე იცის და ნათესი წაიჩეხება ხოლმე (ბგვ.).

ჩვეულებრივ, მთესველს უკან ფარცხი მიჰყვებოდა („...თან ითესებოდა, თან იფარცხებოდა“. ენაგ.), ანდა ფარცხვა დათესვის შემდეგ ხდებოდა. ფარცხი კეთდებოდა ბრტყლად შეკრული კვრინჩხის ფიხხისა ან წნელით დაწნული ლასტისაგან. საფარცხე ლასტისათვის იყენებდნენ შინდის, ან რკინის წნელს. ფიხხის ფარცხს ბოლო გაშვებული ჰქონდა. ზოგი ფარცხი ტვინებში წნელის ჩაწვნით კეთდებოდა. ერთი ტვინი (გრძელი ხე, ლატანი) წინ უკეთდებოდა, მეორე—უკან; მოჭრილ წნელს შიგ [ჩა]აწნავდნენ ტვინებში (კლდ.). ზოგ ფარცხს ერთი ტვინი ჰქონდა და მას დედახესაც ეძახდნენ; დედახე კაბდოზე იყო მობმული (ენაგ.).

ფარცხის გატანაზე იცოდნენ ხალიფაფის გაკეთება (ჩხ.). ფარცხით ხნულის ბოლოში რომ გავლენ და შემობრუნდებიან, — ცდილობენ ხარები ნაფარცხის პირზე (დაფარცხული მიწის ზღვარზე)

ატარონ, რომ ხარვეზები არ დარჩეს, ან კიდევ ხელმეორედ არ დაი-  
ფარცხოს. ამ დროს პატრონი მიმართავს ხარს: „ნაფარცხის პირი  
დაიჭირეო!“ ან „ნაფარცხის პირზე მიღი ხაროო!“ (ჩხ.). ჩვეუ-  
ლებრივ, ფარცხის ბოლოზე საფიჩხეს<sup>18</sup> (ხის მორი) 'დაუღებენ,  
ან ზედ 'დააბამენ, რომ ფარცხი დამძიმდეს, მიწა კარგად დაი-  
ფარცხოს და თესლი ღრმად დაიმალოს (თონ., ჩხ.). თუ საფიჩხე არა  
ჰყოფნის, მაშინ ფარცხს დაბელტავენ (ზედ დიდრონ ბელტებს და-  
აწყობენ) (თონ., ჩხ.). გამხმარი მიწის დაფარცხვა ძნელია; ავღრის  
შემდეგ მიწა რომ გაუივდება // დაუივდება (წყლით გაიჟლინდება,  
გაფუვდება, თონ.), მაშინ კარგად იფარცხება.

ალგეთის ხეობაში მოჰყავდათ სხვადასხვა ჯიშის პური და ქერი.  
როგორც გაზაფხულისა, გაზაფხულური ანუ ახალი თესლი // ახალ-  
თესლი, ისე შემოდგომისა, შემოდგომური ანუ ძველი თესლი //  
ძველთესლი.

გაზაფხულის ჯიშებიდან ითესებოდა პოშოლა (თონ., შავს., ჩხ.),  
მარცვალი მსხვილი აქეს, „ბლუნძურა“, პური თეთრი და გემრელი  
ცხვება, „თავი პურია“ (თონ.). პოშოლა მალე შემოდის და დროზე  
თუ არ მოიმკო, ერთიანად მიწაში ჩაიბნევა (ჩხ.). მას პოშოლა-პურ-  
საც ეძახიან (ფარცხ., კლდ.). პოშოლას ზოგი მთესველი ერთ წელს-  
წადს გაზაფხულზე თესავდა, მეორე წელიწადს შემოდგომაზე, ამ-  
გვარად დათესილი უფრო კარგი მოდიოდაო (მაწ.). გაზაფხულისაა  
აგრეთვე: დიკა (თონ.), კარახინა (ძველი თესლიც არის!) (თონ.),  
გომბური (—გომბორულა? იხ. გლ: პოშოლა-პური) (ჩხ.) და ახალ-  
თესლი ქერი (ფარცხ., ენაგ.).

შემოდგომური ჯიშებიდან გავრცელებული იყო დოლი (თონ.,  
ჯორჯ.) ანუ დოლის პური (თონ., კლდ.), კარახინა (წვრილი თავ-  
თავი აქეს) (თონ., მაწ., ჯორჯ., ფარცხ.) და ძველი თესლი ქერი  
(თონ.), ანუ ძველთესლი ქერი (ენაგ.). სხვა ჯიშებიდან ითესებოდა:  
თათუხი წითელი (თონ.), რომელსაც ზოგი თეთრ თათუხს ეძახის  
(ჯორჯ.), შავი თათუხი ანუ თათუხი შავფხა (თონ.), რომელსაც ზო-  
გი შავფხას (ჯორჯ., ჩხ.) ან შავფხა პურს უწოდებს (ფარცხ.), ხო-  
ტორა (თონ.), ასლი (თონ., ჩხ., მაწ.), „ბანათკა“ (მაწ.), „ცხრათა-  
ველა პური“ (ამის თესლი ერთ მაწვენელ გლებს წამოუღია ზესტა-  
ფონიდან), „ადესა პური“ (კლდ.). ახლა ითესება რუსეთის პური  
(ჯორჯ.). თესავდნენ, აგრეთვე, ფეტვს. თონეთის ერთ-ერთ მამულს  
ნაფეტვრებს ეძახიან (თონ., თ. წყ.).

<sup>18</sup> შდრ. ქართლ. ჩ ა უ ფ ი ჩ ხ ე ბ ს — ფარცხს დაამძიმებს რითჲე (იხ. თ. ს. ა-  
ლ ა რ ი ძ ე, ქართლური ლექსიკიდან, გვ. 318).

ხორბლეული ითვისება შემოდგომაზე და გაზაფხულზე. შემოდგომაზე ითვისება ძველი თესლი, გაზაფხულზე — ახალი. თესლი. თესლი, რომელიც წლების მანძილზე შემოდგომით ითვისება, — ბერდება (ფარცხ.), თესლი რომ დაბერდება, იმდენი მოსავალი აღარ მოჰყავს (შავს.), მერე გაზაფხულით უნდა დაითესოს, რომ თხელი გაახლდეს, კარგი თესლი მოვიდეს (ფარცხ.), შემოდგომაზე დათესილი თესლი გაზაფხულზე გაახლდება („გაზაფხულური თესლი შამოდგომით არ მოვა კარგი, შამოდგომისა კი გაზაფხულით დაითესება, კარგი მოვა, ახლდება, გაახლდება თესლი“). ფარცხ.). თესლს სხვაგვარადაც აახლებენ: სხვა მხრიდან მოიტანენ და იმას დათესავენ, გამოსცვლიან (შავს.). თესლის გაახლებას გადაახლებასაც ეძახიან (საღრ.).

სათესლედ წვრილი მარცვალი არ ივარგებს, სავსე (გოლთ.), მსხვილი მარცვალი უნდა იყოს. ასეთი თესლის მისაღებად თავთავის დაყვერვას<sup>19</sup> (ჯორჯ.) ანუ დაკოდვას (შავს.) მიმართავენ: კალობის დროს კალოზე დასხდებოდნენ, თავთავს თავ-ბოლოს (შავს.) წამტვრევდნენ და შუაგულს, მსხვილმარცვლიანს, სათესლედ აგროვებდნენ, შემდეგ დაბეგვავდნენ, ან, თუ ბევრი დაგროვდებოდა, გალენავდნენ. დაყვერილი თავთავი საუკეთესო ხარისხის სათესლეს იძლეოდა: „ერთი ლიტრა რო დეგეთესა, ორ თალარ სუფთა ხორბალ ვიღებდით...“ (ჯორჯ.). დაყვერვა სიმინდისაც იცოდნენ: ტაროს თავსა და ბოლოს მოაფხვნიდნენ და შუაწელს შეინახავდნენ სათესლედ (საღრ.). ყვერავენ ნიორსაც: აღმოცენებული ნიერის ფოჩებს ერთმანეთზე გადაკვანძავენ, რომ მაღალი არ გაიზარდოს, ძალა ძირში დაბრუნდეს და დიდი თავები გაიკეთოს.

მარცვლეულისა და ზოგიერთი სხვა მცენარის ახალ აღმონაცენს (წვერს რომ ამოჰყოფს) ღივი, ღოღი ან ღოჯი ეწოდება; საკუთრივ მარცვლეულისას, — ჭეჭილიც, თესლის აღმოცენებას გაღივებას, ღივის გამოტანას, აღოღებას, გაღოღებას // გაღოჯებას, ამოღეჭებასა და აჭეჭილებას ეტყვიან (თითზე რომ საბეწვე ამოუვით, იმაზეც იტყვიან: „საბეწვე ამამიღეჭედაო“. თონ.). მოყინებული ავღრების დროს კალოებში პური გაუღოჯდებოდათ (კლდ.), ასეთი (ღოჯიანი) პური ჭყინტლი ანუ ტინტყლი (უფუარო და სველი, გამოუშუშავი) ცხვებოდა (კლდ.). მიწაში თესლი ზოგჯერ გაცუდდება, არ აღმოცენდება, ამაზე იტყვიან, თესლი გაიბუტაო.

<sup>19</sup> შღრ. რაჟ. ხეების შემოყვერვა (ა. რობაქიძე, რაქის ეთნოგრაფიული მივლინების ანგარიში: ენიშკის „მოამბე“, IV, თბ., 1939, გვ. 315).

ჯაბუტვა ხშირად იცის ნიახურმა, ყველა მწვანილზე ადრე ნიახური უნდა დაითესოს, რომ არ გაიბუტოს (ბგვ.).

ყანა რომ ზრდას დაასრულებს, იტყვიან, უკვე მუხლშია ყანაო (როცა უკვე ორი მუხლი აქვს გაკეთებული, ყვავის და მალე ნაყოფი უნდა გამოიღოს), ამ დროს ერიდებიან ყანაში გავლას (ჩხ.). მუხლი ეწოდება პურეულის ღეროს სახსარს (ჩხ., ჯორჯ.). მუხლს კოჭსაც ეძახიან (პ. თონ., ჯორჯ.), ყანამ უკვე კოჭი გაიკეთაო, იტყვიან (პ. თონ.). თავთავის ყუნწს კინწსაც ეძახიან. „ძალა მოსვლია პურსა, კინწში სწყდება თავთავიო“, იტყვიან (პ. თონ.).

სიმინდის წვერში ამოზრდილ ყვავილედს, ზოგჯერ კი სიმინდის ტაროს ბეწვებსაც (თმას) ქოჩოჩს, ქუჩიჩს და ქუცეცს ეტყვიან. ქოჩოჩსა და მისთ. ზოგჯერ თავთავის წვერს (თონ.) და, საერთოდ, მცენარის (მაგ. ხახვის) ყვავილოვან თავსაც ეძახიან (თონ.). ერთმა ტბისელმა ქალმა მოცხარის ნაყოფის შესახებ თქვა: „ზედ პატარა ქუჩიჩებივით აქ, როგორც ზღმარტლსაო“. სიმინდი რომ „ქოჩოჩს ამოიტანს“, მაშინ „წმინდავდება“ და ტაროც ამოაქვს.

პურეულს რომ ნაყოფის ჩანასახი გაუჩნდება (წყალივითაა ხოლმე), იტყვიან მარცვალი დამაწვანებულაო, „ჯერ დამაწვანდება მარცვალი, მერე ოდოში გახდება“ (ჩხ.). ჰირნახული რომ შემოვა და გული ცოტათი გაუმაგრდება, ოდოშს (თონ., ჩხ.) (შდრ. ორდოში)<sup>20</sup> (შდრ. საბა), ან ოდოშღერს // ოდოშღერს (თონ., ჩხ.) უწოდებენ („პოშოლა... მალე შამოდის და ოდოშღერი თუ არ მომკეცისა, მალე იპნევა“. ჩხ.). ნედლ, შემოუხსვლელ ყანას და მარცვალს ჭანარ ყანასა და ჭანარ მარცვალს ეტყვიან. „ეს ხორბალი ჭანარია, არ დაიფქვებაო“, იტყვიან (პ. თონ.). ჭანარი, საერთოდ, სველის, ტენიანის აღმნიშვნელიცაა: ჭანარი შეშა, ჭანარი თივა (მაწ.) (ნედლის, რბილის აღმნიშვნელია აგრეთვე ჭყლინტი // ჭყინტი: ჭყლინტი სიმინდი (ფარცხ., ტბ.), ჭყლინტი ნიგოზი (ფარცხ.), ჭყლინტი ხორბალი (ჩხ.). იხ. აგრეთვე ჭყინტი პური (გვ. 139).

ყანა რომ დამწიფდეს და კარგი მოვიდეს, თავის დროზე უნდა ჰქონდეს მზე, ნიაგი და წვიმა. ასეთი შემკობილი ამინდითა და კარგი შოვლით ნათესი გალალდება. სარწყავში დათესილი ზოგი თესლა „ისეთი მოვა, ისეთი მოვა, რო ღმერთ არ მოიგონებსო“ (ძალიან გალალდება, უხემოსავლიანი იქნებაო), იტყვიან. გალალდება მიწაც (გაფუფდება და „კაი ნაყოფს მოგვეცემს“), ნეხვს თუ დააყრიან და ვათოხნიან (ბგვ.). თუ ავდარმა თავის დროზე მოუსწრო, მარცვა-

<sup>20</sup> ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1964, გვ. 92.

ლიც დასრულდება და „სუ ზიმზიმს (მძიმედ მოძრაობას და ბზინვას) დაიწყებს ყანა, მოსავალი“. ალგეთელების მოსავალს ძალიან უხდება, აგრეთვე, ქვენა ქარი.

სავსე თავთავს მაძღარ თავთავს (კლდ.) ეტყვიან, პარკოსანი მცენარეების სავსე პარკს კი მაძღარ პარკს. იტყვიან ასეც: მაძღარი პურიოო ან: მაძღარი ლობიოოო. ამ ყანას კაი თავთავი უჭირამო ან კაი პური უჭირამო (თონ.), ამბობენ, როცა მოსავალს კაი პირი უჩანს (საღრ.). ზრდადასრულებულ მარცვალს სრულ მარცვალს (კლდ.), სავსე მარცვალს ეიხინან, მსხვილ მარცვალს კა, — ბლუნძურა მარცვალს (თონ., ჩხ.); მსხვილ მარცვალზე იტყვიან აგრეთვე: ისეთია, შინდის კურკასავით მარცვალიოო.

უხეირო ამინდი (გვალვა, მომეტებული ქარი და ავდარი) ყანას დამწიფებას არ აცლის. ალგეთელების მოსავალს განსაკუთრებით აზიანებს ზენა ქარი, რომელიც მარცვალს აშრობს, გვალვასთან ერთად 'ა'შუშავს (ახმობს, წვავს) ყანას, ლობიოს (გოლთ., თონ., მაწ.). „ისეთია ყანები, სუ აშუშულიოო“, იტყვიან (თონ.), ანდა: „სამინდი აიშუშაო“ (მაწ.). ამის გამო თავთავი და მარცვალი ბუიტი (ჩხ., ბგვ., მაწ., საღრ.) // ფშიტი (წვრილი, გამოფიტული) (კლდ.) გამოდის. მაზიანებელი ამინდისაგან მოცდენილ ყანაზე, თავთავზე ან პარკოსან მცენარეებზე იტყვიან, აგრეთვე, აშუშულიოო (ბგვ.)-აშუშულის სინონიმებია: მშიერი (თონ., ჩხ.), წვრილთვალი (ფარცხ.) და აშრეტილი (გოლთ., ჯორჯ., საღრ., ჩხ., ენაგ.), („აშრეტი ქარმა თავთავი“. ჯორჯ.; „მზემ აშრეტი ლობიო“. ჯორჯ.; „პური აიშრეტი, არ მოვიდა, სუ აშრეტილია“. გოლთ.), ანუ მოშრეტილი (თონ.) („პური ყვავილში მოიშრეტიო“. თონ.). იციან წყევლა: „შენ კი მოიშრეტიო! (მოისპეო), ანდა მუქარა: „აბა გაბედე, ისე მოგშრეტიო, რომა!“ (თონ.). სიცხე და ქარი რომ მოასწრაფებს მოუსვლელ თავთავს („ქინახული რო მოვა და ქარები რო აუდგება და შუშამს, იმას ეტყვიან მოასწრაფაო“. ჯორჯ.), იტყვიან აგრეთვე, თავთავმა აიოდაო (აოდვა წვრილფეხზე და ფრინველზეც ითქმის). გვალვისაგან დამწეარ მოსავალს მოტუსულს და მოხახულსაც ეძახიან: „მინდორში სუ მოტუსულია ყველაფერი უწყლობითაო“, იტყვიან (თონ.), ან კიდევ: „ყველაფერი მოიხახახა უავდრობითა, დავრჩით მოხახულეზიო“ (თონ.).

დიდი გვალვის დროს ყანებში გამოდის გუდაფშრუკა (← გუდაფშუტა), რომელიც აფუჭებს ყანას, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ყვავილშია („პური ყვავილში მოიშრეტიება, როცა გვალვაა და



გუდაფშრუკა გამოვა“. თონ.). გუდაფშუტანარევი პური თალხი გამოლის („ გ უ დ ა ფ შ რ უ კ ა ჰაერმა იცის, როცა მეტიხმეტ გვალვას დაიჭერს, — შავათ არი გამოსული სოკოსეფეა, რო გასრესამ, როგორც შავი ნაცარი, ისეა“. თონ.).

ძალიან თხელი ყანის შესახებ იტყვიან: თავთავი აქა-იქა კივკივებსო (პ. თონ.). მოცდენილ ყანაზე ამბობენ: გამქრალია ყანაო (თონ.). თუ ნათესი ისე გახმა, რომ ავდარი ველარ უშველის, იტყვიან: ყანა (ლობიო...) გაბრუნდაო.

ძალიან გაპატივებულ მიწაში („ნანებზე“) დათესილი ან ძალიან სქლად დათესილი („ხშირი როა“) ყანა, პამიდორი და სხვა მცენარეულიც აჩოყდება — ძალიან მაღალი, სუსტლეროიანი აიზრდება და ნაყოფი კი მოუცდება. „თავი თავს ათამამებს და ნაყოფ არაფერ გამაილებს“ (სალრ.). ასეთი ყანა წაიჩხებმა, წაიქცევა, ჩაიქვლება ხოლმე. ამგვარ მოსავალზე იტყვიან, აგრეთვე: აიჩალაო (ჯორჯ., ბგვ., თონ., ფარცხ.), „აჩალვა“ მარტო პურეულზე ითქმისო (ჯორჯ.) (შდრ. „ყანა, ლობიო, სიმინდი არ მოვიდა, აიჩალა“. ჯორჯ.). აჩალვა აშრეტის სინონიმიცაა („გვალვამ სუ აჩალა თავთავი“ — 'მარცვალი დაუშრიტა'. თონ.: „მარცვალი რო არ უსრულდება, ეგ არი აჩალვა“. ჩხ.; „გვალვა როა, აიჩალება ყანა“. მაწ.).

მოსავალი, ყვავილი, ან სხვა მცენარე რომ გალალდება (ყლორტები ძალიან გაეზრდება, გაუხშირდება), იტყვიან აყვერდაო<sup>21</sup> („როგორ აყვერებულა ჩვენი ვარდი!“ მაწ.; „მეაუნა აყვერდა“. მაწ.). მცენარე თუ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს დაკარგავს და ახალს შეიძენს, გადაჯიშდაო, იტყვიან („როგორღაც გადაჯიშებულია იქაური ცოცხი, უფრო მაღალია, ყვავილიც სხვანაირი აქ“; თონ.). გადაჯიშება ნიშნავს, აგრეთვე, სასარგებლო თვისებების დაკარგვას, გადაგვარებას. გადაჯიშდება ყველაფერი: თესლი, მოსავალი, საქონელი („ჩვენი კარტოფილი გადაჯიშდა, გაბერწდა“ მაწ.; „გადაჯიშება არის კარგს რო დათესამ და ცუდი ამოვა, საქონელი რო აღარ გასარგებლებს, აღარც იწველის“. ჩხ.; „რო გადაგვარდება, რალა,... კაი საქონელი რო წაიყვანო უხეირო ბუღასთან, უხეირო საქონელი ჩამოვა“ (გოლთ.).

სქლად ნათეს სიმინდს პირველ გათონხაზე გაათხელეებენ (ჯორჯ., მაწ.) ანუ შეათხელეებენ (ზედმეტ აღმონაცენს ხელით ან თოხით მოაშორებენ, გამარგლიან), რადგან „ერთათ რო არი, არა გვარობს“ (ჯორჯ.) ათხელეებენ ზოგიერთ ბოსტნეულსაც. სიმინდს.

<sup>21</sup> შდრ. ყოვერი — „ხის ახალი ნაზარდი, ვაზის შტო, ნამხრეული“ (ს. ზერტი, გორის რაიონი) (თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან, გვ. 317).

(მეორე გათხზვაზე) და კარტოფილს შემოუყრიან ან შემოაყრიან (ირგვლივ მიწას აუბეჭებენ. ჯორჯ., ტბ.). ადგილობრივი მთიულები და რაკველები ამას შემოყვლვას ეძახიან: შემოყვლოთო (მაწ.) ან: შემოუყვლოთო: „შემოუყვლოთო, რაკველებმა იციან“. ჯორჯ.).

არახელშემწყობი ამინდის გარდა, ნათესის მტერია მინდვრის თავვი. მოსავალი თავგმა რომ არ დააზარალოს, ჭეჭილებში სოროებს კენჭებით ამოავსებენ, ან ჩაქუსლავენ (ტბ.) (ფეხით, ქუსლით ჩატკეპნიან), რომ თავვი ველარ ამოვიდეს, — ამას სოროების ჩაქელვას (თონ., ჩხ., მაწ., ფარცხ.) („თავვის სოროებ ჩაუქელამდით კენჭებითა; ავდარი თუ იქნებოდა, დიდი თოვლი, — თითონ ამოიხჩობოდნენ“. თონ.), სოროების დაბრმავებასა (გოლთ., ფარცხ.) და სოროების დაქულვასაც (გოლთ.) ეძახიან („თავვის სოროებს დაქულვამთ, როცა ბრიგადელი დაგვიძახებს“. გოლთ.). ყანის ერთ-ერთი მტრის, ჩიტების, დასაფრთხობად ყანაში აკეთებენ საფთხურს (ტბ.). ჩიტების მოსაშორებლადვე იციან ჩიტოფაფობა: „...შავ ორშაფათს (ყვერიელში) სიმინდისა, გინდა პურის ფქვილის ფაფას გააკეთამენ, შიგ ჩაფდებენ ერბოსა, გაიტანენ და ლობეებზე, ნაფოტებზე ცოტ-ცოტას დაასხამდნენ ჩიტებისთვის, რო ჩიტებმა ყანები არ გაგვიფუჭონო, თანაც ვიტყვიო ხომე: — დედავ, დედავ რას აკეთამ? — ჩიტი ფაფასა. — ჩიტები სად არიან? — მტრისა ყანასა (მეორე ვარიანტი: სხვითა ყანასა); ეგრე რო ვიტყვიო, ვითომ სხვის (მტრის) ყანას მოსძუნენ“ (თონ.).

ყანებისა და ყორულების მეთვალყურეს მეველე ერქვა. წლის ბოლოს მეველეს თავის გასამრჯელოდ დღიურზე ერთ ჩანახ პურს (10 გირვანქა იყო) უხდიდნენ, რასაც სამეველო ეწოდებოდა (ჯორჯ., ჩხ., ტბ., მაწ.). გამოვებული მამულის სანაზლაურო ჯარიმა იყო. „თუ მეველე ვერ იპოვიდა მძუებელსა, თითონ ხდილობდა ჯარიმასა“ (ჯორჯ.). ზარალის ღირებულებას წანახელი (←წანახდენი) ეწოდებოდა [„წანახედს იტყვიან, აი, საქონელი რო ჭინახულს გააფუჭებს, მივალის (მთ. 'მივა') კომისია და აქტს შეადგენს: წანახელი (სა) გადაეწყვიტეთ ამდენიო“. მაწ.]. მეველეს შეეიწო პირადად დაესაჯა მაზარალებელი საქონლის პატრონი (უფრო ახალგაზრდებს სჯიდნენ ამგვარად): თუ მწყემსი ყანაში პირუტყვს შეუშვებდა, მეველე ხალათს წაართმევდა, ქამარს შეხსნიდა და ტანისამოსის დაბრუნებას სახვეწარს უხდიდა. ამას გატიტვლებას ეძახდნენ (ჩხ., მაწ.), მეველიმ გაატიტვლაო, იტყობდნენ.

მოუსავლიან წელიწადს (მ) სუბუქ წელიწადს ან სუმბუქ წელიწადს უწოდებენ (თონ., ჩხ.), „წრეულ ძალიან სუბუქი წელიწადიაო“ იტყვიან (თონ.) ან: „სუბუქმა წელიწადმა გაიარაო“ (ჩხ.). (მ)სუბუქი წელიწადი უთოვლო წელიწადსაც ნიშნავს. საპირისპიროა მძიმე წელიწადი, რომლის ზამთარიც დიდი, ხანგრძლივი, თოვლიანი და სუსხიანი ამინდებით აღინიშნება (მაწ.).

ბ. მკა და ლეწვა. პურს მომკა თუ დააგვიანდა, იტყვიან, „ძალა მოსვლია პურსა, კინწში სწყდება თავთავიო“ (პ. თონ.).

ყანის მომკა ორგვარად იციან: ძირში მომკა და მოწვევრა (ჩხ.). ძირში მომკა ძნელია, მაგრამ ბზის მისაღებად არის საჭირო. ვისაც ბზე არ უტყირს, ისინი მოწვევრავენ (მოკლედ მოჭრიან) („მოკლეთ რო მოსჭრი, ოლონდ ყუნწი აქ შეყოლებული“. ჩხ.; „წაველებთ თავზე ხელსა და მოკლეთ მოვეწვერამთ“. ჩხ.).

ძველ დროს, როცა პურის გაჭირვება ჰქონდათ, წაეიდოდნენ ყანაში, თავთავს მოკენწლავენ („მოკენწვლა არის თავთავის ყუნწში მოწყვეტა“. ჩხ.), გაახმობდნენ, დაბეგვავდნენ, დაფქვავდნენ და მოიხმარდნენ, სანამ კალო გაიმართებოდა (ჯორჯ.).

ყანას მკიან ნამგლით ან ცელით თიბავენ. დაბალ ყანას არ მკიან: ნამგალი და ცელი არ უდგება, ამიტომ ხელით გლეჯენ (ჩხ.), ასეთ ყანას ხელით მოსაგლეჯს (ტბ.) ან გამოსაგლეჯს (თონ.) ეძახიან.

ნამგალი (ცელი) თუ მჭრელია, იტყვიან, პირი ეწყობაო (პ. თონ., ბგვ.), თუ აღარა კრის, — პირი არ ეწყობაო (თონ.). დაბლაგვებულ ნამგალს პირს აუწყობენ (პ. თონ., ტბ., ჯორჯ.) ანუ გალესავენ ერბოსაღლესავზე // ერბოს საღლესავზე; ესაა წმინდა საღლესავი ქვა, რომელსაც წყლის ნაცვლად ერბოს ახმარებენ, მას დალაქებიც ხმარობენ (ბგვ., საღრ., ჯორჯ.). გალესვას ფხის აწყობასაც ეძახიან. მჭრელ იარაღს (დანას...) ფხას აუწყობენ მასათზე. მასათი დანის ფხის ასაწყობი რკინაა (ყასაბს ქამარზე აქვს ჩამოკიდებული), ან ქვა, — რიყის ქვის მსგავსი შავი ქვა (ბუნებრივად შავია), „იყიდება მოსახლეობაში“ (საღრ.).

ყანას მკის მომკალი. მომკალს მარცხენა ხელის ნეკზე, არათითზე და შუათითზე სათითრები (პ. თონ., ჩხ.) აქვს წამოცმული, რომ ნამგალმა თითები არ წააცალოს. სათითური პაწაწი ყანწის-მაგვარი ხის (თელა, ნეკერჩხალი) სათითეა. მკლავზე სამკლაურს (თონ., მაწ.) ანუ სამკლავებს (ჩხ.) იკეთებდნენ, რომ ნამკას სახელო-

ები არ დაეგლიჯა (სამკლაური მაჯიდან ნიდაყვამდე წამოსაცმელი სახელოა, იქსოვებოდა ან იკერებოდა მაგარი ქსოვილისაგან).

მომკალი მარცხენა ხელით იჭერს და მარჯვენით (ნამგლით) ჭრის ხელეურს (თონ., ტბ.) (ნამგლის ერთი მოსმით მოჭრილი ყანა, რაც მუქში დაიჭირება). ხელეურის მოჭრას ხელეურის გამოღებას ეტყვიან (თონ., ჩხ.) („მკაში თითო ხელეური უნდა გამაილო და ადვილია, თიბა უფრო ძნელია“. თონ.). როდესაც მომკის დრო დადგება და პირველად გაიჭრება ყანა, მომკლები გამვლელ მგზავრს ხელეურს გადააგებებენ ანუ ხელეურს (მ)კლავზე მიაგებებენ (ხელეურს მიართმევენ, მკლავზე გაუკეთებენ) და დალოცავენ: „მრავალს მკას დაესწარიო“ (შავს.), ან: „დეესწარიო მომავალ წელსაო. მშვიდობით მკასაო“ (კლდ.), ისიც ფულს აჩუქებს, რამდენსაც გაიმეტებს. რამდენიმე (რვა ან ნაკლები) ხელეურისაგან ერთი ძნა იკერება. მომკლები მწკრივად მიდიან მკაში, თითოეული მათგანი ადგა(ს) თავის ჭარვას (ერთ გავლაზე გასატან ზოლს) (ჯორჯ.). მომკელებს უკან მისდევთ მეძნეური (თონ.) ანუ მეძნეურე (თონ.), რომელიც ძნას კრავს („კონავს“, მაწ.). ზოგი მეძნეური ორსა და სამ მომკალს აუღის. ახლა მეძნეურს მკონავსა (მაწ.) და შემკვრელსაც (ჯორჯ.) ეძახიან. მთიულები ძნის შეკვრას შეხვევას ეტყვიან (მაწ., ტბ.) („შ ე ვ ხ ვ ე ე თ“; „შ ა უ ხ ვ ი ე“). ძნას კრავენ ულოთი (ორი ბლუჯა თავთავია ერთმანეთში თავებით შეგრეხილი). საულოვედ მაღალ ყანას გლეჯენ ხელით; ნაგვალევი ყანა ულოსთვის არ ივარგებს, დაწყდება (თონ., მაწ.).

მკაში (თიბვაში, ბარვაში, თოხნაში) ერთი კაცის მიერ ერთ გავლაზე გატანილ ზოლს სვე (თონ.) ეწოდება („ორი სვე ავიტანოთ და დავისვენოთ“. თონ.). სვეს სრელი<sup>22</sup> ჰქვია („მკაში ერთი კაცი ერთ გავლაზე თავიდან ბოლომდინ გაიტანს ერთ სრელსა“. მაწ.) (სრელი მაწვენელმა გლეხმა დაკუთხული თავთავის წიბოსაც უწოდა). სრელს მთიულები სრიალი<sup>3</sup>ს ეძახიან (მაწ.). შდრ. სრელა—ნათესის კვალი ბოსტანში („კარტოფილის კვლებში სამი ს რ ე ლ ა შემოიყარე“. ჯორჯ.). სრელა ზოლიან ჭრელსაც ნიშნავს (ტბ., საღრ.) (შდრ. გლ) („საქონელი ზოგი ს რ ე ლ ა არი“. საღრ.). სამკალის შუაგულს შუატანი ეწოდება (მაწ.). მომკალი შუატანს რომ მიაღწევს, იტყვის, ერთი (მ)კლავი გავიტანეო („მკაში რამდენიმე კაცი რო მივეყვებით და შუატანამდე მივალთ: — ერთი კლავი გავიტანეო“. მაწ.). ამგვარად, გამოდის, რომ (მ)კლავი ნახევარი სვე ყოფილა. ცოტა რომ დარჩებათ მოსამკალი, იტყვიან: ერთი შატევა

<sup>22</sup> იხ. აგრეთვე გვ. 94.

(—შეტევა) დარჩაო (ჯორჯ.). გახურებული მკის დროს წამოსულ ნიავს მუშის ნიავს ეტყვიან (თონ.).

ყანის მომკის შემდეგ ნამკალში დარჩენილ ჩალას (ჯორჯ., ტბ.) (პურეულის გამხმარ ღერობეს) ნაბჯას (თონ., მაწ., ენაგ.) ან ნამ-ჯას უწოდებენ. ნამკალს ანუ ნამჯას ნაწვერალსაც ეძახიან (კლდ.). მკის დამთავრების შემდეგ გაპენტილ (გაფანტულ) ძნას (=ძნებს) „მოაქუჩებენ“ და დაათეულეებენ (გოლთ., ტბ., საღრ., თონ.) (ათეულეზად დადგამენ), რომ შინ წალებამდე ავდარმა არ „გააფუ-ქოს“. ათეული (საღრ.) სხვადასხვა ზომისაა, საშუალოდ 22'მდე ძნისგანაა აგებული. პატარა ათეულს წერასაც ეძახიან: ეს სა-ხელწოდება მთიულებისაგან ჩანს შეთვისებული. წერაში 9'დან 16'მდე ძნაა. წერად დადგმული ძნა ადვილად შრება. ფარცხისში წერას „რუსული ათეული“ უწოდეს. ათეულს ზოგჯერ ძირსაც ეძახიან. დაათეულეზას კი, — დაძირვას: მაგრამ ძირი და დაძირვა უფრო მეთივეობის ტერმინებია. დიდ ათეულს ძველად ძნის ფეხ-საც, ან მოკლედ ფეხსაც ეძახდნენ (კლდ., თ. წყ.), რომელსაც „ზოგი რგვლივა დგამდა, ზოგი კუთხივა“ („40 სული ხიზანი ერთათ ვეყა-ვით, ერთათ ეცხოვრობდით, 30 ფეხს დაედგამდით...“. კლდ.).

ნამკალში ჩაბნეულ თავთავს მოთავთავენ (თონ., საღრ.) ანუ ათავთავენ (ტბ.) (ხელით აპკრეფენ), შემდეგ ძნებში ჩააყოლებენ ან აკონავენ (თონ.) (კონა-კონა შეკრავენ) და შინ წაილებენ. კალოს ირგვლივ მიმობნეული თავთავის შემოკრეფას შემოთავთ(ვ)ას ეძახიან (თონ., ჩხ., მაწ.). თუ ბევრი თავთავია დაბნეული, ჯერ მოაფოცებენ (ფოცხით მოაგროვებენ) და შემდეგ აპკრეფენ (თონ.) (მოფოცებება უფრო თივისა და ბალახისა იციან).

სიმინდი რომ შემოვა, ტარობიანად აჭრიან (მაწ.), ან ტარო-ებს მოამტერევენ (სიმინდის მომტერევა), (ტბ., თონ., ჯორჯ., საღრ., მაწ.), ფუჩჩის (გამხმარ ღერო-ფოთოლს) კი მოჭრიან და კონებად შეკრავენ. სიმინდის მოცდენილ ტაროს (აქა-იქა რომა აქვს მარცვლები, თანაც პატარაა) კუუუუი (პ. თონ.) ეწოდება. და-ბალ სიმინდს, მაღალი რომ არ იზრდება, კუტ სიმინდს ეძახიან (თონ., ჩხ.), ასეთია, მაგ. შვიდკვირია სიმინდი.

ურეში. მინდვრიდან ძნას კალოზე ეზიდებოდნენ საძნე ურშით (ტბ., საღრ.) ანუ ძნის ურშით. საძნე ურეში დიდი, მაღალ-ჭალებიანი ურეშია, ამიტომ მას ჭლიან ურემს (ჯორჯ.) ან ჭალებიან ურემსაც (მთ.) ეძახიან. საძნე ურმისაგან განსხვავდება სა-ბარო ურეში, რომელიც პატარაა და დაბალჭალებიანი. მას იყენებენ ტყიდან შეშის მოსატანად, წისქვილში საფქვევის წასაღებად და

სხვ. ორთვალა ურემს საერთოდ ქართულ ურემს ეძახიან (ენაგ.).  
 ძნით დატვირთულ ურემზე ბანდუშს<sup>23</sup> (გრძელ ხეს. ფარცხ.)  
 გასდებენ და გვერდებიდან „დახვრეტილი ხეა, რვილს ეძახიან,  
 პატარა ჯოხით დაქანჩავენ“ (ფარცხ.) (მოქიმივენი) ანუ გადაქან-  
 ჩავენ (ტბ.), რომ ძნა არ გადმოიბნეს (მაწ.). დიდი საპალნიით და-  
 ტვირთულ ურემზე გადასაქერ თოკს (გინდა ჯაქვს) დასაკრავს ეძა-  
 ხიან (თონ.). დასაკრავების მაგრად გადაქერას დაშარტვას ეტყვიან.  
 ურემს გვერდებში ჩათნებს უდგამდნენ (ჩათანი — მალალი ლასტი);  
 თუ ბზე მიჰქონდათ, — ბოლოშიც ჩაუდგამდნენ (თონ.). ჩათანს  
 ეძახიან აგრეთვე მძიმე საგნის, მაგ. დიდი ქვის, გასათრევე ორკაპ ხეს  
 (ფარცხ.). თავქვეში ურემის თვლებს საგორავს (ქვა ან ხე)  
 (პ. თონ.) დაუდებენ, რომ ურემი არ გაიქცეს (საგორავია, აგრეთვე  
 გზის სატყეპნი ცილინდრული ქვა და ხარაზის მანქანის ნაწილი).  
 ურემს დაგორებისაგან სხვაგვარადაც იცავდნენ: ერთ-ერთ თვალს  
 კეტით დაუბამდნენ (კეტი ლერძშია გატარებული და ხელნაზეა შე-  
 კრული): კეტს, ჩაქდებული თავით, რჩოლში<sup>24</sup> (ენაგ.) ანუ ჩორჩო-  
 ლაში (წნელის რგოლი. საღრ.) ჩაუდებდნენ (რჩოლი ურემს თვა-  
 ლის წინ, ხელნაზე აქვს გამობმული) და უკან ხელნაზე მაგრად მი-  
 აკრავდნენ თოკით: ამგვარად დაბმული თვალი ველარ მოძრაობს,  
 ცურვით მიდის, მეორე თვალი კი მიგორავს, მძიმედ ჩადის. ამას  
 თვალის ჩაკვრას ეტყვიან (თვალს ჩაუკრავენ), დასაბმელ კეტს კი,  
 ჩასაკრავი (ჯორჯ.), თვლის ჩასაკრავი (ჯორჯ.) ან გვერდის კეტი  
 (ენაგ.) ეწოდება. ჩასაკრავად ჯაქვსაც იყენებენ (ტბ., ენაგ.). და-  
 ტვირთული ურემი თუ თავ(მ)სუბუქი // თავსუბუქია (თავში  
 ნაკლები ტვირთი უდევს), აბოლავდება (საღრ.) ანუ დაბოლავდება  
 (საღრ.) (თავი აიწევს, ბოლო დაიწევს) და აპეურები ხარებს წაუ-  
 ქერს ყელში, რის ასაცილებლადაც თავქვეში ურემს ბოლოზე ნა-  
 ლოს (თრევით წამოღებული შეშა, ფიხხი. ჩხ., ტბ.) მოუბამდნენ  
 ხოლმე. თავში მეტი ტვირთი რომ უდევს, ვიდრე ბოლოში, თავ-  
 (მ)ძიმეა და ხარებს კისერზე აწევს. ურემში შე ბ მ უ ლ<sup>25</sup> საქო-  
 ნელს თუ გაწევა უჭირს (მძიმე ტვირთს ვერა სძალავს, ან ურემი  
 ტალახში ჩაეფლო), მაშინ მეურმეს დაეხმარება ვინმე და ერთ  
 უღელა ხარსაც წინ მოუყიდებს („მოდი, რა, ერთი უღელა ხარი  
 მა მიკიდე!“ ჯორჯ.), ანუ ხარებს დაუყიდებს (თონ.) და გაი-

<sup>23</sup> ბ ა ნ დ უ შ ი მშენებლობაშიც იხმარება.

<sup>24</sup> რჩოლს (მაწ., ფარცხ., ენაგ.) ანუ ხრჩოლს (პ. თონ.) იყენებენ სხვაფრივაც: საქონლის დასაბმელად, თოვლობისას დაღმართში ფეხზე წამოსაცმელად, ტომ-  
 რის პირის მოსაკრავად და სხვა.

<sup>25</sup> შებმა და მოყიდება ზოგან გარჩეული არაა, გასარჩევი კია!

ტანენ გზაზე. ურმის ადგილზევე მობრუნებას მოღრეჯა (თონ., ჩხ., მაწ.) ეწოდება („აქეთ მოღრეჯე, ბიჭო, ურემი!“ პ. თონ.), იქით მიბრუნებას კი, — მიღრეჯა (მაწ.) („ურემი იქით მოღრეჯეს, აქეთ მოღრეჯეს, კაცო სწორეთ გააწეინე!“ მაწ.).

ურემში ხარების შესაბამელად ასაკრავი (თოკივით დაგრეხილი ტყავი. თონ., ან მსხვილი თოკი) იხმარება (შდრ. „ურემს ასაკრავი არა აქს“. ჭორჯ.). ამგვარივე ასაკრავით ამაგრებენ ღვედზე ან ქაპანზე ურმისა და გუთნის უღლებს (შდრ. „ასაკრავი — ერთქვანთ და ურემთ ასაბმელი“. საბა). ასაკრავები არის, აგრეთვე, „პატარ-პატარა ყულფები“; ასაკრავები აქ ღვედსა, სადაც უღელი გაიმართება, რო უღელი დაიკრას“ (თონ.) (ზოგან ყულფების ნაცვლად ორწვერად შეგრეხილ მოკლე ტყავის ნაჭრებს იყენებენ ღვედზე უღლის დასაკრავად. ენაგ.). ასაკრავის ბოლო მნიშვნელობის (ყულფი) სინონიმი კულამა (შდრ. გვ. 109). ურემში შებმულ ხარებს უღლების მიმდევრობის მიხედვით თავთავისი სახელები ჰქონდათ: ურმის თავის ხარები (კამეჩები), მესამულღე ხარები და საყვერის ხარები (ენაგ.). ერთად მიმავალ ურემების ქარავანს ალალი ეწოდება. იტყვიან: გლეხებს ალალი აქ(ვ)თ შეკრულიო (ტბ.).

ურემს ურმის ხელოსანი აკეთებდა<sup>26</sup> (ჩხ., მაწ.) მუხისა, თელისა ან ცაცხვისაგან (კლდ.); სიშავის მისაცემად ურემს გატუსავდნენ (ცეცხლზე მოატარებდნენ. თონ.). ხელნებში დანდლების ჩასხმას დადანდვლას ეიბახიან (ჩხ., მაწ.), კლების (ჭალი) ჩასხმას კი — დაჭალვას (ფარცხ., ჭორჯ.). ურმის ხელნების შეერთების ადგილს ხელნის თავი ეწოდება. დედაზე (ჭორჯ.) ანუ შუაზე (მაწ., ფარცხ.) ფურგუნის წინა და უკანა თვლების ღერძში გაყრილი ხეა, ის ამუშავენ („წინა ღერძიდან უკანაში უყრიან, რო ატაროს ერთმანეთი“. ფარცხ.). (შუაზე აქვს სახლსაც, — ძელია, სიგრძეზე დევს, სიმაგრის გულისთვის უდებენ, რომ დაბლა ძელებს სიმაგრე ჰქონდეთ. ტბ.). ფურგუნის უღელს, ე. ი. „რუსულ უღელს“, აქვს საყბა-ური, — აპურის მაგიერია („ტაბიკები საყბაურზეა დამაგრებული, რო უღელი არ დაიშალოს“. გოლთ.; ტაბიკები ურემსაც უნდა, ფურგუნსაც. ჭორჯ.). ყათალანი შავი სითხეა, რომელსაც „დროგის“ თვლებს „ფალასით“ უსვამენ, „შვებას აძლევს“-ო. (კლდ.). ფურგუნის ზოგი ნაწილის აქ მოხსენიება მათი ქართული სახელებითაა გამართლებული.

<sup>26</sup> შდრ. ურმის აშენება (კირიონი, სალექსიკონო მასალა).

მარხილი. მარხილს აქვს ფეხები (ტბ., მაწ.), თათები (თონ.) ანუ საცურავებლები (ჯორჯ.). მარხილის ჭალს ერთმა მაწვენელმა მთიულმა კოჭი უწოდა (შდრ. „მარხილს კოჭი არა აქს“. ჯორჯ., ტბ.). ურემივით მარხილიც დადანდლულია (ჯორჯ.). ნემსა კოფოსავით არის, ერთმანეთთან აკავშირებს მარხილის თათებთან კვინტებს, რომლებზეც ხელნებია მიმაგრებული (ტბ.). ნემსას წინ არის ხიდი — ნემსაზე უფრო მოკლე ფიცარი, მასავით აკავშირებს მარხილის ფეხების მოხრილ თავებს ერთმანეთთან.

შინ მიტანილ ძნას ლეწავდნენ კალოზე. კალოობა ქვემო სოფლებს მკათათვეში უწევდათ, ზემო სოფლებს (მაგ. კლდების) მარიამობისთვეში. კალოს მართავდნენ საცხოვრებელ სახლთან ახლოს: სახლის უკან, გვერდზე, ან კიდევ ვისაც ჰქონდა ადგილი სამთიანათ (მარჯვედ, მოხერხებულად)<sup>27</sup>, სახლის წინა (კლდ.). კალოსთან ზოგიერთნი კარაპანს (სახელდახელო ქოხი კალოს იარაღის შესანახად. ენაგ.) დგამდნენ. საკალოვე ადგილი ჯერ სუფთად უნდა გაითოხნოს (თონ.), რომ ერთი ბეწვი (წმინდა ღერი) ბალახი არ შეჰყვეს; მიწას მოხვეტავენ და გადაჰყრიან, შემდეგ კარგად მორწყავენ, რომ მიწა დაჯდეს (თონ., კლდ.) (დაიტკეპნოს); მორწყვის შემდეგ მოაბზევებენ (ბზით მოფენენ) (ჩხ., მაწ.), რომ ნარწყავი მიწა მზეზე არ დასკდეს და ნალექს მიწა არ შეჰყვეს (შდრ. მო ბ ზ ე ვ დ ე ბ ა და ვ ა ბ ზ ე ვ დ ე ბ ა, იხ. გვ. 129). ამგვარად მომზადებული კალო „სარკესავით მოკრიალდება“. კლდ.). ძნას ულოს შემოაცლიან და კალოში ჩაუშლიან (გოლთ., მაწ., ჩხ.) ანუ ჩაშლიან (ტბ.), თან გაწეწავენ (გოლთ., მაწ., ტბ.) (თანაბრად გაშლიან), რომ მაღალ-დაბალი არ მოვიდეს და ძნა ერთნაირად გაილეწოს.

ლეწავენ კევრით (ჩხ., მაწ., ტბ., კლდ.), რომელსაც ზოგიერთ სოფელში მხოლოდ სკევრს ეძახიან (თონ., პ. თონ., ჯორჯ., შავს...) <sup>28</sup>. კევრი, რომელიც წყვილ ბოლოგანიერ ფიცარს წარმოადგენს, ფიჭვისა კეთდება (ფიჭვი რბილია და კარგად იკოხება. შავს.); ბოლოზე, გადასაბმელად, დაკრული აქვს ვიწრო ფიცარი. კევრის ძირი დაკოხილია, ე. ი. მოჭედილია პირიანი (მკრელი. მაწ) კოხით (შავი, ტალივით მაგარა ქვა), რომელიც გოხნარიდან მოაქვთ. კევრებს აკეთებდა მკევრე (კევრის ოსტატი. ჩხ.). კოხავდნენ კალოობის დროს, ზაფხულის პირზე, ჩამოსული ბერძენი მკოხავები (პ. თონ.), ან

<sup>27</sup> შდრ.: „ღედაჩეშმა ისე სენთიანათ (მოხერხებულად) იცის საქმე: იცის, რა დროს რა უნდა გააკეთოს!“ (სურებელი გურულისაგან ვავიგონე).

<sup>28</sup> შდრ. მკევრი (დ. ჩუბინაშვილი).



თვითონ გლეხები აკითხავდნენ მათ წალკაში და იქ აკოხინებდნენ (თონ.).

• კევრში აბამდნენ უღელა ხარს, კამეჩს ან ცხენს, ვისაც ცხენები ჰყავდა; ცხენებით უფრო მალე ილენებოდა. ლენვისას ბავშვები კალოს პირს შემოთავთავენ, თავთავს შემოუყრფავენ (ტბ.) (გარ-შემო გადაბნეულ თავთავს აჰყრფავენ) და კალოზე შეჰყრიან. თავთავის შემოყრა კალოზე იარაღითაც ხდება, რასაც შემოკალთავება ეწოდება. კალოს შემოაკალთავებენ (თონ.), ანუ შემოუკალთავებენ (მაწ.) ორთითით, ფიწლით ან ფოცხით; შემოკალთავებას მარტივად შემოყრასაც ეძახიან (ტბ., მაწ., ჯორჯ.) („შამოუყრით ორთითით ან ფოცხით“, ჯორჯ.).

ორთითი/ა გრძელტარიანი, ბოლოდაროკაპებული ხის იარაღია; ფიწალი საკუთრივ კალოს იარაღია, მას სამი, ოთხი ან ხუთი თითი აქვს; სამზე მეტ თითიანი ფიწალი უხშირესად მთლიანი ფიცრისაგან არის გამოთლილი და რაზედაც თითებია, იმ ნაწილს დედანს ეძახიან („დედანი ში უყრია თითები“. მაწ.). (დედანი ეწოდება, აგრეთვე, ფოცხის თათს, რაშიც თითებია ჩასხმულთონ.). ფიწლის ტარის (ენაგ.) ქვემოთ რაცაა, მას ფიწლის პირი ეწოდება (ენაგ.). ფიწალს მსუბუქი ხისაგან აკეთებენ ადგილობრივი დურგლები (ენაგ.).

რამდენიმე პირს რომ შემოუღელის კევრი და ძნა მობზევდება (ნაწილობრივ გაილენება; იხ. აგრეთვე, მობურღოვდება, აქვე) საქონელს (ცხენს) გადააყენებენ და კალოს უქცევენ (სალენს გადაბრუნებენ) (თონ., მაწ.), რომ თანაბრად გაილენოს. რამდენიც დასჭირდება, იმდენჯერ უქცევენ, სანამ საბოლოოდ არ გაბზევდება (კარგად გაილენება) (თონ., ჩხ., მაწ.). პირველად ორთითით უქცევენ, შემდეგ სამითა ჩანგლით („ვილკით“), ბოლოს, — ფიწლით (თონეთში ხუთთითიანი ფიწალი იციან). შიგადაშიგ კალოს აუჩენჩხავენ (დატკეპნილ სალენს მალა აჰყრიან, გააბუებენ) (თონ.) (აჩენჩხავენ აგრეთვე თივასა და ხმელ ლობიოს, როცა გასაშრობად ყრია, რომ ნიავემა გაუაროს).

ლენვის დროს კევრზე თუ ბევრნი უსხედან, კევრი დამძიმდება, დახვეტავს (ცხვირთან აიგროვებს სალენს. თონ.) და შიშველ მიწაზე მოექცევა. ამას ერიდებიან, რადგან კევრი ფუჭდება. ქერი ცული გასალენია, კარგად არ ბზევდება, მობურღოვება იცის (ჩხ., თონ., მაწ.). (ბურღო — ქერის ანალენი უმარცვლოდ). მობურღოვდება პურიც, თუ ძნა საკმარისად არ არის გაფიცებული. მობურღოვება ძნის მცირეოდნად გალენვასაც (მობზევებას) ჰქვია.

პურეულის გამხმარ ღეროს ჩაღა ეწოდება (ჯორჯ., ტბ.), ტარო-გაცლილ სიმინდის ღერო-ფოთოლს, — ფუჩეჩი (ჯორჯ., ტბ.) (ქართულში არის ნიშნები ჩაღის მნიშვნელობის გაფართოებისა: ზოგჯერ სიმინდის ღერო-ფოთოლს ანუ ფუჩეჩსაც ჩაღად იხსენიებენ). ჩაღას ნამჭასაც ეძახიან (ჯორჯ., ენაგ.). თავის მხრივ ნამჭა ნაწვერაღის სინონიმიცაა (ენაგ.).

ჩაღის ან თივის ძალიან მცირე რაოდენობას ბუწი ეწოდება (თონ.) (იხ. გვ. 135). ბუწი თმასაც ნიშნავს („ბუწი — თმა“. ჩხ.).

ჩაღის ნამტკვრეებს ბუჩოს (გოლთ., მაწ.) ან ჩაღა-ბუჩოს ეძახიან („უი, ჩაღა-ბუჩოთი აგვემსო აქაურობა!“ მაწ.).

ერთი კალო რომ გაილეწება, ანალეწს (ბზეს და მარცვალს ერთად) (თონ.), ანუ ნალეწს (თონ., ჩხ., მაწ.) არნადით შეხვეტავენ (მოგობოდ შეაგროვებენ, გოლთ., მაწ., კლდ.). არნადი ორი მომცრო და მოგობო ფიცრის ნაჭრისაგან სწორ კუთხედ შეკრული გრძელტარიანი ხის იარაღია. ანალეწის შეხვეტის შემდეგ რაც დარჩება, იმას ცოცხით შეაგვიან (გოლთ.) ანუ შეგვიან (მაწ.). შეხვეტილი ანალეწის გროვას ხვავი ეწოდება (მთ. ხოი). ხვავი განიავებული სუფთა მარცვლის გროვასაც ჰქვია. ანალეწის შეგროვებას შეხვავებას ეტყვიან (მაწ., ჯორჯ.).

ბზისაგან მარცვლის გამოსაყოფად ხვავს ნიავიან ამინდში გაანიავებენ (მაწ., თონ.) ანუ აანიავებენ (თონ., სალრ.) (ფიწლით აპყრიან მალა: ერთ მხარეს ნიავისაგან წაღებული წმინდა ბზე (ბრელო. შდრ. გვ. 160) ცვივა, მეორე მხარეს, — მარცვალი). თუ ნიავი ჩაღა, ბზე აღარ გამოეყოფა მარცვალს და ორივე ერთად შებუღლდება (შემალდება) (თონ.).

ფიწლით განიავების შემდეგ პურს გამონიჩბავენ (ნიჩბებით გაანიავებენ) (თონ., გოლთ., ჩხ., კლდ.) ანუ განიჩბავენ (თონ., მაწ.): მტვერი ნიავეს მიაქვს, განიჩბული ხვავის თავზე ან ცოტა უკან, ცვივა მარცვალში შეყოლილი ჩელხი (გაულეწავი თავთავი და მსხვილი ბზე)<sup>29</sup> (თონ., ჩხ., ბგვ., ენაგ.), რომელსაც ჭელღს (თონ., მაწ.), ჯოღღს (ჩხ., მაწ., ტბ., ბგვ.) და ჭურელსაც (თონ., ბგვ.) ეძახიან (ერთმა გოლთეთელმა ქალმა ჯოღღი საჯოღღავს უწოდა). ჭურელი ნაბავის სინონიმიცაა. გამონიჩბვის შემდეგ ხვავს ცოცხს გადაუსურავენ (პ. თონ., ბგვ.) // გადაუსურავენ (ენაგ., გოლთ.) (ფრთხილად გადაპვიან) ანუ მოუსურავენ (ჩხ.), რომ ჩელხი მოაშორონ. განიავებული ხვავის აღების შემდეგ კალოს მოპვიან (მაწ., თონ., ჩხ.). ანაგავს ანუ მონაგავს (ჩხ.,

<sup>29</sup> ჩელხი მძიმეა და ნიავეს არ მიჰყვება, ხვავზე ცვივა.

გოლთ., მაწ.) (ხარჯიანი პურია) ხელმეორედ ამუშავებენ ან ფრინველისთვის ინახავენ.

განიჩბვისა და გადასურავეების შემდეგ, პურს (რომელსაც მაინც შეჰყვება ხოლმე ჯელი) და მოგროვილ ჯელს (რომელსაც შეყოლილი აქვს მარცვალი) ცალ-ცალკე დააჯოლღებენ (თონ., მაწ., ჩხ.) // დაჯოლღავენ (ჯორჯ.), გააჯოლღებენ (თონ., ჩხ., გოლთ.) ანუ გაჯოლღავენ (თონ., მაწ.). დაჯოლღება // დაჯოლღვა არის მარცვლის გამოყოფა ჯელლისაგან საჯოლღავით. საჯოლღავი (ჩხ., მაწ.) ყველაზე უფრო დიდთვალა („სხვილთვალე-ბა“. ჯორჯ.), ტყავის თასმებით ძირგამოწნული ცხრილია, რომელშიც ჩაპყრიან ჯელლიან პურსა თუ ჯელს და შემოუქცევენ (წრიულად ატრიალებენ) (მაწ.): ქვეშ გადის მარცვალი, ქვა, მიწა და მისთ., საჯოლღავში რჩება ჯელლის ანაღები (გოლთ., მაწ.). განაჯოლღი (ჩხ.), ანუ ნაჯოლღი (საღრ., გოლთ.), რაც იგივე ჯელღს წარმოადგენს. ზოგიერთ სოფელში გაუნიჩბავადაც აჯოლღებენ განიავებულ ანაღეწს. კალოობის დამთავრების შემდეგ დაგროვილ ნაჯოლღს მეორედ გაღეწავენ, ან, თუ ცოტაა, ხელით დაფხენიან და საარყედ შეინახავენ.

დაჯოლღებულ პურს ცხავში ჩაპყრიან და დააცხავებენ (ბგვ., ჯორჯ., მაწ., გოლთ.), გააცხავებენ (ტბ., გოლთ.) ანუ ცხავში გაატარებენ (პურს ქვისაგან გაასუფთავებენ ცხავის საშუალებით). ცხავი საჯოლღავზე უფრო წმინდა (წვრილთვალა) ცხრილია, ძირი ამასაც ტყავისაგან აქვს გამოწნული; დაცხავების დროს ქვეშ გადის მარცვალი, ცხავში რჩება ქვა, წვრილი გოროხი, კილი და მისთ. ანაღეწს ზოგი დაუჯოლღებლად აცხავებს (ამ შემთხვევაში ცხავში რჩება, აგრეთვე, ჯელი) და შემდეგ ცხრილში აკეთებს. ცხავს ქვაცხრილასაც (გოლთ.) ეძახიან, ამიტომ დაცხავებას ქვაცხრილაში გატარებაც (გოლთ.) // ქვაცხრილაში დაცხავებაც ეწოდება. პურს საბოლოოდ (საწისქვილედ) ცხრილში (ჩხ., ბგვ.) ასუფთავებენ, რასაც პურის გაკეთებას (ჩხ., მაწ.) ან პურის ცხრილში გაკეთებას ეტყვიან (ჩხ., მაწ., გოლთ., თონ.). ჩხიკეთასა და გოლთეთში ამას პურის ცხრილში გატარებაც ეწოდეს, რაც შემთხვევითი უნდა იყოს.

ცხრილი ზოგადად ეწოდება ანაღეწი ხორბლეულის გასაწმენდ საცერს. ცხრილის რკალს (ტყეჩისაა), რაზედაც ცხრილის (აგრეთვე საცრისა და მისთ.) ძირია გადაკიმული, ქარა (თონ.) ეწოდება. ცხრილი სამგვარია: ა. მსხვილთვალა (დიდთვალა; იხ. საჯოლღავი), ბ. საშუალო (პატარათვალა; იხ. ქვაცხრილა, იგივე ცხავი) და გ. წვრილთვალა ანუ საკუთრივ ცხრილი, რომელიც წვრილ ნაჩვრე-

ტებში ხორბლეულს არ ატარებს. როცა ცხრილში პურს აკეთებენ,— შემოქცევის დროს თავზე მოიგდებს მსუბუქ ნაგავს: სარვევლას თესლს და სხვ., ესაა თავმონაყარი (თონ.), რასაც ორივე მუქით მოხდიან და ცალკე დაყრიან ქათმებისთვის (თონ.). თავმონაყარს თავმონახადს (ენაგ., ჩხ., მაწ., გოლთ.), თავშენახადს (თონ.) და ცხრილის თავსაც ეტყვიან (მაწ.). ცხრილში სუფთა მარცვლი რჩება, ქვეშ კი წვრილი და ნამტვრევი ხორბალი, მიწა და სხვა ნაგავი გაედინება (რაც პურის მარცვალზე წვრილია), მას ქვეშგანადენს ეძახიან (თონ., მაწ.) და ქათმებისათვის იწახავენ. ქვეშგანადენს ნაწმენდს<sup>30</sup> (მაწ.), ძირგანადენს (გოლთ.), ცხრილის ძირს (თონ., მაწ.), ნაკმაზს (თონ., ჩხ., გოლთ., მაწ., ენაგ.), ნაკუდს (მაწ.) და ნაბოლარა პურსაც (გოლთ., თონ.) ეტყვიან. ნაბოლარა პური ეწოდება, აგრეთვე, უხარისხო, წვრილ „ჩეჩქიან“ ხორბალს, რომელიც განიავების დროს ხეავს უკან მოექცევა. თუ ყანა დროზე აღრეა მოჭრილი, პურს ბევრი კილი (ნედლი, ბუდიანი მარცვლი) გამოჰყვება (თონ., ჩხ.). ცხრილში პურის გაკეთების შემდეგ დარჩენილ ნაკმაზს ჩაპყრიან გოგროხინაში (პატარა პირვიწრო გოდორია ნაკმაზის, ლობიოს ან სხვა რამის ჩასაყრელად) (პ. თონ., გოლთ.) და ფრინველს შეუწახავენ.

მსხვილმარცვალა, კარგ პურს (პირველი გაცხრილის შემდეგ ცხრილში რჩება ასეთი პური. თონ.) თავი პური (თონ.) ან კაი პური (მაწ.) ეწოდება. ძალიან სუფთა ხორბალს, რომელშიც არავითარი სარვეველა არ ურევია, თავანკარას ეძახიან (შ. თაქ.) (თავანკარას უპირატესად არაყს უწოდებენ ქართლში).

ქვაცხრილაში გაუტარებელ პურს ცხრილში გაკეთებას არ აკარებენ, რადგან შიგ შეყოლილი აქვს ხოლმე ქვა, მსხვილი მიწა, გორველა და სხვა (რაც ცხრილში არ გავიდა). ამ ნაგვისაგან გასაწმენდად პურს დაყრიან ტაბაკზე, ტაბაკს აიქნევენ, — წინ სუფთა პური გადავა, უკან რჩება ნაგავი, — ამას პურის დარკვევა (თონ., ჩხ., გოლთ., ბგვ., ჯორჯ., სალრ.), გადარკვევა (თონ., ჩხ.), დაწვერა (თონ.) ან გადაწვერა (ფარცხ.) ეწოდება. დარკვეულ პურს ცალკე შეინახავენ, დარჩენილ ნაგავს, ანუ ნარკვევს (თონ., ჩხ.), რომელსაც უვარგისი პურიც ურევია, ნაკმაზში ჩაპყრიან ან გარეცხავენ, სუფთა პურს მიიღებენ და რისთვისმე (მაგ. კორკოტად) გამოიყენებენ.

გასუფთავების (გაწმენდის) შემდეგ პურეული და სხვა მოსავალი რასაც დაიკლებს, ხარჯი-ბორჯი (პ. თონ., მაწ.), ხარჯი და

<sup>30</sup> ზოგიერთისთვის „თავმონაყარი“ და „ქვეშგანადენი“ ორივე ნაწმენდია.

ბორჯი (თონ.) ან ხარჯი-ბარჯი ჰქვია (ხარჯი-ბორჯი საქმელ-სასამელის დანახარჯიცაა; უპირატესად მიცვალებულის პატივსაცემად გაწეული ხარჯის შესახებ ითქმის). აღებული მოსავლის რაოდენობას გამოსავალს ეტყვიან (ჩხ., მაწ.) („წელს ჩემ ყანას კარგი გამოსავალი ჰქონდა“ (ჩხ.).

პურეულის მოსავალს (სიმინდის ჩათვლით) ჰინახული ეწოდება. ჰინახულს დიდ, ღრმა ორმოში ინახავდნენ, რომელსაც ხაროს (თონ.) ეძახდნენ (კარტოფილს ორმოში ინახავდნენ, ხაროში არა. თონ.; უწინ, შიშიანობის დროს, ხაროში ინახავდნენ, აგრეთვე, მოძრავ ქონებას: ავეჯს, ნუგეულობას და სხვა, შემდეგ ზემოდან ფიცრებს ხურავდნენ და მიწას აყრიდნენ. თონ.). ხაროს თავზე ოხსკუთხ ფიცარს ხურავდნენ, რომელსაც ბადიმი (თონ.) // ბადინი (ჩხ.) ეწოდებოდა. ბადიმს კარტოფილის ორმოსაც ხურავდნენ. ბადიმს ეძახდნენ, აგრეთვე, ნახშირის გამოსაწვავი ორმოს რკინის სახურავს.

მომტკრეულ სიმინდს გოდორში ჩაყრიან და საცეხვავით (თონ.) ცეხვავენ (თონ., ჩხ.). საცეხვავი (თონ.), საცეხვი (ჩხ., გოლთ.,) ანუ საცეხველა (ჩხ.) დიდი კეტია, ზოგჯერ მოკაუტკებულო და ლურსმნებით მოჭედილი თავით („კაუჩიანი ხეა“. ჩხ.). ცეხვას ბეგვასაც ეძახიან, ზოგჯერ თავთავსაც ბეგვავენ, როცა ცოტაა. ამისათვის ხვედას იყენებენ (ტარიანი მოკლე მორი, ორთავა ჩაქუჩივით). ტაროს ხელითაც გაფშვენტავენ, გააუწეწებენ (თონ.). (შდრ. გვ. 169).

გ. ფქვა და ცხოზა. ხორბალს ფქვავენ წისქვილში. სოფლების უმეტესობას (დიდსა და პატარა თონეთს...), უწყლობის გამო, მოშორებით აქვთ წისქვილები. ზოგი სოფელი, მაგ. კლდისი, ძველად სულაც უწისქვილოდ იყო („სოფელს წისქვილი არა. ჰქონდა, ეწვალობდით, მერე კლდე დავანგრეე და კლდეს უკანიდამ გავტანე არხი...“ კლდ., ვანო ჭალიძე).

აქვთ მხრისკენ ღარის წისქვილები იციან. წისქვილის მთლიანად შესწავლა არ მოგვიხერხდა. მისი ზოგიერთი ნაწილის შესახებ კი მოქმელებს მივცემთ სიტყვას: „არხიდან წყალი მიდის ღარში. დიდი ღარი იყო, ქვეშიდან პატარა შუშუტი ჰქონდა“ (კლდ.); „წყალი რო არა ჰყოფნიდა, შუშუტით ვაბრუნებდით (წისქვილს). შუშუტი გახვრეტილი ხე იყო<sup>31</sup>; შუშუტიდან წყალსა სცემდა ფთებზე და აბრუნებდა; შუშუტ მივცემდით და ისე მაგრა სცემდა,

<sup>31</sup> შდრ. შუშუტა — საღვებელის საცობი ნასერტიანი ხისა (ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლ. ლექსიკა, გვ. 241).

რო სუ ფთებ დაამტკრევედა ხოლმე; თუ წყალი ბევრი იყო, აღარ უნდოდა „შუშუტი“ (კლდ.), „რგვალი მორგვი იყო, ფთები ჰქონდა, ფთას რო სცემდა წყალი, ის აბრუნებდა“ (კლდ.). მორგვს ბორბალ-ხაც ეძახიან: „ბორბალ ფთები ჰქონდა“ (კლდ.). წისქვილის ქვა (ზედა ქვა) ბრუნავდა არქით (ბრტყელი რკინა, ჩამაგრებული ზედა ქვაში); არქი ღერძზეა ჩამოცმული (ღერძი ქვედა ქვას აქვს): „არქითა ბრუნამდა ქვა, არქი რკინა არის და ზედ არი, სემეზე (= იმაზე), ღერძზეა ჩამოცმული და მალაა გაქედლილი“ (კლდ.). პურს ყრიან ზვიმირაში, რომელსაც სარეკელა ანძრევეს. სარეკელას ჩახჩახიც ჰქვია („ჩახჩახი — სარეკელა, ინძრევა და პური ჩამოდის“. კლდ.). ზვიმირიდან კოშში ჩადის პური („რო ანძრევედა, — კოშში ჩადიოდა პური“. კლდ., „კო ში პატარა ხის ყუთივით არი შეკრული“. კლდ.). კოშიდან პური ჩადის ქვაში, რომლის გულსაც წისქვილის ყელი ეწოდება („ქვაში რო ჩადის ხორბალი, იმას ჰქვია წისქვილის ყელი: ზედა ქვას რო უკეთია, პტყელი ლითონი“, კლდ.).

დაფქვას აქაური მთიულები დაფქვილვას უწოდებენ. თუ წისქვილი წმინდად ფქვავს, ნალბავსო (პ. თონ., ჩხ., მაწ., საღრ.) („ისე ფქვამს, რო სუ ნალბამს!“ პ. თონ.), განალბაო (ტბ.), დანალბაო (ჯორჯ.), იტყვიან. მომსხოდ დაფქვას მარილგულათ დაფქვას ეძახიან, მსხვილად დაფქვას კი — მოროშვას. თუ მარცვალი ნედლობს (სინედლის გამო არ იფქვის), ქვა გაილესება და მოსაკოდი შეიქნება. ქვას მოჰკოდავენ (ადგილ-ადგილ ამოტეხავენ) საკოდელით (ბრტყელპირა, ჩაქუჩისმაგვარი იარაღია). დაფქვაში შემინდე (დაფქვის გასამრჯელოს ამღები) (ჩხ., გოლთ.) საფქვავის პატრონისაგან იღებს მინდს, რომელსაც ახიც ეწოდება („ახს იღებდნენ იმ კოშითა; ახი — საფასური, რა, რო ფქვამდნენ, იმისი! მინდსაც იტყოდნენ“. კლდ.).

წისქვილში თუ ბევრი საფქვაგია, უჯერობააო (თონ., საღრ., ფარცხ.) (ჯერის დაქერის საშუალება არ არის), იტყვიან. თუ საფქვაგი არ არის წისქვილში, ჯერათ არის წისქვილი (თონ., გოლთ.), უჯეროთ არის წისქვილი (ჩხ., ფარცხ., საღრ.) ან წყალგარდაა წისქვილიო (თონ., გოლთ.), ამბობენ. საფქვავის რიგით დაფქვას მოჯერობა ეწოდება (გოლთ.) (მოჯერობა, საერთოდ, ყველა საქმეში იციან, სადაც ჯერის დაცვაა საჭირო. მაგ., სარწყავი წყლით სარგებლობის დროს და სხვ.), თავისი ჯერის მომლოდინე საფქვავის პატრონს კი, — მოჯერე (თონ., ჩხ.).

შინ მიტანილ ახლად დაფქულ ფქვილს გაშლიან, გააგრილებენ, რომ ტომარაში არ ჩახურდეს (დ. იორამ.).

ტომარაში ჩაყრილ ფქვილს სატენით (მსხვილი კეტი) გატენიან. ფქვილი რომ გაუთავდებათ სახლში, უნაფქოთა (—უნაფქოდა) ვართო (თონ., გოლთ., ჩხ.) ანდა ბუწი (ერთი ბეწვა) ფქვილი არა გვაქო (პ. თონ.) (ჩხ. გვ. 94) იტყვიან.

ახლად დაფქული პურის ფქვილისაგან პურს არ გამოაცხობენ, ერთ-ორ დღეს ან მეტს დააცდიან, რომ დაისვენოს (მაწ.). დაჯდეს (ჩხ., გოლთ.) ანუ დაიდუღოს (თონ.) // დადუღდეს (თონ.). დამჯდარ ფქვილს კარგი გემო ეძლევა, უკეთესი პური ცხვება და ბარაქაც მეტი აქვს.

როცა პურის გამოცხობა უნდათ, წინა დღით, ან რამდენიმე საათით ადრე, ძველ ხაშს (გოლთ., საღრ.), ცომის დედას ანუ პურის ცომს (კლდ., გოლთ.) (წინა გამოცხობის შემდეგ შენახული, დამქავებული ცომის გუნდა) გაახლებენ (პ. თონ., ჩხ.) ანუ გადაახლებენ (მაწ.); ხაშის გაახლება ასე ხდება: გაათბობენ მარილწყალს, შიგ აჭყლეტავენ ანუ გამოჭყლეტავენ ხაშს, დაამატებენ ფქვილს, მოზელენ და თბილად შეინახავენ. ამას ხაშის მოდედებას (თონ., გოლთ.), მოდიდებას (ჩხ., გოლთ., ჯორჯ., საღრ.) ან წადიდებას (პ. თონ.) ეტყვიან. შიგა ქართლის ზოგიერთ სოფელში წადედებას ამბობენ. საგულისხმოა ისიც, რომ იმავე სოფლებში ხაში არ იციან და მხოლოდ „პურის დედა“-ს ხმარობენ<sup>32</sup>; როგორც ჩანს, მოდედება // მოდიდება და წადედება // წადიდება „დედა“-ს უნდა უკავშირდებოდეს და არა „დიდი“-ს. ხაშს მოადედებენ გობში (პატარა ვარცლის მსგავსი ხის ქურჭელი. თონ.): მოდედებული ხაშით მოზელილი ცომი მალე ღვივდება და კარგი პურიც ცხვება. იმისათვის, რომ გაახლებული ცომის დედა (ხაში) კარგად გაფუვედეს, გულს გაუწ-გამოუწევენ, შიგ ჩაასხამენ ძმარს ან ღვინოს, ჩადებენ ნაკვერჩხალს და შეახვევენ; ამას პურის ცომის წიარებას ეტყვიან (თონ., გოლთ.). გამოსაცხობი ცომის მოსახელად ფქვილს საცერში ცრიან. საცერს წმინდა მავთულისა ან ძუისაგან აქვს ძირი გამოწნული. გაცერის შემდეგ ანაცერს (ქატოს) ცალკე შეინახავენ. ნედლი პურის ფქვილს ბევრი ანაცერი აქვს, რადგან ცუდად რომაა დაფქული, საცერში ვერ გადის და ნახევრდება ფქვილი. ძალიან გაცრას გაჭაჭვას (პ. თონ.) (შღრ. მოჭაჭვა, გვ. 97) ან გამოჭაჭვას (მაწ.) ეძახიან (შღრ. რძის მოჭაჭვა — რძისთვის ნაღების სავსებით მოხდა; თონ.). გაჭაჭულ ფქვილს ქატოს ნაწილიც თან გაჭყეება ხოლმე. საცერზე უფრო მტკიცეა (წმინდაა) სამტკიცე (თონ.). სადღესასწაულო ან საქორწილო პურის (ნაზუქისა და

სხვ.) ფქვილს სამტიციში მტკიცავენ. ვისაც შეძლება ჰქონდა, მათ სახლში მხოლოდ გამტკიცული პური ცხებოდა. ცომს ზელენ ვარცლში. ვარცლის გასაკეთებლად წიფლის დიდ მორს გათლიან, გულს ამოუღებენ და აქეთ-იქით ფართო ნაპირებს დაუტოვებენ. ცომი იზილება ნელთბილ წყალში: თუ ცხელი მოვიდა, — ფქვილი აისორსლება (წვრილ-წვრილ კოშტებად იქცევა) (ტბ., ჯორჯ., ბგვ.) და გამომცხვარ პურში თხილებივით დარჩება. როცა ზელას მორჩებთან, ხელებს მოისვრემენ // მოისვრემავენ (ერთმანეთზე მაგრა მოუსვამენ, რომ ზედ დაკრული ცომი ასძვრეს). თუ არ ისვრიმება (არ სძვრება, ჯორჯ.), მაშინ უფრო მაგრად მოუსვამენ ხელს. ხელის მოსვრემას ხელის გაფშვინეტასაც ეტყვიან („ხელები გაიფშვინი ტე!“ ჯორჯ.). იშვიათ შემთხვევაში ნასორსლს (ხელებიდან ამძვრალ ცომს) ცოტა წყალს დაუმატებენ და დიდ ცომს შეაზელენ. მოზელილ ცომს მოამრგვალებენ და მიასვენებენ (თონ., ჩხ., გოლთ.) (ვარცლის ერთ მხარეზე მისდებენ) გასალვივებლად. გალვივებამდე ცომს უღვივარი (// უღვიარი) (სალრ.), უფუარი ან მძინარე ცომი (თონ.) ეწოდება. ასეთ ცომზე იტყვიან, აგრეთვე, მძიმეთ არი, არა ღვივისო (გოლთ.). ზოგი ფქვილისაგან მოზელილი ცომი კარგად ღვივდება, კარგად მატულობს, ასეთ ცომზე (პურზე-დაც) იტყვიან წიაღი აქვს (თონ.), ძარღვი აქვს (თონ., ჩხ., მაწ.), წიაღიანია (თონ., ჩხ.) ან ძარღვიანიაო (ჩხ., მაწ.). მას გამწევი ცომიც ეთქმის (თონ.). მისგან კარგი პური ცხებება. უწიალო პური, როგორც მჰადი ან ქერი, ისე იზილება (თონ.) („უწიალო პურსა არა აქ მატება, ფატარია, ძალა არა აქ“. თონ.). ცომი თუ ძალიან გაფუჟდა და თონეს მოასწრო, უნდა ჩახელონ (გოლთ.), ჩაზილონ (ჯორჯ., სალრ.), რომ არ დამეაედეს, თუ დამეაედა ან თუ ჩიჩქვი (ჩვილი) მოვიდა, მაშინ დახელავენ (ჯორჯ., შავს.), გადახელავენ (ტბ., შავს.) ანუ მოხელავენ (შავს.), თან საფანელს (ფქვილს) შეაზელენ, შეახმარებენ, რომ ცომი გამაგრდეს და თონეში არ ჩაცვივდეს (საფანელი ზოგიერთი კერძის, უფრო წვნიანის, დამზადებასაც სჭირდება. თონ., ჩხ.). მეტისმეტად გალვივებული, ძალამოსული ცომი დაიმჰაჭება (პირი დაუსკდება. მაწ., ჯორჯ., ბგვ., ტბ.) // დამჰაჭდება (ჩხ.). (დაბერებულ ადამიანზეც იტყვიან, დაიმჰაჭაო, სახე რომ დაეღარება, ან მეაევეს რომ შეჰქამს და დაიღრიჭება, გოლთ., მაწ.). დამჰაჭვას დამშხალვასაც ეტყვიან (მაწ.). გალვივებულ ცომს ამოაგუნდავებენ (თონ., ბგვ.) ანუ გუნდას ამოიღებენ (გოლთ., ჩხ., ტბ., შავს.) და ორომზე (გრძელი დაბალფეხებიანი ხის მაგიდა გუნდების დასაწყობად) დააწყობ-



ბენ. ერთ გუნდას სახაშეში (დაბალი თიხის ქილა ხაშის შესანახად) ან ორჯამიანში (კლდ.) ჩააგდებენ, მარილს წააყრიან და პურის დედად შეინახავენ.

ძალიან გაღვივებული ცომის გუნდას მოხელვით (ხელის გულს შორის ტრიალით, მსუბუქი ზელით) ამოიღებენ: „ერთი ხელავს, ერთი აკრავს“ (შავს.). ზომიერად გაღვივებულ გუნდას ოდნავ მოხელავენ, რადგან ძალიან მოხელილი გუნდა „უღვიარივით გამოვა“, საერთოდ, გადახელილი პური არ ვარგა, ტყირპი გამოდის (ტბ.) „თუ აკლია ფუილი“ (ღვივილი), — გუნდაში მოვა (გუნდად ამოღებული გაღვივდება, გუნდაში მოემატება. ტბ., შავს., კლდ.); „გუნდაში რო მოვა ცომი, ის კარქია“ (ტბ.). ამოგუნდავების შემდეგ ცომიან ვარცლს ასტამით (პატარა ბრტყელპირა რკინის იარაღი ცომის ასაფხეკად) აფხეკენ, ასტამს ადგილობრივი მთიულეები ხოწს ეძახიან (მაწ., ჩხ., კლდ.). ნაფხეკას (თონ.) ნელთბილ წყლით გადაზეღენ და ნასორსლთან ერთად ცალკე გამოაცხობენ ან დიდ ცომს შეაზეღენ. იტყვიან: ვინც ნაფხეკას შექამს, წყევლა არ მიუდგებაო (თონ.).

თუ ფქვილი ნარევი არ არის (სულ თეთრია, ან შავია), — იტყვიან, ცომი ხალთათ არის მოზელილიო (კლდ.). (ს ა ლ თ ი ს ხ ე ა რ ა მ ე ზ ე ც ი თ ქ მ ის, მ ა გ. სა ლ თ ი ლ ო ბ ი ო — შეურეველი, ერთნაირი ლობიო (შდრ. გლ). სუფთა პურის ფქვილს, რომელსაც ქერი ან სიმინდი არ ურევია, წმინდა ფქვილი ეწოდება, რაც წმინდად დაფქულსაც ნიშნავს.

ქვემო ქართლში პურს თონეში აცხობენ, გარდა ზოგიერთი სოფლისა (თონეთი, კლდისი, მაწევანი...), რომლებიც საამისოდ ფურნესაც იყენებენ. თონეს ფიჩხით ახურებენ. როცა ცეცხლი მიწნელდება, საჩხრეკით (ჩხ.) (გრძელი თავმოხრილი რკინის ჯოხი, ან ხის კეტზე წამოცმული ასეთი რკინა) მოუჩხრეკავენ (თონ.), ანუ გაჩხრეკავენ (თონ.) (გაქეჯავენ), რომ გაღვივდეს ნაკვერჩხალი, ამას ცეცხლის გაღვიძებას ეძახიან (თონ.). საჩხრეკი ნაკვერჩხლის მოსაგროვებლად (თონეში) ან ერთ მხარეზე მისახვეტადაც (ფურნეში) იხმარება, ამიტომ მას სახვეტელასაც (თონ.) ეძახიან. თუ ცხარე მოვიდა თონე, სველი ცოცხის ან ლაფათის შემოსმით. მოაგრილებენ (გოლთ.) ანუ გააგრილებენ (გოლთ., მაწ.), რომ პურს ძირი არ დაეწვას, ამავე დროს ცეცხლზე თუთქს (თონ., ჩხ., მაწ.) ანუ ნაცართუთქს (შავს.) (წყალში ასვრემილ<sup>33</sup>, ასრესილნაცარს) მოაყრიან, მოუთუთქავენ (ფარცხ.), დაუთუთქავენ (ტბ.)

<sup>33</sup> შდრ. (ხელებს) მოიხვრემენ (იხ. გვ. 136).

ანუ ჩაუთუთქავენ (ტბ.) და, ამგვარად, შოუნელეზენ (სალრ.) თონეს, რომ პურს პირი არ დაეწვას. თუთქისათვის საჭირო ნაცარს ხანაცრეში (კურკელი ან ადგილი, სადაც სათუთქე ნაცარს ჰყრიან) ინახავენ. სანაცრეს სათუთქესაც (თონ.) იტყვიან. გახურებული თონე სანამ არ მოჭდება (ზომიერად განელდება. თონ.), პურს არ ჩააკრავენ. თონეში პურს ხელით ან ლაფათით აკრავენ. ლაფათა ტილოს თხელი ბალიშია, უფრო ლავაშის ჩასაკრავად ხმარობენ. „ლავაშის ლაფათა სხვაა, პურისა სხვა, პურის ლაფათამ პურს პირი უნდა გაუსწოროს, რომ ნათითრებში არ შეეცყოს“ (თონ.). სანამ პურს აკრავენ თონეში, ცეცხლი შემოხსობიკებული (შუაგულში მოგროვილი. ბგვ.) აქვთ (შდრ. „ყველაფერი შეიხსობიკა“: „რო შეიბინავენს ყველაფერს“. სალრ.). როცა ჩაკვრას მორჩებიან, მაშინვე, ან თხუთმეტობედ წუთის შემდეგ თონეს თვალს აუღებენ (ცეცხლის შუაგულს შამფურით გაქეპავენ. თონ., გოლთ., ჩხ., ბგვ., ჯორჯ., მაწ., შავს., ენაგ.), რომ ცეცხლი არ ჩაქრეს და პურს პირი უყოს (პირი დაუბრაწოს. ჯორჯ.). უხურებელ ან გაცივებულ თონეში ჩაკრული პური დაიქერქება (პურის ძირი თონეზე დარჩება. ჩხ., გოლთ., ტბ.), აიქერქება (თონ.) ანუ ჩაიქერქება (ტბ.). თუ ცომმა არ ივარგა: ჩვილი მოვიდა ან ალაო ფქვილისაა, თონეზე ვერ გაჩერდება (ცხარე თონემაც იცის) და ძირს მიდის, — იტყვიან, პური იწვეს (ფარცხ.), მიიწვეს'ო (სალრ.), ან: პურმა წაიწია (სალრ., ტბ.), ჩაიწია (ტბ., ჯორჯ.), „აბა მიასწარი, ხელი მიეციო“ (პ. თონ., გოლთ.) (ხელი მიჰკარო); იტყვიან ასეც: „პური წაგივიდა, ქალო, მიასწარიო“ (თონ., ჩხ.); თუ ვერ მიასწარეს და ჩავარდა. იტყვიან, ითაფაო (გოლთ., ჩხ.), ან მომზელავს გააფრთხილებენ: „ჩიჩქეი ცომი მოგიზელია, თაფზე წავა შენი პურიო“ (პ. თონ.). ნაგლეჯ-ნაგლეჯად რომ მიდის პური თონეში, წორო-წორო მიდისო (ფარცხ., ტბ., გოლთ.), იტყვიან. ჩავარდნილ და ნალვერდალში გამომცხვარ პურს კუტხს, კუტმატხს ეძახიან (კუტმატია პატარა ბავშვებიც: „პატარა ბავშვები რო ჰყავთ ბევრი, უფეხო, — კუტმატხ დენეზიო, იტყვიან“. კლდ.). უღვივარი ცომის პური თონეში აწიწილავდება (ჩხ., გოლთ., მაწ.) („პირი აეწვის, აბებრდება, გული ცომი დარჩება“. ჩხ.). გამომცხვარ პურს თონიდან ამოხდიან (თონ., ჩხ., ჯორჯ., გოლთ.), დახდიან (ტბ.) ანუ ამოყრიან (პ. თონ., მაწ.) ამოსახდელი შამფურით (ტბ) (კავიანი), მეორე ხელში უქირავთ ჩასაფხევი შამფური (ტბ.) (ბრტყელპირაა), რომლითაც პურს აძრობენ. კარვად გამომცხვარი პური მარტო ამოსახდელი შამფურით ან ცარიელი ხელითაც ამოიხდება, რადგან თავისით სძვრება თონეს.

პურს ნებაზე (ნელა, აუჩქარებლად) ამოყრიან (პ. თონ.) (შდრ. „ნებაზე იდულოს ლობიომ“ — ნელა იდულოს. პ. თონ.). პირველ თონეს რომ ამოყრიან (ეს წინა პურებია), თონის კედლებს ჩასაფხე-კი შამფურით ნაწვეს (თონეზე მიმწვარ პურის ნარჩენებს) მოაშორებენ და დარჩენილი ცომიდან მეორე თონე პურს ჩააქრავენ; თუ ძალიან გაგრილებულია თონე, — ჩაკვრამდე ცოტა ფიჩხით კიდევ ამოაზურებენ; მეორე თონის პური ანუ უკანა პური (თონ.) უფერული, დაუბრაწავი გამოდის და ნაკლებ პურად ითვლება. ნაჩქარევად და უხეიროდ გამომცხვარს შეხანხლულს ეძახიან. ზოგი პური თონეში დაიბლუნძება („მაიკუმშება“, შავს.). კოხტა, დაბურცულ, პურებზედ იტყვიან: „კაკლებივით პური დავხადეო“ (ჯორჯ., ტბ.). კოხტად გამომცხვარ, დაბრაწულ პურს კაკალა პურსაც ეძახიან (ჯორჯ.). კაკალა პური პატარა, მრგვალ ან გრძელყუიან პურსაც ეწოდება (ტბ.) („ჩემი დედამთილი მეტყოდა: კაკალა პურები დააკარი, შეილო!“ ტბ.). ბუნთუშა (თონ.) ან ბუნჩულა (გოლთ.) პურიაო, იტყვიან რბილსა და გაფუებულ პურზე.

ქორწილის პურს სუფთა, მსხვილი ხორბლისას აცხობდნენ (გოლთ.), რომლის ცომიც დედამამიან ქალს (ქალიშვილს) უნდა მოეზილა. თუ ქორწილში (და, საერთოდ, წვეულებაში) პური არც დააკლდათ და არც დარჩათ, — იტყვიან, თავდათავ გამოვედითო (შავს.) (თავდათავ გამოდიანო, იტყვიან, აგრეთვე, ხელმოკლე ოჯახზე, რომელსაც ძლივს ჰყოფნის შემოსავალი).

ულვივარი, ცუდად გამომცხვარი პური ტყირპია (პ. თონ., გოლთ., სალრ., ტბ.), ტინტყლია (ცომია, გამოუშუშავია), სოლივით არის (პ. თონ., ჩხ.). ტინტყლ პურს ჰყინტლ პურსაც ეტყვიან (კლდ.) („ჰყინტლი პური ის არი, რო არ ჩაიშუშება, — უყურე, რა ჰყინტლი გული აქო; ღოჯიანი, ალაო პური ცხვება ჰყინტლი“. კლდ.).

ახლად გამომცხვარ (დღევანდელ გამომცხვარ) პურს თაჯა პურს ეძახიან (კლდ.). პურჩაქრული თონის ძირში ადგილი რომ დარჩება (დიდ პურებს შორისაც), გუნდას შუაზე გაჰყოფენ და იმ ადგილებში პატარა პურებს მიაქრავენ, ასეთ პურს ძირმისმულას (გოლთ., სალრ., ტბ.), ძირმისხმულას (პ. თონ., ტბ.), ანუ ღოჯაკს (სალრ., ტბ., შავს.) ეტყვიან. ბავშვებისათვის. გამომცხვარ პატარა გულამოჭრილ მრგვალ პურს კოკორას (პ. თონ.) ეძახიან. კოკორას კვერიც ჰქვია (თონ., გოლთ., ჩხ.). კვერი შეიძლება დიდიც იყოს: სახალწლო ტაბლისთვის დიდრონ კვერებს აცხობენ (პ. თონ., თონ.) (ჩხ. აბრამიანი, ცოტა ქვემოთ). ახალ წელს ყველა ბავშვის სახელზე

ცხვებოდა კვერი, რომელსაც ბედის კვერს ეძახდნენ (თონ., 3. თონ.). ბედის კვერს მორთავდნენ ნიგვზით, კამფეტით, შაქრით. ვისი კვერიც „ბუნჩულა“ გამოცხვებოდა, ის ბავშვი ბედნიერად ითვლებოდა. უფროსებისთვის ბედის პურს (თონ., ჩხ., გოლთ.) აცხობდნენ. ვისი პურიც ჩასავარდნად წაიწვედა, იტყოდნენ, უბედოაო (გოლთ.). ბედის პურები ცხვებოდა. აგრეთვე ამბრის, საქონლის, ფრინველის მისალოცად. ახალწელიწად დღეს ამბარში ჩააგდებდნენ ბედის პურს (ამბრის პური. თონ.), თან იტყოდნენ: „როგორც ეს პური გაიბურცა, ისე ეს ამბარი პურით გაიმსოსო“ (თონ.), ამბრის პურებს (ორ პურს) პატარა ორმოს მოყვანილობისასაც აცხობდნენ, ერთ მათგანში ხორბალს ჩაატანდნენ, მეორეში, ქერს: ხორბლიანს ხორბლის თვალში (ხორბლის განყოფილება ამბარში) ჩააგდებდნენ, ქერიანს, ქერის თვალში, — „მეორე წლამდინ ეგრე იყო ბარაქისთვი“ (გოლთ.). საქონლის მისალოცად ძროხის ძუძუს აცხობდნენ (თონ., გოლთ.). ეს იყო ცურისთვის მიმსგავსებული ბედის პური, რომელსაც მეკვლე ფურს შეაქმევდა, რომ ძროხის წველას ბარაქა ჰქონოდა, თან მრგვალ რამეს (კაკალს, ვაშლს) გაუფორ-გამოუფორებდა და ეტყოდა: „ესე დარგვალდიო!“ (გასუქდიო) (თონ.), ან კიდევ: „ესე მთელი დაბერდი პატრონიანათაო!“ (ჩხ.) შინაური ფრინველისათვის აცხობდნენ წიწილ-კრუხს (თონ., 3. თონ.) // კრუხ-წიწილს (გოლთ.): პატარა პურებს, რომლებსაც ჩხირით ჩხვლეთავდნენ, თან ამბობდნენ: „ამთონი წიწილა, ამთონი კრუხიო!“ (გოლთ.). წიწილ-კრუხი ოჯახის უფროს ქალს ეკუთვნოდა (თონ.). ერთი თონეთელი ქალის ცნობით ამ ბედის პურებს წიწილ-კრუხს დაუფხვნიდნენ ხოლმე, რომ გამრავლებულიყვნენ. საახალწლო ტაბლისათვის აცხობდნენ ბასილას (თონ., 3. თონ.) (გულხელდაკრეფილ მამაკაცს) და შიოს (ხელებგაშლილ მამაკაცს. თონ.). ბედის პურებად ცხვებოდა, აგრეთვე გუთანი, „იმასთან“ მენხრის ჯოხი (გოლთ.).

ახალი წლის დილას მეკვლე თავის ოჯახს აბრამიანით (თონ.), აბრამის ტაბლით (ჩხ.) ანუ აბრამის სუფრით (ჩხ.) მიულოცავდა. აბრამიანი საკმელებით დატვირთული ტაბაკია, ზედ აწყვია ბასილა. ბედის პურები (წიწილ-კრუხი,...), ბედის კვერები, ქათამი ან ღორის თავი, თაფლი, ხილი და სხვა; ტაბაკს გარშემო დაუნთებდნენ სანთლებს. შინ შესვლამდე მეკვლე სამჯერ შემოუვლიდა სახლს აბრამიანით ხელში, ბოლოს შევიდოდა შემდეგი სიტყვებით: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!“ (ჩხ.): არსებობს მეკვლის დალოცვის სხვა ვარიანტიც, რომელიც საოხუნ-

ჯო ხასიათისაა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ქათამი ძაღლმა მამტაცა, გაგიწყრათ ღმერთიო!“ ამგვარი „დალოცვის“ მიზეზი ის ყოფილა, რომ სახლის გარშემო შემოვლის დროს მეკვლეს რაღაც გასჭირვებია და აბრამიანი ცოტა ხნით ძირს დაუდგამს, ამ დროს ძაღლს ღორის თავი (თუ ქათამი?) მოუტაცნია და მეკვლე ამიტომ გაბრაზებულა (თონ.).

რელიგიურ დღესასწაულს ბედნიერ დღეს (თონ.), დღეობას (საღრ.) ან უქმეს (შღრ. სეტყვის უქმე, გვ. 102) ეძახიან. ახალი წლის გარდა ბედნიერი დღეებია: შობა, აღდგომა, ბზობა, მარია-მობა და სხვა.

რამოდენიმე სიტყვით შევეხებით ალგეთელ ქართლელთა სხვა წეს-ჩვეულებებსაც.

დიდმარხვის დადგომისას, რომელიც 7 ან 9 კვირა გრძელდება, აკეთებდნენ ბობოლას: კარტოფილს ან რითიმე, მაგ., ნაცრით, გავსებულ პირმოკრულ პარკს ჩაურჭობდნენ 7 ფრთას და ყოველი კვირის გახვლის შემდეგ თითო ფრთას გამოაძრობდნენ, — მეშვიდე კვირას კი გადააგდებდნენ (ჩხ.). (შღრ. სახლის ბობოლა || ოჯახის ბობოლა — ოჯახის უფროსი: „სახლის უმფროსსაც იტყვიან, ოჯახის ბობოლაა“. ჩხ.). დიდმარხვის შემდეგ უნდა გახსნილდეს: ამის შესახებ ნათქვამია: „შვიდი ფიცარიო, შვიდათ შეკრულიო, ან ღველი გახსნის, ან დიაკვანიო“ („მითომ, წინათ ხო საყდარში ხსნილობდნენ!“ ფარცხ.).

მარხვის მეშვიდე კვირას, დიდ ხუთშაბათს (თონ.) (აღდგომის ოთხშაბათს. ჩხ.), იციან ჭიაკოკონობა (საღრ.) („აღდგომის ოთხშაბათს ჭიაკოკონობა იყო, კაჭკუს მოაგროვებდნენ და ჭიაკოკონას აანთებდნენ“. ჩხ.), უმძრახობა // უნძრახობა [ხმის ამოუღებლად კეთება იმისა, რაც წამლად უნდა გამოიყენონ, მაგ. უმძრახობი (// უნძრახობი) წყლის მოტანა (უმძრახად მოტანილი წყლით თავს იბანენ, თმას ზრდისო, წამლად სვამენ და სხვა. (საღრ.)].

ალებლამის შემდეგ, ორშაბათს, იცოდნენ ყეენობა // ყეინობა (მოსავლის ბარაქიანობისათვის იმართებოდა): ყეინად ისეთ ახალგაზრდას დასვამდნენ, ვინც ხელგამრჭე, ხელბარაქიანი იყო, რომ იმ წელიწადს უხვი მოსავალი მიეღოთ: ყეენს თავზე გალიბანდს დახურავდნენ. გამოჩინებული // გამოჩენილი, მოთავე ახალგაზრდები სოფლად მოსაკრეფს (ლობიოს, კარტოფილს, სისირს...) მოკრეფდნენ საქმლის დასამზადებლად. ახალგაზრდობიდან რამდენიმე ყმაწვილი ყეინს წაიყვანდა წყალში ჩასაგდებად, ხალხის ნაწილი კი

დარჩებოდა დროსტარებისათვის თადარიგის დასაქერად იმ ამოჩენილ (ამორჩეულ) ალაგას (ვისიმე ეზოში), სადაც ქეიფი უნდა გამართულიყო. როცა ყველა შეიკრიბებოდა, დასხდებოდნენ სოფელიურათ, სასოფლოთ („მთელი ხალხი“) და კაი დროს გაატარებდნენ (საღრ.).

აქედან იწყებოდა მარხვა; რეცხავდნენ მთელ ჯამ-ჭურჭელს აღულებულ ნაცარწყალში, რომ ცხიმი სავსებით მოშორებოდა.

ოჯახებში ინახავდნენ ზედაშეს „ესაა წმინდანის, ხატის (მაგ. სამების, წმ. გიორგის) სახელზე შეწირული ერბო, ჩახსმული პატარა ქილაში, რომელსაც ხატის დღეობაზე საყდარში წაიღებდნენ ან შინ აანთებდნენ (ჩხ., შ. თაქ.). მზვარა ეწოდება საკლავს, რომელიც რომელიმე წმინდანისათვის შესაწირავადაა შეთქმული (თონ.).

მოსხუცებს უყვართ ლადარში გამომცხვარი პური, რომელსაც ცეცხლაკვერას (ჩხ.) ეძახიან. მთაში, ცხვრის შესანახად წასული მწყემსები („ჩობნები“) ლავაშსა და პურს საჯზე (გოლთ., ჯორჯ., მაწ.) აცხობენ. საჯი თუჯისაა, მრგვალი ძირი აქვს, ცოტა ამოზნექილია („ზურგიანია“), როცა პურის გამოცხობა უნდათ, სამ ქვას შუა დაანთებენ ცეცხლს, ამ ქვებზე საჯს დადგამენ, დააკრავენ ლავაშს ან პურს და გამოაცხობენ. ხმარებამდე საჯს ჯერ მოქოლავენ (მაწ., ჯორჯ.) (წყალში არეულ ნაცარს მოუსვამენ ძირზე), რომ პურს ძირი არ დაეწვას (ჩხ. გვ. 96).

ფურნეში შედარებით მეტი პურის გამოცხობა შეიძლება ნაკლები შრომის გაწევით, ალბათ, ამით აიხსნება, რომ ქვემო ქართლის ზოგიერთ სოფელში ფურნემ თითქმის სავსებით გამოდევნა თონე.

როდესაც ფურნეში შეშა იწვის, ცეცხლის გასაღვივებლად საჩხრეკით (ჩხ. გვ. 157) გამოუჩხრეკავენ. პურის შესხმის წინ ფურნეს სველი საგველათი (ბოლოზე ტილოდახვეული გრძელი ჯოხი. თონ., ჩხ.) გამოასუფთავენ, რომ პურს სუფთა ძირი გამოჰყვეს. ცომს დააწყობენ ხის ნიჩაბზე და ისე შესხამენ (თონ.), როცა გამოცხვება — გამოსხამენ (მთ. გამოლალავენ. მაწ.). ზედმეტად ცხარე ფურნე პურს აიტაცებს („ერთბაშად დაწითლდება“. მაწ.). ფურნეში გამომცხვარ დიდ მრგვალ პურს სომინს (თონ... ტბ.) ან სომუნს (გოლთ.) ეძახიან („ბერძნები ეძახიან „სომუნსა“). ჩვენ ვიტყვით: „ფურნის პური“. გოლთ.); (იციან „ბუხანაკ“. ტბ.). სომინი // სომუნი დიდაც თურქულენოვანი ბერძენი მოსახლეობისაგან ჩანს. შეთვისებული (შღრ. ბერძნ. τὸ ψᾶμα 'პუ-

რი<sup>34</sup>; თურქ. somun 'მრგვალი პური'<sup>35</sup>).

გამომცხვარ პურს კიდობანში ინახავდნენ. ახლა თითო-ორო-  
ლას თულა ექნება კიდობანი. პური რომ დაძველდება, იტყვიან  
დაქართოვდაო (ჯორჯ., ბგვ., საღრ.), ქართო პურიაო (ბგვ., ტბ.)  
(დაქართოვბულს „დახნიერებულ“ ადამიანსაც ეძახიან. ჯორჯ.).  
გამომცხვარ პურს, საერთოდ ნასიმს (ვაშლოვ., კლდ.) ეძახიან.  
ხალხის ძველი რწმენით: „სალოცავში შენი ნასიბით უნდა  
წახვიდე, რომ გაშპრას სალოცავმაო“. კლდ.). ამ სიტყვას უფრო  
ზოგადი გაგებაც აქვს: „(ნასიბი არის) პური, მარილი, საცერი, ხა-  
ში“ (თ. წყ.). ხალხისავე რწმენით ნასიბი სახლიდან არ უნდა გავი-  
დეს, რომ ბარაქა არ გაჰყვესო (თ. წყ., საღრ.). თუ პური აღარ  
„უდევთ“ სახლში, იტყვიან, სამსეთა გვაქ (შავს.), სამსეთ არის  
(კლდ.) ან სამსეთ არის პურიო (ტბ.) (მღრ. სავსეთა ვართ.  
დ. იორამ.).

საფუერიანი პურის გარდა უსაფუერო ანუ უფუარი (საღრ.)  
პურიც იციან, რომელსაც ხმიადს (გოლთ., საღრ., ფარცხ., შავს.)  
ანუ ჭაღაქს (თელ.) ეძახიან. ხმიადის ცომი უმარილო და ძალიან  
მაგარი იზილება, პატარ-პატარა გუნდებს ამოიღებენ, ჭიქის ძირით  
დააჭრელებენ და თონეში გამოაცხობენ. ხმიადის გამოცხობა იციან  
ხმიადობას // ხმიანდობას (საღრ., გოლთ., ფარცხ.), რომელიც აღ-  
დგომის წინ, დიდმარხვის წითელ პარასკევს მოდის და მიცვალებუ-  
ლის მოსაგონარ („სულის მოსახსენებელ“) დღედ ითვლება. ამ დღეს  
ცხელ-ცხელ ხმიადს თავლს ან შაქარწყალს გადაუსვამენ და მეზობ-  
ლებს დაურიგებენ. ვინც შეჰკამს, იტყვის: „მიაგებოს; შეიწყალოს  
იმის სულიო“. ხმიადობას ზეთიანი ან ნიგეზიანი ლობიოს მოხარ-  
შვაც იციან (ცხმიიანი არ შეიძლება), ვისაც ახალი მიცვალებული  
ჰყავს, — საფლავზე გაიტანს, ვისაც ახალი მიცვალებული არა  
ჰყავს, — მეზობლებში გაიტანს რამდენიმე ჯამს (საღრ.).

ახრი არის წესი, რომელსაც მიცვალებულს უსრულებს ჭირის-  
უფალი (ორმოცი. წლისთავი...) (საღრ.). ქელუხს ხარჯს ეძახიან  
(ჩხ.). ხარჯის დროს შილაფლავს რომ მიიტანენ სუფრაზე, შემდეგ  
ტაბლაც უნდა მიიტანონ. ტაბლა ხონჩაა, რომელზეც აწყვია ქათამი,  
ტკბილეული და სხვა; ყველამ თითო ნაჭერი უნდა აიღოს, მაგრამ

34 Русско-новогреческий словарь, М., 1966.

35 Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, Москва, 1945.

ყველას არ გაჰხედება, ამიტომ ზოგი ტაბლას ხელს გამოუსვამს, ვითომ იმანაც აიღო (ჩხ.).

ცხედრის დღეს საფლავეზე გაიტანენ ტაბლას, რომელზეც აწყვია საბ-სამი კერძი (ფლავი ან სხვა კერძი), ყველი, მაწონი, ნაზუქი, ლავში, კოლიო და სხვა (თონ.). ახალ მიცვალებულს ორმოცამდე ყოველ შაბათს წანდილს (იხ. გვ. 147) უხარშავენ და არიგებენ. შემდეგ კორკოტობა იციან, რომელიც წელიწადში ორჯერ მოდის, წყალკურთხევას და ყველიერში. კორკოტობას კორკოტის მოხარშვა და დარიგება იციან. მაგ., ყველიერში, თევდორობის შაბათს რომ დამარხვდება, კორკოტს ჩაადგამენ; მთელი ღამე უნდა იხარშოს, რომ კარგად გაინაღბოს (მარცვლები დაიშალოს. ფარცხ.): მეორე დღით დაარიგებენ; კენტი უნდა დარიგდეს. ამ დღეს, ხალხის რწმენით, აუცილებელია კორკოტის მოხარშვა: მიცვალებულს უთქვამსო, რომ „ბაგები მიბაგ-მობაგეთო (კარგად ამოასუფთავეთო), მარცვალი მომინახეთო და კორკოტი მამინახრეთო“ (ფარცხ.).

ნამცხერის ცხობა ალგეთელებმა უმთავრესად რელიგიურ დღესასწაულებში („ბედნიერ დღეებში“) იცოდნენ<sup>36</sup>. ცხვებოდა ნაზუქი (რძით, ერბოთი, კვერცხით, შაქრითა და მიხაკით მოზე-ლილი საფუერიანი ცომისაა. თონ., ჯორჯ.), ხვეული ნაზუქი (თონ.), ყათმარი [რძიან-ერბოიანი უსაფუერო ნამცხვარია (ფარცხ.). გამომცხვარი ყათმარი და ხვეული ნაზუქი იფურცლება (საღრ.), ფურცელ-ფურცელია (ტბ.) (ფენა-ფენა იშლება)], გულიანი ქადა (თონ., ჯორჯ.), რომლის ცომიც მაგარი იზილება, ცოტა გაფუებული უნდა იყოს, გუნდას გაათხელებენ მრგვლად, შიგ ქადის გულს ჩადებენ, ცომს „ყველა ხრიდან მოაქუჩებენ, პირს ჩაუტკეპნიან“ (ჯორჯ.) და ცხიმთან ტაფაზე, თონეში ან ფურნეში გამოაცხობენ. ქადის გული ერბოში ან ღორის ქონში მოშუშული შაქრიანი (უშაქროდაც იციან, — მარილით) პურის ფქვილია (ზოგი მოშუშავადაც აკეთებს); ცომში ჩადებამდე გულს ცოტა გაანელთბილებენ (შეაგრილებენ), „რო არ გამოხეთქოს ცომში“ (ჯორჯ.). ვისაც უნდა, ქადას დაპკრელებს და კვერცხს გადაუსვამს. ხვეულს, ანუ ხვეულ ქადას აცხობენ ორი-სამი ფენა გათხელებული ცომით. თითოეულ ფენას დაყრიან ცოტა შაქარს, მოუსვამენ გამდნარ ცხიმს, შემდეგ სიგარტზე დაახვევენ, მრგვლად მოახვევენ და ტაფაზე გამოაცხობენ. ესეც „ფურცელ-ფურცელი არის“ (ტბ.); ძუძუთა ბავშვებისთვის აცხო-

<sup>36</sup> ნამცხვრები და კერძები შერჩევით ტექსტებშიცაა წარმოდგენილი (იხ. გვ. 187—193).



ბენ უხას (იხ. გვ. 189). აქაურ მთიულებში მიღებულია მხლის ქადა ანუ ხლოვანა (ქარხლის ღერო-ფოთლისგულიანია), ხაჭოვანა და ლობიოანი. ხაჭოვანა (მაწ.) ხაქოსგულიანი ნამცხვარია და მას ხაქოს ქადასაც ეძახიან (მაწ.); ხაჭოვანას (აგრეთვე ხინკალს) ნადუ-ღარასაგანაც (ნაყველარი შრატის წამოდულების შემდეგ გამოყოფილი სისქე; გემრიელი საკმელია. მაწ.) აკეთებენ; ლობიოანი (მაწ., სალრ., ტბ.) არის ნამცხვარი, რომელსაც გულად ცხიმით და ხახვით მოხრაყულ, კარგად დაზელებულ ლობიოს უკეთებენ. მას ქართულელები აცხობენ და კარგადაც ეწყობიან.

ნამცხვრის ცომს აბრტყელებენ (ათხელებენ) საგორავით (ბოლოებწაგრძელებული მრგვალი, მომსხო ჯოხი. ჩხ.). საგორავს უხლავს (თონ.) და უხლოსაც ეძახიან. პატარა თონეთელი ადამაშვილების ცნობით, უხლავი მთიულურია, ჴნაკი — თონეთური; ამ სიტყვის (ჴნაკი) მცოდნე სხვა პირს ჩვენ აღარსად შევხვედრივართ.

საჭმელების დამზადება. ხორბალს საჭმელების დამზადებაშიც დიდი გამოყენება აქვს. ხორბლისაგან ამზადებენ კორკოტს (თონ., ჩხ., გოლთ., ჯორჯ., ტბ., ფარცხ.): შეარჩევენ მსხვილმარცვალა თეთრი ჯიშის ხორბალს: თეთრ თა(ვ)თუხს, შავფხას ან ასლს („ღოლი და პოშოლა რათ ვარგა!“ ჯორჯ.) (ან რაცა აქეთ, იქიდან ამოარჩევენ მსხვილ მარცვალს), რომელსაც თავის მხრივ საკორკოტე („საკორკოტე მაქ დასაღერლი“, ჩხ.) ანუ საკორკოტე ხორბალი (ჯორჯ.) ეწოდება, თბილ წყალში დააღობენ, ამოწურავენ, სველ-სველს ჩაყრიან „დიდრონ საწყავეებში“ (საწყავი ქურქელია, რომელშიც ერთი „ვედრო“ ხორბალი ჩადის) და სანაყავით (თავმოკაუჭებული ხის ჯოხი. ტბ.) ჩანაყავენ (ტბ.), რომ გაიქერქოს (ქერქი გასძვრეს. ჯორჯ.) (თუ ხორბალი ცოტაა, ხელის გულზე მოფშვნეტავენ. ტბ.); გაქერქილ ხორბალს მზეზე გააშრობენ, შემდეგ ტაბკებით ან კასრით („ვედრით“) დაანიავენ (ტბ.), გადაანიავენ (ჩხ.) ანუ ჩამოანიავენ (ჯორჯ.) ფერფლის მოსაშორებლად, შემდეგ გაახმობენ, სუფთად გაარჩევენ, რომ „ჩეჩქი“ არ შეჰყვეს და ხელსაფქვაზე დაღერლავენ (ჩხ.), გადმოღერლავენ (მაწ.), ანუ დააღერლილებენ (სალრ.). დაღერლვას დაფქვასაც ეძახიან (ჩხ., გოლთ., შავს.) („ფქვავენ“ ხელსაფქვაზე); დაღერლვის შედეგად მიიღებენ ღერლილს (მაწ.), რომელსაც ბურღულიც ეწოდება (ჯორჯ., მაწ.). საკორკოტე ღერლილს წყალში ჩაყრიან და მოხარშავენ (კორკოტს ზოგი დაუღერლავად ხარშავს), შემდეგ ერბოს უზამენ და მიცვალებულის „სტულის მოსახსენებლად“ დაარიგებენ (ტბ.; იხ. გვ. 144). კორკოტი მოხარშული კერძიცაა და მოუ-

ხარშავი საკორკოტეც (თონ., ფარცხ., გოლთ., მაწ.). შავფხის ბურ-  
ლულისაგან ხარშავენ ბურლულის ფლავს, მზადდება ისევე, როგორც  
კორკოტი (ჯორჯ.) ბურლულის ფლავი მეორენაირად ასე მზადდება:  
„დაასწომ ('მოშუშავ') ხახვსა ქონში ან ერბოში, შაუყენეფ წყალსა;  
რო აღულდება, ჩაპყრი შიგა ბურლულსა და დამწვარ ხახვსა, უნა  
კარგა იდულოს, თან უნა ურიო, რო არ დაიკრას ძირში“ (ბგვ.).  
შავფხის ბურლულისაგან წყალკორკოტასაც (ფარცხ.) ხარშავენ,  
მზადდება თითქმის ისევე, როგორც ბურლულის ფლავი, ოღონდ  
წყალკორკოტას მწვანილითაც კაზმავენ (ფარცხ.); როცა მოიხარშე-  
ბა, „როგორც ყვითელი ქარვა, ისე გადაიშლება“ (ფარცხ.). ბურლუ-  
ლის ფლავს გავს კორკოტის ფლავი: ხელსაფქევაზე „დაფქული“  
შავფხა პურისაგან ამზადებენ როგორც წყალკორკოტას, ისე კორ-  
კოტის ფლავს: „თუ (კორკოტის) ფლავს აკეთეფ, ერთი ჯამი როა  
კორკოტი, ორი ჯამი წყალი უნდა დაასხა, ბრინჯი (ფლავის გასაკე-  
თებლად) გრილია და ეს შავფხა ხურვალეა, კარგი არის“ (ფარცხ.).  
გომარეთიდან გადმოსულ მოსახლეებში მიღებულია ფლავ-ხაშილი  
(მაწ.) ანუ ხაშილი (მაწ., კლდ.), რომელიც ასლის კორკოტისაგან  
მზადდება; ხარშვაში ამოზელენ, პინებზე დაასხამენ და ერბოს უზა-  
მენ. ხაშილი ფლავის ბერძნული სახელიაო: „ხაშილ ბერძნები ეძა-  
ხიან. ჩვენ ფლავ ვეძახით“ (კლდ.). კორკოტისაგანვე კეთდება  
რძი(ს) კორკოტი (რძეში მოხარშული კორკოტი ან ბურლული. ჩხ.,  
გოლთ., ფარცხ., მაწ., სალრ.), რომელსაც რძიკორკოტასაც ეძახიან  
(თონ., კლდ.). რძის კორკოტისათვის გაარჩევენ და დაალბობენ  
„კარგ ყვითელ პურს, თავთუხის პურს“, ხელსაფქევაში მოღერლავენ,  
ფერფლს გადაანიავებენ და რძეში მოხარშავენ; მკვდრის მოსაგონ-  
რადაც იციან დარიგება. რძის კორკოტს აქა-იქ რძის ფლავსაც უწო-  
დებენ (ჯორჯ.); რძის ფლავი ჰქვია, აგრეთვე ბრინჯით, რძით და შაქ-  
რით დამზადებულ კერძს.

დახალული ხორბლისაგან აკეთებენ კორკოტის ხალიფაფას  
(თონ., კლდ.), ან, მოკლედ, ხალიფაფას (თონ., გოლთ., ტბ., ჯორჯ.,  
ჩხ., შავს., კლდ.), რომელსაც მოხალულ ფაფასაც (ჯორჯ.) ეძახიან;  
ხალიფაფა ასე მზადდება: ხორბალს (კორკოტს) დახალავენ, მსხვი-  
ლად დაფქევავენ ხელსაფქევაზე, შემდეგ გაცრიან, ანაცერს შეინა-  
ხვენ, გაცრილ კორკოტს კი მოხარშავენ აღულებულ მარილწყალში,  
გადმოიღებენ პინებზე ან თეფშებზე და ერბოს უზამენ; ერბო  
ჭიჭიმიით უნდა ადგეს ზედ (პ. თონ.) ანუ უნდა ჭიჭიპებდეს  
(პ. თონ., გოლთ.); ქ ი პ ქ ი პ ი // ქ ი მ ქ ი მ ი არის „ბევრი ცხიმის  
ლივლივი“. გოლთ.). კორკოტის ხალიფაფა სქელი კეთდება; ხარშვის

დროს შიგ კოვზს ჩასტაკამენ (კლდ.), თუ იჩეხება (წაიქცევა) კოვზი, — კორკოტის დამატება უნდა. ზოგჯერ თავისივე ანაცერს, ან ფქვილს მოუკიდებენ და იმით გაასქელებენ. ანაცერმოკიდებულ ი „გემრიელი მოდის“, ფქვილმოკიდებული, — არა. კორკოტს დახალავდნენ (კლდ., საღრ.), დაშუშავდნენ ანუ აშუშავდნენ (საღრ.) („აიშუშაო“, დამწვარ საქმელზე და მოსავალზეც იტყვიან) სახალავზე (მრგვალი თუჯის კურტელია, როგორც დაბალი ქვაბი) (კლდ., საღრ., შავს.). ფარცხის გატანაზე ხალიფათის მოხარშვა იცოდნენ (ჩხ.).

სახალავზე სიმინდსაც ხალავდნენ. სიმინდის ისე დახალავას, რომ დასკდეს და თეთრად გადამშალოს დაბატვას ეძახიან (თონ.), „დაბატულ“ სიმინდს კი ბატი-ბუტს (ჩხ.). სიმინდის ჯიშს, რომელიც კარგად „იბატება“ ბატილას ეძახიან (პ. თონ.). მარილით და სიტკბოთი შეზავებულ მოხარშულ ხორბალს წანდილს ეძახიან (გოლთ.) (ქართლის ზოგ კუთხეში წანდილს კოლიო ჰქვია). წანდილმა მთელი ღამე უნდა იდულოს, დილით წყალს გადაუწურავენ (ან არ გადაუწურავენ), თაფლით ან შაქრით შეატკბილებენ (გოლთ.) და მზად არის<sup>37</sup>. მიცვალებულის „სულის მოსახსენებლად“ წანდილის დარიგებაც იციან (იხ. გვ. 144).

ალგეთელებმა იციან ფქვილიანი („საფანლიანი“), ცომის, რძის ნაწარმისა და სხვა კერძების დამზადება. რძიფუა (თონ., ფარცხ.) ასე მზადდება: წყალგარეულ რძეს ააღულებენ, მოუკიდებენ პურის ან სიმინდის ფქვილს, თან ხშირი რევა უნდა, რომ არ დაიმურკლოს (ფარცხ., ჯორჯ.) არ დამურკლდეს (საღრ., ჩხ.) ანუ მურკლები (წყალში გაუქნ. ფქვილის კომტები. საღრ.) არ გაიკეთოს: როცა მოიხარშება, ცეცხლიდან გადმოღების შემდეგ, უზამენ მარილს, რომ არ აიჭრას. რძიფუა ყველა ასაკის საქმელი კერძია („ერთი დიდი ჯამი რძიფუაი შევქამე“. თონ.); მას რძის შექამანდს (თონ., ჯორჯ., საღრ.), ანუ რძის კერძსაც (გოლთ.) ეძახიან. ცხიმში მოშუშული ფქვილის ფაფას ყაურმელას (თონ., ფარცხ., საღრ., ჩხ.) ან ყაურმელას კერძს ეტყვიან (ფარცხ.); ყაურმელა ცხიმში „დადალული“ (იხ. დადალავენ, გვ. 149) ხახვით და ფქვილითაც კეთდება (საღრ.), წვნიანი კერძის, ფუშრუჯის (თონ., გოლთ., ჩხ., ჯორჯ., ბგვ.) მოსახარშავად ცხიმში „დამწვარ“ (იხ. დაწვავენ, გვ. 149) ხახვს დაასხა-

37 შიგა ქართლის ზოგიერთ სოფელში (ხცისი და სხვა) რამდენიმე საათს ადულებენ ხორბალს; როცა სველ წვეს გამოუშვებს, — უზამენ შაქარს; მაწვარი ქალებისთვის კარგია, რძე მოჰყავსო (ცნობა მოგვაწოდა თ. გვერდ წითელმა).

მენ წყალს, აადულეებენ, ჩააგდებენ წიწკას, ცალკე ცივ წყლიან ჯამში, ციცივით ან ხელით, ფქვილს ასვრემავენ (ბევრ ფქვილს ცოტა წყალში ასრესენ. ჩხ., ბგვ.), ანუ აფშრუჟავენ (ჩხ., ბგვ., ტბ., ჯორჯ.), იმ ადულეებულ კერძს მოუკიდებენ და კიდევ ადულეებენ, სანამ მოიხარშება; გადმოღების წინ რეჰანითა და მალდანოზით შეანელებენ. ფუშრუქს ზოგი ნიგვზით აკეთებს: დანაყავენ ნიგვზს ბლომად, დააყრიან დაჭრილ ხახვს, დაასხამენ წყალს და როცა ადულდება, მოუკიდებენ ფქვილს. ფუშრუქს ფუშრუქის შეჰამანდს და ფუშრუქის კერძსაც ეძახიან (ჩხ., ტბ.). ხავიწს აკეთებენ ნადუღარით (იხ. გვ. 154), რომელსაც პურის ან სიმინდის ფქვილს უკიდებენ და შუშავენ (ტბ.).

ცომის კერძები. ერთ-ერთ სამარხვო საჭმელს, მახოხის შეჰამანდს (სალრ.) ამზადებენ წყალში ამოსრესილი დამეყავებული ცომით, ნივრითა და მარილით. დოს ხინკალი (მაწ.) ასე კეთდება: მაგრად მოზელილ, გათხლებულ ცომს დაჭრიან ნაკვეთ-ნაკვეთებად (პატარ-პატარა ნაჭრებად), მოხარშავენ მდულარე წყალში და ჯამზე ან ლანგარზე ამოალაგებენ, ზედ მოასხამენ, ჯერ ერბოში მოხრაკულ ხახვს, შემდეგ დოში ან მაწონში გათქვეფილ დანაყილ ნიორს და სუფრაზე მიიტანენ. უწინ, როცა ჩანგლები არა ჰქონდათ, გაფხეკილი და წვერწათლილი გრაკლის (გრაკლა მცენარეა) ჩხირებს ჩაურჭობდნენ და ისე შეექცეოდნენ. დოს ხინკალს თათრულ ხინკალსაც ეძახიან (ჩხ.), „ამ თათრულ ხინკალს ძალიანა ჰყურობს (იხ. ჰყურობს, გვ. 98) ხალხიო“, მითხრა ერთმა ჩხიკეთელმა მოხუცმა. ხინკლის შეჰამანდს (ჩხ.) ამზადებენ შავფხის ან პოშოლის ფქვილის მაგრად მოზელილი, საგორავით გაბრტყელებული და წერილ ოთხკუთხ ნაჭრებად დაჭრილი ცომისაგან. ამ ცომს ხარშავენ მდულარე წყლიან ქვაბში, რომელშიც წინასწარ ერბოში მოშუშული ხახვიცაა. კარტოფილისაგან აკეთებენ კარტოფილის ხინკალს (ჯორჯ.): მოხარშულ კარტოფილს დაქულებენ, მოხრაკავენ ქონში ან ერბოში ხახვთან ერთად, უხამენ წიწკას და მარილს, შემდეგ მაგრად მოზელილ, ოდნავ გაფუებული ცომს გაათხლებენ, ჰიქის პირით მრგვალ-მრგვალად დაჭრიან, შიგ ჩადებენ დამზადებულ კარტოფილს, შეახვევენ და მდულარე მარილიან წყალში ჩაყრიან; როცა მოიხარშება, საწურით (ქაფქირით) ან ციცივით ამოიღებენ პინაში (ჯორჯ., ფარცხ.). დოს ხინკალს გავს ატრია (ტბ.) // ანტრია (ჯორჯ.), რომელიც მთიულებში უფროა მიღებული: მაგრად მოზელილ, ლავაშივით გაბრტყელებულ, პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრილ ცომს თითო-თითოდ ჩაყრიან მდულარე რძეში, წყალრძეში ან წყალში და

მოურევენ; როცა გასქელდება, ჯამებზე ამოიღებენ ქიტით (ქიტა მთ. — ციცხვი) და კოვზით შეექცევიან.

საზამთროდ ინახავენ დომხალს (თონ., ბგვ., ენაგ.), რომელიც ასე მზადდება: გაწურულ დოს ააღულებენ, შემდეგ გააციებენ და ხელახლად გაწურავენ პარკში, კარგად გაქაჩავენ (ძალიან მაგრა გაწურავენ. ფარცხ.), შემდეგ დაზელენ ზაფრანასთან და ნარგიზთან ერთად, თიხის ქილაში ჩადებენ, კარგად გატენიან, ქილას პირს მოაკრავენ (ჯერ სუფთა ნაჭერს, მერე ქალაღს), მიწას მოთხრიან გრილ ალაგას, შიგ ნაცარს ჩაყრიან, დომხლით სავსე ქილას გადმოაბრუნებენ და ზედ დაამხოებენ (ნაცარი გამოსწოვს დარჩენილ დოს, რომელიც ამძალებს დომხალს), შემდეგ მიწას მიაყრიან და ქვას დაადებენ, რომ არ გადაბრუნდეს. ზამთარში ცოტ-ცოტას ამოიღებენ და დომხლის შექამანდს აკეთებენ: დომხალს გახსნიან წყალში, ააღულებენ, შიგ ჩაასხამენ ერბოში ან ქონში მოხრაკულ ხახვს და წამოადულებენ; გადმოღების დროს შიგ გათქვეფილ კვერცხს ჩაასხამენ (ჯორჯ.). მეორენაირად ასე კეთდება: ცხიმში „დადაღულ“ ხახვში ჩაყრიან დომხალს, კიდევ „მოდაღავენ“ შეუყენებენ (დაასხამენ) წყალს, შემდეგ წყალში გათქვეფილ ფქვილს დაამატებენ; როცა ააღუდება, გათქვეფილ კვერცხს ჩაასხამენ და ერთი პირი წამოადულებს შემდეგ გადმოდგამენ (ბგვ.); ზოგი დიასახლისი კვერცხის ჩაახმის შემდეგ მოურევს და გადმოიღებს, „დეეშურება“, რომ არ აკორკოტდეს (აიჭრას. ფარცხ.). დოსაგანვე აკეთებენ დოს შექამანდს (თონ., ჩხ.): ერბოში მოშუშავენ ხახვს, ჩაასხამენ დოს და ცოტა წყალში გახსნილ ფქვილს მოუკიდებენ, „ვარაუდს გასწევენ“, რომ მკავე ან თხელი არ იყოს; როცა მოდულდება, უზამენ ქინძს, კამასა და კვერცხს, გადმოღებისას კი — მარილსაც (ჩხ.); სასიამოვნო მომკავეო საქმელია ზაფხულში. ზამთრისათვის იციან დოს ყურუთის გაკეთება (მაწ.): გაწურულ დოს ბლომა მარილით შეაზავებენ, პატარა-პატარა გუნდებს გააკეთებენ, მზეზე გააშრობენ და ზამთრისთვის შეინახავენ; როცა დასჭირდებათ, გუნდებს ჯამში ჩაამტვრევენ, ნელთბილ წყალს დაასხამენ და როცა ჩაღებება, გათქვეფავენ და იხმარებენ. უძმრობის შემთხვევაში, დოს ყურუთს ჩიხირთმაშიც იყენებენ (მაწ.).

პურიის კერძები. დაფაშრებული პურისაგან ხარშოს ამზადებენ (გოლთ.): ხახვს ერბოში დადაღავენ (დაშუშავენ), მოდაღავენ, მოუდაღავენ (გოლთ.), დაწვავენ ანუ დაუწვავენ (თონ., მაწ.), დაასხამენ წყალს, როცა წამოადულებება, — უზამენ მარილს, შემდეგ შიგ ჩაყრიან დამტვრეულ პურს და ჩაასხამენ გათქვეფილ კვერცხს;

დააკდრან, რომ ჩაიორთქლოს (ორთქლში დარბილდეს) და მზად იქნება. ერბოში ან ქონში ხახვთან ერთად ან უხახვოდ მოშუშულ, წვრილად დამტვრეულ პურს ჭიმბური (გოლთ.) // ჭიმური ეწოდება. ჭირიხტა (ფარცხ.) (შდრ. წირიხტა. ს ა ბ ა) ასე მზადდება: გათქვეფილ კვერცხზე დაასხამენ რძეს და ფქვილთან ერთად აურევენ, შემდეგ ამ თხელ ცომს ერბოიან ცხელ ტაფაზე თითო სუფრის კოვხს დაასხამენ, — როცა ორივე მხრიდან შეიწვის, ლანგარზე გადმოიღებენ და ზედ თავლს გადაუსვამენ. ერთმა საღრაშენელმა ქალმა ჭირიხტა „ყიყლიყო“-ს უწოდა („კვერცხში ამაველეთ პურსა და მოჯჭომ ერბოში, დაიბროწება და ჭირიხტა ჰქვიან“).

მ ა რ ც ვ ლ ე უ ლ ი ს კ ე რ ძ ე ბ ი. ალგეთელებმა ხორბლის გარდა სხვა მარცვლეულის კერძებიც იციან. ლობიოსაგან ხარშავენ ლობიოს შეჭამანდს, რომელსაც ახლა ლობიოს კერძსაც ეძახიან (ჯორჯ.). საერთოდ, სიტყვა შეჭამანდი'ს ნაცვლად თანდათანობით ფეხს იკიდებს კერძი. ლობიო ქოთანში (სადულარში) იხარშება. ახლად ჩადგმული ლობიოს მარცვლები მალე ამოითვლება (ზევით ამოტრეტივდება), შემდეგ, როცა ხარშვაში შევა, ისევ ძირს დაიწვეს, ჩაითვლება (თონ., გოლთ.) და თანდათან ლაბას (სქელ წვეს. საღრ.) გამოუშვებს (რძის ფლავმა და კორკოტმა იცის ლაბა), როცა მოიხარშება, დანაყილ ნიგოზს უზამენ, ამოზელენ და ყველანაირი მწვანელით (ქინძი, კამა, ოხრახუში, ნიახური, ქონდარი, რეპანი, პიტნა) შეანელებენ. მშრალად, უწვნოდ ამოღებულ ლობიოს (და მისთ.) მარცვლებს, ხახვით, ძმრით და მარილით შენელებულს, კირკაჟი ეწოდება (გოლთ.). კირკაჟს მაგარ რასმე, მაგ. უხარშელა ლობიოსაც ეძახიან (თონ.); კარტოფილი რომ გამაგრდება, გაკირკაჟდაო, იტყვიან; გამოცდილი დიასახლისები პამიდორს გვიან უშვრებიან კარტოფილიან კერძში, რადგან პამიდორი კარტოფილს აკირკაჟებს (ამაგრებს. თბ., საღრ.). კირკაჟს (წვენიდან ამოღებულ მარცვლეულს) სირსველიც ეწოდება (ჩხ.); ძალიან გემრიელია სისირი კირკაჟად: ზეთს დაასხამენ, ხახვს დააჭრიან, მარილს მოაყრიან და მზადაა. სისირის შეჭამანდი არ შეიძლებაო (საღრ.), თუმცა სხვა დიასახლისის ცნობით დაღერლილი ან მთელ-მთელი სისირით შეიძლება წვენიანი კერძის დამზადებაც, ოღონდ, უმწვანილოდ (საღრ.), უწინ ხარშავდნენ, აგრეთვე ბაკლას შეჭამანდს („ლობიოსა გავს, მოყვითალოა, კუჭი შავათა აქ, ლობიოს მარცვალზე ცოტა უფრო დიდია“. საღრ.), ლობიოსავით იხარშებოდა, ძნელი ამოსაჭყლელი ყოფილა; აზავებდნენ ნიგვზით და მარილით (საღრ.). ცულისპირას შეჭამანდი უფრო გემრიელი ყოფილა, ვიდრე ბაკლა, „ოდნიე“

ნდომია ამოზელა (საღრ.). ლობიოს შექამანდი ორგვარი იციან: სალთი (სხვა მარცვლეულთან შეურეველი) და კორკოტიანი (კლდ.).

წენიანი კერძებიდან იციან, აგრეთვე, ხირხიტო ანუ ხირხიტოს შექამანდი (საღრ.), რომელიც იოლი დასამზადებელია: მდულარე წყალში ჩააპრიან ხახვს, უზამენ წეწვანს (მარილთან ერთად დანაყილი ნიგოზი. საღრ.), თუ თხელია, ცოტა ფქვილსაც მოუკიდებენ და ადუღებენ: მარხვის საკმელია. წეწვანს საზამთროდ ინახავენ ბონძიკაში (პირვიწრო და მუცელგანიერი მოჭიქული თიხის ქილა. საღრ.) (შდრ. „ბონძოტი“ საბა, „ბონძიტა“. დ. ჩუბ.), რომელშიც ციცხვის ტარით კარგად ჩატენიან, რომ არ დამძაღდეს და გრილ ადგილას შეინახავენ. ზამთარში, მწიფე შეინდის კერკისაგან (გათუთქული შეინდისა) ამზადებენ შვინდის შექამანდს (ჩხ.): მოხარშავენ შეინდის კერკს, ცივი წყლით გაანელებენ, გამოჟყლეტენ, კურკებს გადაყრიან, მოუკიდებენ ფქვილს, ჩაყრიან გამხმარ მწვანილს, გადმოღების დროს კი უზამენ დანაყილ ნიორს.

მ ხ ა ლ ე უ ლ ი ს კ ე რ ძ ე ბ ი. ზამთრისათვის გაღებად (გალა — აკინძული ბოსტნეული ან მხალეული) ინახავენ გამხმარ ღოღოს. რომლისაგანაც ხარშავენ ღოღოს შექამანდს: მოხარშულ ღოღოს მაგრად ამოწურავენ, დაკეპავენ და ისევ თავის წვენში ჩაყრიან, დააყრიან ბლომა ხახვს, შემდეგ ნიგოზს, წიწყას და გამხმარ მწვანილს (ჩხ.); ზოგი დიასახლისი ფქვილითა და ნივრით აზავებს. თეთრი და წითელი მხლისაგან აკეთებენ მხალს: მოხარშავენ, გაწურავენ, ხახვსა და კამას ერბოში მოხრაკავენ და აურევენ (გოლთ.). ყაყაჩოს მხალს ქორთა ყაყაჩოსაგან (სანამ ყვავილს გაიკეთებს) ხარშავენ, შემდეგ ხახვითა და ერბოთი ხრაკავენ; ძალიან გემრიელია (გოლთ.).

ხ ო რ ც ე უ ლ ი ს კ ე რ ძ ე ბ ი. მსუქანი ქათმის ნახარში წვენისაგან ამზადებენ ჩიხირთმას (მაწ.), აზავებენ ხახვით, ძმრით, კვერცხით, ცოტა ფქვილითა და მწვანილით. ყაურმა (თონ., გოლთ., ჯორჯ.) არის ღორის (ცხვრის) ხორცი ან ჯიგარი (თეთრიც გამოდგება, წითელიც), წვრილად დაჭრილი, დაბრაწული, შემდეგ ალყა-ალყა დაჭრილი ბლომა ხახვით, პილპილითა და წიწყით შეზავებული. ცხიმში რაიმე საკმლის (ხორცის, ხახვის, პამიდვრის) მოთუთქვას მოყაურმება (ჯორჯ., საღრ., ტბ.) ეწოდება. მაგ. „ეს ხახვი ერბოში მოყაურმეო“, იტყვიან (ტბ.). საქონლისა (მსხვილფეხა და წვრილფეხა) და ღორის ხორცის ან ჯიგრის მოყაურმება მაშინ იცო-ან, როცა ბევრი ხორცი აქვთ და ბასტურმად (ქილით შესანახად) უნდათ (ჯორჯ., ჩხ.). ბასტურმას, საჭიროების დროს ცოტ-ცოტას ამოიღებენ და გააცხელებენ. ბასტურმად უმ ხორცსაც დებენ: წვრი-

ლად დაქრინ, მარილს მოაყრიან, პირმოკრულ ქილაში შეინახავენ. ზაფხულში კარგა ხანს ძლებს და ზამთარში კი 3-4 თვეს ინახება.

მსუქანი ღორის ხორცის ან საქონლის ხორცისაგან ამზადებენ ხინკალს: ხორცს დაფქვავენ ნიორთან და ხახვთან ერთად, გადაზელებენ მარილით და პილპილით, გაახვევენ მაგრად მოზედილი ცომის პატარა-პატარა, გაბრტყელებულ გუნდებში და მდულარე წყალში მოხარშავენ (ჩხ.). ხორციანი ხინკლის გარდა იციან უხორცო ხინკლებიც (იხ. ზემოთ).

ხორცის წვნიანი კერძის ქაფს მონახადს (აგრეთვე ქაფს) ეძახიან (მონახადია მურაბის ქაფი და უმი რძის ნაღები ანუ არაყანიც). წვნიანი კერძისთვის ქაფის მოხდას მოქაფვას ეტყვიან (თონ.).

ღორის ქონის ან ცხვრის დუმის გადადნობისა და გადაწურვის შემდეგ დარჩენილ ანადნობს ხოხოზიკს (გოლთ., კლდ., საღრ.) ეძახიან. შემთბარ ხოხოზიკს პურით შეექცევიან. გადადნობა იციან ღორის ზურგის ქონისა (დ. იორამ.) და ნაფერდლებისა (საღრ.) (შღრ. მუცლის ქონი. დ. იორამ.). კახეთიდან გამოთხოვილი ქალები ხოხოზიკს ხიწიწს ეძახიან (საღრ.).

კერძის დამზადებასა და მიღებასთან დაკავშირებული ლექსიკა. საქმელს რომ მარილით შეაზავენ, მარილი გა(ვ)უსწორეო (შავს.), ან შევაგემეო (შავს.) იტყვიან. შეგემება მარილითა და სანელით შეაზავენასაც (ენაგ.) ნიშნავს (იხ. ქვემოთ). მლაშე კერძზე იტყვიან, მტუტეაო (თონ.), დამლაშებას დამტუტებას ეძახიან (პ. თონ.). ძალიან მლაშეს ვეძას ეტყვიან: „ისე მლაშეა, როგორც ვეძაო“ (ტბ.). (შღრ.) ვეძა ამოხდის თვალებიდან. (სხვისი სიკეთის დანახვა თვალებს სწვავს? ჯორჯ., ტბ.). ოდნავ მომეჯაოს მზე ეწოდება (მაწ.), ძალიან მეჯევს, — კოწმახი (პ. თონ.), ძალიან დამეჯევბას კი — დაკოწმახება (პ. თონ., ჩხ., მაწ.) — „რა გიქნია, კერძი დაგიკოწმახებიაო“, იტყვიან (პ. თონ.). ძალიან ტკბილს საქმელს, რომელიც სრულიად მოკლებულია სიმეჯევსა და სურნელებას, ლუყურტი ეწოდება (კლდ.).

კერძს სხვადასხვა სანელით (თონ., ენაგ.) ან სანელებლით (გოლთ.) // შესანელებლით (ჩხ.) (ხახვი, ნიორი, წიწყა, პილპილი, მწვანილი) შეანელებენ (შეაზავენ), რომ გემრიელი გამოვიდეს. შენელებას შეგემებასაც ეტყვიან (მაწ.). კერძის გემრიელად მოხარშვას გემოთი მოხარშვას (თონ.) ან გემოზე მოხარშვას (ჩხ., გოლთ., თონ., ბგვ., მაწ.) ეძახიან. „ზოგი გემოზე ხარშავს, ზოგი უგემურათ“. ბგვ.). შესაძლოა ერთი და იგივე საქმელი ერთს ეგემებოდეს (გემოთი მოსწონდეს, ეგემრიელებოდეს), მეორეს კი არა.



უცხიმო ან ცხიმნაკლებ საკმელს უარზანიკოს (საღრ., ფარცხ., შავს.) ეტყვიან (შღრ. გლ.). უარზანიკო კერძი უგემურად ითვლება („ვაიმეო, უარზანიკო კერძი შენთვინ ბევრჯელ მიკმევიო, შვილოო“. ფარცხ.), იგი უხეირო, უვარგის საკმელსაც ნიშნავს (საღრ.). ნოყიერ საკმელს ღონიერი საკმელი ეწოდება (თონ.).

გაცხელებული წყალი ან ცხელი საკმელი (უფრო წვნიანი) რომ გაცივდება, იტყვიან გალელეჩღაო (ღ. იორამ.), ლელეჩიოო (გოლოთ., ჩხ.). წყალი თუ ცეცხლზე დგას და ჯერ არ გაცხელებულა, გრილია, იტყვიან, ჯერ შიმიმთ არისო (გოლოთ.). წყალი რომ ოდნავ შეთბება, ყუჩი მოსტყდაო, ამბობენ (ჯორჯ., საღრ.). წყალი რომ აღულებას დააპირებს, — ასადულს არისო (კლდ.), ძალიან მღულარე წყალზე ან კერძზე იტყვიან კოჭზე დულსო (თონ.). კერძი თუ ძალიან დულს და გადმოსვლას აპირებს, — აუქავრებენ (ჩხ., ჯორჯ., ტბ.) // აუქავლებენ (გოლოთ., ბგვ.) (ციცხვით ან ჩამჩით რამდენჯერმე ამოიღებენ და მალლიდან უკანვე ჩაასხამენ, ჩააბრუნებენ გასაგრილებლად, ან ამოურევენ). აქავრება მღულარე ქვაბის ხუფის გაწევით<sup>38</sup> (ენაჯ.), ან ცეცხლისათვის მუგუზლის გამოცლითაც შეიძლება (ბგვ.). (ქვევრისათვის სარქველის ახდა ჰაერის ამოსასვლელად და მიიმე ტვირთის აწევაში შეშველებაც აქავრებაა (—აქარება)<sup>39</sup> (ჯორჯ.). „აქავრებას“ აწევ-დაწევასაც ეტყვიან, ციცხვით ასწევ-დასწევენ (ბგვ.). ცეცხლზე რომ ქვაბი ამოშრება, ქვაბი დაიხახაო, ამბობენ (თონ., ჩხ., გოლოთ., მაწ.). ცხარე ცეცხლზე რომ საკმელი დაიწვის (ქვაბი ძირზე მიიწვავს), აიხრაკაო, იტყვიან (პ. თონ., გოლოთ., ჩხ., მაწ.). ნელ ცეცხლზე ხარშვას (ან დულილს) ნებაზე ხარშვას (ნებაზე დულილს) (პ. თონ.) ეძახიან. ზოგი კერძი, მაგ. ლობიო, ნებაზე უნდა მოიხარშოს, რომ გემრიელი გამოვიდეს („ნებაზე მოხარშული ლობიოჰთანა არაფერი არ არის!“ პ. თონ.). ნებაზე კეთება საქმისა, აუჩქარებლად კეთებაა, მაგ. თონიდან ნებაზე ამოყრიან პურს (პ. თონ.), ნებაზე დარეცხავენ ჭურჭელს („სტუმრები წავლენ და მერე ნებაზე დავრეცხამ კურკელსა“. ს. ლოლოვანი<sup>40</sup>) და სხვა.

კარტოფილი რომ კარგად მოიხარშება და გადაიშლება (ზოგმა

<sup>38</sup> იგივე მნიშვნელობა აქვს აქავრებას კახეთში, სოფ. ფშაველში (ცნობა მოგვაწოდა ლალი იორდანიშვილმა).

<sup>39</sup> შღრ. ხელს აუქარებებს — 'ხელს შეაშველებს' და დარდს აუქარებებს — 'დარდს შეუმსუბუქებს' (ქ. კასპი. ცნობა მოგვაწოდა თინა დვინაძემ).

<sup>40</sup> ცნობა, სადოკუმენტაციო ფრაზიოლოგიის, მოგვაწოდა მაყვალა გალდავაძემ.

ჯიშმა იცის). — ჩაიფუშა, ჩაფუშულა (პ. თონ., გოლთ.), გაიფუშა (ჩხ.), ან გად(ა)იფუშაო (თონ.), იტყვიან.

მეტი ხარშვით ხორცს ძალა რომ მოუვა (ძვალს რომ ხორცი მოსცილდება), ჩაიხვეწაო, იტყვიან (თონ.).

დაძველებული საკმლის გადახალისება. ერბო ან ქონი რომ დაუძველდებათ და სიმწარე მიეცემა, — გადაახლებენ (გოლთ., მაწ.): ცხელ ერბოს ცივ წყალში ჩაასხამენ და ხახვს ჩააპრიან ღიდრონ „ნაკვეთბად“ (ნაქრებად), ხახვი სიმწარეს გამოაცლის და ქუქყთან ერთად ძირს ჩაილეკება, გაყინულ სუფთა ერბოს კი წყალი თავზე მოიგდება. გადაახლებას გადახალისებასაც ეტყვიან. ერბოს გადახალისება, უფრო მარტივად, გადადნობითაც ხდება, შეიძლება დუღილი აკლდეს, ამიტომ დაადუღებენ (დუღილს დაუსრულებენ. ტბ.), რომ გემო დაეწმინდოს (ტბ.). კარაქის ერბოდ გადადნობის ან ერბოს გადაახლების შემდეგ დარჩენილ ხარჯს ნადუღარი (ტბ.) ეწოდება (შდრ. ნადუღარა. გვ. 145). გადახალისება ძველი (2—3 დღის) საკმლისაც შეიძლება: საკმელს, მაგ., ლობიოს, წამოადუღებენ და რაიმე სანელებელს დაუმატებენ. მურაბის გადახალისება ასე ხდება: დაშაქრულ მურაბას დაუმატებენ წყალს და წამოადუღებენ, — თუ ობი აქვს მოკიდებული, მოხდიან, შაქარს დაუმატებენ და ცოტა ხანს ადუღებენ.

მარცვალ-მარცვალ ერბოს, მომსხო მარილს და მისთ. ხვიშირი (ტბ., ფარცხ.) // ხვიშირი (თონ) // ხვრიში (გოლთ.) და ხვრიშ-ხვრიშიც (სალრ.) ეწოდება. ხვიშირ მარილს ხმარობენ ცომის მოსაზელად, გუდაში ყველის შესანახად და სხვა.

ქურჭლის მოვლა. ქურჭელს, განსაკუთრებით თიხისას, გამომდღურავენ (მყულარე წყლით გამორეცხავენ. მაწ.), რომ შმორის სუნი და ქუქყი გასცილდეს.

სპილენძის ქურჭელი მოკალული უნდა იყოს, რომ ფახირი (მწვანე ჟანგი; შდრ. თურქ. bakir 'სპილენძი') არა ჰქონდეს (კლდ.), თუ ქვაბი მოუკალავია ან ჟანგიანია, კერძს გაფახირავს (გააფუქებს, მოწამლავს. სალრ., ტბ.) („ქვაბმა გააძფახირაო“, ტბ.; „გაუფახირია ქვაბს კერძი“. ტბ.). გაფახირვას აქაური მთიულები მოსინვას ეძახიან, — ქვაბმა კერძი მოსინაო („თქვენ იტყვით, ქვაბმა მოგვიწამლა ხალხიო, მთიულურათ იტყვიან: მოსინა, მოსინული“, მაწ.) შდრ. ფშ. სინა — სპილენძის მწვანე ჟანგი<sup>41</sup>.

<sup>41</sup> აღ. ჰინკარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 247.

ს უ ფ რ ა. დამზადებულ საქმელს დიასახლისი გაუყერძავს ანუ გაჰყერძავს (კლდ.) ოჯახის წევრებს.

მთელი დღის უქმელი ადამიანი (ჩერ ერთი ლუკმაც რომ არ მიუღია), იტყვის: „უნაწილო ვარ დღესა“ (თონ., ჩხ.). „დღეს ნაწილი არ ჩასულა ჩემ პირშიო“ (დ. იორამ.). ძალიან დამშეულ ადამიანზე იტყვიან, გადაწუხებულთა შიმშილითაო (გოლთ.), ანდა შიმშილით გული გადაეწირა (ჯორჯ.), გული გადაელია (ჯორჯ.), გული გადაეფერაო (სალრ.), ძალიან დამშეულ ან საქმელზე დახარბებულ ადამიანზე იტყვიან, დაჭიმითებულიაო (თონ., ჩხ.) (შდრ. გლ. ქ ი მ ი თ ი კუთხ. კახ. დამშეულის სიხარბე ჭამა-სამაში). დაჭიმითებულს დახაწიწებულსაც ეტყვიან (ჩხ., შავს.). რაიმე საქმელი ძალიან რომ უნდა ადამიანს, იტყვიან (ამ საქმლისთვის) სინსილა მისდისო (დ. იორამ.). დიდ ლუკმებს რომ იღებს ვინმე, იღმურძღებაო (კლდ.) ან ღმურძღავსო (თონ.), ამბობენ. ღმურძღი დიდი ლუკმაა (კლდ.). ძალიან ბევრს, მაღიანად რომ ჭამს ვინმე, იტყვიან იტორებაო (თონ.), სულ ერთიანად რომ ამოჭამს საქმელს დიდი ჭურჭლიდან — სულ ამოუტორიაო (ქვაბი, ჯამი) (თონ.), (შდრ. „რა ქენი, ამოიტორე მუცელი?“ დ. იორამ.). ჩუმად, მალულად რამის შეჭმას გასუნთქვას ეძახიან (თონ.). აყინჩა, აყინჩულიაო, იტყვიან ადამიანზე, ვინც ძალიან დანაყრდა, საქმელი მეტი მოუვიდა, ან მსუქანი საქმლისაგან გული აუმსუყდა (სალრ., ჯორჯ., ბგვ.) (შდრ. ყ ი ნ ჩ ი ს ა ჭ მ ე ლ ი კუთხ. ქართლ. — ნოყიერი საქმელი. გლ), (შდრ. ა ი ყ ი ნ ჩ ე ბ ა თავისერს ძალიან მალლა ასწევს, აიჭიმება. კლდ.) (იხ. ა ყ ი ნ ჩ უ ლ ი. ს ა ბ ა). როდესაც რაიმე საქმლის გემოს ნახვა ძალიან უნდათ, იტყვიან ნეტავი ერთი პირი დამადებინაო, ნეტავი ერთი პირი დავადოვო (ტბ.) (ნეტავი გემო მაჩვენაო).

ვინც, საერთოდ, ძალიან ცოტას ჭამს, უქმელს ეძახიან (ჩხ.), ვისაც ჭამის მადა დაეკარგა, იშტიდან (// ისტიდან) გადავარდაო, ამბობენ (თონ.). უმაღლო ადამიანს შეიძლება იშტა (// ისტა მოჰგვარონ (თონ.) (მადა გაუღვიძონ). როცა ადამიანი ვერაფერს ვერ ჭამს, „რა კრიჭა შეგეკრაო“, ეტყვიან (თ. წყ., დ. იორამ.). (მომაკვდავო ადამიანი ყბას რომ ველარ ხსნის, იმაზეც იტყვიან კრიჭა შეეკრაო. შავს.).

ფრინველის ძვალს ხორცს რომ ერთიანად შეაცლიან და გამოხრავენ, გახიწნა, გამოხიწნაო (შავს.), ამბობენ (სახლის გახიწვნა სახლიდან ყველაფერის გატანას, მითვისებას ნიშნავს. დ. იორამ.) გამოხიწნას გამოწიწვნასაც (კლდ.) ეძახიან. ფრინველის ხორცს რომ უცებ გაგლეჯენ და შექამენ, გაკლერწაო, ამბობენ (თონ., პ. თონ ,

ჩხ.) (თხა რომ ხეს წერილ ტოტებსა და ფოთლებს შუაცლის, იმაზეც იტყვიან, გაკლერწაო. ჩხ.).

კერძში პურის ჩაყრას მთიულები ჩაქლას ეტყვიან („კერძში პური ჩა ვ ი ქ ა ლ ე ო“. მაწ.).

კამის დამთავრების შემდეგ სუფრას აუმატებენ (სუფრას აალაგებენ. ჩხ.).

ერთი, სოფ. გოხნარიდან თონეთში გადმოსახლებული, დედაბრისაგან გავიგონეთ ანდაზა, რომლის მიხედვითაც საკმელ-სასმელს (თუ სარჩო-საბადებელს?) თითქოს საწუთრო ეწოდება: „გარჯილობას რა მოაქსო, — საწუთრო დაუღვეელიო“ (თონ., ვარუა გოხანბე); ამ ანდაზას შემდეგ მ ე ლ ა ნ ი ა ს „ბნელო“-შიც შევხვდით.

### თ ი ბ ვ ა

გაზაფხულის პირზე სათიბებს ჯაგ(ვ)ავენ (ბუჩქნარისა და ჯაგებისაგან წმენდენ. კლდ.).

საუკეთესო სათივე ბალახად მთის ბალახი ითვლება, რადგან ყველაზე სუფთა, წმინდა და დაბალი ბალახი მთაში იცის, სამაგიეროდ ასეთი ბალახის გათიბვაც ძნელია, რადგან წმინდა ბეწვი (თ. წყ.) აქვს. თივა არის მზის გულისა და ჩრდილისა. მზის გულის თივა უფრო ნოყიერია, ვიდრე ჩრდილისა. ჩრდილისაა, მაგ., ტყის ბალახი.

მარტიდან, როცა ბალახი ამოვა, სათიბს დააკორულებენ (მაწ.) // დააკორულებენ (ჩხ.) ანუ კორულად // ყორულად (ნაკრძალად) შეკრავენ, რათა არავინ ისარგებლოს, არც კაცმა, არც საქონელმა. ყორულს მეველე იცავს (აკორულებენ ტყესაც).

თიბვა იციან თიბათვეში (ენაგ.) ან მკათათვეში (თონ.), როცა თივა უკვე დაპურებულია (მოსულია. კლდ.). თუ ბალახი თავის დროზე არ გაითიბა და დაბერდა (თონ.), — სინოყიერესა და გემოსჰკარგავს („ის გემოვნება აღარა აქ“. თონ.) და საქონელს ვერ აძლებს (თ. წყ.). თივა დაიწვაო, იტყვიან, როცა ძალიან გახმება ბალახი (კლდ.) („გოხებში და იწვა თივა, წავიდეთ, ჯერ ის გავთიბოთ!“ კლდ.: „ჩვენ გოხ ვეძახით, საცა რო მაღალი ალაგია და თივა მოდის, დაბალი ბალახი“. კლდ.). მოთიბვა არის ცელით რომ მოჭრი, რასაც ნამგალი ვერ მიუღდება, დაბალია: მოთიბვა შეიძლება თივისა, ქერისა, პურისა (თონ.).

ბალახს თიბავენ (ცელავენ) ცელით. ცელის ნაწილებია: საკუთრივ ცელი (რკინის ნაწილი) (შავს.) და ტარი (ენაგ.). საკუთრივ ცელს ცელის პირსაც ეძახიან (თონ.). ტარს შინა სჭრიდნენ, თხი-

ლისას, მაგარია და მსუბუქი (ენაგ.). ცელის პირს ტართან ამაგრებს ცელის რგოლი (რკინისაა, თ. წყ.), რომელიც ჩამოცმულია ცელის ტარზე, ცელის პირის ქვემოთ. ცელის რგოლს ხალტასაც ეძახიან (ფარცხ.). ხალტასა და ტარს შუა, სიმაგრისათვის, სოლია გაჭედლი. ცელს აქვს, აგრეთვე, ქუსლი (თონ., ფარცხ.) ანუ კურწი (თონ.) // კუნწი (ფარცხ.). ცელს ტარზე (შუაწელს ზემოთ) მიმაგრებული აქვს ხის სახელური (ფარცხ.); სახელური მორკალული ხისაც კეთდება (ნედლ ტოტს მოჰკაკვავენ და ცელის ტარის ამონაჭდევეში ჩაამაგრებენ მსხვილი კანაფით) და მაშინ მას ცელის რკალსაც ეძახიან (თონ.). სახელური (თიბვისას) მარჯვენა ხელის მოსაეღებადაა, მარცხენით კი ცელის ტარი უჭირავთ (თონ.).

სათიბებში (უფრო მთაში) იცის ჭინჭვლის გორები (ტბ., სარ.) (ჭიანჭველებისაგან „ამოფხვიერებული“, ბურთივით ამოზიდული და ბალახით დაფარული მიწა), რომლებსაც ჭინჭრის გორებსაც ეძახიან (თონ., თ. წყ.); მთიბავეები ერიდებიან მათ, რომ ცელი არ მოედოს, რადგან პირი უფუჭდება. თიბვის დროს ცელს რამდენიმე საათში ერთხელ უნდა პირის გაკეთება. მჭრელპირიანი სამეურნეო იარაღი (თოხი, სახნისი, საკვეთი, ცული, წალდი, ხელეჩო, მიწის სათხრელი წერაქვი, ქვის სათლელი წერაქვი, შალაშინის პირი, საჭრეთელი) რომ დაჩლუნგდება, ან პირი დაეგრიხება, — მკედელს მიუტანენ, მკედელი გაახურებს, გრდემზე (—გრდემზე. პ. თონ.) დადებს და ჩაქუჩის ცემით პირს გაუთხელებს (შემდეგ გაილესება); ამას გამოწკეპას ეძახიან (ჩხ., გოლთ., მაწ., ტბ., ფარცხ.). გამოწკეპას იშვიათად გაწკეპასაც ეძახიან (მაწ.) („გაწკეპას რაქველები იტყვიან, ჩვენ, — გამოწკეპას“. ტბ.). ცელს თვითონ მთიბავეები გამოწკეპავენ (თონ.) გაუხურებლად, იმისი გახურება არ შეიძლება. გამოწკეპას გამოკვერვაც ეწოდება (თონ., ჩხ., კლდ.). ცელს კვერზე (ჩხ., თონ.) ანუ საკვერავზე გამოკვერავდნენ (თონ., შავს.) („ჩაქუჩით გაყება“. შავს.) გამოსაკვერი ჩაქუჩით (თონ., შავს., კლდ.) („ცელის ჩაქუჩი პტყელპირაა“. კლდ.) (გამოსაკვერი ჩაქუჩით სასოფლო-სამეურნეო იარაღებს კვერავენ. თონ.). ცელის კვერს ანუ საკვერავს ახლა ცელის დაზგახა (თონ.) და ზოგჯერ გრდემსაც (ტბ., ჩხ., თ. წყ.; შდრ. მკედლის გრდემი) ეძახიან („წინათ საკვერავი იყო რგვალი, ცელსა სდებდნენ ზედა და ისე სცემდნენ, ეხლა თხელია გრდემი“. ჩხ.), თუმცა გრდემი ფაქტიურად ცელის დაზგის მხოლოდ ნაწილია (იხ. ქვემოთ). ცელის დაზგა გათლილი პატარა ხის მორია, შედგმული სამ ფეხზე, წინ დამაგრებული აქვს პატარა რკინის ზინდანი (თონ.) // ზინდალი (ჩხ.)

(ესაა სწორედ გრდემი); მორზე მთიბავი გადაჯდება, როგორ ცხენზე და ზინდანზე კვერავს ცელს („წინათ გამოკვერვას ეტყოდნენ; წინათ სხვანაირათ კვერავდნენ, ეხლა სხვანაირათ: წინათ კვერი იყო, ეხლა ზინდალი“. ჩხ.). ზინდანს ეძახიან, აგრეთვე, ცელის დაზვას მთლიანად. ცელს ხშირ-ხშირად უნდა აღესვა ანუ გალესვაც (თონ.; „ერთი-ორი ქელი რო გაუაროს მთიბავმა, ახლა უნდა გალესოს ცელი“. თონ.). ცელს ლესავენ სალესით (თ. წყ.) ანუ სალესავით. ცელის სალესავი ხროკიანია (თ. წყ.) (ხორკლიანი), ანუ ხვრიწყიანი (საღრ., ჯორჯ.), (ნამგლისა უფრო წმინდაა. ჯორჯ.). როცა ცელი ხმარებისაგან გაიღვეა (თონ.), გადაადგებენ (თონ., თ. წყ.). ასე არ ექცევიან სხვა იარაღებს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ: პირგაცვეთილ რკინის იარაღს მკედელი პირს დაუგრძელებს გახურებითა და გაბრტყელებით: ნალსა და მისებრ პატარა საგნებს ქურაში გაახურებენ და ჩაქუჩის ცემით გაადიდებენ, ამას გაწევას ეძახიან (თონ.). მკრელპირიან იარაღს ფოლადი რომ მოაცვდება, — უნდა დაიპიროს, („დაპირვა არი ფოლადის დამატება, დაპირვა მკედლის საქმეა“. ჩხ.), რაც ასე ხდება: მკედელი გაახურებს დასაპირ იარაღს, ფოლადს წაუმატებს (ზედ ფოლადს დაადებს და „აადულებს“. თონ.), ანუ ფოლადს დაუდებს (გოლთ.) და გამოსაკვერი ჩაქუჩით გამოკვერავს, შემდეგ ქლიბით გაქლიბავს. დაპირული სახნისი თუ გრძელი მოვა, — წააპირიან (თონ.).

მკედლის საქმეა, აგრეთვე, ურმის თვლების შერკინვა („რკინას შამააკრამენ ხის თვლებსა, შადულებს და შაირკინა თვალ!“ გოლთ.), ანუ დარკინვა (თონ.). რკინის გახურების დროს მკედელი გავარვარებულ რკინას ზედ აყრის თანუქარს (თეთრი ფხვნილია. თონ.), — რკინას ალბობს და კარგად დულდებაო.

ყანის თიბვის დროს ცელთან ერთად ხმარობენ ცელის ფოცხს: (სამთითიანი ხელის მტევენის მსგავსი ხის იარაღი. თონ., თ. წყ.), რომელსაც თავისი რგოლით ცელის ტარზე ჩამოაცვამენ ხოლმე ცელის პირთან ახლოს. თიბვისას ცელის ფოცხი მოთიბულ თავთავს ერთ მხარეზე აწყობს ხელეუბრებით, რომ არ გაიფანტოს და მარცვალი არ გასცივიდეს (თ. წყ.). პატარა ადგილის, ან ვიწრო ზოლის (მაგ. მზღვარის) გათიბვას გამოთიბვას ან გამოცვლვას (მაწ., თონ.) ეძახიან. ადგილს, სადაც ბალახი იყო და გათიბეს, ნათიბი ჰქვია („სანამ გავთიბამ ყორულია, მემრე, როცა გავთიბამ, — ნათიბია“ მაწ.; „კორულები გაითიბა, ნათიბში შარეკე საქონელიო, იტყვიან“. მაწ.). ნათიბს ეძახიან, აგრეთვე, მოთიბულ ბალახს, თივას („ნა-

თიბი არის გათიბული თივა რო ყრია“. თ. წყ.; „ნათიბი უნდა მოვაქუჩოთ“. საღრ.).

მთიბავის მიერ ერთ გავლაზე მოცელილი თივის ან ყანის გრძელ ზოლს ჭელი (თონ., მაწ., ჩხ., ჯორჯ., ტბ., საღრ., ფარცხ.) ეწოდება. ჭელს ნამხრევს (მაწ.) (მთ. ნამჯრევი) ან ნამხრეულსაც (მაწ.) ეძახიან („მოხუცი ხალხი სუ ნამხრევს ამბობს, ახალგაზრდები ჭელსა“. მაწ.). როგორც ჩანს, ნამხრევი მთიანეთის ლექსიკონიდანაა შეთვისებული, რადგან მას უპირატესად მთიულების მეტყველებში ვხვდებით, ქართულ მოსახლეობაში კი მისი ეკვივალენტი ჭელი არის გაბატონებული.

მთიბულ ჭელს ადგილობრივ ტოვებენ, რომ განმეს: შემდეგ ორთითთ აჩენჩხავენ (აურევენ, გააბუებენ), რომ მალე გაშრეს. შემხმარ ჭელებს აქეთ-იქიდან ორთითთვე შუისაკენ მიჰყვავენ (ჩხ.) (მიჰყრიან), ააგროვებენ (მაწ.), რასაც დაღვარეულება (პ. თონ., ფარცხ., საღრ.), აღვარეულება (ჩხ., ტბ.), შეღვარეულება (ტბ.) ან მიღვარეულება (ფარცხ.) ეწოდება; აღვარეულებული თივის გრძელ მომადლო გროვას ღვარეული (ტბ., ჩხ., ფარცხ., მაწ., პ. თონ.) ჰქვია. ღვარეულს ტოვებენ მინდორში, რომ ნიავმა გაუაროს, შემდეგ, როცა გამოშრება, რამდენიმე ნაწილად დაყოფენ და ბულულებად დადგამენ (პატარა-პატარა ზვინებად ააგროვებენ) („ეს ღვარეული ორ ბულულათ დავდგათ“. პ. თონ.), დაბულულებენ (თონ., ჩხ.) („ჩვენ ავალღვარეულებთ, თქვენ დააბულულეთ!“ ჩხ.), ანუ ააბულულებენ (თ. წყ.). დაბულულება იციან ნამჯისაც და ყველაფრისა, რაც ცელით გაითიბება, მაგრამ რაც იკონება (პური, ქერი), იმისი ბულული არ შეიძლება (თ. წყ.). ჭელების აღვარეულებისა და დაბულულების შემდეგ ძირში დარჩენილ თივას დაფოცხავენ (პ. თონ., ჩხ., გოლთ., მაწ., თ. წყ.), დაფოცხებენ (პ. თონ., თ. წყ.), მოფოცხავენ (თონ., ჩხ.) ანუ მოაფოცხებენ (თონ.) (ფოცხით მოაგროვებენ). ფოცხი ნათიბის მოსაგროვებელი გრძელტარიანი ხის იარაღია, ტარს ბოლოში დამაგრებული აქვს დეღანი, დეღანში ჩასხმულია ფოცხის თითები (თონ.), თითებს კბილებსაც ეძახიან (თ. წყ.; დაფოცხებით ახლად დათესილ მიწასაც, მაგ. ბოსტანს, აფხვიერებენ. პ. თონ.). დაბულულების შემდეგ ბულულები უნდა შეაერთონ და ძირებად დადგან (ძირი ვიწროდ თავმოყვანილი ან გრძლად გაწოლილი დიდი ზვინია თივისა, ძნისა ან ნამჯისა) (ჩხ., გოლთ., მაწ.), რასაც დაძირვას ეძახიან (თონ., გოლთ., მაწ., ჩხ., ენაგ.) („თივის ძირები დავდგით, თივა დავძირეთ“. გოლთ.; „დიდრონ ძირებ დადგა-

მენ“: ჩხ.; „აქამდინ თივებსა ს ძ ი რ ა მ დ ნ ე ნ, ეხლა ძნებსა“.  
 თონ.). ბულულსა და ძირს ფეხით დაქეღავენ (დატყეპნიან),  
 რომ დაჯდეს (დაიწიოს) და მეტი დავიდეს (თონ.; დაჯდება მიწაც,  
 როცა კალოს მორწყავენ). ძირავენ, აგრეთვე, ძნასა და ნამჭას. ნამ-  
 ჭისა და ძნის ძირებს მინდორში ტოვებენ ბინაზე (კალოზე) გადა-  
 ტანამდე, თივის ძირი კი შესაძლოა საზამთროდაც იქვე დარჩეს.  
 ვისაც თივა მაშინვე შინ წასაღებად უნდა, მინდორში აღარ დაძირა-  
 ვენ, ურემს მიიტანენ და ბულულებს ურემზე გადაიტანენ შემდეგ-  
 ნაირად: ერთი კაცი ურემზე დგას, ერთიც ბულულიდან ორთითით  
 იღებს თივას თალამ-თალამ (თითო თალამს). (თალამი არის რასაც  
 დამჭდარ თივას ერთი ორთითით, „ვილკით“ აიღებს კაცი. ენაგ.) და  
 ურემზე მდგომს აწვდის, ისიც ორთითით ჩაავლებს, დაუდებს ურემ-  
 ზე და გაასწორებს. მინდვრიდან შინ მიტანილი თივის დიდ ძირს  
 დადგამენ სათივეში (შემოლობილი ადგილი ეზოში თივის შესანა-  
 ხად. კლდ., ენაგ.), მხოლოდ მიწას არ დაანდობენ, რომ არ დალპეს:  
 ქვეშ ფიხს გაუშლიან, ან მიწაზე ქვებს დააწყობენ, ამის ზემოდან  
 ხეებს გააწყობენ და შემდეგ ზედ აშენებენ თივას. თივის ძირი ქვე-  
 მოთ განიერია, ზემოთ თანდათან თავს მოუყვანენ (შავს.) (მალლა  
 და მალლა თანდათან ვიწროდ აიყვანენ), რომ არ გადაიქცეს; საბო-  
 ლოოდ შუაში მარგილს ჩაურჭობენ სიმაგრისათვის (შავს.). ქარი-  
 საგან დასაცავად ზედ გადაჰკიდებენ ღარ-კავს (პ. თონ.) ანუ გადა-  
 საკიდებს (ენაგ.) (წნელით ერთმანეთზე გადაბმული ორი ძელი ან  
 კეტი), რომელიც კარგად იჭერს თივას და ქარი ველარაფერს აკლებს.  
 ღარ-კავის ნაცვლად, ზოგჯერ დაგრეხილ წნელსაც იყენებენ, რო-  
 მელსაც ბოლოებზე მძიმე ქვებს ჰკიდებენ (თ. წყ.) (ღარ-კავი შენო-  
 ბასაც აქვს. იხ. გლ). თივის ძირს ქვეშ დასცივა ხოლმე ნაფშვენი  
 ფოთოლი, ყვავილი და წვრილი თესლი, რასაც ბრელოს<sup>42</sup> ეძახიან  
 (ჩხ., გოლთ., მაწ., შავს., ენაგ.). ბრელო თივის მთავარი ნაწილია  
 („ბ რ ე ლ ო თივისაა“. ენაგ.). „ბ რ ე ლ ო სუ დასცივიდა, ეს  
 თივა აღარ ვარგაო“ (ჩხ.), იტყვიან. უწინ თივას ჩხებზედაც დგამ-  
 დნენ (ჩხა ორკაპა ხე): ოთხ ჩხას ჩასვამდნენ მიწაში და ზედ დად-  
 გამდნენ თივას (თონ.). ჩხებს იყენებენ, აგრეთვე, ცოტაოდენი ბა-  
 ლახის ან თივის მოსატანად, როცა სახედრით ან ცხენით აპირებენ  
 წასვლას: წყვილ-წყვილ ჩხას, ერთმანეთზე თოკით გადაბმულს, გა-  
 დაჰკიდებენ სახედარს ან ცხენს, ერთ წყვილს წინ, ერთ წყვილს უკან  
 და ორივე მხარეს ცალ-ცალკე დატვირთავენ („გამაიტა ჩხები, ხო-  
 ზეთს მივდივარ, ბალახი უნდა ჩამოვიტანო!“ თონ.). (ჩხებით ეზიდ-

<sup>42</sup> შღრ. კ ი რ ი ო ნ ი, სალექსიკონო მასალა, გვ. 6.



ბიან შეშასაც, როცა ცოტა შეშის მოტანა უნდათ. თონ.) (ჯონზე აკინძულ ხილს, მაგ. ბაღს და ნეფე-დედოფლის მახასაც ჩხახ ეძახიან).

საპალნე თივა არის სახედრით ან ცხენით ერთ გზობაზე მოტანილი თივა (ჩხ.). შინ მოტანილ თივას ზამთარში, „გორგობისთვიდან მარტის გასვლამდინ“ აქმევენ საქონელს (მსხვილს და წვრილს): აქაურ გლეხების ცნობით, რაც მიწაში ბალახი ამოვა, ყველაფერსა ჭამს საქონელი, ყველა თივად გამოდგება; ქვემო ქართლში ბალახის თესვას არ მისდევენ (ენაგ.).

ბალახები. სარეველა ბალახებია: ენდრონიკა (ჩხ., საღრ.), „ყანაში მეერევა, ზედ გადაუვლის, ნაბადივით გადაეფარება, ისე დაიმორჩილებს, რო ყანა სუ გაქრება“ (ჩხ.); ჭიჭორა „მავნებელი ბალახია პურისა, ეკლიანი ნაყოფი აქვს, არც საქონელი სჭამს“ (თონ.) (იხ. ქ ი ო ტ ა, გლ); ჭანგა ცუდი, ძნელად მოსაშორებელი სარეველაა (ფარცხ., ტბ.); გორველა პურში ურევია ხოლმე, მრგვალი შავი პრიალა მარცვლები აქვს, გორველიანი პური შავი გამოდის (თონ.); ღვარძლი პურს ერევა, მათრობელაა და გულის ამრევი, უფრო წვიმიან ამინდებში იცის. მხალეული და სამწნილე ბალახებია: არჯაყელა, ტყისა და მინდვრის მცენარეა, როცა ნორჩია, აკეთებენ მხალსა და მწნილს (ჩხ., მაწ.); თეთრი მხალისაგან ხლოვანას აცხობენ აქაური მთიულები (მაწ.) (იხ. ჯ ი ჯ ლ ა ყ ა, ა. მაყ.); წითელი მხალიც არის (საღრ.); ყაყაჩოს მხალი ყანაში და ვენახებში იცის, აპრილში ამოდის, ქორფობისას ფოთლები ბრტყელი აქვს, „ტაბაკასავით“ გაშლილი; ამ დროს ვარგა მხლად (ბგვ., ჯორჯ.). ყაყაჩოს მხალს მხალი-ბალახიც ჰქვია (საღრ.), როცა გაიზრდება ყაყაჩო ხდება. ყაყაჩოს კოკრებს ყაყაჩოს ძუძუებს ეძახიან ბავშვები (პ. თონ.); ტაბაკაც მხალია (იხ. ტ ა ბ ა კ ა - მ ხ ა ლ ი, ა. მაყ.); ღოღო გრძელფოთოლა მცენარეა, დაწნულს ახმობენ და ზამთარში შექამანდს აკეთებენ (მაწ.); ღოღოშმაკა გრძელ და სქელფოთლიანი ბალახია, იზრდება ბუჩქ-ბუჩქად (თონ., მაწ.) („ხრენია“. თონ.) (შღრ. „ღოღოშმაკა არ იქმება“. გლ). სამწნილე ბალახებია: ღინჭორა, „სახრესავით“ მსხვილ ღეროს იკეთებს, კარგი მწნილი იცის (ფარცხ.). ღინჭორას ღვრიწჳოლასაც ეძახიან (ტბ.) (შღრ. ღ რ ი ნ ჭ ო ლ ა, ჭ ყ ი მ ი, ა. მაყ.); ჭარქვეტა დედამიწაზე გაშლილია ხოლმე, „გატყნაპული“ (მთ.), გემრიელი სამწნილეა, მაის-თიბათვეში იცის ხრიოკებზე (თონ., მაწ.); კოფჩილო (იხ. კ ო ფ რ ჩ ი ლ ა. გლ) ყანებში და ტყეში იცის მაის-თიბათვეში; მას ფოთოლს აცლიან და ისე ამწნილებენ, გემრიელი მწნილი იცის, შეძლება მხალიც გაკეთ-

დეს (თონ., ჩხ., საღრ., მაწ., ჯორჯ.); კოფჩხილო ყეტოა<sup>43</sup> (კოფჩხი-  
ლოს, ღიმას, თელახაშის, მქაუნას და მისთ. მომსხო რბილი ღერო,  
რომელიც ნორჩობაში იქმება და სამწნილედ, სამხლედ ვარგა; რო  
დაბერდებ, — გახვედება. ჩხ., ჯორჯ., საღრ., ტბ.) ყეტოს ყოტიც  
ჰქეა (გოლთ., ჯორჯ., მაწ., ტბ.); საერთოდ მცენარის ნორჩ ყლორტ-  
საც ყოტს ეძახიან; მაგ., იტყვიან: მაყვლის ყოტი (გოლთ.); დიყს  
აქაურები დიყინას (ყლდ.; იხ. ა. მაყ.) ანუ თელახაშს ეძახიან. ამ  
მცენარის ყოტს ფტქენიან და ჰამენ, ანდა მწნილად დებენ; გაზაფ-  
ხულზე ამოდის ხეებში, აქვს თეთრი ყვაილი (თონ., ტბ.) (შღრ.  
ა. მაყ. თ ე ლ ა ხ ა რ შ ი); ღიმი (თონ.), ანუ ღიმა (გოლთ., ჩხ.) ყა-  
ნებძი იყის მან-თიბათეში, მწნილად დებენ. ღიმას მიწაში წვრილი  
ძირი აქვს, როგორც კარტოფილი, რომელსაც ატოლას ეძახიან.  
გაზაფხულზე გუთანს ამოსდევს, ქერქს აცლიან და ჰამენ (ჩხ.) (შღრ.  
ა ტ ო ლ ი, გლ). ატოლას ადგილობრივ მთიულებში ფხოლა ანუ  
ფხოლას ღიმი ეწოდება (მაწ.) (შღრ. ფ ხ ო ლ ი, გლ); ყინწორას  
ღერო იქმება, მწნილიც კარგი გამოდის (ჯორჯ.). ყინწორას გრძელ-  
კისერა კაცსაც ეძახიან და გრძელ კისერსაც: „რა ყინწორა  
კისერი ჰქონდაო“ (საღრ.); ჩალამბარა საქმელი ბალახია, „ლო-  
მის მაგვაროა, ღიმის გემო აქ“, ღობის ძირებში იყის (შავს.).

საქმელად, წამლად ან სხვაფრივ ვარგისი ბალახებია: ბორხვენა  
(საღრ., ბგვ., ტბ.) (ბ უ ე რ ა. ა. მაყ.), რომელსაც დიდრონი და  
გრძელყუნწიანი, ქოლგასავით ფოთლები აქვს, „შაჭრილ-შაჭრილი“,  
ახლად ამოხეთქილი ბორხვენა კუჭებს (იხ. გვ. 165) იყთებს, რომ-  
ლებსაც ბავშვები ჰამენ; წ ი წ მ ა ტ უ რ ა (იხ. ა. მაყ.), რომელ-  
საც აქაურები ხაჭმაჭიჭას (ჯორჯ., მაწ., ტბ.) (იხ. ა. მაყ.) ანუ ხაჭი-  
ჭორას (მაწ., ჯორჯ.) (იხ. ა. მაყ.) უწოდებენ, ბოსტნებში იყის, მისი  
წითელი ყვაილები მოგვიანებით ღობიოს, ბარდას ან ცერცვის  
(მაწ., ტბ.) მსგავს პარკებად იქცევა. ხაჭმაჭიჭამ, გოგრის მსგავსად,  
მიწაზე შორს გასული ღეროები იყის; როცა ქორფაა, ჰამენ, შინა-  
ურ ფრინველსაც (ბატის ჰუჭულებს) აჭმევენ; უღეწელა ლურჯ-  
ყვაილიანი რძიანა ბალახია, როცა გაშრება, ბავშვები კევს აყეთებენ  
(ტბ., საღრ.) (იხ. ა. მაყ.; შღრ. გლ). უღეწელას ვარდკაჭაჭასაც ეძა-  
ხიან (იხ. ა. მაყ.); ფამფარა (თონ., ჩხ.) ყვითელყვაილიანი რძიანი  
ბალახია, ბავშვები ჰამენ; ჩიტიპური (თონ., ჯორჯ.) ბალბის ნაყოფია  
(შღრ. ჩ ი ტ ი პ უ რ ა, გლ); ხაწუწუნელას „მოყვითო ყვაილი აქ და  
შიგ თაფლი დგა, ტკბილი წვენი, მინდორში არი მორეული“

<sup>43</sup> შღრ. ყღერტი (გვ. 165).

(მაწ.) (შდრ. ს ა წ ო წ ნ ე ლ ა. ა. მაყ.; შდრ. ს ა წ უ წ კ ნ ე ლ ა. ა. მაყ.); წუწნელა (თონ.) მუქი ცისფერყვავილიანი ბუჩქა ბალახია, წვრილი მჩხვლეტავბუსუსებიანი ღეროებით, ყვავილ-ს გვირგვინის ძირებს ბავშვები წუწნიან, ტკბილი წვენი აქვს (შდრ. წ უ წ კ ნ ე ლ ა. ა. მაყ.); ურობალახს (მაწ.) (უ რ ო. ა. მაყ.) ცხვარს აკმევენ; ღორის ქადახ (თონ.) (იხ. ა. მაყ.) ღორებს აკმევენ; წენგარი (გოლთ., მაწ., ენაგ.) ლილისფერყვავილიანი ბალახია, ფოთოლს კეპავენ, მაწონში და ფქვილში ურევენ და ქუტებს აკმევენ (შდრ. წ ე ნ გ ა რ ა ა. მაყ.); ბაცმანდუკა (ტბ., თონ.) ძალიან დაბალი, ყვითელყვავილიანი ბალახია („ყვითელი ზიზილები რო აქ, ჩიტი თვალეზივით რო ასხია“. ტბ.), წამლად ხმარობენ, კუჭ-ნაწლავს უხდება (შდრ. ბ ა ც მ ა ნ დ უ კ ი. ა. მაყ.); მრავალბარღვას ლავარძალას ეძახიან (ჩხ., მაწ.), იარაზე იდებენ, ჩირქსა სწოვს; ლენცოფა (ბგვ., ტბ., საღრ.) შხამიანი ბალახია, თესლს წამლად ხმარობენ, იზრდება დიდრონ ბუჩქებად, დიდი თეთრი მყრალსუნიანი ძაბრა ყვავილები აქვს, მას ღრიანცოფასაც ეძახიან (თონ.) (იხ. ა. მაყ.); მელიკუდას (ჩხ., გოლთ., საღრ., ტბ.) მძაფრსუნიანი, თეთრი, წვრილი ყვავილი ჭგუფ-ჭგუფად ასხია, ამ ბალახს წამლად ხმარობენ: გასრესენ და ჭრილობაზე დაიდებენ, ამითივე სწამლობენ კუჭის აშლილობას და შარდის შეხუთვის (შდრ. მ ე ლ ა კ უ დ ა. ა. მაყ.); ტიტა (თონ., ჩხ.) დიდი, მოგრძოფოთლიანი ბალახია, ღეროს ფტკენ-ან და ჭამენ, დანაყილს ჭრის საწინააღმდეგო წამლად აკმევენ ადამიანსაც და საქონელსაც (იხ. ა. მაყ.); ცხვირისხატეხელა (ბგვ., ტბ., საღრ., ჯორჯ.) „მაკრატელა“ ბალახია, ძალიან დაბალი, მის ყვავილს მაგარი თავები აქვს, ზაფხულში ცხვირში იტაკებენ და სისხლს გამოიდენენ, — თავის ტკივილს უამებსო (იხ. ა. მაყ.); ჭარელა (გოლთ., ტბ., საღრ.) სწორღეროიანი, ლურჯყვავილიანი ბალახია, მისში ყვავის, დედალს ყვითელი, „ბროხის ძუძუსავით“ ყვავილი აქვს, მამალს, — ლურჯი, წითელი ქარის წამლად ხმარობენ, აგრეთვე, ფეხი რომ დაესუნთქებათ, ჭარელას გალესავენ ხუთოში (ხ უ თ ო — „ქვა არი მორგვალო, უწინდელ დროს ჰქონდათ“. საღრ.), მაწონში და ზედ დაადებენ (იხ. ა. მაყ.); „ხელნაკრავი (თონ.) ბალახია, გაზაფხულით ამოდის, წამლათა ხმარობენ ციებისთვისა“ (ამ სახელწოდების ბალახი ვეღარსად დავადასტურეთ; ეგების „ხელნაკრავის“ წამალია?). „სამღებრო“ ბალახები: ენდროს ძირი ღვინისფრად ღებავს ნართს, რომლითაც ფარდაგებს ქსოვენ (საღრ.); რძიანა ყვითლად ღებავს; რძიანას მთიულეები რძევეანას ეძახიან (მაწ.) (იხ. ა. მაყ.).

სხვა ბალახები: ხვარტქლას (თონ.) ძილის ვარდაც ეძახიან (ტბ.); ქარცეცხლა (თონ.) ეკლიანი ბალახია (იხ. ც ე ც ხ ლ ე კ ა ლ ა

გლ); ჰინჭრის დედა (თონ.) ჰინჭრის მსგავსი ბალახია, ღობის ძირებში იცის, არ ისუსხება (შღრ. ჰინჭრის დედა. ა. მაყ.): ოროვანდი (თონ., კლდ., ჯორჯ.) მსხვილღეროიანი ბალახია, მუქ იასამნისფერ წვრილბუსუსა ყვავილს იკეთებს (იხ. ა. მაყ.); ფორხონა (თონ., პ. თონ., ჯორჯ.) (←ბორხვენა?) (ბუერა. ა. მაყ.) ფართო და სქელფოთლიანი, გრძელღეროიანი ბალახია; ფორხონას, ზოგადად, სხვა ბალახების დიდ, ფართო ფოთლებსაც ეძახიან. ნაცარქათამა შეფქვილულფოთლიანი მალალი ბალახია (იხ. ა. მაყ.): შაღგს (თონ.) წვრილი ყვითელი ყვავილები და წვრილი ფოთლები აქვს (იხ. ა. მაყ.); გუგულის ნარწყვეი (თონ., ენაგ., საღრ., ტბ.) ანუ გუგულის მძივი (მაწ.) პურში იცის, ძვლივით მაგარ ღეროზე ირგვლივ წვრილი მძივებით აქვს შემოკრული თესლი, თუ მწერის კვერცხები, „თეთრია და დაჭოჭნილი (მთ. 'დაკენკილი') არის“; ძროხის ძუძუ (ტბ., საღრ.) ბალახია ყვითელყვავილიანი, ღეროზე ამოსული აქვს პატარა ძროხის ძუძუებით, მისში ამოდის ბალებში, ჰაობიან ადგილებში, ფერდაზე; ძაღლის მარწყვი (თონ., მაწ.) (იხ. ა. მაყ.) ანუ მათუთა (გოლთ.) დაბალი დაკბილულფოთლიან ბალახია, წვრილი, მარწყვის მსგავსი ნაყოფით; ნაზუქამ (გოლთ.) წითელი საყურებით ყვავილი იცის (იხ. ა. მაყ.); თაგვისკუდა (თონ.) ანუ თაგვიკუდა ბალახი (გოლთ.) თავთაგების მსგავსი დაბალი ბალახია (იხ. ა. მაყ.); აფუტარაკი (მაწ.) მალალი ბალახია, იმისი ღეროსაგან სათამამო სახლების კეთებით ერთობიან ხოლმე ბავშვები, მზე რომ დააქერს, ჩაიფუფქება (ჩაჭკნება, ჩაიშლება) (შღრ. აპუტარაკი. ა. მაყ.); პაპიყვერას (საღრ.) (იხ. ა. მაყ.) ანუ პაპყვერას (ტბ.) ველურ ყოჩივარდას ეძახიან. ყოჩივარდაც იცინ (ტბ.) (იხ. ა. მაყ.); სოსანს იასამანს ეძახიან (თონ., ჩხ., ჯორჯ.) (შღრ. „იასამანა ქსუ. ნ. ცოცხმაგარა“. ა. მაყ.); ზიზილა მინდვრის ლამაზი ყვავილების ზოგადი სახელია (თონ., ტბ., შავს.); ოქროს ყვავილი ძალიან დაბალი ბალახია, აქვს ხუთფურცლიანი, ვარსკვლავისებური ყვითელი პაწაწა ყვავილი (თონ.); ერთი მტკაველის სიმალღე ბალახია, კარტოფილივით ძირი აქვს მიწაში, დედალს ყვითელი ყვავილი აქვს, მამალს — მოწითალო, ტყეში იცის, აპრილიდან დეკემბრამდე (ბგვ.); ვარდის ყვავილი (ბგვ.) მალალი, მეტრის სიმალღის ყვავილიანი ბალახია, ღეროები ცალ-ცალკე აქვს, აპრილში ამოდის, ივლისში ყვავის, სექტემბერში [გა]ბრუნდება ანუ პირს იბრუნებს („ჭკნება, მიღის“. ბგვ.). ბურბუშელა ნარი (ფარცხ.) (იხ. ბურბუშელა, ბაბუაწვერა. ა. მაყ.) ანუ ქულნარა (შავს.) ნარის ერთ-ერთი სახეობაა, ესეც მალალი იზრდე-

ბა, „ძაან ფინთი ეკალი აქ“ (ფარცხ.), „თაჳზე თეთრათ მოიკიდებს ბამბასავითა, ქარი დაუბერამს და ისევე წაიღებს“ (შავს.); ჭოლოკი ნარი (ფარცხ.) ანუ ჭოლოკი (ფარცხ.) ბრტყელფოთოლა, მსხვილი და მაღალი ნარია („ნარს ჭოლოკი ჰქვია, ჭოლოკი ნარი სხვილი ნარია“. ფარცხ.) (შდრ. ჭოლოკი — დიდი ეკალი. შ. თაქ.) (შდრ. გვ. 176); ნარი იასამნისფერყვავილიანი ბალახია (თონ.) („ეკალ ვეძახით, ნარის ეკალს“. ჩხ.); გრაკლა ბუჩქია თეთრყვავილიანი, უწინ გრაკლის ტოტებს ბავშვები წვერს წაუმახავდნენ და ჩანგლის ნაცვლად ხმარობდნენ (მაწ.); ქინძმანძუკა (ტბ., საღრ.) ქინძისმაგვარი ბალახია, თეთრყვავილიანი, სუნიც ქინძისა აქვს. არაფერში ვარგა (იხ. ა. მაყ.); ავშანი ყვითელყვავილიანი ბალახია (ჯორჯ.) (იხ. ა. მაყ.); ბირკა (თონ.). ეკლიანი ბალახია, რომლის მჩხვლეტავბუსუსიანი ნაყოფიც საქონელს მატყლზე (ბალანზე) ეკვრის. (იხ. ა. მაყ.); ჭილი (მაწ., თონ., კლდ.) ჭაობის ბალახია, მაგარი და მოქნილი, რომლისაგანაც წნავენ ჭილობებს, ქსოვენ ქუდებს და სხვ. (იხ. ა. მაყ.); სვეს (მაწ.) სვიას ეძახიან აქაური მთიულები, ლუდის გამოსახდელად რომ პურს აცხობენ, „სვეთი“ ზელენ, — კარგად აღვივებსო (იხ. ა. მაყ.).

კაჭაჭი ძალიან გამხმარი ბალახის მსხვილი ყლორტია, ან ღერო (მაწ., ჩხ.), მას კაჭახსაც (თონ.) ეძახიან (იხ. გლ); ყარღოს მაღალ, ტოტებგადგმულ ბალახს ეძახიან, რომელიც თივად არ ვარგა, — გახვედება და გახშება (კლდ.) (შდრ. ა. მაყ.). მცენარის ყლორტს უღერტსაც ეძახიან (გოლთ.). კომბოსტოს, ვარდისა და მისთ. გულს. რომელიც წვრილი ფოთლების ან ფურცლებისგანაა შეკრული, კუჭი ეწოდება (საღრ., მაწ., შავს.). ვარდისათვის ფურცლების შეცლას გააუტვას ეტყვიან (ვარდს აუტავენ სამურაბედ. შავს.). ბევრი თეთრი ყვავილის ერთად გაშლას გაჸენტვას ეძახიან. დასუსხვას მთიულები დალულვას ეძახიან („ჰინჰარმა დამლულა“. მაწ.: „არც ილულე ბა ეს ჰინჰარი“. მაწ.).

### მეზოსტენოზა და მეზალეოზა (მეზილოზა)

მეზოსტენოზა-მეზალეოზის განვითარებას თეთრი წყაროს რაიონში ერთგვარ სიძნელეს უქმნის ის გარემოება, რომ სოფლების უმეტესობას არა აქვს მდინარის წყალი. გლეხები იძულებული არიან ბოსტნები გაიშენონ მდ. ალგეთის პირის დაბლობებში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სოფელი (მაგ. დიდი და პატარა თონეთი) ნ კილომეტრითაც კი შორავს მას.

ბოსტნეულის უმეტესობას აქ შარზე თესავენ (ჩხ.) („სარ ლობიო“, პამიდორს, კომბოსტოს შარზე ვთესამთ“. ჩხ.). შარი ნათესის ერთი მწკრივია ბოსტანში<sup>44</sup> (შარ'ს სრელა'ც ეწოდება; იხ. გვ. 124) „ერთ შარ წიწაკას ისე ასხია, რო ერთი ქილა წინლი ჩაიდება!“ პ. თონ.; „ორი შარი კარტოფილი ამოვიღე და ნახევარი ვედრო ძლივ არის!“ პ. თონ.).

ბოსტანში კვლების გაკეთების დროს ბაზოებს შეჰკრავენ (კვალსა და კვალს შორის მიწას აუბეჭებენ. შავს.), რომ მორწყვის დროს წყალმა ნათესი არ გადაღვეოს (გადარეცხოს. შავს.) (შდრ. „ბაზო წყალს ნაპირია“. ფარცხ.).

კომბოსტოს მოსაყვანად ჩითილები (მაწ.) // სითილები (თონ.) გამოჰყავთ. ჩითილების დასარგავად კვალში ბუნებს (ბუნი — პატარა ორმო. თონ.) (შდრ. ბუნდა. გვ. 169) იღებენ. კომბოსტოს რომ კუჭი ჩაესახება, იტყვიან, კომბოსტო უკვე კუჭს იბრუნებს, კუჭი ჩაბრუნებული აქვსო (თონ.), თავის გაკეთებას რომ დაიწყებს. — თავს იხვევს, თავი დაიხვიაო (თონ., ჩხ., გოლთ., მაწ., ტბ.). თავის დასახვევად კომბოსტოს გაფურჩქნაიან (ზედმეტ ფოთლებს შეაყლიან. გოლთ.). ამ დროს სჭირდება ნამიცი (სიმინდის, ლობიოს და მისთ. ბუდიდან ნაყოფის გამორჩევასაც გაფურჩქნას ეძახიან). ლახანა ფუყე კომბოსტოა, რომელმაც თავი ვერ გაიკეთა (თონ.). ზრდადასრულებული ანუ დაპურებული კომბოსტო (ქენობას რომ იწყებს. მაწ.) უკვე მოსაჭრელად ითვლება. კომბოსტოს [ა]ჭრიან გიორგობისთვეში, როცა სიცივე რთვილს გააგდებს (ჩხ.), ადრე რომ მოჭრან — მწარე იქნება: რთვილი უნდა ჭამოს (თონ.), რთვილი უნდა აილოს (მაწ.) კომბოსტომ (აგრეთვე, გოგრამ, ჭარხალმა, კომშმა) და მაშინ გატკბება (თონ.). ბოსტნეულს, რომელსაც სიცივემ მოუსწრო, რთვილნაჭამს ეტყვიან (თონ.) (შდრ. სიცივეს რო შჭამს. გვ. 169). კომბოსტოს აჭრის შემდეგ დარჩენილ ნაძირალს (ჩხ.) რიკს ეტყვიან (თონ.) (თხისა და ღორის კულსაც რიკს ეძახიან. აგრეთვე, პატარა ძვალს ცხვრის ღუმალში). კომბოსტოს რიკს მურკიც ეწოდება (თონ., ჩხ., მაწ.). კომბოსტოს დროდადრო გახილავენ (თონ., მაწ.), რომ მატლმა (წერილი მატლი იცის კომბოსტომ) არ დახვრიმოს (დახვრიტოს. თონ.). დახვრემას დაჩითვასაც ეძახიან (თონ., გოლთ.) (შდრ. ჭია კარტოფილს ხრავს). კომბოსტოს რწყავენ დიდი გრძელტარიანი ხის ჩამჩით, რომელსაც ქაფჩას უწოდებენ (ქაფჩით კამეჩებსაც აბანავენ. თონ.).

<sup>44</sup> შდრ. შარი — ვახის, ხეხილისა და ბოსტნეულის ერთი მწკრივი (შიგა ქართლი).

ძირხვენა ბოსტნეულს (ხახვი, ნიორი, კარტოფილი) ფოჩი (თონ.) // ფოჩო (ჩხ.) (ღერო-ფოთოლი) რომ გაუხმება (ზრდის დასრულების ნიშანია!), იტყვიან, დაბრუნებულა, ამოსალებიაო (თონ.) (შდრ. „დაბრუნდაო, კარტოფილზე ვიტყვი, სხვა რამეზე არ ვიტყვი“. გოლთ.).

ხახვი თესლით მოჰყავთ. ზოგი ხახვი თალიშდება (ჩხ., ბგვ., ტბ.), თალიში ხდება (პ. თონ., საღრ., ჩხ., ფარცხ., ტბ.) (თავს არ იკეთებს, მარტო ფოჩი რჩება). გათალიშებას ზოგჯერ ზედმეტი მორწყვა იწვევს. თალიში ხახვი<sup>45</sup> საქმელად ტკბილია, მაგრამ არ ინახება, ლბება. მრგვალთაიანი ხახვის გარდა თესავენ კბილა ხახვსაც (ჯორჯ., საღრ.), რომელსაც ნიორა ხახვს ეძახიან (კბილებიანია ნიორივით. საღრ.). ნიორს, დათესვის წინ, დაკბილავენ (კბილებად დაშლიან. გოლთ., ბგვ., საღრ., ჯორჯ.), მსხვილ კბილებს (ბგვ., საღრ.) დათესავენ, უფმატს (თონ.) სახლში მოიხმარებენ. ნიერის დაკბილვას, ნიერის გარჩევასაც (ჩხ.) ეძახიან. ერთმა მაწენელმა ამას დაფურჩნა უწოდა. მაღალი რომ არ გაიზარდოს და მსხვილი თავების გასაკეთებლად ძალა ძირში დაბრუნდეს (ბგვ.), — ნიორს გაკვანძავენ, განასკვავენ, მონასკვავენ (ორ ძირ ნიორს ფოჩებით გადააბამენ) ან გაფურჩნიან (ფოჩის წვერებს წააცლიან. ბგვ.) (გაფურჩნა ნათესის, მაგ. სიმინდის, შეთხლებასაც ნიშნავს. საღრ.). ამას ნიერის დაყვერვასაც (ტბ.) ეტყვიან. ნიორი დიდხანს არ ინახება: ადრე გაზაფხულზე გაიპარება (ფურცლებში გაქრება). შემოსულ ხახვს და ნიორს ბარულათი (პატარა ბრტყელპირიანი ჯოხი. ჩხ.) იღებენ მიწიდან; გაშრობის შემდეგ, ზამთრისათვის შესანახად წნავენ გალებად. გალა (გოლთ., თონ., ჩხ., ჯორჯ.) არის ერთი ხელი (ფოჩებით) დაწნული ნიორი, ხახვი, პიტნა, ლოლო და მისთ. იტყვიან: ამდენი ხელი ნიორი დავწანიო (მაწ.). ფოთლოვანი მცენარის გალა წნელზე აკინძვითაც კეთდება.

პამიდორს მზვარეზე (მზის გულზე) რგავენ; როცა გაიზრდება, შესარავენ (სარებს შეუდგამენ) და ააკრავენ (სარებზე მიაბამენ. გოლთ., მაწ.); სარებს წინასწარ დაჩეკავენ (წვერებს წაუმახავენ. შავს.). ოდნავ რომ შეწითლდება, შექრელდება პამიდორი, უკვე შემრეშილია (პ. თონ., ჩხ.), მრეშიაო (ჩხ.), იტყვიან. ახლად გამოსახულ კიტრს (გოჯისტოლა რომაა) მასრას ეძახიან (კლდ., ენაგ.) (შდრ.

<sup>45</sup> ნ. კეცხოველის ცნობით, თალიში ხახვი ეწოდება თალიშურ (ლენქორანის რ-ნი) ხახვს, რომელსაც ქართული ხახვის მრგვალი თავისაგან განსხვავებით, პატარა მოგრძო თავი აქვს.

კირიონი. სალექსიკონო მასალა) („ჭერ არ არი კიტრი: ისეთია, სუ მასრა აყრია!“ კლდ.).

ობრაბუშს ობროხოშს (თონ.) და მალდანოზსაც (თონ., ჩხ.) ეძახიან.

ბოსტნეულის ნათესი (პამიდორი, ხახვი, ლობიო...; ზოგიერთი სხვა მცენარეც) თუ არახელსაყრელ პირობებში მოხვდა (მწირი ნიადაგი, უშვებობა, გვალვა, ხშირი ნათესი), — წრიოკი (წვრილი, ულონო. საღრ., ტბ.) მოვა, გაწრიოკდება (ჯორჯ., ბგვ., მაწ., ტბ.) // გაწლიოკდება (ჯორჯ.); (წრიოკსა და გაწრიოკებულს ძალიან წვრილ, გამხმარ ადამიანსაც ეტყვიან). მსხვილ, ლონიერ მცენარეს დოყს (ბგვ.) და დოყდოყს ეტყვიან (სრულ ქალზე იტყვიან: რა დოყდოყიაო. ჯორჯ.). „რამე რო გახმება და აღარაფერი არ უშველის,—აღარ მოვარგდება“ (ჩხ.) (მოვარგდაო ან დავარგდაო უფრო იტყვიან ხილზე, რომელიც მკვახე აღარაა).

კარგი, შემოსული ნაყოფის მოძებნას და მოკრეფას (მაგ. კიტრი, ლობიო, შხესუშხირა...) მორჩევას (თონ.) ეძახიან („წადი ბოსტანში და კიტრი მოარჩიე!“ თონ.).

ნათესის განადგურებას მოდოგნას ეტყვიან (ჩხ., თონ., მაწ.) („ისე მოუდოგნია საქონელსა, რომ!“ ჩხ.).

ზოგიერთ დროგადასულ ბოსტნეულს ბიჭვას (საღრ.) ან გაბიჭებულს (ჯორჯ., ბგვ., საღრ.) ეტყვიან; მაგ. ხახვი რომ გაბიჭდება,— შუაში მაგარი ღერო ამოუვა და თესლს გაიკეთებს; კარტოფილმა და ბოლოკმაც იცის გაბიჭება. გაბიჭებული მცენარე სათესლედ არ ივარგებს, არ ამოვა.

ბოსტნეული, კარტოფილი და ხილი სიცივეში რომ დარჩება და გაიყინება, მოსძრაო, იტყვიან (ჯორჯ. და დ. იორამ.).

დასათეს კარტოფილს თბილ ადგილას დაყრიან, რომ ღივი (მაწ., ტბ.) ანუ ლოღი (თონ.) გამოიღოს. ზოგი კარტოფელი გაბერწდება (არ აღმოცენდება, ან ძალიან წვრილ ღივს გამოიტანს, რომელიც ნაყოფს არ იძლევა. ჯორჯ., ტბ., მაწ.). არც ნაგერალა კარტოფილი იძლევა ნაყოფს. ქვემო ქართლში ძალიან გემრიელი კარტოფილი მოდის. თესავენ ადრეულა კარტოფილს (ჩხ.), რომელსაც თვის კარტოფილს (თონ., ტბ., მაწ.) და წითელ კარტოფილსაც (ბგვ., ჯორჯ.) ეძახიან (მოწითალო ფერისაა, შემოდის ერთ თვეში, მაის-ივლისში). წითელი კარტოფილი „სიპია და გრძელი“ (ბგვ.), არის თეთრი კარტოფილიც, ესენი „დახვრეტილებია“ (ბგვ.). ცოტა მოგვიანებით შემოუღიათ ლორხი კარტოფილის („თეთრი, გრძელი, სადა უთვალო კარტოფილი“. ჯორჯ.) თესვაც, რომელიც ორ-სამნაირია: „არის



რო იშლება, ქაშია (როცა მოიხარშება), არის, რო ისევე რჩება სო-  
ლივითა“ (ჯორჯ.). ეს ჯიში წალკელებისგან შეუძენიათ და სახელიც  
მათგან მიუღიათ (ბგვ.). მიწიდან კარტოფილის ამოდების შემდეგ  
რჩება ნაორმალი („ნაორმალში დაჰკა ბარი, კარტოფილი  
იქნება დარჩენილი!“ პ. თონ.); ნაორმალია აგრეთვე ადგილი, სა-  
დაც ოდესღაც დიდი ორმო იყო („ნაორმალთან ვიყავი“. პ. თონ.). ძირხვენელს ეკუთვნის მიწავაშლაც (ფარცხ., კლდ.),  
რომელსაც არა თესავენ, „ერთი რო დათესო, აქ ამოვა, იქ ამოვა“;  
შემოდგომით ამოიღებენ და ჰამენ უფრო ბავშვები. სიცივეს რო  
შჰამს (სიცივე რომ მოუსწრებს მიწაში) უფრო კარგია, „მოტკბი-  
ლოა“ (კლდ.).

ლობიოს თესავენ ორმოებში (შდრ. ბუნი. გვ. 166): ამას და-  
ბუღნას ეძახიან (მაწ.) (შდრ. ბუღნა — მარცვლეულის ჩასათესი  
ან ჩითილის ჩასარგავი პატარა ფოსო)<sup>46</sup>. სარის ლობიო (ჩხ., მაწ.)  
სარს აჰყვება, კუტი ლობიო (მაწ.) დაბალია, სარი არ სჭირდება.  
ერთი ჯიშის ლობიოს ფერდელა ლობიოს ეძახიან (ცალი გვერდი  
თეთრი აქვს მარცვალს, ცალი წითელი. ჯორჯ.). მწვანე, დაუპურე-  
ბელ ლობიოს ლასტი ლობიო (თონ.), ანუ პარკი ლობიო (თონ.) ეწო-  
დება. ლობიო რომ შემოვა, ე. ი. გახმება და მოსაგლეჯი შეიქნება,—  
მოგლეჯავენ (ფესვიანად ამოიღებენ. თონ.), შემდეგ დაპარკავენ  
(ღეროს პარკებს შეაეციან. ჩხ., მაწ., საღრ., ტბ.) ანუ გაპარკავენ  
(თონ., ჩხ., გოლთ., მაწ.). გაპარკვას გაკუწეწებასაც ეტყვიან (სი-  
მინდზეც იტყვიან. იხ. გვ. 133). ლობიოს ღეროს (ჩხ.), რაზეც პარ-  
კია გამობმული, ლობიოს ფესხსაც ეძახიან (თონ.), პარკშეცილი  
ლობიოს ძირს კუწეწს ეძახიან (მაწ.); კუწეწია აგრეთვე: ა) გულ-  
გამოცილი ლობიოს პარკი (მაწ.); ბ) სიმინდის ნაქუჩი და გ) წვრი-  
ლი ფიჩხ-ფუჩხი. დაპარკვის შემდეგ ლობიოს ჩურჩავენ (თონ.,  
გოლთ., მაწ.) (პარკიდან მარცვლებს იღებენ) (დაჩურჩვაა, აგრეთვე.  
თხილისა და კაკლისათვის გარეკანის მოშორება და ერთკურკიან  
ხილისათვის კურკის გამოცლა). დაჩურჩვას გამოგულვას („ლობი-  
ოსა ვგულამდით“. ჩხ.), გარჩევას (ტბ., მაწ., გოლთ.) და  
გაფურჩქნასაც (მაწ.) ეძახიან. ლობიოს (და სხვა პარკოსანთა) განა-  
ჩურჩ ცარიელა პარკს (თონ., მაწ.), ცარიელა პარკიან ღეროს (ჩხ.)  
და უპარკო ღეროს (თონ., ჩხ., ტბ.) ჩენჩო (თონ., მაწ., ჩხ., ტბ.),  
ჩუნჩო // ჩუნჩი (მაწ.), ნაჩუნჩი (მაწ.) და ლენჯო (ჯორჯ., ბგვ., საღრ.)  
ჰქვია. ჩენჩო (მაწ., ტბ.) და ჩუნჩო (მაწ.) თხილისა და კაკლის ბუ-

46 შიგა ქართლი, სოფ. დისევი (ჩვენი მივლინების მასალა).

დეს და ლენჯო კაკლის წენგოსაც ეწოდება. ჩენჩო კაკლის ნაქუქსაც  
ჰქვია (ტბ.), ნაჩუნჩი (მაწ.),—სიმინდის ნაქუჩსაც, ლენჯო (სალრ.),—  
ტაროზე შემოცლილ ფუჩეჩსაც.

ახლად დაჩურჩულ ნედლ ლობიოს კურკა ლობიოს ეძახიან  
(თონ.), რომელიც ძალიან გემრიელი იხარშება.

მოგლეჯილ ხმელ ლობიოს (გაპარკულს ან გაუპარკავს) გაბეგ-  
ვავენ (თონ., გოლთ., ჯორჯ.) ანუ დაბეგვავენ (ჩხ., გოლთ., მაწ.,  
სალრ.). ლობიოს დაბეგვას დაჩეჩქვას (მაწ.) და იშვიათად, დაცეხვა-  
საც ეძახიან (შდრ. გვ. 133). ბეგვავენ ხვედით (ჩხ.) ან საბეგვავით  
(სალრ.) (მსხვილთავა და წვრილტარიანი კეტი). გაბეგვილ ლობიოს  
აჩენჩავენ (თავზე მოქცეულ ჩენჩოს მალლა-მალლა აპყრიან ხელით,  
რომ მარცვალი გასცივიდეს. გალეწილ ლობიოსა და პურეულს ორ-  
თითით აჩენჩავენ) („მოიტა, ზევ-ზევით ავ ჩენჩო ლობიო!“  
ჯორჯ.), ბოლოს გადაბერტყავენ // გადაბღერტავენ [ტაბაჯზე ცოტ-  
ცოტას დაყრიან და აქნევით ბრეს ანუ ბრელოს (შდრ. თივის ბრე-  
ლო გვ. 160) გააყლიან (შდრ. ატაბკეა<sup>47</sup>. შდრ. დარკვევა.  
გვ. 132)].

მხესუმზირას ნაყოფით სავსე თავს („კაი თავები აქ“. ჩხ.)  
პურსაც ეძახიან (ჩხ.); დიდ თავს ტაბაჯა (პ. თონ.) // ტაბაჯი (შ. თაქ.)  
ეწოდება, პატარა თავს, — ჭუჭული (პ. თონ.) ან ბარტყი (მაწ.);  
ვინც „პურს“ ეძახის, — იტყვის დიდი პური (და არა „ტაბაჯა“)  
(„ჩვენ მხესუმზირას დიდი პურები აქ“), პატარა პური  
(და არა „ჭუჭული“).

მეხილეობა ქვემო ქართლში სოფლის მეურნეობის მნიშვნე-  
ლოვანი დარგია. განსაკუთრებით ეს ითქმის ალგეთის შუა და ქვე-  
მო ზონის სოფლების შესახებ. აქ გავრცელებულია აღმოს. საქარ-  
თველოსათვის დამახასიათებელი ხილის ჯიშების უმრავლესობა.

კაცი რომ ხეხილს დარგავს და გაახარებს, ახეირაო იტყვიან  
(ტბ.). იმის მიხედვით, თუ როგორ ეგუება არსებულ პირობებს ხე-  
ხილი, — ის გვარობს (ხეირობს, ხარობს) ან არა გვარობს [გვარობს  
ან არა გვარობს ალგეთურში ითქმის ადამიანთა შესახებაც: „იქ  
(მარაბდაში) დედაკაცი გვარობდა და მამაკაცი არა გვა-  
რობდა“. ტბ.]. ნორჩ ხეხილს, რომელსაც უკვე ნაყოფის მოცე-  
მის დრო აქვს, წლოვანს უწოდებენ („წლოვანი არის, უნდა  
დაისხას“. გოლთ.). ხეხილი, რომელიც წელიწადგამოშვებით იძლევა  
ნაყოფს, მოწლოვანე (თონ., ჩხ.), მოწლივე, მოწლიური (თონ.), ან  
მეწრეულეა (—მეწლეული? იხ. გლ). ასეთ ხეზე (მაგ., კაკალზე) იტყ-

47 შიგა ქართლი.

ვიან, წლოვანობა იცისო (თონ.). ხეხილს (ყველა მოსავალსაც) ავდარი მაშინ სკირდება, როცა ყვავილშია (თონ., ტბ.) ანუ როცა გაყვავდება (პ. თონ., ჩხ., გოლთ.). აყვავებულა ხეხილი თეთრად არის ხოლმე გაპენტილი (პ. თონ.). გაპენტის მთლად გათეთრებული თმის შესახებაც იტყვიან (პ. თონ.). გაპენტვა გათანტვის სინონიმოცაა („სუ გაპენტილია ძნის ათეულები, ვერ მოაქრჩეფ?“ პ. თონ.).

არის წელიწადი, რომ ხეხილს ბლუჯა-ბლუჯა ასხია (ძალიან ასხია, სულ კუნწულ-კუნწულია) (თონ.) და მაშინ ბოძკინტებს მისცემენ (ორკაპა ხეებს შეუდგამენ. პ. თონ.), რომ ტოტები არ ჩამოემტვრეს. არის წელიწადი, რომ ხეხილი მოსცდება, ნაყოფს არ დაისხამს.

ვაშლსა და მსხალს შემსხლა (შესხვლა. თონ., მაწ.) უხდება გაზაფხულზე, აპრილის თვეში. ხეხილს ძირებს შემოუბარავენ (თონ.), რომ ტენმა ძირში ჩააღწიოს. ბალ-ბოსტნების სარწყავად მოჭერობა იციან (წყალს ჭერით უდებენ) (გოლთ.).

მკვახე ხილს (ვაშლს, მსხალს...) გვარსალას (პ. თონ.) // გვარსალოს (კლდ.), ან გოხს (გოლთ.) ეტყვიან (შდრ. გვ. 104). მკვახე ხილის, ან მკვახისა და მწიფის განურჩევლად, დაუნანებლად დაკრეფას (ჩვეულებრივ, ასე იქცევა ქურდი) გაგოხვა (გოლთ., ბგვ.), დაგოხვა (გოლთ., ტბ., ჭორჯ.), მოგოხვა (ჩხ.) და ჩამოგოხვა (გოლთ.) ეწოდება. ოღნავ შემწიფებულ ხილს შეთვალებულს ეძახიან (ჩხ., გოლთ.).

ხილი (ვაშლი, პანტა...) რომ მწიფობაში შევა, ან სიმწიფით დაყვითლდება და დარბილდება, — იტყვიან დაჭაშდა (გოლთ., ჩხ., პ. თონ.) // დაჭაშდაო (საღრ., ფარცხ.). ასეთ ხილს მჭაშე (პ. თონ.) ანუ ქაში (ტბ., ბგვ.) ეწოდება. ვაშლის ზოგ ჭიშს, მაგ. ანტონოვკას და გირვანქიან ვაშლს, ხანი რომ გავა, წვენი უშრება და ფქვილივით ხდება; გამოფიტულ ხილს ფატარს ეძახიან (თონ.) (არამწიფერ პურზე და გამოფიტულ კაკლის მურაბაზეც იტყვიან ფატარიო. თონ.). მწიფე ხილს ფრთხილად კრეფენ. აქა-იქ შერჩენილი ნაყოფის მოკრეფას მომცვრევას ეტყვიან (გოლთ.). ქარი ან სეტყვა ერთიანად რომ გააყრვეინებს ხილს, — ამბობენ, მთელი ხეხილი ძირს დასცაო (გოლთ.).

მწიფე ხილი გემოწმინდაა (გოლთ.) (შდრ. გემო დაეწმინდოს, გვ. 154), მკვახე ხილი (მაგ. შინდი...) მწლაკეა (მაწ.) (მომწაროა და ენას შრამავს), ზომიერად მკავეს მხეს ეძახიან (კლდ.), მომკავე-მოტკბოს კი — მარახოშს (ჩხ., გოლთ., საღრ., ჭორჯ.) („აილე, აილე,

მარახოშია (ქლიავი), სიცხეში კარქია!“ ჯორჯ.]. ძალიან მეყვე ხილი კაჰახანაა (დ. იორამ.) (შდრ. კოწმახი. გვ. 174).

ზოგიერთი ხილის (მსხალი, გოგრა...) საყუნწე ნაწილს ყელი ეწოდება, გამობერილ ნაწილს კი — მუცელი. ზოგი ხილი (მაგ. შემოდგომის ქლიავი. იხ. გვ. 174) ან ქურქელი მუცელაა, ზოგი ხილის (ვაშლი, მსხალი) წვრილ თესლს გული ჰქვია (იხ. კოკა მსხალი).

დაწინწკლულს, ორფრად აქრელებულ ხილს დაჩოფურავებულს (თონ.) ეტყვიან (იხ. გვერ(დ) ჩოფურა ქლიავი გვ. 174).

ხილს მშრალად შენახვა უნდა, რომ არ დალპეს. დამპალ ხილს (აგრეთვე კარტოფილს, ხეს) ყანდიანს ეძახიან, ყანდი აქესო, იტყვიან.

ხეხილმა ტანზე კოჟოჟები (კოჟრები, კორძები. ჩხ.) იცის (კოჟოჟია, აგრეთვე, გამაგრებული, გასქელებული კანი ადამიანის ხელფეხზე. მან.).

ხილის ჯიშები. ვაშლის ადრეულა<sup>48</sup> ჯიშია კალოს ვაშლი, ყვითელია, წვრილი და ტკბილი, შემოდის თიბათვე-მკათათვეში. ხე დაბალია, მალალი არ იზრდება (თონ., ჩხ., გოლთ.); კალოს ვაშლს ხომანდულსაც ეძახიან (ტბ., კლდ.). ხომანდულად მსხალიც მოიხსენიეს (საღრ.).

საკუთრივ ზაფხულის ვაშლს მკრთალი წითელი ზოლები აქვს, მომქაეოა და უწენო (ბგვ.). ზაფხულის ვაშლებიდან ზოგი ზოლიდა-ზოლი წითელია, ზოგი სადა წითელი (იგივე თურაშაული?); ზაფხულისაა შაფრანი (ბგვ., საღრ.) და მანანა ვაშლი. ეს უკანასკნელი („ბანანი“ არაა!) თეთრი დიდი ვაშლია, კარგი ჯიშისა; ჩხიკეთლების ცნობით ეს ჯიში თავის ბალში ჰქონია მხოლოდ საგინაშვილის ასულს მანანას და სახელიც მისგან მიუღია.

შემოდგომის ვაშლებია: ღრაჭუნა, ტკბილი ვაშლია, მოზრდილი, ზოგი მწვანედ მწიფდება, ზოგი წითლად (კლდ.), გოგრა ვაშლიცოტა „დაკუთხულია“, მოთეთრო-მოყვითალო (კლდ.), ლოყაწითელი ვაშლი გრძელი ვაშლია, ერთი ლოყა წითელი აქვს, მეორე თეთრი, წყლიანი ვაშლია, საშუალო სიტკბოსი, კარგად ინახება (ტბ.); გირვანქიანი ვაშლი დიდი მწვანე ვაშლია, ზამთარში ქაშდება, გემო კარტოფილივით აქვს (ჩხ.), ყანგიანი ვაშლი კარგი გემოს ვაშლია, სურნელოვანი ყურძნის, „მუშკაპნის“ (ჩხ.) გემო აქვს, მაგრამ შეხედულად არ ვარგა (საღრ.), ყანგიან ვაშლს კართოფილა ვაშლსაც ეძახიან (ტბ.) („მრგვალი ვაშლია, ტკბილი, კართოფილივით აყ-

<sup>48</sup> შდრ. გვიანა ქლიავი (გვ. 174).

რია ჰორფლი, ჰალის კართოფილმა რო იცის“. ტბ.), კეხურა (ჩხ.) წითელი ტკბილი და წყლიანი ვაშლია, ბანანა ვაშლი (—ბანანი).

ვაშლის ხეზე იცის დიდი მატლი, რომელსაც ბოგანოს ეძახიან (მაწ.).

თიბათვის მსხალი მწვანეა, მოწითალო გვერდი აქვს, ბოლოს ყვითლდება, ტკბილი, მშრალი მსხალია. სულიანი (სუნიანი) მსხალი ადრეულა, წვრილი მსხალია, თიბათვეში შემოდის, ცალი გვერდი წითელი აქვს, ცალი — ყვითელი, ძალიან ტკბილია და სურნელოვანი (ტბ., საღრ.). სურა მსხალი (გოლთ., ჯორჯ.) ყელვიწრო და ძირგანიერი, ყვითელი, ტკბილი მსხალია, ცალი მხარე დაუწითლდება ხოლმე, შემოდის მკათათვეში (გოლთ.). გულაბი მსხალი (ტბ., ჩხ.) ანუ ქართული გულაბი (დ. იორამ.) ძალიან ტკბილი, წვნიანი და გემრიელი მსხალია. კოკა მსხალი დიდრონი მსხლებია, ყელვიწრო და ძირგანიერი, „კოთხუნჯი მსხალია, როგორც კუნძი“, შემოდგომაზე შემოდის, ყვითლად მწიფდება, გულში სამი კურკა აქვს, ზამთრამდე ინახება (ჩხ.). აღექსანდროვის მსხალი „წოწოლა“ მსხალია, გემრიელი (საღრ.). ნანაძირი მსხალი მეტად ტკბილი და გემრიელი მსხალია, შემოდგომაზე შემოდის, ძალიან იცის დამწიფება, ჩვეულებრივი მსხლის მოყვანილობა აქვს, მაგრამ „აყრია ფოთოლ-ფოთოლ“ (საღრ.). უანგარო მსხალი „წოწოლა“ მსხალია, პირველად უანგისფერია, შემდეგ ყვითლად მწიფდება, ტკბილია „პირველია მსხლებში“ (ჯორჯ., ბგვ.) (შღრ. „უ ა ნ გ ა რ ო მ ს ხ ა ლ ი, — ე გ ზ ამ თ რ ის ა ა, დ ი დ ი მ ს ხ ა ლ ი ა, უ გ ე მ უ რ ი ა“. საღრ.). უანგარო მსხალს უანგა მსხალსაც ეძახიან (ბგვ.). ხეჭაჭურს მარახოში გემო აქვს, სქელკანაა და წყლიანი (ჩხ., ტბ., ფარცხ.). ბეგარმუტი მსხვილი მსხალია, ყვითლდება და კარგად ინახება (ჩხ.). „ხომანდულს ჩვენ მსხალს ვეძახით (შღრ. ხომანდული ვაშლი), ცოტა დამანქვა იცის ხოლმე, დაღრეჯილი მსხალია“ (საღრ.). მსხალ-პანტა ყველაზედ უფრო მსხვილი (შღრ. „მსხალ-პანტა წვრილია“. ჩხ.) და გემრიელი პანტაა, ბაღებშიც უდგათ, შემოდის მარიამობისთვეში (ჯორჯ., საღრ., გოლთ.). ბერყენა მინდვრის პანტაა, საშუალო სიმსხოსი (შღრ. „ბერყენა წვრილი პანტაა“. შავს.), ტკბილია, ყანის დროს შემოდის (პ. თონ., ჯორჯ.) (ბერყენას ხეპრეს და უსწავლელსაც ეძახიან. ჩხ.). საკუთრივ პანტა ყველაზე უფრო წვრილია (ჯორჯ.). ს. კლდეისის ერთ-ერთ სათიბს პანტიანი ეწოდება, ესლაც დგას ერთი-ორი ძირი პანტა.

ძველად გავრცელებული ატმის ჩიშებიდან დღემდე მოსდევს ორგვარი ჩიში: სახეჩი ატამი (საღრ.) ანუ საპოპი ატამი (ტბ.) და

სახრავი ატამი (სალრ., ტბ.), დანარჩენი ჯიშები ახალი დანერგულია (სალრ.).

„თიბათვის ატმებია (ტბ., სალრ.) აღრეულა ატმები, (ესენი) სხვილი, ნამყენი ატმებია; სახრავი — წითელია, საპოზი — თეთრია; სახრავს მეტი წვენი აქ და მჟავეა, საპოზი ტკბილია, ორივე წვნიანია“ (ტბ.).

სოფ. სალრაშენის ერთ მიწას კომშებს ეძახიან, უწინ აქ „კომშიანი ტყე ყოფილა“.

ლორქლიავა „ლურჯი ქლიავია, ცოტა მჟავეა, ცოტა მოგრძო ქლიავია, საკმელათ, მურაბათ კარგია, კერკიც შეიძლება გაკეთდეს“ (ტბ.). ყურძენა ქლიავი წითელია, ყურძენივით ტკბილი, „ცოტა მოგრძელოა, როგორც ლორქლიავა“ (ტბ., ფარცხ.). შაქარა ქლიავი მწვანეა, ჩხლიჩება, შაქარივით ტკბილია (სალრ., ფარცხ., ბგვ., ჩხ., გოლთ.): „შაქარა ქლიავს აქ ოქროს ქლიავს ვეძახით, ცალი გვერდი წითელი აქ, ცალი ყვითელი, ოქტომბრამდინ გვისხნია, ყველაზე გვიანა ქლიავი ეგ არი. ეგ ორი ქლიავი (ოქროს ქ. და შემოდგომის ქ., ჩხ. ქვემოთ) ოქტომბერში მწიფდება (ისევე), როგორც ლელვი“ (ბგვ.). შემოდგომის ქლიავი „როგორც ბოთლი ისეთია: ყელი აქ ეწრო და მუცელაა, გარედან წითელია, შიგნიდან ყვითელი, როგორც კვერცხის გული და ტკბილი, ტკბილი რო აღარ შეიძლება!“ (ბგვ.) (შდრ. „შემოდგომისა ჭანჭურია, ქლიავი არ არის!“ სალრ.); ტყემალა ქლიავი ტყემალზე უფრო მომსხო ქლიავია, ზოგი წითელია, ზოგი — ყვითელი, მომჟავოა, უფრო სააყეთ ხმარობენ (სალრ.). ლოყაწითელი ქლიავი მრგვალი, კაკლის სისხო ქლიავია, ერთი გვერდი წითელი აქვს, ერთი — თეთრი, ტკბილი, წყლიანი ქლიავია (ტბ.). აღიბუხარი ტკბილია (მაწ.). გოგრაქლიავაც (ტბ.) იციან. კვერცხისებური ქლიავი „კაი გემოსია, ტკბილია“ (ჩხ.). ძუძუთა ქლიავი (ძუძუ ქლიავა?) წითელია, წვრილი და ტკბილი, ყველაზე წინ (მკათათვეში) მწიფდება, ერთბაშად მწიფდება და ძირს ჩამოდის (ტბ.). გვერ(დ)ჩოფურა ქლიავი „თეთრია და მზის მხრიდან წითლათ არი დაჩოფურავებული“ (თონ.). ლურჯი ქლიავი გარედან ლურჯია, შიგნიდან — ყვითელი, უგემურია, არაფერში ვარგა, არც არაყი გამოდის, უწვნოა, ღორებს აკმევენ (სალრ.). პაპას ქლიავი (ტბ., ჩხ., ფარცხ.) შემოდგომის წვრილი, მოგრძო, მოყვითალო ქლიავია“, ეძახიან პაპას ხილსაც (სალრ.). ლონღოშოს უფრო ხშირად ლონღუშოს (ჩხ.), ზოგჯერ ლონღიშოსაც (მაწ.) ეძახიან.

შავ ჭანჭურს-მოგრძო-მომრგვალო პატარა ნაყოფი აქვს, ტკბი-

ლია, — თუთქავენ და კერკს აკეთებენ (საღრ.). ჭროლა ჭანჭურიც: (საღრ.) იციან.

ქლიავმა, ტყემალმა, ჭანჭურმა და მისთ. იცის ავადმყოფი ნა-  
ყოფი, რომელსაც ბოყვს (გოლთ., ფარცხ.) // ბოყს (ჯორჯ.) ეძახიან;  
მოთეთროა და გაბერილი, უდროოდ ცევა ხიდან, ტკბილია და ბავ-  
შეები ჭამენ.

„გოგრა ბალი თეთრია“, თიბათვეში შემოდის (ტბ.) (შღრ.  
„გოგრა ბალი წითელია“. საღრ.). წვრილი ბალი ადრეულაა (თიბა-  
თვისა), ყველაზე ადრე ეგ შემოდის, თუთასთან ერთად, მთლიანად  
წითელი, ტკბილი ბალია, გოგრა ბალზე ცოტა უფრო წვრილია,  
„წვრილ ბალს“ ძუძუბალასაც ეძახიან (საღრ.). თეთრი ბალი (თეთრი  
„შპანსკი“?) ნამყენი ბალია, გოგრა ბალზე უფრო მსხვილია, კარგი  
გემოსია, ცოტა მყავედ გაჭკრავს, „შპანცკს“ ეძახიან, სამურაბეა  
(ტბ., საღრ.). შავი ბალი (შავი „შპანსკი“), აგრეთვე. ნამყენია. თეთ-  
რი ბლის სისხოა, გემოც ერთნაირი აქვთ (ტბ.), მურაბაშიც იხმარე-  
ბა („ეს უფრო ტკბილია“. საღრ.). სოფ. ჩხიკეთის მიდამოებში ერთ  
ადგილს ბალიანს ეძახიან.

სამურაბე თეთრი ლეღვი წვრილი ლეღვია, კარგი გემოსი,  
ტკბილია, ყურძნობას მოდის (ტბ.). შავი ლეღვი მსხვილი, მუქი  
ლურჯი ლეღვია, ტკბილია, თეთრ ლეღვთან ერთად შემოდის (ტბ.).  
ბუშტა ლეღვი მსხალივით მსხვილი ლეღვია, მოყვითალო ფერისა,  
გამოფიტული, უგემური ლეღვია, ახალი შემოტანრილია, ძველად არ  
იყო (ჯორჯ., ბგვ.).

ხართუთა შავი მსხვილი თუთაა (ჩხ.), „შემოდგომურია“  
(გოლთ.). ჭროლა თუთა მოშავო-მოწითალო ტკბილი თუთაა (თონ.,  
ტბ., შავს., კლდ.).

შინდს აქ შვინდს ეძახიან. ჭარშვინდა (—ქარშვინდა?) მოყვი-  
თალო ფერის შინდია, კარგი გემოსი (საღრ.), მას ოქროშვინდასაც  
ეძახიან (შ. თაქ.). „ნაგვალევ“ და მკვახე შინდს მწლავე (მომწარო  
და პირის მშრამავე) გემო აქვს (მაწ.).

გოდორმარწყვა მსხვილი მარწყვია (მაწ.). ძუძუმარწყვა „წა-  
გძელო მარწყვია“ (მაწ.).

აქეთკენ მოცეს შავშავაჰა (კლდ.) (შღრ. ფშ. შ ა ლ შ ა ე ი) და  
მოცხარს<sup>49</sup> ეძახიან (თონ., ტბ.; ჯავახეთში იცისო), არახილი მოწი-  
თალო-მოშავო ნაყოფია, გემოთი მხე (კლდ.) („წითელი მოცხარია“.  
კლდ.). ლაბა არახილზე ცოტა უფრო მსხვილნაყოფიანი მცენარეა,  
ტკბილია, — ლუყურტი (კლდ.). ხორხოშაც კენკროვანებს ეყუთენის

49 შღრ. მოცი — შთის შავი მოცხარი (ცირონოჲ, სალექსიკონო მასალა).

(ხორხოშა სეტყვასაც ეწოდება). კენკრეულისათვის ჭურჭლად კოკოშას (ხის კანის პატარა ძირგამოწნული დაბალი კასრი) ხმარობენ (კოკოშას გოგრასაც ეძახიან. იხ. ქვემოთ). ჩიტავაშლა წვნიკი ვაშლივით ასხია ბუჩქებს, არ იქმება (ფარცხ., ტბ.).

კოკოშა გოგრა ანუ კოკოშა ძირგანიერი და ყელვიწრო გოგრაა, ხეებზე ადის, გულამოლებულს ჭურჭლად იყენებენ (ღვინისათვის, წყლისათვის) (პ. თონ., ჯორჯ.). სოფ. პატარა თონეთში კოკოშას აკენის ქვეშ აკრავდნენ შიბაქიდან შარდის ჩასადენად. ძაბრის გოგრა ცარიელია, შიგ კურკის მეტი არაფერია, ამასაც ჭურჭლად იყენებენ სითხის ჩასასხმელად (იგივე კოკოშაა?). ყელიან გოგრას თათრულ გოგრას ეძახიან (შავს.).

კაკალს კროლავენ (მწვანე ქერქს, ბუდეს შემოაცლიან) (ტბ.), დაკროლვა ხდება ქვის ცემით (თხილსაც კროლავენ). დაკროლვას გაჩურჩვას (თონ., ჩხ.), გაჩუნჩვას (მაწ.) და გარჩევასაც (ენაგ.) ეძახიან (გაჩურჩვას ეტყვიან, აგრეთვე, ლობიოსა და მისთ. პარკის გამოგულვას და ზოგიერთი ხილისათვის, მაგ. ქლიავისათვის, კურკის გამოცლას; ჩხ.).

კაკლის ნაჭუჭის გარეკანს, რომელსაც დაკროლვის დროს შემოაცლიან. წენგო (მაწ.), ლენჯო (ენაგ.), ჩურჩა (თონ., ენაგ.) და ჩუნჩო (მაწ.) ეწოდება (ჩუნჩო და ჩენჩო თხილის ბუდესაც ჰქვია).

კაკლის საბერტყ გრძელ ჯოხს ხალხას ეძახიან (ტბ., საღრ.), კაკალს (სხვა ნაყოფსაც) აყრევიანებენ, აგრეთვე, მოკლე სასროლი ჯოხით, რომელსაც ჭოლოკი (მაწ.), ჭოლოკინი (ტბ., საღრ., მაწ.), ჭოლოკინა (ელდ.) ანუ ხელჯოხა (საღრ.) ჰქვია.

სოფ. ჩხიკეთის ერთ ადგილს და სოფ. მაწევნის ერთ-ერთ სათიბს კაკლიანი ეწოდება.

ქართული თხილი წვრილი, მაგრამ ნოყიერი თხილია (ტბ.), ბერძნული თხილი მსხვილია (ტბ.), დათვ(თ)ხილა ძალიან მაგარი ჯიშისაა, ტყეებში იზრდება, მაღალია, სამასალედ, ავეჯისათვის იყენებენ, აქვს ძალიან წვრილი, მაგრამ ძალიან გემრიელი, დაკუთხული, მაგარნაჭუჭიანი ნაყოფი (თონ., ტბ., მაწ.).

## მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ა

ქვემო ქართლის მიწა-წყალი, როგორც ეს შესავალშიც იყო აღნიშნული, არაერთგზის ყოფილა მტერთაგან მოოხრებული. ძველი ნასოფლარები და ნამოსახლარები, რომლებსაც აქ მრავლად შევხვდებით, თავისი მონაცემებით (აქაური მიწის წიაღში ნაპოვნი უზარმაზარი ქვევრები და სხვა) იმაზე მიგვანიშნებენ, რომ მევენა-



ხეობას აქ უკანასკნელი ადგილი არ უნდა სჭეროდა. ვაზისათვის არც შიშველ მიწებზე ხელახლად დასახლებულ ქართლ-კახელ გლეხობას უღალატნია. ამჟამად მევენახეობას მისდევენ უმეტესად მდ. ალგეთის შუაწელის სოფლები: ფარცხისი, საღრაშენი, ბოგვი, ჯორჯიაშვილი და სხვა, რომლებსაც მოეპოვებათ ვაზის კარგი ხელის მცოდნე რამდენიმე ძველი და ახალი მევენახე.

ვაზის გამრავლება (მოშენება) ხდება დაფესვიანებით. მარტის თვიდან, როცა ისხვლება ვაზი, რქას ააჭრიან („თითონ ვაზია რქა. რქაზე უნდა იყოს 8 — 10 კვირტი, დანარჩენს აცლიან“. ბგვ.), რომელსაც მაღლა უტოვებენ ორ კვირტს, დაბლა კი სამ-ოთხ კვირტს შეარჩენენ, დაფლავენ და მიწას შემოუბუღულეებენ (შემოაყრიან). დაფლულ კვირტს, ამოხეთქვამდე, მძინარე კვირტს ეძახიან (ბგვ.): მაისში ან თიბათეში გაიდვიძებს, ამოიხეთქავს (კვირტიდან გამოვა ახალი ყლორტი); იმ წელიწადს დაფესვიანდება რქა, მეორე წელიწადს, მარტის თვეში, გადარგავენ (ტბ.). გაზრდილ ვაზს შეყვლავენ („მოკაკევენ“ და სარზე ან მავთულზე ააქრავენ) (ბგვ., საღრ., ფარცხ.), აახვევენ (გოლთ.) ანუ დააკავებენ (ბგვ.). ასახვევად კაპიჭს (მანეულს. საღრ.) ხმარობენ. ვაზის გასხვლის დროს სამამულედ (სამამულე არის რქა, „რომელიც ვაზათ უნდა იყოს და იმუშაოს“. ბგვ.) ტოვებენ მხოლოდ სამ კვირტიან რქას, რომელსაც ნეკი (ბგვ.) ანუ რქანეკი (ბგვ.) ეწოდება, დანარჩენს ააჭრიან. მეტ ყლორტს რომ გამოიტანს ვაზი, — გაფურჩინან (საღრ.) / გაფურჩქნინან (საღრ.) (ზედმეტ ყლორტებს შეაცლიან). გაფურჩნა ზოგერთი ბოსტნეულისაც იცინა.

ვაზს თუ ჭია ან სხვა სატკივარი გაუჩნდა, კვირტი დაბრმავდება (ბგვ.) (გახმება, „ღარ იმუშავენს“), „წინაწინ (—უწინ) წამალი არ იცოდნენ, მერე კი გოგირდს აძლევდნენ და როგორც სარკე, ეგრე ხდებოდა, როგორც პირი დაიბანო“ (ბგვ.).

ყურძნის სხვადასხვა ჯიშმა სხვადასხვანაირი მტევანი იცის. სავეს ხშირმარცვლიან მტევანს შეკრული მტევანი ეწოდება (საღრ., ბგვ.) (შდრ. კ უ მ ს ი მ ტ ე ვ ა ნ ი. დ. იორამ.), მეჩხერმარცვლიანს კი თხელი მტევანი (საღრ., ბგვ.). თხელმტევნიან ყურძნის ჯიშს თხელ(მ)ტევანა ყურძენს ეძახიან (ბგვ.). ზოგმა ჯიშმა თვალად შეუხედავი მტევანი, მაგრამ კარგი გემოს მარცვალი იცის და პირიქით, ზოგი ჯიშის სათვალის (ლამაზ) მარცვალს გემო სულ არ უვარგა ან ნაკლები აქვს.

ყურძენი რომ შემწიფდება (სხვა ხილიც) ან დამწიფებას მოასწრებს (ამინდი ვერ შეუშლის ხელს, იტყვიან დავარგდაო (თონ.).

რთველის შემდეგ იციან ყურძნის აჯაგვნა, რომ გამოშრეს; აჯაგვანვენ კაპიჭზე (ჯორჯ., საღრ.).

ალგეთის ხეობაში გავრცელებულია შემდეგი ჯიშები ვაზისა: შალა ყურძენი, რომელიც ასურეთიდან ყოფილა შემოტანილი, მას გერმანელი მოსახლეებიც („ნემენცები“) თურმე შალა ყურძენს ეძახდნენ; წითელი ფერის ყურძენია, მსხვილმარცვალა და წვნიანი, მაგრამ ნაკლები სიტკბოსი, უხვმტევნიანი ჯიშია: ერთი ძირი ვაზი 65-მდე მტევანს ისხამს; ბუერამ დიდი ვაზი იცის, „რალაცნაირათ გემმჩნევა (—გემჩნევა) (გამოირჩევა, კარგად მოჩანს) ვაზებში, მეტი ტოტი იცის, მეტი ფოთელი“, თხელმტევანაა და მსხვილმარცვალა (ბგვ.); ხარიჩხია დიდმტევნიანი და მსხვილმარცვლიანი ყურძენია, ყვითლად მწიფდება, ტკბილი ყურძენია, სურნელოვანი, ღვინოდაც ვარგა, საკმელადაც (ბგვ.). ხართვალას გრძელი, „სათვალის“ მარცვალი აქვს, კაი შეკრული მტევანი იცის, გემოთი კი „ნუშკაპლის“ ყურძენი შჯობია (ბგვ.); გორული მწვანე ყურძენია, „ნამდვილათ გორული არ არი, მაგრამ სახელები ეგრე დაარქვეს“ (ბგვ.); მუშკამბრის / მუშკაპნის / ნუშკაპლის (—*мускатный*?) ყურძენს სხვადასხვაგვარად აღწერენ მთქმელები: „მ უ შ კ ა მ ბ რ ი ს ყ უ რ ძ ე ნ ი მსხვილმარცვლიანი ყურძენია, თხელი მტევანი აქვს, თეთრია, ტკბილი არ არი ძალიან, განსხვავებული სუნი აქვს“ (ტბ.); მ უ შ კ ა მ ბ რ ი ს ყ უ რ ძ ე ნ ი შავია, ცოტა სხვანაირი გემო აქვს, ღვინოში ვარგა, ძალიან ტკბილია (ფარცხ.); „ნ უ შ კ ა პ ლ ი ს ყ უ რ ძ ე ნ ს ა კაპლივით გემო აქვს. რო შაშკამს ადამიანი თითქო კაპლი დაუღვეიაო, გემოვნობით ყველას შჯობია, სილამაზით არ არი ლამაზი, წვრილი მარცვალი აქვს, მწვანეთ მწიფდება“ (ბგვ.); თეთრი ბუდეშური (ტბ., საღრ.) მწვანე ყურძენია, წვრილი და მოგრძო მარცვალი აქვს, ძალიან ტკბილია, „ბუდეშურზე ტკბილი ყურძენი არც არი“ (საღრ.).

## დასკვნა

მიუხედავად ხარვეზისა, რაც ჩვენს ნაშრომს ახასიათებს (რიგი სოფლის შეუსწავლელობა), ჩვენს ხელთ არსებული მასალა მაინც იძლევა საფუძველს ზოგადი ხასიათის დასკვნითი დებულებების წარმოსადგენად.

1. ალგეთის ხეობის ქართლურ მეტყველებას რიგი საერთო მოვლენა აკავშირებს ქვემო ქართლური კილოკავის<sup>50</sup> მეორე წარმომადგენელთან, რომელსაც გომარულს უწოდებენ (ვ. თოფურია) (ზმნათა აწმყოს თემატური სუფიქსების იდენტურობა, რაც შიგა ქართლურ კილოკავს, მესხურსა და ჯავახურ კილოებსა და ზოგ სხვა ენობრივ ერთეულსაც ახასიათებს; -ნენ სუფიქსის გამოყენება ზმნათა ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში; -ილ სუფიქსის ნაცვლად -ულ სუფიქსის გამოყენება მიმღეობაში და სხვ.).

2. მეორე მხრივ, თავისი ძირითადი მოვლენებით, ალგეთური საკმაოდ ახლოსაა შიგა ქართლის მეტყველებასთან (აფიქსებად ა, აჰ, ახ და (ალგეთურში იშვიათად) ჰს ვარიანტების გამოყენება; ხ/ჰ მონაცვლეობის არც თუ იშვიათი შემთხვევები წინაენისმიერებთანაც, რაც ჯავახურის ნიშანდობლივი მოვლენაა; კომპლექსთა მონაცვლეობის სახეები; აწმყოს თემატური ნიშნები; დრო-კილოთა III სერიაში -ოდა სუფიქსის ნაცვლად -იყო მეშველი ზმნის გამოყენება; -ილ, -ულ სუფიქსების მონაცვლეობა მიმღეობაში; -ივ სუფიქსიანი ბრუნვის ქონა გადმონაშთის სახით და სხვ). ამავე დროს არის საგრძნობი სხვაობაც.

3. ზოგი თავისებურებით ალგეთური მეტყველება ქართლის ჩრდილო ნაწილის მეტყველებას ეხმაურება (ქ'ს გამოყენების იშვიათი შემთხვევები; ზოგჯერ მახვილის ხმარება ბოლოდან მეორე მარცვალზე კითხვით წინადადებაში ზემო სოფლების მეტყველებაში; მახვილის ამგვარი გამოყენება ალგეთურში მთიულურისა და ჯავახურის შემონატანი უნდა იყოს).

<sup>50</sup> ქართლურის დაყოფისათვის იხ. გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტის ნაირსახეობანი: იკე, IX—X, თბ., 1958, გვ. 147.

4. ალგეთურისათვის მთლად უცხო არაა ზოგი დასავლური კილოსათვის დამახასიათებელი მოვლენაც (მაგ. ეე—იე'ს იშვიათი შემთხვევები, რაც მესხურ-ჯავახურიდან უნდა იყოს შეთვისებული და სხვ.).

5. ალგეთური მეტყველების სპეციფიკური მოვლენებია:

ა. ს'ს მონაცვლე ვარიანტთა შორის იშვიათად მჰს (→მჰშ) პრეფიქსის გამოყენებაც („პარკში ჩამჰსწურამენ“).

ბ. მიცემითი ბრუნვის ნიშნის ს'ს დაკარგვის შემთხვევების პოზიციური შეუზღუდველობა („მიათრევენ აკენებ“), საპირისპიროდ, მაგ. ტყვიავის რაიონის მეტყველებისა, რომელშიც „მიცემით ბრუნვაში დაყენებული დამატება ჩვეულებრივ შემასმენელს უნდა უსწრებდეს წინ“<sup>51</sup>.

გ. ემფატიკური ხმოვნის ა'ს დართვა მიცემით ბრუნვაში დაყენებული სახელის შიშველ ფუძეზე („გავანებამ თავა“); ამ მოვლენით ალგეთური მეტყველება ქიზიყურ კილოსაც კი ამეტებს, რომელშიც ს ბგერის დასუსტება და დაკარგვა მეტისმეტად შორსაა წასული.

დ. ემფატიკური ა'ს გამოყენების თავისებური შემთხვევა („მატყლითა | შალეხსა ვქსოვდით“), რითაც ქართლური ახალ მასალას გვაწვდის ამ მორფემის ფუნქციური რაობის დაზუსტებისათვის.

6. ალგეთურის მდიდარი ლექსიკა თავისი ძირითადი ნაწილით, რა თქმა უნდა, საერთო ქართლურია; გარდა ამისა, საკმაო რაოდენობით ვხვდებით სხვა კილოებთან საზიარო ერთეულებსაც. საკუთარი კილოს შიგნით, თუ მოძმე კილოებთან საზიარო ეს ერთეულები, თუ ფუძეები, მნიშვნელობათა ნიუანსური სხვაობისას, ხშირად ერთმანეთს ხსნიან (ახსნა) (ალგეთ.: საფიჩხე და შიგა ქართლ.: ჩაუფიჩხებს; ალგეთ.: დამარაგდება და საბა: მარაგი, თუშ.: მარაგი), მნიშვნელობით აესებენ (ალგეთ.: განიადაგებული და შიგა ქართლ.: გაანიადაგებს), ან ფორმებით აესებენ (ალგეთ.: ასინათებს და ზემოიმერ.: გაასინათებს, მთ.: სინათე, მოუსინათებს).

ალგეთურის მასალით შესაძლოა მივაკვლიოთ ზოგი სიტყვის თავდაპირველ (resp. ნამდვილ) მნიშვნელობას [მაგ. ალგეთურის ზოგი მასალის ჩვენებით: ა. დვრიტა არაა მაჭიკი'ს სინონიმი: „ბატკნის მაჭიკში (კუჭში — თ. ს.) რო ჩავა ხსენი ... იმას ვეტყვით

<sup>51</sup> ე. თოფურიძე, ქართლური, გვ. 133.

დ ვ რ ი ტ ა ს “. მაწ.<sup>52</sup>, „დ რ ი ტ ა (—დვრიტა) მ ა ჭ ი კ შ ი  
ღ ე ვ ს “. ჯ ო რ ჯ .<sup>53</sup>; ბ. მკედლობის ტერმინი დაპირვა არაა გამოწვეპა'ს  
სინონიმი; მათ შორის არსებითი განსხვავებაა: პირველი მათგანი  
(დაპირვა) გულისხმობს პირმოცვეთილი მჭრელპირიანი იარაღისა-  
თვის „ფოლადის დადებას“ (რაც მხოლოდ მკედელს შეუძლია), მე-  
ორე კი (გამოწვეპა) — დაჩლუნგებული იარაღისათვის „პირის გა-  
თხელებას“ და სხვ.]

აღგეთურში შემონახულია არქაიზმები და ზოგიც, ეტიმოლო-  
გიის თვალსაზრისით, საინტერესო ფუძის მქონე სიტყვა (ყუყული  
და სხვა).

აღგეთურ მეტყველებაში შესულია რიგი არაქართული სიტყვა  
სხვაენოვან თანამოსახლეთა ლექსიკიდან (სომინი / სომუნი, ანა-  
ანა და სხვა).

7. აღგეთის ხეობის ქართლელთა მეტყველება თავისი ენობ-  
რივი მონაცემებით ქართლურის ერთ-ერთ მძლავრ წევრს წარმო-  
ადგენს. იგი შემცველია რიგი, სამწერლობო ქართულისა და ზეპირი  
დიალექტური მეტყველების თვალსაზრისით საინტერესო, ფონეტი-  
კურ-გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებისა. ზემოთქმული  
საფუძველს იძლევა, დაისვას საკითხი მისი ადგილის შესახებ ქართ-  
ლური კილოს სხვა ერთეულთა შორის, რაც ქვემოქართლური კილო-  
კავის აღგეთურ თქმას გულისხმობს.

---

52 ინფორმატორი თებრო ბალახაძე, მერძეეობის კარგი მცოდნე  
დიასახლისი, წარმოშობით გომარელი.

53 ინფორმატორი სამუა დარჩიაშვილი, ძველი გამოცდილი ბჭეუმი.

## ტ ე ქ ს ტ ე ბ ი

### სამეფელი

#### ყ ა თ მ ა რ ი

მოზილამ ცომსა, მერე გაშლი იმას, როგორც ხახვის ფურცელი, თხლათ, — რა ვიცი, ათიანი გინდა, ხუთიანი გინდა! ათი უნა გამალო, რგვლათ გაშლი, მოუსვეფ ქონსა, — მანამ ათს გადააფარეფ, სუ უნდა ქონი მოუსვა, გინდა ერბო, სუ ზედიზედა, მემრე გადმოუკეცამ კუნჭულებსა და ჩადეფ სკავრადაში, გინდა ტაფაში; რო გამოცხეება, სულ ფურცელ-ფურცელ იქნება.

სოფ. ღარცხისი

### ნაზუქი

ნაზუქი ცხეება დღესასწაულებში: აღდგომას, სამებობას, სიონობა, კვირაცხოველი, გიორგობა, მარიამობა. ცომს მოვზელამთ რძეში, უზამთ ერბოს, შაქარს, კვერცხს, დავზელამთ პურის ცომზე უფრო კარქათ; მერე ჩავაკრამთ თონეში ან ფურნეში შევსხამთ; გათხელებულ გუნდას ზევიდან უსვებთ გათქვეფილ კვერცხს.

სოფ. თონეთი

რძეს, ერთ ათ კვერცხს, ერთ-ორ კოვზის პირ ქონს ან ერბოს ცოტა შაქარს აურევთ და მოვზელამთ; რო გაფუვდება, ამოვიღებთ გუნდას, გავათხელებთ, დავაქრელებთ დანიით ან ჩანგლით; ჩაკვრის დროს კვერცხს წაუსვამთ და გამოვაცხობთ; თუ მიხაკი გვაქ; იმასაც უზამთ, კარქ გემოს აძლევს.

სოფ. ჭორჭიაშვილი

### ხვეული ნაზუქი

მოვზელამთ ცომსა; რო გაღვივდება, ამოვიღებთ გუნდას, გავათხელებთ, მოვასხამთ გამდნარ ერბოს, მოვაყრით შაქარს ან დამ-

წვარ ხახვს და ცოტა ფქვილს, მერე სიგძეზე დავახვევთ, მერე მოვარგვალეობთ კოსასავითა, ცოტა გავათხელებთ, ჩანგლით დავაქრელამთ, ზევიდან გადაუსვამთ კვერცხა და შაქარსა და შევსვამთ ფურნეში.

სოფ. თონეთი

### ცეცხლაკვერა

წინათ ცომს რო მოვზელამდით, მოვგლეჯამდით, გავათხელებდით და ცეცხლში ჩავდებდით, დავაყრიდით ცხელ ნაცარს; გამოცხვებოდა, დავბლერტამდით და ვკამდით. მოხუცებს უყვარდათ, ჩემი მამამთილი მეტყოდა: „ცეცხლაკვერა გამამიცხე, შვილო!“

სოფ. ჩხიკთა

### მხლის ქადა

მხლის ქადა<sup>55</sup> ვიცით ჭარხლის კლავისა (ჭარხლის კლავი — მთ. 'ჭარხლის ფოთოლი'), ან წითელი მხლისა. წითელი მხალი უნდა გარეცხო, მოხარშო, გადმაიღე, გაწურე მაგრა, მოახრაკავ მერე იმას, უზამ ცოტა, გინა ყველი გექნება, გინა ხაჭო, — მზათა გაქ გალვიებული ცომი, გავათხელებთ, შეფხვევთ, მოვხვევთ, როგორც ხინკალი, გავაპტყელებთ, ჩავდებთ კეცში, დავაფარებთ გაზეთსა, ქალაღსა, დავაყრიდით ცხელ ნაცარსა და გამოცხვება. თუ ჭარხლის კლავისა გინდა, ჭარხლის კლავი უნდა გარეცხო (მოხარშვა არ უნდა), დაკაფო (დაკაფვა — მთ. 'დაკეპვა') მაგრა და ისე გააკეთო, როგორც წითელი მხალი.

სოფ. ტბისი

მხლის ქადა<sup>56</sup> ისეთი კარგია, რო ცხვება, რო! ერბოს ურევთ, ხაჭოს ურევთ, დავკაფვივთ კარგათა და გამოვაცხოვებთ ფურნეში, ძალიან გემრიალია!

სოფ. მაწევანი

### ხლოვანა

ხლოვანას<sup>57</sup> პატარა-პატარას გამააცხოვებენ ფეჩხედა, მხლის ქადას კიდევ კეცზე გამააცხოვებენ, დიდსა!

სოფ. ტბისი

55, 56, 57 მთქმელი მთიულთა.

## უხა

რძეში, ერბოში, სიტკბოში მოზელამენ ფქვილსა, როგორც ხმიალი, მაგარსა, გაათხელებენ უხლავითა ლავაშივით, მერე გამოაცხობენ, გაახმობენ, დაფქვავენ ხელსაფქვავეზე, გასცრიან საცერში, მოუხარშამენ რძეში და აკმევენ ქორფა ბავშვებს ერთ წლამდინ, ვისაც ძუძუ არა ჰყოფნის.

სოფ. ოონეთი

## ფუშრუკი

დავწყამთ ნიგოზს ბლომათ, დავყრით დაკრილ ხახვს, დავასხამთ წყალს და ავადულებთ, ცალკე ცოტა ცივ წყალში ავსრესამთ ფქვილსა და მოუკიდამთ იმ ადულებულ კერძსა, ჩავაყოლებთ წიწაკასა და მზათ არი.

სოფ. ჩხიკეთი

ფქვილს ჩავყრით ჯამში, ცოტა წყალს დავასხამთ და ავსვრამთ ხელით; ქვებით წყალს ავადულებთ და იმ ფქვილს შიგ ჩავყრით, მარილს უზამთ, რეჰანი, მალდანოზი, ცოტა წიწაკას უზამთ, ცოტა ცხიმსა, მოიხარშება და წვნიანი კერძი (ფუშრუკი) გამოვა.

სოფ. ბოგვო

## ყაურმელა

მომუშამ ფქვილსა ერბოში, — წყალში რო ჩააყარო, თუ დაიშხივლა, იმას აღარ უნდა მეტი, — აიღეფ და დაასხამ წყალსა, უნა იღულოს, მანამ სულზე (=სუნზე) შეეცყობა, რო მზათ არი, დაწითლდება და გაკეთდება კერძი (ყაურმელა).

სი.ფ. ჟარცხისი

დადღადამ ხახვსა ერბოშია, გინდ ქონში, გინდ ზეთშია, თუ კი არა აქ გასაქანი ოჯახსა; შეუყენეფ წყალსა და მოუკიდეფ ფქვილსა, უნდა იღულოფ, დაისრულოს დუდილი; როგორც თათარა, ეგრეთია, მე კი არ მიყვარს ეგეთი ათხლოებული კერძი!

სოფ. საღრაშენი



## ატრია (ანტრია)

ატრიას ვაკეთებთ ხომე<sup>58</sup>, ისეთია, როგორც თათრული ხინკალი (ქართველები ეძახიან თათრულ ხინკალსა): მაგარ ცომს მოვზელამთ, გავათხლებთ ლავაშივით და დავჭრით, — რძე და წყალი დულს, ჩავეყრით თითო-თითო და თან მოურევთ; რო გასქელდება, — ამოვიღებთ ქიტით (ქიტა ქართულათ ციცხვია) ჯამებზე და ვკამთ კოვზით; წინათ პატარა ჯოხებ, ჩხირებ გათლიდნენ და ჩაურჭობდნენ, რო ხელი არ დამეწვასო.

სოფ. ტბისო.

მოძულ მაგარ ცომსა<sup>59</sup>, გაათხლეფ, მერე დადშქრი კუთხედა-თა, მერე მოხარშამ რძეში, ზოგი ისე წყალში ხარშამს, ზოგი ხახვ: დაუწვავენ, ვისაც რძე არა აქ; გალუშკასაც ეძახიან, ატრიასაცა.

სოფ. მაწევანი.

მაგარ ცომს მოვზელამდით, როგორც ხინკლის ქერქი, გავათხლებდით უხლოთი, დავჭრიდით დანით, — ავადულებდით რძესა და იმ ცომსა და კარტოფილს მოვხარშამდით რძეში; წყალშიც შეიძლება მოხარშეა; თუ წყალში მოვხარშამთ, — ხახვ დაუწომთ ერბოში და წიწკას უზამთ.

სოფ. ენაგეთი.

წვნიანი კერძია: ცომს მოვზელამთ, ხახვს მოვხარაკამთ ერბოში, დავასახამთ წყალსა, მერე თხლათ დათლილ კარტოფილ ჩავეყოლებთ, მოიხარშება, ცომს გავათხელამთ, დავჭრით წვრილათა და იმასაც მდულარეში ჩავეყრით, ჩავეყრით მარილსა, რო მოიხარშება, — მზათ არი.

სოფ. გოლეთი.

ანტრია უხორცო ხინკალია, მხოლოთ რძეში იხარშება, თუ გინდა, — წყალსაც გაურევ!

სოფ. ჯორჯიაშვილი

## დოს ხინკალი

მოვზელამთ ცომსა, გავათხელამთ თხლათა, ლავაშათა, დავჭრით ნაკვეთ-ნაკვეთებათა (მთ. 'ნაქერ-ნაქერ, ნაქრებად'), — ავა-

58, 59 მთქმელი მთიულია.

დულამთ წყალსა და ჩაყვრით, — მოიხარშება, ამოვიღებთ ჯამებზე, — მერე გავთქვევამთ დოსა, უზამთ დანაყილ ნიორსა, მოვასხამთ ზედ, მემრე ხახვი დამწვარი გვაქ ერბოში და დავასხამთ ზევიდან, დავადგებით და ვქვამთ; წინათ რო ჩანგლები არა ქვქონდა, — გავთლიდით ბავშვები ჩხირებსა, გრაკლი ცოცხი იყო, წითელი, დავიდგებოდა იმი ძებნა, გაფხხეკამდით, გავაწვერიანამდით და იმით ვქვამდით.

სოფ. მაწევანი

### თათრული ხინკალი (დოს ხინკალი)

ცომს მოვზელამთ, გინდა შავფხასა, გინდა თეთრი ფქვილითა, მაგარსა, გავათხელებთ, დავკვრით ოთხკუთხათ, ჩაყვრით ადულებულ წყალში. ამოყვრით ბლუღზე, — ცალკე გვაქ დამზადებული დანაყული ნიორი და მაწონი, ერთათ არეული, ცალკე კიდეც ხახვი და ერბო ერთათ მოხრაკული, — სუფრაზე მოვიტანთ ცალ-ცალკე თეფშებით, ჯერ ხახვიან ერბოს დავასხამთ ხინკალზე, მერე მაწონსა და ნიორს.

სოფ. ჩხიკვა

### ხინკლის შეჭამანდი

შავფხის ფქვილით, ან პოშოლის ფქვილით მოვზელამთ მაგარ ცომსა, გავათხელამთ საგორავითა, მერე დავკვრით წვრილათ, ოთხკუთხათა, — ქვაბში ერბოში დავწვამთ ხახვსა, დავასხამთ წყალსა, რო ადულდება, — შიგ ჩაყვრით ცომსა და მოიხარშება.

სოფ. ჩხიკვა

### დოს ყურუთი

გაწურულ დოს უზამთ მარილსა ბლომათა, მერე დავარგვალამთ პატარა გუნდებათა, დავაწყობთ ფიცარზე, მზეზე დავდგამთ და გაშრება; ზამთრისთვინ გინდ ხუთი წელი შეინახე, ის არ გაფუჭდება, — ზამთარში ნელ-თბილ წყალში ჩავემტვრემთ და დავდგამთ ჯამითა; ჩალბება და გავთქვევამთ. ყველაფერში კარგია, — ჩვენ ხო ძმარი იმდენათ არა ქვქონდა და ჩიხირთმაში ვხმარობდით; მხე კერძი რო დავგვქირდებოდა, ეგ იყო ჩვენი კერძი.

სოფ. მაწევანი

## დოს შეკამანდი

დაუწომ ხახვსა ერბოში, მერე ჩაასხამ დოსა, — წყალში ცოტა ფქვილ გახსნი (გათქვეფამ) და დაასხამ, — ან მქავე არ იყოს, ან თხელი არ იყოს, ვარაუდს გასწევ; რო მოდულდება, — უზამ ქინძსა და კამასა, კვერცხსა, გადმოლებისას, — მარილსა, რო არ აიჭრას.

სოფ. ჩხიკთა

## რძიფუა

ჩაასხამ რძესა, დაასხამ ცოტა წყალსა, — რო აღულდება, მერე ფქვილ მოუციდამ, უნდა ურიო ლამაზათა, რო არ დაიმურკლოს ფქვილი, ჩააგდე კვერცხი და რო იდულდამს კარქა, მერე გადმოიღებ ლამაზათა და მარილს მერე უზამ, რო არ აიჭრას, დაადგამ და შქამ.

სოფ. ფარცხისი

## რძის შეკამანდი (რძიფუა)

ჯერ ფქვილს გახსნიან ცივ რძეში, მერე შაადგამენ და აღულდებენ, — ცოტა მარილი და კვერცხი უნდა, როგორც მაწენის შეკამანდს.

სოფ. საღარაშენი

ავადულდებთ რძესა, ჩავეყრით მარილსა, მოუციდებთ ან პურის, ან სიმინდის ფქვილსა.

სოფ. თინეთი

## ყაურმა

ყაურმა უფრო ჭიგარისა ვიცით, ხორცისაც შეიძლება. ავიღებთ ღორის ან ცხვრის ჭიგარს, — არ გავრეცხამთ, ისე თვალ გადავაფლავებთ, ბეწვ, რამეს მოვაშორებთ და დავჭრით წვრილათ; ახლა ღორს ლაბაბს გამოვავჭრით, გავრეცხამთ, დავჭრით და ჩავეყრით ქებაში, უფრო თუჯის ქებაში, — გემრიელ აკეთებს თუჯის ქებაი, — დაედგამთ ცეცხლზე, რო დაბროწდეს წითლათ, მერე იმ დაჭრილ ჭიგარს ჩავეყრით (თეთრ ჭიგარსაც და წითელ ჭიგარსაც), — კარქა რო ჩაითუთქება, დაბროწდება, მერე ჩავეყრით ერთ კილო ხახვსა (საშუალოთ დავჭრით), თუ პილპილი გვაქ, — პილპილ უზამთ, თუ არა და წიწყასა, — შავ ღვინოს ვიყიდით, მეზობლობას, ნათესაობას დაუძახებთ და ვიქეიფებთ, — ეგრე ვიცით ღორ რო დავკლამთ.

სოფ. ქორჭიაშვილი

ჯერ ხო უნდა გავრეცხოთ (ხორცი), რო ჩაიხარშება, უნდა დაეყაროს ხახვი, წიწკაი; იმთონათ უნდა ვადულოთ, რო წვენი დაუწმინდავდეს, — წვენი თუ მღვრია აქ, ის კერძი ხო ლაზათიანი არ არი.

სოფ. გოლეთო

### ხალხური და ხალხურ-რელიგიური წეს-ჩვეულებანი

რო მოკვდება ადამიანი, იმას გადაუხდით ჯერ პირველათ ორმოცს, მერე წლისთავს. ორმოცამდინ მუდამ შაფათ, ჩვენ ვიცით წანდილის დარიგება, მერე ვიცით ჩვენა კორკოტი; კორკოტ მოუხარშამთ ჩვენა წყალკურთხევას (ახალწლის კვირის სწორზე) (კორკოტობა), — დავარიგებთ. მერე ყველიერში ვიცით თევდორობა. თევდორობის შაფათი რო დადგება, მაშინ დამარხვდება. იმ ლამეს (თევდ. შაფ.) სანთლებ ავანთებთ, საკმელ მოვაკმევთ, კორკოტ შევდგამთ, მთელი ლამე უნდა იხარშოს (უნდა გაინაღბოს); მეორე დილას ადრე ვარიგებთ, კენტი უნდა დარიგდეს (საერთოთ კვდარზე ყველაფერი კენტი უნდა იყოს: კენტი ცომი მაიზილება...; პატარა ბიჭის ორმოცზე 13 ცომი მოზილეს). ნათქვამიაო, რომაო, ბაგები მიბაგ-მობაგეთო, მარცვალი მომინახეთო და კორკოტი მამიხარშეთო (მითომ მიცვალებულს უთქვია); მითომ მადლიაო ეგ ყველაზე (უფრო); მერე ის (თევდორობის) მარხვა 7 კვირით იქნება თუ 9 კვირით (კენტი უნდა იყოს!), — გვიხსნილდება; ორშაფათიდან დაიწყება ხსნილი: შვიდი ფიცარიო, შვიდათ შეკრულიო, ან ღვდელი გახსნის, ან დიაკვანიო (მითომ წინათ ხო საყდარში ხსნილობდნენ). მარხვის მეშვიდე კვირას, დიდ ხუთშაფათს, ვიცით ჭიაკოკონობა, უნძრახობა, უნძრახი წყლის მოტანა; მეორე დღეს წითელი პარასკებია (ხშიალობა), შაფათი არაფერი და კვირას აღდგომაა. აღდგომა დღეს ხსნილდება.

სოფ. თარცისა

მიცვალებულს ჯერ გადაუხდიან შვიდს (გარდაცვალებიდან ითვლება): ხალხს დაუძახებთ, საკლავი ვიცით, ცხვარს დავკლამთ, საფლავზე იციან (გასვლა); მერე ორმოცს გადაუხდიან: საკლავი მეტია, ხარჯი მეტია; წლისთავზე კიდევ უფრო მეტი ხარჯია (იმიტომ, რო ყველაფერს იშორებს, მიცვალებულის წესს: ყველა პატივი სცა, შავს იხდის).

კორკოტობა მოდის წელიწადში ორჯელ: ერთი წყალკურთხევას, მეორე — ყველიერში. ახალწლის კვირის სწორზე წყალკურთხევაა. წყალკურთხევიდან იწყება აღება: ზოგი წელია, — 7 კვირით

არის ალება, ზოგ წელიწადს, — 9 კვირით. ალება რო მორჩება, მერე ყველიერი იწყება: ყველიერში ვიციტ ქადები, საქანლების ჩამობმა, ლხინები იცოდნენ, ჭიდაობა არი სპეციალური ყველიერისა; ერთი კვირა გრძელდება; კვირა სალამოს, ყველიერი რო დამთავრდება, ალებლამე ვიციტ: სამი-ოთხი კომლი ახლო ნათესავეები ერთმანეთს დააპპატიყებენ რომელიმე ოჯახში, იმ ღამეს კარგათ იქეიფებენ.

სოფ. საღრაშენი

### ყეინობა

ალებლამის შემდეგ, ორშაფათი რო გათენდება, — ყეინობა ვიციტ: სოფელში დაივილიან უფრო მოთავე ახალგაზრდები, გამოჩინებული ხალხი. მოპკრეფამენ ლობიოს, კარტოფილს, სისირს, ხახვს, სამარხოს და ვისიმე ეზოში სადმე სასოფლოთ („მთელი ხალხი“) იქეიფებენ. არ შეიძლებოდა, რო ყეინობას არ ექეიფათ. დასვამდნენ ყეინს, სოფელში ვინც უფრო ხელგამრჯე, ხელბარაქიანი იყო, რო იმ წელიწადს კარგი მოსავალი მოსულიყო. დილით, საცა საქეიფო ადგილი იყო, იქ უნდა დეესვათ ყეინი, გალიბანდი უნდა დაეხურათ და გარეშამო ბუმბულები გაეკეთებინათ. უნდა მჯდარიყო იქამდინ ის ყეინი, მინამ ახალგაზღობა მოკრეფამდნენ მოსაყრეტს. ნაწილი იმის გასაკეთებლად დარჩებოდა ხალხი, რო სადილი დაემზადებინათ და ნაწილს კიდე უნდა წაეყვანათ ის ყეინი წყალზე და ჩაეგდოთ მდინარეში, უნდა ებანავებინათ ისევე ტანისამოსიანათ; ახალგაზრდებიც ბანაობენ ხოლმე; ვინც არ იბანავებდა, გამოჩენილი ახალგაზრდები, იმას გამოეკიდებოდნენ და უნდა ჩეეგდოთ წყალში, შენ რატო არ იბანავეო, — იმ დროს ზო ციოდა! ის ბანაობა რო დამთავრდებოდა, დაბრუნდებოდნენ იმ ამოჩენილ ადგილას, საცა უნდა ექეიფნათ, დასხდებოდნენ სოფლიურათ და კაი დროს გატარებდნენ იმ დლით. იმ დლიდან იწყობა მარხვა. იმ დღეს ჯამ-ქურქელი უნდა დაირეცხოს ადულებულ ნაცარწყალში, რო მთელი ცხიმი გამოსულიყო. სამშაფათიდან უკვე სუფთა მარხვა იწყებოდა 7 კვირის განმავლობაში, მერე დიდხუთშაფათი (მერე წითელი პარასკევი) და მერე აღდგომა.

სოფ. საღრაშენი

ქვემო ქართლის ახლო წარსულის ამსახველი  
აგაბაი და გაღმომცემი

სოფ. ტბისის ისტორია

მამაჩემი, როცა თქვენი ჭირი წაიღო, 152 წლისა იყო. მამაჩემის მამა ილუა სამი ძმის წილობა ყოფილან ერთათ: ილუა, ნინიკა

და გოგლია. ეგ იყო არსენას დროს, არსენამ რო მოსტაცა ზაალ ბარათოვს მოახლე, — მარაბდაში ცხოვრობდნენ. იქ დედაკაცი გვარობდა, მამაკაცი არა გვარობდა, ფინთი აერი იყო, ცხელი ალაგი იყო ძალიან. სუ ქვრივი დედაკაცები იყვნენ მარაბდაში. ნიკოლა ბარათოვი, ლეკიანობა რო ყოფილა, დედამისი გამოქცეულა კახეთიდან, ნიკოლა სამი თვისა ჰყოლია. რო გამაიქცნენ, ზურგზე შამაიკრა ყმაწვილი და ორიც ხატი, ვერცხლის ხატები. თურმე დღე იმალებიან და ღამე მოდიან და გადმოსახლებულან მარაბდაში. ნიკოლა ბატონ გადმოურეკია მარაბდიდან გულვერდაშვილები, ფარაჯანაშვილები და ყაყაჩაშვილები. ამ სოფელს ტბისი ერქო, კაკანთ-სოფელი იმიტომ დაარქვეს, რო ნიკოლა ბარათოვს მეტ სახელს კაკაშვილს ეძახდნენ. მერე გაღმა სოფლის (ჩხიკეთის) ბატონს, საგინოვს, პატარა ყმაწვილი, ასლამაზოვი წამოუყვანია ქალაქიდან და ჩხიკეთაში დაუსახლებია და გვარი გამოუცვლია და დაურქმევია დავითაშვილი. მერე როცა ტბისი უნდა შეგვესყიდა, ჩვენ ვერ მოვერიეთ, სამი კომლი ვიყავით და ჩხიკეთიდან ამხანაგები გავიხადეთ დავითაშვილი და ბაიდარაშვილი, მაწვენინიდან ადამაშვილი, ფარცხისიდან კიკოლაშვილი, კიდევ თიული იყო ერთი, ამლივს ეძახიან, იქიდან, გვიანიშვილი. ნიკოლა ბარათოვი ღარიბი იყო, ფული შაჰამა ბანკისა, ველარ გადაიხადა და ჩვენ შავისყიდეთ ბანკისგან ეს სოფელი. ჩვენ ბატონი აღარა გყავდა. მარაბდაში ისე კარგა ვცხოვრობდით, რო!

სოფ. ტბისი.

### არსენა ოძელაშვილის ამბავი

როცა არსენას მოუტაცია მოახლე, მაშინ მამაჩემი ესტატე 15 წლისა ყოფილა და ალგეთზე ხბორები ჰყოლია და შაშინებია ქალი. რო მოჰყამდათ წიოკობითა და არსენას უთქომ: ესტატეო, შენ ნუ გეშინიაო, მე შენ არაფერს გერჩიო. არსენას რო ქალი მოუტაცნია, გომარეთს წაუყვანია, იქ დაუტოვებია, თითონ წამოსულა, ალბათ იქ მოკეთე ეყოლებოდა და სარიდო („ტიფი“) შეხვედრია; ლეკიანობა რო ყოფილა და ხალხი რო გაქცეულან, იქ დასამალი ალაგები ყოფილა ფეიქართუბანში, — კლდეებია, რო ხამი კაცმა ნახოს, იტყვის, ეს რა საკურველი რამე ყოფილაო. იქ ჰალა იყო და იქ უცხოვრია არსენას; ცხენი ჰყოლია და გაუშვია ჰალაში ხურჯინაკიდებული. პურიცა ჰქონია, ღვინოცა, ხორციცა და ისე ავათ ყოფილა იმ სარიდოთი, რო თავი არა ჰქონია, რომა მისულყო, ხურჯინი ჩამოეღო და პური ეჭამა. როცა რო მორჩენილა, მემრე დაუძახნია იმ ცხენისათვის, — ლურჯა მოდიო. — ისე გაწურთნული

ჰყოლია ცხენი, რო დაუძახებდა, მოვიდოდა მაშვეთი. რო მოსულა ცხენი, ყველაფერი აყროლებული ყოფილა; მერე ჩამოსულა ნინიკას ბინაში, საცა ლორი ჰყვანდა და მაშვეთი რო მისულა, გაქეუულა ნინიკა, რო ლორი დაკლას და, არ დაკლა ლორიო ნინიკაო, ლორის ხორცი არ მინდა მეო და მანდ ჯორჯიაშვილებ ზო ამბობენ ბოგვეშია, ჯორჯიაშვილების ბინა ყოფილა იქვე ახლო ნინიკასთან და უთქომ, ნინიკოო, წადიო ჯორჯიაშვილების ბინაშიო და უთხარო, ცხვარი გამამიგზანონო. როგორ არ გამოუგზანიდნენ, — არსენას სახელი რო გაიგეს, გამოუგზანეს ერთი კაი ქედილა და ის დაკლეს. მემრე კაი პური ჰამეს ერთათ ნინიკამაცა და არსენამაცა და მერე არსენამ უთხრა, რო ნინიკოო, ერთი რამე უნდა გითხარო და არ დამზარდეო. აბა უარ როგორ ეტყოდა და უთხრა: აი ეს ჩემი ცხენიო და შაქეჟიო და წადიო; ღამე გაუგზანია მარაბდაში, რო არავინ ნახოს. არსენას ცხენზე შამქადარა და უთქომ, რომა ჩემ სახში არ მიხვიდეო, — იქ ნათლიდედა ჰყოლია ერთი, გულდამაშვილი, — იმასთან მიდიო და უთხარიო, პურიც გამააცხოსო და ღვინოც ტიკი გაგიმსოსო და ისე მიდიო და წამოდიო, რო არავინ არა გნახოსო. ისე, რო თელ მარაბდას ხელი ჰქონდა მოწერილი, რო თუ არსენა გამოჩნდებოდა სადმე, თელ მარაბდას გადასახლებდნენ.

სოფ. ტბისი

### ტბისელი მებატონე

ნიკოლა ბარათოვს ტბისში ჰქონდა სახლი, აქა ცხოვრობდა. წყაროს თავზე (სოფლის თავში); როცა მამაჩემი წამოიყვანა მარაბდიდან თავისი მშობლებით და დაძმებით, — 15 წლისა იყო მამაჩემი. ბარათოვი პატარა ტანის კაცი იყო მამაჩემით, მაგრამ კაი ომახიანი კაცი იყო (ბან კაი კაცი იყო!), ცოლათ ჰყვანდა ავალიანთ ქალი, მართა, კახელი იყო, ისეთი ქალი იყო, ვაშკაცური, კაცებსა სცემდა, აი, ჩაფრები რო მოსულიყვნენ, მახტა უნდა მეეკრიფნათ, რამე, — სცემდა, სუ გარეკამდა. ისეთი ღამაში ქალი კი იყო! მემრე როცა ნიკოლა მოკვდა, სუხუმში წავიდნენ დაჩათ და იქა ერთი ჩერქეზოვი ყოფილა, აფიცერი, იმას მისთხოვებია. იქიდან რო მოვიდნენ, თან სალდათიც მაიყვანა, თავისი ღენშიკი. მემრე ბოგვეში პისრათა მსახურობდა (ჩერქეზოვი), კაი ღამაში ვაშკაცი იყო! თან მოყვნენ გერები, ორი ქალი და ერთი ბიჭი. ერთი ქალი ისეთი ღამაში იყო, დარიკოს ებახდნენ იმას, რო ქალაქს აქეთ ქალი არა შჯობდა! პატარას ფოფონა ერქო. დარიკო ითხოვა თონეთელმა ღვდლის შვილმა, ლევანა თეთრაძემ, ფოფონა ითხოვა ბრიუტელმა (ორბე-

თელმა. — თ. ს.) ურიადნიკმა, — ოსი იყო. ბიჭს გიორგი ერქო, აქ ცხოვრობდა ცოტა ხანი, პრიუტში. და მემრე ქალაქ წავიდა და აღარავინ არ იცის იმისი ამბავი, — ჩემი ტოლი იყო.

ის მართა, ჩერქეზოვის ცოლი ჩემი ნათლია იყო, ისეთი ავი ქალი იყო, რო დედამთილსა სცემა და სახლიდან გააგდო (ქალიადედას ეძახდნენ იმის დედამთილს), მემრე მოსულიყო დედაჩემთან (საბედა გულვერდაშვილთან) და დედაჩემი ინახამდა. ერთხელაც მოსულიყვნენ მუხრან ბატონი, ზაალ ბარათოვი და ორბელიანი ქალიადედას სანახავათ და რო ენახათ, რო დედაჩემი ინახამდა, დიდი მადლობა გადაუხადეს; ქალიადედას სუ ხელზე ჰკოცნიდნენ.

მემრე იმ ჩერქეზოვმა ფული ისესხა ფირადოვისგან (მიხეილი), სომეხი იყო, მემრე ველარ გადაუხადა და სახლი დაუტოვა, სახლიც, ბალებიც, სუ იმას დაუტოვა, ისეთი ბალები იყო, რო! მემრე იმ ფირადოვმა აუზი გააკეთა, საგუბარი, რა! და იქიდან რწყამდა ბალებსა; ცოლს კეკელა ერქო, ქალაქელები იყვნენ, რა! მემრე დაანება ყველაფერს თავი და წავიდა. ეს ყველაფერი ხო ჩვენ შავისყიდეთ.

ეხლადაეხლა, ეს 3 — 4 წელიწადია დიდი ზამთარი აღარა ყოფილა, ისეთი ზამთარი იცოდა, ისეთი თოვლი, რო ვერ გაივლიდი; ერთხელ ნიკოლა ბარათოვი ქალაქს ყოფილა წასული ცხენით, მაშინ მანქანები სად იყო! მემრე რო წამოსულა, ისეთი თოვლი ყოფილა, რო ფარცხისს აქეთ ცხენი ველარ წამოსულა. იქ ორი მუხა იდგა, იმ მუხაზე ასულიყო და იქიდან დაეყვირა; პატრა კაცი იყო, მაგრამა ისეთი ხმა ჰქონდა, როგორც მენი: ცხენი მამაშველეთო; წაუყვანეს აქედან ცხენი და მაიყვანეს.

სოფ. ტბისი

### ბირთვისის ციხე

ერთი მაღალი კოშკია ტბისის უკან (ზევით), ბირთვისის ეძახიან, — ურემი არ მუუდგება, ცხენი არ მუუდგება, რანაირათ მიიტანეს იქ ქვა და რანაირათ ააშენეს, საკურველი ამბავია! ერთხელ მტრები დასცემიან ბარათოვსა და მოკვლა მოუწოდებიათ, — ერთი არაშენდელი ყოფილა. ნინიკაშვილი, ალბათ ყმა იქნებოდა, ბარათოვს დაუყენებია კოშკის ყარაულათა, რო მტერი არ შავიდეს. იმან ფულები აიღო, მტერს გზა ასწავლა და გააღეს კარები. ბარათოვი გაფადარ --- ული ყოფილიყო; ასწიეს და გადმავადეს კლდიდან ის ნინიკაშვილი. სასმელ, საჭმელ, ის უზიდამდა კოშკში (ბარათოვს),



გადმაავდეს და მოკლეს. მერე იმ ნინიკაშვილს დაარქვეს მუხანათ ნინიკაშვილი<sup>60</sup>.

ისეთი ალაგია, რომა წყალიც შიგა ჰქონიათ, — დიდრონი აუზები გაუკეთებიათ და დაუღარნიათ, რო წყალი ჩავიდეს და აიშოს ავდრის დროსა; იქიდანა, ტუნელი, რაც ხალხი ყოფილა, გაუკეთებიათ და თიხის მიღებით წყარო შაუყვანიათ. იმ ტუნელიდან უვლიათ და ისე უზიდიათ წყალი. ლეკები რო დასცემიან, რო უნდა გატეხონ, ვერსიდან ვერ მისდგომიან, მერე ტყე გაუკაფიათ, იმ ხეობაში ჩაუყრიათ, რო ავიდნენ და გადავიდნენ ციხეში, — მერე კმენარი (= ძალი) მოუწველიათ, ყველი გაუკეთებიათ და გადმოუყრიათ იქიდანა, თან ცეცხლი გადმოუყრიათ იქიდანა, რო დამწვარან; უთქვამთ, ჩვენ იმათ როგორ მიუღვებით, ცხვარიცა ჰყოლიათო. ვერ შასვლიან შიგა, ვერ შაუვალთ ჩვენაო. დიდი ალაგია, იმისთვის გალაჯანი შემოუკრამთ სუ ქვითყირისა, იქ ვაზები უხეირებიათ, ბალები უხეირებიათ და ალაყაფის კარები ჰქონია, რკინის კარები, შასავალი.

სოფ. ტბისი

### სოფ. ჩხიკეთის კოშკი

ჩხიკეთელ ბატონებს, საგინოებს, მამაჩემი წეყვანათ კახეთში თესლის მოსატანათ. ერთ ღვდელსა 9 ორმო მეეხადა, რომელიც გინდათ პური, — წაიღეთო. დიდრონი კაცები ვინცა ყოფილიყვნენ, ხარები წეესხათ საძოვნელათ, მამაჩემი დეეყენებინათ ყარაულათ ურმებთან. იქა, მცხოვრებელი ერთი მოხუცი დედაკაცი ყოფილიყო, — დეეკრიფნა ლელვი, ბროწეული, კომში და მეეწვდინა მამაჩემისთვის, — ეკითხნა: შვილო, სადაური ხარო, მამაჩემისთვის და — ჩხიკეთელიო; ბიჭოო, იქაო, კოშკი რო იყო, მაღალი კოშკიო, არისო ისევ ისეო? — არისო! იქ რო ეკლესია არისო, იმ კოშკთან ახლოო, იმ ეკლესიაშიო ჯვარი მე დავიწერე პირველათაო; ის ქალი ჩხიკეთელი ყოფილა; კოშკის ეკლესიას ეძახდნენ, ფარცხისელებმა დაანგრეს ეგ კოშკი და სახლები აიშენეს; რახან პირი აართვეს, მე-რე სუ დააქციეს.

ასარხანი რო გადმოსულა აქეთა (ლეკი არ იყო, ის სხვა რჯული იყო), სოფლებს აფუქებდა ის ასარხანი, ქართველების სოფლებს; მაშინდელი გაქცეულები ყოფილა ისინი, ის მოხუცებული. იქიდან (კახეთიდან) ლეკი (შამილი) აფუქებდა საქართველოსა, აქედან

<sup>60</sup> სხვა გადმოცემა მოღალატედ ყორანაშვილს ასახელებს (იხ. ზ. გულისაშვილი, მოთხრობები. ნარკვევები. თბ., 1953, გვ. 220).

(ოსმალოს ხრიდან) ასარხანი, — ჰოდა მაშინ გაქცეულან, ვისაც მოუსწრია, აქედან.

მაგ კოშკში ქალბატონი ყოფილა და მოსამსახურე ჰყოლია. როცა ლეკები მოვიდნენ, ნაბდები გაუშალეს და დაუძახეს ქალბატონს: გადმოხტით; მოსამსახურისთვისაც უთქვამ: შენც გადმოხტით, ქალბატონსა; მერე მოსამსახურე არ გადამხტარა — მე აქ უნდა მოვკვდეო.

### ძველი ტბისი (ნასოფლარი)

(ტბისი) დიდი სოფელი ყოფილა, — ნასახლარებია, სამი ეკლესია არი, ქვევრები იპოვეს. საფლავის ქვეები რო ნახეს უწინდელი, ამათაც შამაილეს; აწყვია რა, უწინდელი ქვეები! სუ ბალები ყოფილა, სულა. როცა ჩვენი ბატონი მოსულა აქა, სუ გატყვევებული ყოფილა და გააკაფინა და ყმები, აი, აქ, ორთაშუას ეძახიან, ისიც ბართოვისა ყოფილა, მოურეკია მარაბდიდან და დაუსახლებია სამი გვარი; კაი ბატონი ყოფილა, არაფერს ართმევდა ხალხსა. აი ქვეით რო ბაღია, ისიც ბატონისა ყოფილა, ეხლა ერთი კაკალია დარჩენილი, მეტი არაფერი.

სოფ. ტბისი

სალრაშენის ბატონები იყვნენ ვახტანგ ბართოვი და ისალოვი. დიდი ვენახები ჰქონიათ (ეხლა შკოლა და კანტორა როა, იქა).

სოფ. სალრაშენი

ალექსანდრე საგინოვის პოვერი იყო ლექსო აღუაშვილი (მერე მეწისქვილეთ იყო ფარცხისში). მერე (ბატონმა) ცხვარში გაუშო სარქლათ (როგორც ფირმის გამგე, ხაზენი); წინათ სარქალს ეძახდნენ. მუსხელიშვილის დედაც (ელენე, ალექსანდრე საგინოვის ქალი) და შვილიც (ნიკო მუსხელიშვილი) აღუაშვილის გარდილები იყვნენ.

სოფ. ფარცხისი

### თევდორე ღვდელი

ვაკისსოფელი ნასოფლარი ადგილია, უწინ ქველთა რქმევია. ის თევდორე ღვდელი მანდედან წაუყვანიათ ოსმალებსა (და უთქვამთ): გვაჩვენე სად არი თქვენი ხემწიფეო (ლუარსაბი, ნოსტეს ხემწიფე), ამას არ უჩვენებია; ერთი დღის გზა სამი დღე უტარებია; ამათ გაუგიათ, რო ამან გზა აგვირია და მოუკლიათ ის თევდორე ღვდელი. მერე მინდვრის მწყემსებსა გაუგიათ, რო ესეთი ამბავია, გაქცეულან და შეუტყობინებიათ ხემწიფისთვისა.

სოფ. თონეთი

სოფ. გოხნარის მთის თავზე ლოდია, რომელსაც მამიდას ქვას ეძახიან. (თურმე) ლეკები მოსდევდნენ ქალს; იმას უთქვამს: ღმერთო, ოღონდ ამათ ხელში ნუ ჩამაგდებ და გამაქვავეო, ისიც გაქვავებულა. გვალვის დროს რუსები მიდიან იქ, პარაკლისს იხდიან, დააკრამენ ქვასა და ეტყვიან: აგვყე მამიდაო, და ასწევენ სუბუქათა, ისე კი დიდი ქვაა, მძიმეა. გადააბრუნებენ და მერე გაავდრდება.

სოფ. თონეთი

### რაზმელები<sup>61</sup>

რაზმელები იყვნენ ლევევიდან, დრიდან (დრე), წყრულეთიდან და წვერიდან. 1905 წ. ვცხოვრობდი სოფ. ლევეში (პრიუტს ეკუთნოდა), 12 — 13 წლისა ვიქნებოდი, მწყემსი ვიყავი. ლაჰტის ციხეში ბატონი ცხოვრობდა, ნიგუზოლოვი (ლევეთან იყო), ის ბატონი ხო არ გვიშვებდა თავი ალაგში. კაკრაზ იმ რაზმელებმა მოკლეს მერე ის ბატონი და იმაზე გავიგეთ, რო რაზმელები არიან. ჩვენ სოფელშიო უნდა ჩამოვაყალიბოთო სოციალიზმიო, ხალხი დაასახელეს: შენ ათისთავი იქნები, შენ ოცისთავიო, ყველას თავის საქმე მისცეს. ეს რო გაუგო მერე ნიკოლოზის მთავრობამ, ჩაუყენა ზეკუცია (ზეკუციას ეტყოდნენ, ჯარს რო ჩაუყენებდნენ). მერე ხალხი შეაშინეს და ჩაშალეს საქმე. რაზმელები ტყეში იმალებოდნენ. რამდენჯერმე მეც გამგზანეს პურის მისატანათ: ქუჩათ იყვნენ ბუჩქებში; საქონელში ვიყავი, 6 კაცი დამხვდა იარაღში ჩასმული, დამიჭირეს და მითხრეს: ბიჭუნა, მოდი შენ აქაო, ეს წერილი სოფელში წაიღეო, აფციურ გივთან მიიტანე და პური გამოგვიგზანოსო (გივი ლევეში ცხოვრობდა). გივმა 1 ლიტრა არაყი, ყველი და პური გამატანა, რო მიუტანე, ისევე იქავე იყვნენ. ტრაქნიკიც მოკლეს იქ იმათვე. მერე ერთი წყრულეთელი ციმბირში გადასახლეს; მოიხადა და მოვიდა და თავის წერით მოკვდა. ზოგი წაიჩხუბნენ და ერთმანეთი ჩახოცეს, ერთი-ორი ტრაქნიკებმა მოკლეს; ერთი კიდევ, რომელიც იმათი მეთაური იყო დრიდან — ბატონის მოურავმა მოჰკლა, დაჰპირდნენ, — დაგაჯილდოვებთო, მაგრამ გალანძღეს, რათ მოკალიო, ჩვენ გვინდოდა ცოცხალი დაგვეჭირაო და ეგრე ჩააქრეს სოციალიზმი. ეხლა, როცა აღადგინეს, არცვინ არ იყო.

სოფ. მაწევანო

<sup>61</sup> სათაური მთქმელისაა.

## მოხისელები

ერთი სოფელი იყო ქარელისკენ, მხეცი სოფელი, მოხისს ეტყვიან, — მტკვარზე ხიდი იყო და დააქციეს ის ხიდი, რომაო, ქორი გამოდისო ხიღზეო, ქათმებ გვიჭამსო. მემრე კომბოსტო ეთესათ ბევრი; ერთი დიდი მორევი იყო მტკვარზე, მემრე ღვღელმა უთხრა, ჩავყაროთო კომბოსტო მორევეშიო და დავამყოთია. რამდენმამე ხანმა გაიარა და ეხლა დამყავდებო (=დამყავდებოდაო); ღვღელმა თქვა, ჯერ მე ჩავალ და თუ დამყავდაო, ხელებ დაგიქნევთო; ღვღელი იხჩობოდა და ხელებს იქნევდა, ხალხმა იფიქრა, კომბოსტო დამყავდაო და ხელს გვიქნევსო, — იგრილა ხალხმა და სუ ერთიანათ ჩაიხჩენენ შიგა.

ეხლა არზა დაწერეს, რა ვიცი, რა უნდოდათ თავრობისგან და საძინე ურემზე დაუდეს და შაბებს სამუღელა ხარი და მიართვეს თავრობას ეს არზა. ხელით ვერ წაიღებდნენ?! აი ეგრეთი მხეცი ხალხი ყოფილა!

შენც ერთი ურემი მოგინდება, ამდენი რო დაწერე, როგორ უნდა წაიღო?!

სოფ. ტბისა

## ზამთარი და საწყალი კაცი

ზამთარი და საწყალი კაცი დამობილდნენ. საწყალმა უთხრა, რო მოდიოდეო, შამატყობინეო, რო შევეცადო, გავამზადო რამეო, ზამთარმა მოჰყვა, მოჰყვა ზეით მთებიდან, ცივ ქვეყნებიდანა და ახლო-ახლო მოვიდა თოვლი, რო ჩამოვიდა კარებზე თოვლი, საყვედური მისცა ზამთარსა, რატომ არ შამატყობინეო. ზამთარმა უპასუხა: ბრმა იყავი, რო მოვდიოდი ნელ-ნელა, იმ თოვლ ხო ხედავდიო!

სოფ. ფარცხისი

## სოლომონ ბრძენი და მენახირე

სოლომონ ბრძენს მენახირე ჰყავდა. საღამოთი, საქონელი რო მორეკა, თავის მწყემსს უთხრა: აი, შვილოო, აი იმ ძროხამაო ამაღამ უნდა მაიგოსო, საფურე ხო უნდა მაიგოსო, ნიშა არიო. ამ მენახირემ გაიცინა, — არა ხაზეინო, მართალია საფურე უნდა მაიგოს, მაგრამ ნიშა არ არიო, კული თეთრი აქო, შუბლზე უღვე და შენ ნი-

შა გგონიაო. მართალიც არი, მაიგო და კუდი თეთრი ჰქონდა და ნიშა არ იყო. ხბოსა და ზაქსა კუდი შუბლზე უდევ, როცა დედის მუცელშია; მეცნიერი გამოვიდა სოლომანზე მენახირე.

სოფ. ფარცხისი

### თავთავი

უწინ ძირიდან მალამდინ სუ თავთავი ყოფილა ერთ ღერზე. ბევრი პური რო ჰქონიათ, არ დანანებია და ბავშვის განავალი გაუწმენდია ლავაშითა ერთ პილწ, უხეირო დედაკაცსა. მაშინ გაუგია უფალსა (ჯორით უვლია უწინა, იმიტომ ჯორი უკვდავ-უბერებელია, არა ბერდება, მთვარე და მთვარე ახლდება), რო პურზე ესეთი საქმე გააკეთეს და გაუწყვეტია სუ თავთავები; ძალს უტირნია. — მე რალა გიყავი, მე ხო მშეირი უნდა მოვკვდეო; — წადი, ეს ერთი თავთავი შენი იყოსო. ეხლა ადამიანი ძალის ლუქმასა შქამს, იმით არსებობს.

სოფ. ფარცხისი

### კოდელი კაცი და ეშმაკი

ეშმაკი და კოდელი კაცი მეგობრები იყვნენ. უთესიათ ყველაფერი. მოვიდა წინდაწინ ნიორი; ეშმაკმა უთხრა, ამოვიღოთ ნიორიო, კოდელმა უთხრა, აღრეაო. არა, ეხლა ამოვიღოთო. კარგიო, უთხრა კოდელმა. ამოიღეს ნიორი. ეშმაკმა უთხრა, ძირი მამეციო. კოდელმა უთხრა, ვაი თუ ძირი გაგიფუქდესო, ფოჩო მალე გამოგიშრებაო, ფოჩო შენაო და თავი მეო. ფოჩო ერგო ეშმაკ, თავი — კოდელს. ახლა შამოვიდა ყანები. ეშმაკი მივიდა და ეუბნება, რო ყანები შამოვიდა და მოვჭრათო. კარგიო, წავიდეთო და მოვჭრათო. ეშმაკმა უთხრა, თავი მეო და ძირი შენაო. არაო, უთხრა კოდელმა, მაშინ ნიერის ძირი ხო მე ავიღეო, ეხლა ძირი შენა და თავი მეო.

ანიჩკას სიძე კოდელია და ჩემი ქმარი ეტყვის ხომე თავი ძმასა: ეშმაკმა ვერ აცდინა კოდელიო და შენ აცდენო?

სოფ. ჩხიკვათა

### მოლა მასრადინას ამბები

ერთი კაცი იყო, მოლა მასრადინას ეძახდნენ, კნიაზებ დაჰყვანდათ თან, სიცილის გულისთვინ. თარხანი კნიაზი იყო. ადგა, გამოვიდა და მოლა მასრადინას ცხენსა ტუჩები დააქრა. გამოვა მოლა

მასრადინამა და ნახა ტუჩები დაჭრილი აქ, კბილები სუ უჩანს. ადგა ამ მოლა მასრადინამა და თარხანის ცხენსა კუდი ძირში მიაჭრა, ეხლა გამოვიდნენ, გათავდა (წვეულება?), ვისთანაც დაპატიყებული იყვნენ, შასხდნენ ცხენებზედა; ცხენებზე რო შასხდნენ და გამოჰხედა უკან თარხანმა მოლა მასრადინასა და, რას იცინისო შენი ცხენით? მოლა მასრადინამ უთხრა, რო, შენ ცხენსაო რო ტ --- ი უჩანსო, იმას იცინისო. საცინელი არ არი ეგა? ეგ არი, რა, სხვა კი არაფერია!

ერთხელ მოლა მასრადინამა წისქვილში საფქვავე წაიღო, დაფქვა და წამოიღო სახედრებით, ვირებით. დაულამდა გზაზედა, საცა დაულამდა, იქვე დარჩა, ჩამოჰხადა საპალნეები, საპალნეები ჩამოჰხადა და იმ ღამესა დაიძინა თითონა და სახედრები გაუშვა საძოვარზე. სახედრები ბალახზე გაუშო და მგლებმა არ დაუჭამეს ის სახედრები? მგლებმა დაუჭამეს ის სახედრები, ადგა, ნახა მგლებ დაუჭამით და რალა ეშველება! ადგა, ის საფქვავე დასტოვა, ზურგით ხო ვერ წამაიღებდა და წამოვიდა სოფელში, მოვიდა და პატრა ბიჭები დახვდნენ სოფლის ნაპირას. ამ ბიჭებს შეეკითხა: ბიჭებოო, სოფელში გაიგესო, რო მოლა მასრადინას სახედრებით მგლებმა დაჭამესო? არაო, არავის გაუგიაო; მაშ ტყუილი იქნებაო; ეგეც საცინელია არა?

მოლა მასრადინამ ცხვირზე მიიკრა კევიო. ეგ რა არიო და ჩემ დოვლათს მე არ უყუროო?!

სოფ. ონეთი

### რათა სძულთ თათრებს ღორი

ყოფილა თურმე თათრის მეფე, შეხვედრია ქართველს (მეფეს). ეხლა ერთი მეორეს ხო უნდა გააკვიროვონ! სანაძლეო დადეს. ქართველმა უთხრა, რო წავიდეთ ჩემ ტერიტორიაზე, სადაც დავარტყათ დანა, ამოვიდეს ღვინოვო და იმან ერთ დიდ დაცემულ ალაგას წინასწარ ჩაფლა ტიკები ღვინისა. მერე თათრის ხემწიფე მიხვდა, რო ტიკები ჩაფლულია და უთხრა: შენ თუ ღვინოს ამოიყვან, მე რძეს ამოვიყვანო და იმანაც ჩაფლა მიწაში, სხვა ღროს, რძით სამსე ტიკები. მანამ მოვიდნენ ისენი, ღორებს გეეთხარათ ის ადგილი, რძეც დეელიათ და იქა ლაფობდნენ და იმას მერე დასწყევლა ღორი თათრების მეფემ.

სოფ. საღრაშენი

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ეს ქმარი მიდიოდა დილით სამუშაოთ. ცოლს ეჩხუბებოდა, რო მე ვმუშაობ და შენ არაფერს აკეთებო. ჰყავდა ბევრი ბავშვები, სუ პატრები, საქონელი, ღორი, კრუხი, რა ვიცი! საწყალი ქალი საქმეს ვერ ასდიოდა სახში, ის კი მოჯამაგირეთ სამუშაოთ მიდიოდა. მემრე ცოლმა დრო უგდო, როცა ჰქონდა შასადღვები, გამოსაცხობი, სარეცხი გასარეცხი, კრუხ-წიწილაც გამოჩეკილი, — მაშინ უთხრა ქმარსა: დღეს შენ სახში დარჩი, ჩემი საქმე გააკეთე, მე წავალ და ყანას მოვემკო; შენ თუ დღეში ნახევარ გექტარსა მკი, მე ერთი გექტარი ჩაგაბაროო. ადგა და მარტოკა წავიდა ქალი დილითა. ლახანკაში ჩამბალი სარეცხი ჰქონდა: ღამე ბავშვები დაატიტვლა და ჩაალბო. ქალი წავიდა სამკალზე, იმ კაცს კიდევ სძინავს დილის ძილითა. ამ ქალმა საღამომდინ ერთი გექტარი გაათავა, მომკო, დაათეულა, მთელი დღე მშეირმა იმუშავა. ამ კაცმა ერთი წამიხედა, რო მზემ უკვე თვალეში შააჭყიტა, შუადღე გამხდარიყო, ძროხები მოსაწველი დარჩენიყო, ღორები ქუზაში ჰკმუტუნებდნენ. ადგა, ჯერ ძროხები ნახირში გარეკა, მინდორში წაასხა, მერე ღორები გარეკა, მერე სახში მობრუნდა ეს კაცი, კრუხ-წიწილა ერთმანეთზე ბაწრით გადააბა, რო ქორს არ მეეტაცნა, ვითომ გადამბულებ ვერ დახსძამდა! ბავშვები ტირიან ტიტვლები ლოგინში: მამა პური გვშია და ტანსაცმელი მოგვეცი, რო ჩავიცვათ! აბა საიდან მოგცეთ, შვილო, ლახანკაში სველები არიან, ეხლა დაგირეცხამთ და ჩაგაცმევთ! ეხლა, გახედა ამ კაცმა მზესა, უკვე ღამდება; ეხლა რა ვქნა? იძახის კაცი, — თან ცოლს მოვზელამ, პურს გამუაცხობ, თან სადღობელს ზურგზე დავიკრამ, ცომ რო მოვზელამ, ისაც შაიდღვებება თანა. ეხლა ზელავს ცომ და დღაბ-დღუბ, გააქ სადღობელს. ამ დროს ქორი დეეცა კრუხ-წიწილაჲს და წაასხა სულ. ამ წიოკობაზე გამოვარდა და ყვირის კაცი: ჰაი, ჰაი! წამოჰკრა სადღობელი კარების ჩარჩოს და ზურგზე გაუტყდა, შასადღვები რამე სუ ზურგზე ჩამეედინა, მაინც გარბის ისევე და ყვირის: ჰაი, ჰაი! მითომ წიწილა უნდა დააგდებინოს ქორს. ამ ქორმა მაინც წაასხა ის კრუხ-წიწილა, — დააგდებინებდა ქორსა?! მობრუნდა ეხლა სახში, შესულან ძაღლები, დადღომიან ამ ვარკლ ცომს და კარგათ მოულოკიათ, არც უნდოდა გარეცხა ვარკლსა, ის სადღობელი გატეხილი ისევ ზურგზე ჰკილია, გონება აღარა აქ, მაიცალოს! რა ვქნა, — იძახის, ეს რა მომივიდა, ნახირიც მოდის, დაღამდა, ხბორებსაც ძროხა მოუწოვიათ! იმ დროს დედაკაცმაც, შიმშილით გადაწუხებულმა და დაღლილ-დაქანცულ-

მა, შამაალო კარები — უი, მოკვდეს ჩემი თავი, ე რა არი შენ ზურგზე, ქა?! — ღმერთმა რო არ იცის შენი თავი, ვერა ხედავ, ვლღვებავდი და სადღვებელი გამიტყდა, მოდი, ქაჯან, ისევ შენ დაბძანდი შენ ადგილას, ნუ ბრაზობ, მე ისევ წავშავდები ჩემ საქმეზე ყანის მოსამკელათაო, — უთხრა ქმარმა.

სოფ. გოლთეთი

## ზღაპრები

### მელა და მეწისქვილე

იყო ერთი მეწისქვილე, ჰყვანდა შეიდი დედალი ქათამი. ერთი მელა მიეჩვია, ერთი ქათამი დამიკალ და ბედსა გწევო. დაუკლა. მეორე დაუკლა, მესამე დაუკლა, — ესე რო შეიდი ქათამი სუ შაუქამა. მელამ უთხრა: ეხლა უნდა დაგნიშნოვო. ჩახჩახ ხემწიფესთან მივიდა, უთხრა, რო რახრახ ხემწიფე ქალსა გთხოვსო. გეხარდა იმ ხემწიფესა. მოკრიფა (მელამ) ბევრი ზიზილები, წაიყვანა ეს მეწისქვილე და წავიდა. მივიდა ერთ წყალთანა და ეს ზიზილები და ეს (ტანისამოსი?) სულ გადაყარა წყალში და ტიტველა მეწისქვილე მიიყვანა ჩახჩახ ხემწიფესთანა და უთხრა: წყალში გამოვიყვანე, კაცო და წყალმა წაიღო ყველაფერი და ე კაცი ძლივ გადავანარჩემეო. მაშინ ხემწიფემ, აბა, გაგზავნა და კაი ტანისამოსი, საუკეთესო ჩააცვა სიძესა. მეწისქვილე ტანისამოსზე იცქირებოდა და ხემწიფემ უთხრა (მელასა): რათ იცქირებო, და ალბათ თავის ტანისამოსთან არ მოსწონს და იმისთვის იცქირებო. ახალიც სხვა ჩააცვა, უფრო უკეთესი. მელამ უთხრა: აღარ დაიხედო ზედაო. გამოისტუმრა ჯამათით, დუნოვი მუზიკით ეს ქალი ჩახჩახ ხემწიფემს და მელამ უთხრა: მე წავალ წინაო და მოვამზადებო ყველაფერსაო, როგორ იქცევიაო, როგორ ემზადებიაო.

მივიდა დევების სახში, ცხრა ძმანი დევები იყვნენ, ედგათ დიდი თივი ძირები. მელამ უთხრა დევებსა: აბა, ჩახჩახ ხემწიფე თქვენ დასახოცათ მოდის და ამ თივის ძირებში დაიმაღენით. დევები შეძვრნენ თივის ძირებში. მელამ უთხრა, რო რამდენიც დაგცხოთ, იმდენი შიგ შაძვერით, შიგნი-შიგან დაიმაღენითო. წაუკიდა თივებს ცეცხლი, დევები შიგ ამოწვა. შეიყვანა და რახრახ ხემწიფე დევების სახში დააყენა. ქორწილი გადაუხადა იქ, დევების სახში. გაისტუმრა ეს ვეზირის ჩახჩახ ხემწიფის ხალხი. დარჩნენ მელა და რახრახ ხემწიფე ცოლით. შინჯამდა დევების სახს, რო როგორ კარგია. მელამ უთხრა: ხო არა ჩამოწყვიტეს რაო, იმითვინ ათვა-



